

# საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ საქმეებზე

2013, №5

## სოხიალური

## დაჯები

### 1. საპენსიო საკითხები

#### საბიებელი

#### 1. საპენსიო საკითხები

სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლება შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირისათვის დანიშნული პენსიის აღდგენა ზედმეტად დარიცხული პენსიის ლეგალიზაცია, დაკავებული პენსიის დაბრუნება წელთა ნამსახურების შედავათიანი გაანგარიშება შრომის სტაჟის მიხედვით სახელმწიფო პენსიის დანამატის დანიშვნის საფუძველი ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებისათვის პენსიის დანიშვნა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებისათვის პენსიის დანიშვნა

#### 2. სარჩო

სარჩოს მოთხოვნის ხანდაზმულობა სარჩოს თანხის სხვაობის ანაზღაურება სარჩოს თანხის სხვაობის ანაზღაურება მიუღებელი სარჩოს მოთხოვნა და ოდენობის განსაზღვრა

#### 3. სხვა სახის კომპენსაციები

მიწისძვრის შედეგად დაზარალებულისათვის კომპენსაციის დაკისრება შეჩერებული სახელმწიფო გასაცემლის აღდგენის უზრუნველყოფა ერთჯერადი დახმარების გაცემა სამხედრო მოსამსახურის დაღუპვისას მიუღებელი შემწეობის გამო მატერიალური ზიანის ანაზღაურება შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის პირის ნების გამოხატვის ნამდვილობა საოჯახო დახმარების მოხსნისა და საარსებო შემწეობის დანიშვნის დროს სოციალურად დაუცველი ოჯახის მდგომარეობის შეფასება

#### 4. სანიეთე ქონების ანაზღაურება

სანიეთე ქონების დავალიანების ანაზღაურება

#### 5. კვების კომპენსაციის ანაზღაურება

კვების კომპენსაციის ანაზღაურების ხანდაზმულობა

# სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლება

## ბანჩინება

№ბს-502-497(კ-11)

2 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნა

აღწერილობითი ნაწილი:

ი. დ-ე 13.08.1986წ. 14.11.2005წ. მუშაობდა საქართველოს პროკურატურის ორგანოებში. საქართველოს გენერალური პროკურორის 14.11.2005წ. №... ბრძანებით ი. დ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა პროკურატურიდან საკუთარი ნებასურვილით, „პროკურატურის შესახებ“ ორგანული კანონის 34.1 მუხლის შესაბამისად.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 22.11.2005წ. №3064 ბრძანებით ი. დ-ე დაინიშნა თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და გურიის რეგიონული სამმართველოს უფროსად. ი. დ-ე 22.11.2005წ. 26.03.2007წ. მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, მისი ბოლო სამუშაო ადგილი იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის სამძებრო ოპერატიული განყოფილების მთავარი ინსპექტორის თანამდებობა, სამსახურიდან გათავისუფლდა 26.03.07წ., პირადი განცხადების საფუძველზე, დათხოვნის მომენტისათვის მისი ხელფასი 912 ლარს შეადგენდა.

ი. დ-ე სახელმწიფო კომპენსაციას ითხოვს „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის 1-ლი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის, 16.1 მუხლის საფუძველზე. სოციალური მომსახურების ორგანოებმა უარი უთხრეს ი. დ-ს სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნაზე.

ოზურგეთის რაიონული სასამართლო 12.10.2010წ. გადაწყვეტილებით ი. დ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიუთითა, რომ „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის 2' პუნქტის თანახმად, „შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დათხოვნილ რიგითი და უფროსი შემადგენლობის პირებს წელთა ნამსახურობაში ჩაეთვლებათ საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სამსახური“. ი. დ-ე გათავისუფლდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენშტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის სამხედრო ოპერატიული განყოფილების მთავარი ინსპექციის თანამდებობიდან, კანონი არ ითვალისწინებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან გათავისუფლებული პირების წელთა ნამსახურობაში საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სამსახურის დროის ჩათვლას. კანონის მე-16 მუხლის 2' პუნქტი კონკრეტულად განსაზღვრავს, რომ საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სამსახური ჩაეთვლებათ მხოლოდ შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დათხოვნილ რიგითი და უფროსი შემადგენლობის პირებს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო 21.12.2010წ. განჩინებით ი. დ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის 2' პუნქტი შეიცავს დანაწესს იმის შესახებ, რომ შს ორგანოებიდან დათხოვნილ რიგითი და უფროსი შემადგენლობის პირებს წელთა ნამსახურობაში ჩაეთვლებათ საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სამსახური. აღნიშნული პუნქტი კონკრეტულად მიუთითებს თუ რა შემთხვევაში ჩაითვლება პროკურატურის ორგანოებში სამსახური ამ კანონის მიზნებისათვის. პალატამ აღნიშნა, რომ ვინაიდან არ დასტურდება ი. დ-ის შს ორგანოებში სამსახური, მასზე ვერ გავრცელდება ამ კანონით განსაზღვრული სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლება.

სააპელაციო სასამართლო განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა ი. დ-ის მიერ, რომელიც ითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებას. კასატორი თვლის, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. კასატორი თავის მოთხოვნას ამყარებს „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის 1-ლი, მე-2 მუხლების, მე-11 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის დებულებებზე. კასატორი აღნიშნავს, რომ პროკურატურის ორგანოებში მსახურობდა 19 წელი და 3 თვე, სამხედრო სამსახურში 1 წელი და 4 თვე, მთლიანობაში ნამსახურობის პერიოდი 20 წელს და 7 თვეს შეადგენს, სამსახურის ბოლო ადგილი იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენშტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტა-

მენტის სამძებრო-ოპერატიული განყოფილების მთ. ინსპექტორის თანამდებობა, ამონურული აქვს კანონით დადგენილი ნამსახურობის ვადა, გააჩნია იუსტიციის მრჩეველის სპეციალური და ვიცე პოლკოვნიკის სამხედრო წოდებები. კასატორი თვლის, რომ სასამართლო მოექცა მოპასუხის პოზიციის გავლენის ქვეშ და მოახდინა კანონის არასწორი განმარტება, გვერდი აუარა დავის მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმას (მე-16 მუხლის 1-ლ პუნქტს) და გამოიყენა ნორმა (მე-16 მუხლის მე-2' პუნქტი), რომელსაც შემხებლობა არა აქვს დავასთან, კასატორი აღნიშნავს, რომ კანონის მე-16 მუხლის 2' პუნქტით კანონში შეტანილი იქნა დამატება, რომლის თანახმად შს ორგანოებიდან დათხოვნი პირებსაც პენსიის დანიშვნისათვის წელთა ნამსახურობაში უნდა ჩათვლოდათ პროკურატურის ორგანოებში სამსახური. ხსენებულ დამატებას მოცემულ შემთხვევაში სამართლებრივად არა აქვს კავშირი განსახილველ დავასთან, ვინაიდან სამხედრო სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირებს რომ ეთვლებათ პროკურატურის ორგანოებში სამსახური, ერთმნიშვნელოვნად, ცალსახად და ამომწურავადაა მოცემული კანონის მე-11 მუხლის „ა“ ქვეპუნქტსა და მე-16 მუხლის 1-ლ პუნქტში. რომ არა მე-16 მუხლის 2' პუნქტი, მართლაც გაუგებარი იქნებოდა პროკურატურიდან გადასულ შს ორგანოებიდან დათხოვნილ პირებს საპენსიო ვადაში ჩათვლებოდათ თუ არა პროკურატურის ორგანოებში სამსახური, ე.ი. 2' პუნქტით აღმოფხვრილ იქნა საკანონმდებლო ხარვეზი, რომელიც არსებობდა შს ორგანოებიდან დათხოვნილ პირთა მიმართ. რაც შეეხება განსახილველ შემთხვევას, მას ეხება მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტი და არა 2' პუნქტი, ვინაიდან კასატორი არის სამხედრო სამსახურიდან და არა შს ორგანოებიდან დათხოვნილი პირი. ითხოვს სამხედრო და არა პოლიციელის პენსიას. კასატორი თვლის, რომ მის არგუმენტაციას ადასტურებს ის განმარტების ბარათი, რომელიც გაკეთდა საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის მიერ კანონპროექტზე, რომელიც შემდგომში იქნა მიღებული და რომლის შედეგად კანონის მე-16 მუხლს დაემატა 2' პუნქტი. კანონის არც ერთ ნორმაში არ წერია, რომ მხოლოდ შს ორგანოებიდან დათხოვნილ პირებს ჩათვლებათ სტაჟში პროკურატურის ორგანოებში სამსახური. კასატორი თვლის, რომ სასამართლომ გვერდი აუარა კანონის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტზე მსჯელობას, არც ერთმა ინსტანციის სასამართლომ არ გასცა პასუხი კითხვას იმის შესახებ თუ რა საჭიროა მე-16 მუხლის 1-ლ პუნქტში პენსიის დანიშვნისათვის წელთა ნამსახურობის ჩამონათვალში პროკურატურის ორგანოებში სამსახურის მითითება, უკეთუ პროკურატურის ორგანოებში სამსახური ჩათვლებათ მხოლოდ შს ორგანოებიდან დათხოვნილ პირებს.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ი. დ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაემაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ განჩინება მიიღო მატერიალური და საპროცესო ნორმების დარღვევით, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, განჩინება იურიდიულად დაუსაბუთებელია, რის გამოც შეუძლებელია მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება, სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა მხარის მიერ მითითებულ არგუმენტებზე, განჩინება არ შეიცავს სამართლებრივ შეფასებებსა და დასკვნებს მათი უარყოფის შესახებ, შესაბამისად, სახეზეა სსსკ-ის 393-ე და 394-ე მუხლის „ე“ და „ე1“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 407.2 მუხლის შესაბამისად, იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რამდენადაც ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით კასატორს არ წამოუყენებია დასაბუთებული და დასაშვები საკასაციო პრეტენზია. საქმეზე დადგენილად არის ცნობილი და დავას არ იწვევს, რომ ი. დ-მ პროკურატურის ორგანოებში იმსახურა 19 წელი და 3 თვე, საიდანაც გათავისუფლდა პირადი განცხადების საფუძველზე. აღნიშნულის შემდეგ, მუშაობა განაგრძო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში, სადაც მისმა ნამსახურების ვადამ შეადგინა 1 წელი და 4 თვე. ი. დ-ე პირადი განცხადების საფუძველზე შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნილ იქნა 26.03.2007წ. ანუ ორივე სისტემაში მუშაობის სტაჟმა შეადგინა 20 წელი და 7 თვე.

მოსარჩელე სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის შესახებ სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად უთითებდა „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის 1-ლ ნაწილს, რამდენადაც იგი დათხოვნილი იყო სამხედრო სამსახურიდან, მანამდე მუშაობდა პროკურატურის ორგანოებში, რაც უნდა ჩათვლოდა წელთა ნამსახურობის სტაჟში. სოციალური მომსახურების სააგენტომ სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნაზე ი. დ-ს უარი უთხრა იმ მოტივით, რომ პროკურატურაში მუშაობის შემდეგ მან სამსახური გააგრძელა თავდაცვის სამინისტროში და არა შინაგან საქმეთა ორგანოებში, რის გამოც წელთა ნამსახურობის სტაჟში არ ჩათვლებოდა პროკურატურაში მუშაობის პერიოდი. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის 16.2' მუხლით და მიუთითა, რომ საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სამსახური წელთა ნამსახურობაში ჩათვლებათ იმ პირებს, რომლებიც მსახურობენ შინაგან საქმეთა ორგანოებში. ვინაიდან არ დასტურდებოდა ი. დ-ის საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახური, სასამართლომ მიიჩნია, რომ მის მიმართ არ უნდა გავრცელებულიყო სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლება.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის საკასაციო პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა მოთხოვნის იმ ძირითად სამართლებრივ საფუძველზე, რომელზედაც უთითებდა მოსარჩელე, კერძოდ, სადავო სამართალურთიერთობის მიმართ „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის გამოყენების შესაძლებლობაზე. ორივე ინსტანციის სასამართლომ ისე გადაწყვიტა დავა, რომ არ უმსჯელია სარჩელის სამართლებრივ საფუძველზე, სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად მიუთითა კანონის მე-16 მუხლის 2<sup>1</sup> პუნქტი, სასამართლოს არ უმსჯელია თუ რატომ არ იყო შესაძლებელი მოთხოვნის დაკმაყოფილება კანონის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე. კანონის 16.1 მუხლში მოცემულია იმ უწყებების ჩამონათვალი, რომლებშიც სამსახური პენსიის დანიშვნისათვის ჩაითვლება წელთა ნამსახურობაში. „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ კანონში 17.06.2005წ. კანონით შეტანილი ცვლილებების თანახმად, კანონის მე-16 მუხლს დაემატა 2<sup>1</sup> პუნქტი, რომლის მიხედვით შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დათხოვნილ რიგითი და უფროსი შემადგენლობის პირებს წელთა ნამსახურობაში ჩათვლებათ საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სამსახური. 17.06.05წ. კანონით შეტანილი ცვლილებების მიხედვით, ცვლილება იქნა შეტანილი აგრეთვე კანონის მე-16 მუხლის 1-ლ პუნქტში, რომლითაც დადგინდა პროკურატურის ორგანოებში სამსახურის წელთა ნამსახურობის სტაჟში ჩათვლა. საგულისხმოა, რომ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით საკანონმდებლო ორგანოს მიერ შედგენილი განმარტებითი ბარათის მიხედვით, საკანონმდებლო ნოვაცია მიზნად ისახავდა პროკურატურის ორგანოების თანამშრომელთათვის სოციალური გარანტიების შექმნას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებიდან გაურკვეველია თუ რატომ არ ქმნის კანონის მე-16 მუხლის 1-ლ პუნქტში სხვა სამსახურებთან ერთად პროკურატურის ორგანოების მითითება მოსარჩელისათვის პროკურატურის ორგანოებში სამსახურის პერიოდის წელთა ნამსახურობის სტაჟში ჩათვლის საფუძველს, აღნიშნულს რატომ გამოორიცხავს კანონის მე-16 მუხლის 2<sup>1</sup> პუნქტის დანაწესი, რამდენად არის მე-16 მუხლის 2<sup>1</sup> პუნქტი შემხებლობაში სადავო სამართალურთიერთობასთან.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა მოახდინოს კანონის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის სისტემური შეფასება იმავე მუხლის სხვა პუნქტებთან, ასევე ამავე კანონის სხვა ნორმებთან მიმართებაში, რამდენადაც სამართლის ნორმა ლოგიკურ კავშირშია სხვა ნორმებთან, სამართლის ნორმები ქმნიან ერთიან სისტემას, შესაბამისად, ნორმის განმარტება უნდა მოხდეს სხვა ნორმებთან ურთიერთკავშირში და არა იზოლირებულად. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ უნდა მოახდინოს სადავო ურთიერთობასთან შემხებლობაში არსებული „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის ნორმების ურთიერთშეჯერება, მით უფრო, რომ კანონის 59.1 მუხლის თანახმად, პროკურატურის ორგანოების თანამშრომლებს წელთა ნამსახურობაში ეთვლებათ შეიარაღებულ ძალებსა და შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურობის პერიოდი.

ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველზე და მისი უარყოფის შესახებ განჩინებაში არ არის ჩამოყალიბებული სასამართლოს დასკვნები, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას ამ კუთხით შეამოწმოს სააპელაციო სასამართლოს განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარის უფლება სამართლიან სასამართლო განხილვაზე თავისთავად გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას იმსჯელოს მხარის მიერ წამოყენებულ ძირითად არგუმენტებზე, მოახდინოს მათი სათანადო სამართლებრივი შეფასება. სასამართლოს დაცვის უფლება გულისხმობს არა მხოლოდ სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობას, არამედ სასამართლოს ვალდებულებას გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. უკანასკნელი მოთხოვნა მიზნად ისახავს მხარის მიერ გასაჩივრების უფლების უზრუნველყოფას, განპირობებულია მხარის ინტერესით იცოდეს გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველები, სახელმწიფოს სახელით გამოტანილი გადაწყვეტილების მოტივაცია. სასამართლოს ვალდებულება მიუთითოს მიღებული გადაწყვეტილების მოტივები შესაძლოა გადაწყდეს მხოლოდ კონკრეტული საქმის გარემოებათა ჭრილში. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ საქმეში მოსარჩელის არგუმენტები მოითხოვდნენ ზუსტ და გასაგებ პასუხს, თუ რატომ არ იყო შესაძლებელი ი. დ-ის მოთხოვნის დაკმაყოფილება ხსენებული კანონის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე. შესაბამისად, გაურკვეველია სასარჩელო მოთხოვნის უარყოფის მოტივი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის განჩინება მოკლებულია სათანადო სამართლებრივ, მატერიალურ და პროცესუალურ წინამძღვრებს, განჩინება დაუსაბუთებელია, სააპელაციო პალატას არ უმსჯელია მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველზე, გადანყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, საკასაციო სასამართლო საჭიროდ თვლის მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე მსჯელობას, მისთვის სამართლებრივი შეფასების მიცემას, რის გამოც საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სახეზეა სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი, რაც სსკ-ის 412-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად ქმნის სააპელაციო სასამართლოს საკასაციო წესით გასაჩივრებული განჩინების გაუქმების და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველს. საქმის ხელახალი განხილვისას მი-

თითებულ გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევა და მათი სამართლებრივი შეფასება შესაძლებელს შექმნის დავის კანონიერი გადაწყვეტის საფუძველს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

და ა ა ზ ი ნ ა:

1. ი. დ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.12.2010წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირისათვის აღნიშნული პენსიის აღდგენა

### გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ბს-758-752(კ-11)

22 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

რ. ა-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხეების საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს ძველი თბილისის-დიდგორის სოციალური მომსახურების ცენტრის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ, რომლითაც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს 20.07.10წ. გადაწყვეტილების გაუქმება და მოპასუხეებისათვის პენსიის აღდგენის დავალება მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ არის ბავშვობიდან ინვალიდი, 2007 წლის მაისის ჩათვლით მას ყოველწლიურად უდგინებოდა მე-3 ჯგუფის ინვალიდობის სტატუსი, რის შედეგადაც თავდაცვის ხაზით ლეზულობა და პენსიას მარჩენალის გარდაცვალებისა და ინვალიდობის გამო. სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი დადგენილი აქვს ბავშვობიდან. ბოლოს წინა შემონიშნა გაიარა 2006 წლის მაისის თვეში ერთი წლით 2007 წლის მაისამდე. მძიმე ოჯახური მდგომარეობის გამო ვერ მოახერხა შემდგომი წლის სამედიცინო ექსპერტიზის გავლა, რის გამოც სახელმწიფო პენსია ამ პერიოდისათვის შეუწყდა. შემდეგი სამედიცინო სოციალური ექსპერტიზა გაიარა 11.07.08წ. და დაენიშნა პენსია უვადოდ, ბავშვობიდან ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის საფუძველზე, რომელიც 01.06.10წ. შეუწყდა. კასატორმა განცხადებით მიმართა სოციალური მომსახურების სააგენტოს პენსიის აღდგენის თაობაზე საიდანაც უარყოფითი პასუხი მიიღო. 06.08.10წ. რ. ა-მა ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა სოციალური მომსახურების სააგენტოს და საქმის შესწავლა და პენსიის აღდგენა მოითხოვა, რაზეც უარი ეთქვა 07.09.10წ. გადაწყვეტილებით. აღნიშნული გადაწყვეტილება მის მიერ გასაჩივრდა 08.10.10წ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, საიდანაც მიიღო 20.10.10წ. პასუხი იმის თაობაზე, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებულ უნდა იქნას სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით. პასუხი ჩაბარდა 21.10.10წ. შესაბამისად, სასამართლოში სარჩელის შეტანის ვადა არ გაუშვია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.11.10წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ რ. ა-ს 1977 წლიდან უდგინებოდა ბავშვობიდან მე-3 ჯგუფის ინვალიდის სტატუსი თითო წლით, რის შედეგადაც თავდაცვის ხაზით ლეზულობა მარჩენალის გარდაცვალების გამო პენსიას. ბავშვობიდან ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის უვადოდ დადგენამდე, 2008 წლის 1 მაისამდე, სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი მოსარჩელეს დადგენილი ჰქონდა 28.02.05წ., ერთი წლით, 2006 წლის 1 მარტამდე. ვინაიდან 2008 წლის მაისამდე მოსარჩელეს არ ჰქონდა დადგენილი შესაძლებლობის

შეზღუდვის სტატუსი, მასზე შეწყდა კომპენსაციის გაცემა მარჩენალის გარდაცვალების გამო. სასამართლომ მიუთითა, რომ სტატუსის ხელახალი დადგენის მიუხედავად ის ვერ მოიპოვებდა პენსიის მიღების უფლებას, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის 23-ე მუხლი იმპერატიულად ადგენს, რომ სხვა საფუძვლით პენსიის მიმღებ პირებს უგრძელდებათ დანიშნული პენსიის მიღების უფლება პენსიის გაცემის შეწყვეტის საფუძვლების წარმოშობამდე, რომლებიც გამომდინარეობს ამ კანონის ამოქმედებამდე მოქმედი საპენსიო კანონმდებლობიდან. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის 23-ე მუხლმა გაითვალისწინა იმ პირთა უფლებები, რომლებსაც კანონის ამოქმედების დროისათვის ეძლეოდათ ზომიერი ხარისხის შესაძლებლობის შეზღუდვის გამო პენსია და გაუგრძელა მათ აღნიშნული უფლებები მორიგ გადამონმებამდე. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.2006წ. №46/6 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ“ 8.5 მუხლის თანახმად, მორიგი ექსპერტიზის შედეგად ზომიერი ხარისხის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განმეორებით განსაზღვრა წარმოადგენს ამ პირთათვის პენსიის შეწყვეტის საფუძველს. სზაკ-ის მე-5 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ აქვს კანონმდებლობის მოთხოვნათა სანინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება უნდა ემყარებოდეს შესაბამის საკანონმდებლო ნორმას, რაც მას მისცემს მითითებული ქმედების განხორციელების უფლებას. სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელის მხრიდან ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის პერიოდში, ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნდა საკანონმდებლო ნორმა, რომელიც მას მისცემდა მოთხოვნილი პენსიის აღდგენის შესაძლებლობას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.11.10წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. ა-მა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.02.11წ. განჩინებით რ. ა-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.11.10წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი სოციალური მომსახურების სააგენტოს 23.07.2010წ. №... ცნობის თანახმად, რ. ა-ს თავდაცვის სამინისტროს ხაზით დანიშნული კომპენსაციისა და საყოფაცხოვრებო სუბსიდიის გაცემა შეუწყდა 2007 წლის მაისიდან ინვალიდობის ვადის გასვლის გამო. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი სოციალური მომსახურების სააგენტოს 20.07.2006წ. №... წერილით რ. ა-ს, მისივე განცხადების პასუხად, ეცნობა, რომ 2006 წლის 1 იანვრიდან „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონი არ ითვალისწინებდა პენსიის დანიშვნას ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებისათვის. აღნიშნული კანონის 23-ე მუხლი, როგორც გარდამავალი დებულების ნორმა, განმარტავდა იმ პენსიონერთა უფლებებს, რომლებიც არ არიან გათვალისწინებული ამ კანონით და ადგენდა მხოლოდ მანამდე მოპოვებული უფლებების შემდგომი რეალიზაციის პირობებს. განცხადებაზე თანდართული ცნობების მიხედვით ირკვეოდა, რომ მას 1977 წლიდან უდგინდებოდა ბავშვობიდან მე-3 ჯგუფის ინვალიდის სტატუსი თითო წლით, რის შედეგადაც თავდაცვის ხაზით ღებულობდა მარჩენალის გარდაცვალების გამო პენსიას ბავშვობიდან ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის უვადოდ დადგენამდე – 2008 წლის 1 მაისამდე. სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროს მიერ შშმ სტატუსი დაუდგინდა 28.02.2005წ., ერთი წლით, 2006 წლის 1 მარტამდე. 2006 წლის იანვრიდან, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე და 37-ე მუხლების შესაბამისად, ძალოვანი სტრუქტურების ხაზით ადრე დანიშნულ პენსიებს ეწოდა სახელმწიფო კომპენსაცია და მათი გაცემა გაგრძელდა ამ კანონის ამოქმედებამდე მოქმედი კანონმდებლობით მისი მიღების შეწყვეტის საფუძვლების წარმოშობამდე. უვადოდ შშმ პირის სტატუსის დადგენამდე მას 2006 წლის მარტიდან 2008 წლის მაისამდე შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი დადგენილი არ ჰქონდა, რის გამოც მარჩენალის გარდაცვალების გამო სახელმწიფო კომპენსაცია შეუწყდა, ხოლო პენსიის მიღების უფლება, სტატუსის ხელახლა დადგენის მიუხედავად, ვერ მოიპოვებდა მოქმედი კანონიდან გამომდინარე. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის თანახმად, ამ კანონის ამოქმედებამდე ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პენსიონერებს უგრძელდებათ დანიშნული პენსიის მიღების უფლება კომპეტენტურ დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენილ ვადაში გადამონმებამდე, ხოლო ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებსაც 18 წლის ასაკის შემდეგ დადგენილი აქვთ ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი, ენიშნებათ მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირისათვის დადგენილი ოდენობის პენსია. სხვა საფუძვლით პენსიის მიმღებ პირებს უგრძელდებათ დანიშნული პენსიის მიღების უფლება პენსიის გაცემის შეწყვეტის საფუძვლების წარმოშობამდე, რომლებიც გამომდინარეობს ამ კანონის ამოქმედებამდე მოქმედი საპენსიო კანონმდებლობიდან.

სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ რ. ა-ს თავდაცვის სამინისტროს ხაზით დანიშნული კომპენსაცია და საყოფაცხოვრებო სუბსიდიის გაცემა შეუწყდა 2007 წლის მაისიდან (ინვალიდობის ჯგუფის ვადის გასვლის გამო) და ახლიდან დაენიშნა 18.07.08წ. და მიიჩნია, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლისა და №46/6 ბრძანების 8.5 მუხლის შესაბამისად, მორიგი ექსპერტიზის შედეგად ზომიერი ხარისხის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განმეორებით განსაზღვრა წარმოადგენდა მისთვის პენსიის შეწყვეტის საფუძველს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.02.2010წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა რ. ა-მა. კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლო იყენებს საქართველოს შრო-

მის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.2006წ. №46/წ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-8 მუხლის მე-5 პუნქტს, მაშინ როდესაც უნდა გამოიყენოს მე-8 მუხლის მე-7 პუნქტი. სასამართლო განმარტავს მითითებული ბრძანების 13-ე მუხლს, რომელიც მხოლოდ 8.5 მუხლის დანაწესია. სასამართლო ასევე მსჯელობს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლზე, რომელიც მოცემულ შემთხვევას არ ეხება, ამასთან უთითებს 23.3 მუხლის დანაწესზე, რაც ეხება სხვა საფუძვლით პენსიის მიმღებ პირებს, ხოლო მოცემულ შემთხვევაში 23-ე მუხლის შუა (მეორე დანაწესი) უნდა იქნეს გამოყენებული. გარდა ამისა, სასამართლო მსჯელობს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს არ ჰქონდა საფუძველი აღედგინა პენსია, რაც მცდარია, ვინაიდან რ. ა-ს სტატუსი კი არ შეწყვეტია, არამედ შეუწყდა პენსიის მიღება, ხოლო პენსიის შეწყვეტის საფუძველი იყო გადამონმების არგავლა, რაც შემდგომში აღდგება ახალი გადამონმების შედეგად. თავისი მოსაზრების გასამყარებლად კასატორი უთითებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.2006წ. №46/წ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-19 მუხლის „თ“ ქვეპუნქტს და 20-ე მუხლის მე-2 ნაწილს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორს მიაჩნია, რომ სახეზეა ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის საფუძველები ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით.

კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს მითითებას, რომ რ. ა-ს 2006 წლის მარტიდან 2008 წლის მაისამდე შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი დადგენილი არ ჰქონდა. სასამართლომ სამოტივაციო ნაწილში აღნიშნა, რომ რ. ა-ს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის სტატუსი დადგენილი ჰქონდა 2005 წლის 28 თებერვალს, 1 წლით, 2006 წლის მარტამდე. სასამართლომ მიუთითა, რომ 2006 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული „სახელმწიფო კომპენსაციის და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე და 37-ე მუხლების შესაბამისად, ძალოვანი ხაზით ადრე დანიშნულ პენსიას ეწოდა სახელმწიფო კომპენსაცია, იმ კომპენსაციის გაცემა, რომელთა მიღებას არ ითვალისწინებს ეს კანონი, გაგრძელდა ამ კანონის ამოქმედებამდე, რაც არასწორია. კასატორი აღნიშნავს, რომ მას ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსი ბოლოს დაუდგენდა არა 2005 წელს, არამედ 2006 წლის მაისის თვეში 2007 წლის მაისამდე, რის შემდგომაც მძიმე ოჯახური მდგომარეობის გამო ვერ მოახერხა შემდგომი წლის სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის გავლა, რის გამოც სახელმწიფო პენსია ამ პერიოდისათვის შეუწყდა, ხოლო 2008 წლის მაისიდან სოციალური მომსახურების სააგენტო უხდიდა პენსიას 2010 წლის 1 ივნისამდე.

საკასაციო პალატის სხდომაზე კასატორმა და მისმა წარმომადგენელმა მხარი დაუჭირეს საკასაციო საჩივარს და მოითხოვეს მისი დაკმაყოფილება. მოპასუხეების – სააგენტოს და ძველი თბილისის-დიდგორის სოციალური მომსახურების ცენტრის წარმომადგენლებმა საკასაციო საჩივრის საფუძველები არ ცნეს და მოითხოვეს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებელი განჩინების უცვლელად დატოვება.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძველების და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად თვლის, რომ რ. ა-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის მიერ არასწორადაა დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები, კასატორის მიერ ამ მიმართებით წარდგენილი პრეტენზია საფუძველიანია. სააპელაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი რ. ა-ს დადგენილი ჰქონდა 2006 წლის 1 მარტამდე, დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ რ. ა-ს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი დაუდგინდა 28.02.05წ., ერთი წლით, 2006 წლის 1 მარტამდე. სასამართლომ მიუთითა, რომ 2006 წლის მარტიდან 2008 წლის მაისამდე რ. ა-ი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი დადგენილი არ ჰქონია, რის გამოც რ. ა-ს შეუწყდა მარჩენალის გარდაცვალების გამო სახელმწიფო კომპენსაცია. აღნიშნულ გარემოებაზე დაყრდნობით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სტატუსის ხელახლა დადგენის მიუხედავად, რ. ა-ი პენსიის მიღების უფლებას ვერ მოიპოვებდა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საპენსიო საქმის მასალების თანახმად, რ. ა-მა გაიარა შემოწმება 27.02.06წ. და შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი დაუდგინდა 2007 წლის 1 მარტამდე.

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ მოსარჩელე რ. ა-ი არის ბავშვობიდან ინვალიდი, 2007 წლის ჩათვლით მას ყოველწლიურად უდგინებოდა მე-3 ჯგუფის ინვალიდის სტატუსი, რის შემდეგადაც თავდაცვის ხაზით ღებულობდა პენსიას მარჩენალის გარდაცვალების გამო. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელის ასაკის გათვალისწინებით არასწორადაა საქმეზე დადგენილი მოსარჩელის მიერ თავდაცვის სამინისტროს ხაზით მარჩენალის გარდაცვალების გამო პენსიის მიღება. „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალურის სამსახურიდან თადარიგში დატოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით შესაძლებლობის შეზღუდვა მოსარჩელეს აძლევდა გარდაცვლილი სამხედრო პირის ოჯახის შრომისუუნარო წევრის კომპენსაციის და არა მარჩენალის დაკარგვის გამო კომპენსაციის მიღების უფლებას.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ რ. ა-ს ბავშვობიდან დადგენილი ჰქონდა ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი, ასეთი სტატუსი მას 18 წლის ასაკის შემდგომ ჰქონ-

და მინიჭებული. „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის“ შესახებ კანონის 10.3 მუხლის თანახმად, შე-საძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის საფუძველს წარმოადგენს ქმედუნარიანობის ზომიერად, მნიშვნელოვნად და მკვეთრად გამოხატული შეზღუდვა. შესაძლებლობის ზომიერად შეზღუდვის დროს პი-რის შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის გადამონმება, მითითებული კანონის 12-ე მუხლის თანახმად, ხდება წელიწადში ერთხელ. ვამავე კანონის 15.4. მუხლის შესაბამისად, გამოუცხადებლობის შემთხვევაში პირს უჩერდება შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მოქმედება. 2007 წლის 1 იანვრიდან სხენებული კანონი ითვალისწინებდა შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის გადამონმების გარეშე (უვადოდ) დადგე-ნას მყარი, შეუქცევადი მორფოლოგიური ცვლილებების და ფუნქციური დარღვევების შემთხვევაში (14-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი). აღნიშნულის საფუძველზე, 01.05.08წ. შემონმების შედეგად რ. ა-ს დაუდგინდა ბავშვობიდან ზომიერი შესაძლებლობის შეზღუდვა უვადოდ. შესაბამისი სამედიცინო-სოციალური ექ-სპერტიზის გავლის შემდგომ 11.07.08წ. რ. ა-ს დაენიშნა პენსია უვადოდ, რომელიც 2010 წლის ივლისში შე-უნყდა. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 17-ე მუხლის თანახმად, შეზღუდული შე-საძლებლობის სტატუსის მქონე პირის შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში დადგენილ ვადაში გადა-მონმებაზე გამოუცხადებლობა იწვევს პენსიის შეწყვეტას, პენსიის გაცემის ამ საფუძვლით შეწყვეტის შემთხვევაში, პენსიის გაცემა განახლდება შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განმეორებით დადგენის შემდეგ. საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ მოსარჩელეს 11.07.08წ. გადამონმების შედეგად დაენიშნა მუდმივად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტატუსი. საქმეზე არ არის დადგენილი, თუ რა სახის და ოდენობის კომპენსაცია დაენიშნა მოსარჩელეს მუდმივად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტატუსის მინიჭების შემდეგ, რა სახის ანაზღაურებას იღებდა მოსარჩელე 2008 წლის 11 ივლისიდან, რომელიც 01.06.2010წ. შეუნყდა. სააპელაციო სასამართლოს მითითება „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის 36-ე და 37-ე მუხლებზე არ ადასტურებს მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარს, ვინაიდან არ არის დადგენილი, თუ რა სახის ანაზღაურებას იღებდა რ. ა-ი მუდმივი სტატუსის მინიჭების შემდეგ, მოსარჩელე მოთხოვნის დაკმაყოფილების, პენსიის აღდგენის საფუძვლად უთითებდა არა „სახელმწიფო კომპენსაციი-სა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონს, არამედ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კა-ნონის 23-ე მუხლს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენა, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, არის პენსიის დანიშ-ვნის ერთ-ერთი საფუძველი. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელე 2006 წელს გატარდა შე-მონმებაზე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსით სარგებლობდა შემონმებიდან ერთი წლის განმავლობაში, ამდენად, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის ძალაში შესვლის მომენტისათვის მოსარჩელეს მინიჭებული ჰქონდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი. მოსარჩელის მოთხოვნა ემყარება „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლს, რომლის თანახ-მად ამ კანონის ამოქმედებამდე ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პენსიონერებს უგრძელდებათ დანიშნული პენსიის მიღების უფლება კომპეტენტურ დაწესებულებაში შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენილ ვადაში გადამონმებამდე, ხოლო ბავშვობიდან შეზ-ღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებსაც 18 წლის ასაკის შემდგომ დადგენილი აქვთ ზომიე-რად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი, ენიშნებათ მნიშვნელოვნად გამოხატული შეზ-ღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირისათვის დადგენილი ოდენობის პენსია. საგულისხმოა, რომ კანონის 23-ე მუხლის თავდაპირველი რედაქცია (14.02.07წ. კანონით მუხლში შეტანილ ცვლილებამ-დე), ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, რომლებსაც 18 წლის ასაკის შემ-დეგ დადგენილი ჰქონდათ ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი, ითვალისწი-ნებდა მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის ავტომატურ მინიჭებას. აღ-ნიშნულის შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 13.01.03წ. №1/6 ბრძანებით დამტკიცებული „შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ“ ინსტრუქციაში 27.02.07წ. №63/6 ბრძანებით შეტანილი ცვლილებებით განისაზღვრა, რომ ბავ-შვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებსაც 18 წლის ასაკის შემდეგ დადგენილი აქვთ ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი, ავტომატურად ენიჭებათ მნიშვნე-ლოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი (მე-10 მუხ.). „სამედიცინო-სოციალური ექ-სპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის 16.5 მუხლის მიხედვით, ბავშვობიდან შესაძლებლობის შეზ-ღუდვის სტატუსი უდგინდება პირს, რომლის შესაძლებლობის შეზღუდვა 18 წლის ასაკამდე მოხდა, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ 23.12.05წ. საქართველოს კანონის 23-ე მუხლში სხენებულ კანონში 14.12.07წ. კანონით შეტანილი ცვლილე-ბების შედეგად განისაზღვრა, რომ ბავშვობიდან ზომიერად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს 18 წლის შემდეგ ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის შემთხვევაში ენიჭებათ მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირისათვის დადგენილი ოდენობის პენსია. საქმის მასალებით დასტურდება, რომ რ. ა-ი ბავშვობიდან არის შეზღუდუ-ლი შესაძლებლობის მქონე, რომელსაც 18 წლის შემდეგ დადგენილი აქვს ზომიერად გამოხატული შეზღუ-დული შესაძლებლობის სტატუსი, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ 23.12.05წ. კანონის ძალაში შესვლისათ-ვის რ. ა-ი სარგებლობდა ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ნორმის, მისი ფაქტობრივი ელემენტებისა და სამართლებრი-ვი შედეგის დაკონკრეტება ხორციელდება ნორმაში გამოყენებული ცნებების განმარტების გზით. სხენე-



ბული განმარტების საშუალებით ხდება სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაცია და მისი შინაარსის განსაზღვრა. ამდენად, სადავო საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია აქვს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.06წ. №46/წ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ“ მე-8 მუხლის ურთიერთკავშირში, სისტემურ განმარტებას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დავის გადაწყვეტა მოითხოვდა არა მხოლოდ №46/წ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-8 მუხლის რომელიმე ცალკე ნაწილის, კერძოდ მე-5 პუნქტის, არამედ ხსენებული მუხლის ყველა ნაწილის ურთიერთკავშირში გააზრებას. სააპელაციო სასამართლო უარის თქმის საფუძველად შემოიფარგლა მხოლოდ 8.5 მუხლზე მითითებით და არ უმსჯელია ხსენებული წესის 8.7 მუხლზე, რომელიც ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს შეეხება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება არის დაუსაბუთებელი. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად კი, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძველიანობის შემოწმება შეუძლებელია. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება მოკლებულია სათანადო სამართლებრივ და ფაქტობრივ წინამძღვრებს, გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, საჭიროა საქმის ყველა გარემოების სათანადო გამოკვლევა და სწორი სამართლებრივი შეფასების მიცემა, რის გამოც საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

#### და ა დ ბ ი ნ ა :

1. რ. ა-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.02.2010წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### ზედმეტად ღარიცხული პენსიის ლეგალიზაცია, დაკავებული პენსიის დაბრუნება

#### გადაწყვეტილება საქართველოს სასამართლო

№ბს-1251-1237(კ-11)

21 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და დაკავებული პენსიის დაბრუნება.

აღწერილობითი ნაწილი:

ჯ. ჯ-ემ 21.03.11წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტოს და საჯარო სამარ-

თლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის მიმართ, რომლითაც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის 14.01.116. №... ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტის და საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტოს 21.02.116. ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და დაკავებული პენსიის 160 ლარის დაბრუნება მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, 2000 წლიდან არის ასაკით პენსიონერი, სხვა შემოსავალი პენსიის გარდა არ გააჩნია. დამატებითი შემოსავლის მიღების სურვილით 03.04.09წ. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ეროვნული ექსპერტიზის ბიუროს“ და ჯ. ჯ-ეს შორის დაიდო შრომის ხელშეკრულება 2009 წლის 13 მარტიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე. მოსარჩელის გადმოცემით, იმუშავა მხოლოდ 2 თვე, ხელფასის სახით მიიღო 120 ლარი, ხოლო მოპასუხემ სრულად დაუკავა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდის პენსია, სულ 9 თვის პენსია 775 ლარის ოდენობით. მოპასუხემ მისი კუთვნილი პენსიიდან 20%-ის დაკავება დაიწყო 2010 წლის 1 ივნისიდან, რასაც დღემდე ახორციელებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 19.04.116. გადაწყვეტილებით ჯ. ჯ-ეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე ეთქვა უარი.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 03.04.09წ. სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის ეროვნული ექსპერტიზის ბიუროს და ჯ. ჯ-ეს შორის დაიდო შრომის ხელშეკრულება №6/25. სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის ეროვნული ექსპერტიზის ბიუროს ადმინისტრაციის მიერ გაცემული წერილით ჯ. ჯ-ეს მუშაობის პერიოდში 2009 წელს მიღებული აქვს 120 ლარი. ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის 14.01.116. №... წერილით მოსარჩელეს განემარტა პენსიის დაკავების საფუძვლები. სოციალური მომსახურების სააგენტოს 21.02.116. №... წერილით მოსარჩელეს განემარტა, რომ პენსიის დაკავება ხორციელდებოდა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საქმის მასალებით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე მუშაობდა სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელმაც 2009 წელს მიიღო შესაბამისი ანაზღაურება 120 ლარის ოდენობით. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე ადმინისტრაციული აქტით შექმნილი სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფო კონტროლით ახორციელებს სოციალურ, კულტურულ, საგანმანათლებლო და სხვა საჯარო საქმიანობას. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო საქმიანობად ამ კანონის მიზნებისათვის ითვლება ადმინისტრაციული ორგანოში ან სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციაში განხორციელებული ანაზღაურებადი საქმიანობა, გარდა სამეცნიერო საგანმანათლებლო საქმიანობისა. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 6.2 მუხლის თანახმად, პენსიის მიღების უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება წყდება საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში. ამავე კანონის 17.1 „ბ“ მუხლით პენსიის გაცემა შეწყდება საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში. საქმის მასალებით დადგენილი იქნა, რომ მოსარჩელე არ ეწეოდა სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობას. მოსარჩელე საჯარო საქმიანობას ახორციელებდა სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ... განყოფილებაში შტატგარეშე ექსპერტად. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“ ადმინისტრაციული ორგანოა, რომელიც ახორციელებს საჯარო საქმიანობას. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 12.2 მუხლის შესაბამისად, პენსიონერი ვალდებულია აცნობოს კომპეტენტურ ორგანოს იმ გარემოებების დადგომის შესახებ, რომელსაც თან სდევს პენსიის გაცემის შეწყვეტა, ამ გარემოების წარმოშობიდან არა უგვიანეს 15 დღისა, ამდენად მოსარჩელე საჯარო საქმიანობის განხორციელების დაწყების მდგომარეობით ვალდებული იყო მიემართა სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის მუშაობის დაწყების თაობაზე, აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ ჩათვალა, რომ სადავო ადმინისტრაციული აქტები შეიცავს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლით გათვალისწინებულ რეკვიზიტებს, მათ შორის იმ საკანონმდებლო ნორმებს, რომელთა საფუძველზე გამოიცა გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტები, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველია. რადგან უარი ეთქვა თავდაპირველი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, დაკავებული პენსიის დაბრუნების მოთხოვნა ასევე უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული და არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ჯ. ჯ-ემ. აპელანტმა აღნიშნა, რომ სასამართლო არასწორად დაეყრდნო სასამართლო ექსპერტიზის წერილს და დებულებას, სამართლებრივი შეფასებით კანონზომიერად ცნო მისი საქმიანობა, მაშინ როდესაც იგი სასარჩელო განცხადებით და გადაწყვეტილებით მოპასუხედ ამ შესაბამე პირად არ არის ცნობილი. სასამართლომ არ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის მე-12, 33-ე-34-ე და მე-40 მუხლებით, სა-მოქალაქო კოდექსის 412-ე-413-ე მუხლებით. სასამართლომ შეამოწმა გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის მხოლოდ ფორმალური და მატერიალური მხარე, კერძოდ დაცულია თუ არა გამოცემის ფორმალური კანონიერება და აკმაყოფილებს თუ არა სამართლებრივ საფუძველებს, არ გაითვალისწინა სხვა სამართლებრივი საფუძველები, რომლებიც მორალურ მიმართულებას წარმოშობენ. ადმინისტრაციულმა ორგანომ ძირითადად დაადანაშაულა უმოქმედობაში, რომ არ აცნობა სამუშაოს დაწყების თაობაზე და ამით არ გაითვალისწინა მავნე შედეგის დადგომის შესაძლებლობა, მაშინ როდესაც მავნე შედეგი სახეზე

არ არსებობს. ძირითადი კანონით შრომა თავისუფალია და თავისი შრომით მას სურდა შეეცხო მინიმუმი საარსებო წყარო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 09.06.11წ. განჩინებით ჯ. ჯ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 19.04.11წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატა დაეთანხმება და გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატამ მიუთითა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის 6.2 მუხლზე, რომლის თანახმად, პენსიის მიღების უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება წყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიურო ახორციელებს საჯარო საქმიანობას და მიიჩნია, რომ ამ ადმინისტრაციულ ორგანოში შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე სამსახურის (თუნდაც შტატგარეშე თანამდებობაზე) პერიოდი ჩათვალეს საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდად. ამრიგად, პალატამ უსაფუძვლოების გამო არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება აღნიშნულზე. სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოების გამო არ გაიზიარა აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარში გამოთქმული მოსაზრებები გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ აპელანტ ჯ. ჯ-ის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები არ ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების შემადგენლობას და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძველს.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ჯ. ჯ-ემ. კასატორი აღნიშნავს, რომ პენსია განეკუთვნება სახელმწიფო გაცემულს და შესაბამისად, მას გააჩნია განსაკუთრებული თავისებურება, კერძოდ, პენსიის გაუცემლობა ფაქტიურად შეუძლებელია, რადგან პენსია პენსიონერის საარსებო წყაროა და მისი დაკავება პენსიონერის ეკონომიკურ მდგომარეობას უფრო აძვირებს. გასაძვირების ნიშნებელია აგრეთვე ის გარემოება, რომ კასატორი მუშაობდა დროებით (შტატგარეშე) მოსამსახურედ და არა საჯარო საქმიანობის მოხელედ, მისი შრომითი საქმიანობა ემყარებოდა სავარაუდო საქმიანობის მოლოდინს.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ 03.04.09წ. სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის ეროვნული ექსპერტიზის ბიუროს და ჯ. ჯ-ის შორის გაფორმდა შრომის ხელშეკრულება №6/25. სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის ეროვნული ექსპერტიზის ბიუროს ადმინისტრაციის მიერ გაცემული წერილით ჯ. ჯ-ის მუშაობის პერიოდში მიღებული აქვს 120 ლარი. ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის 14.01.11წ. №... წერილით მოსარჩელეს განემარტა პენსიის დაკავების საფუძველები. სოციალური მომსახურების სააგენტოს 21.02.11წ. №... წერილით მოსარჩელეს განემარტა, რომ პენსიის დაკავება ხორციელდებოდა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება საქალაქო და სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, სამართლებრივ დასაბუთებას და აღნიშნავს, რომ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე ადმინისტრაციული აქტით შექმნილი სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფო კონტროლით ახორციელებს სოციალურ, კულტურულ, სავანმანათლებლო და სხვა საჯარო საქმიანობას. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლიდან გამომდინარე, სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, არის ადმინისტრაციული ორგანო, მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად ბიურო ახორციელებს საჯარო საქმიანობას. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კანონის რეგულირების სფეროა სახელმწიფო პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველები, კანონი განსაზღვრავს პენსიის დანიშვნის, გაცემის, შეჩერების, განახლების და შეწყვეტის წესს და პირობებს. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო საქმიანობად ამ კანონის მიზნებისათვის ითვლება ადმინისტრაციული ორგანოში ან სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციაში განხორციელებული ანაზღაურებადი საქმიანობა, გარდა სამეცნიერო – საგანმანათლებლო საქმიანობისა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.06წ. №46/5 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-3-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამეცნიერო – საგანმანათლებლო საქმიანობად ჩითვლება საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი სამეცნიერო – კვლევითი, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული, უმაღლესი, სკოლისგარეშე სააღმზრდელო დანესებულებაში სამეცნიერო ან პედაგოგიურ თანამდებობაზე მუშაობა, ამავე წესის 19.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, პენსიის შეწყვეტის საფუძველია საჯარო საქმიანობის განხორციელება, რომელიც ვრცელდება ყველა კეტეგორიის პენსიონერზე, გარდა 5.3 მუხლით გათვალისწინებული პირებისა (მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსისა და მხედველობის

გამო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს ენიშნებათ, ხოლო დანიშნული პენსიის მიღება უგრძელდებათ საჯარო საქმიანობის განხორციელების მიუხედავად).

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ჯ. ჯ-ე არ ეწეოდა სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობას, რომელიც ხელფასთან ერთად სახელმწიფო პენსიის დანიშნვის და მიღების საფუძველი გახდებოდა. კასატორი საჯარო საქმიანობას ახორციელებდა სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ... განყოფილებაში შტატგარეშე ექსპერტად. ზაკ-ის 2.1 მუხლის თანახმად, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“ ადმინისტრაციული ორგანოა, რომელიც ახორციელებს საჯარო საქმიანობას. ჯ. ჯ-ის, როგორც საჯარო საქმიანობის განხორციელებელი პირის მიმართ, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 6.2 მუხლის მიხედვით პენსიის მიღების უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება წყდება, ხოლო ამავე კანონის მე-17.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მის მიმართ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში დანიშნული პენსიის გაცემა ექვემდებარება შეწყვეტას. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, პენსიონერი ვალდებულია აცნობოს კომპეტენტურ ორგანოს იმ გარემოებების დადგომის შესახებ, რომელსაც თან სდევს პენსიის გაცემის შეწყვეტა, ამ გარემოების წარმოშობიდან არა უგვიანეს 15 დღისა. ამდენად ჯ. ჯ-ე ვალდებული იყო მიემართა სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის და ეცნობებინა მუშაობის დაწყების თაობაზე, რაც არ განუხორციელებია.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის 14.01.116. №... ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის და საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტოს 21.02.116. №... ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და დაკავებული პენსიის დაბრუნება. გასაჩივრებული აქტებით ჯ. ჯ-ეს განემარტა პენსიის დაკავების სამართლებრივი საფუძველები. მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის განმარტებით, ჯ. ჯ-ეს უკავდება 2009 წლის 13 მარტიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე (ხელშეკრულების მოქმედების დრო) პერიოდში დარიცხული პენსია, კასატორის კუთვნილი პენსიიდან 20%-ის დაქვითვა მიმდინარეობს 2010 წლის 1 ივნისიდან. პალატა აღნიშნავს, რომ 11.11.2011წ. კანონით შეტანილი ცვლილება-დამატებების შედეგად, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 24<sup>1</sup> მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის თანახმად 2011 წლის 1 ნოემბრამდე ზედმეტად დარიცხული პენსია ექვემდებარება ლეგალიზაციას და მასზე არ ვრცელდება ამ კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედება. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, 2011 წლის 1 ნოემბრამდე ამ კანონის 19.2 მუხლის საფუძველზე პენსიიდან დაკავებული თანხა არ ექვემდებარება დაბრუნებას“. „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 26.2. მუხლის მიხედვით, ნორმატიული აქტები ელექტრონული ფორმით ქვეყნდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე. ამავე კანონის 26.1 მუხლის თანახმად, ნორმატიული აქტის ოფიციალურ (იურიდიული ძალის მქონე) გამოქვეყნებად ითვლება მისი სრული ტექსტის „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე პირველად გამოქვეყნება. 11.11.2011წ. კანონი გამოქვეყნებისთანავე, 16.11.2011წ. ამოქმედდა, ამდენად, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის 24<sup>1</sup>.1 მუხლის მიხედვით 2011 წლის 1 ნოემბრამდე ზედმეტად დარიცხული პენსია დაექვემდებარა ლეგალიზაციას, მოწინააღმდეგე მხარეებს არ წარმოუდგენიათ პენსიიდან დაკავების შეწყვეტის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, შესაბამისად, უნდა შეწყდეს კასატორის კუთვნილი პენსიიდან 20%-ის დაქვითვა 2011 წლის 16 ნოემბრიდან. რაც შეეხება ჯ. ჯ-ის მოთხოვნას დაკავებული პენსიის დაბრუნებაზე, მითითებული კანონის 24<sup>1</sup>.2 მუხლის თანახმად, 2011 წლის 1 ნოემბრამდე პენსიიდან დაკავებული თანხა, არ ექვემდებარება დაბრუნებას, ამდენად, კასატორის მოთხოვნა დაკავებული პენსიის დაბრუნების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 411-ე მუხლებით და

#### გ ა ლ ა ნ ე შ ი ტ ა :

1. ჯ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 9 ივნისის განჩინება ნაწილობრივ და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ჯ. ჯ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. ბათილად იქნას ცნობილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის 14.01.116. №... და საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტოს 21.02.116. №... ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები 2011 წლის 16 ნოემბრიდან. დაევალოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრს 2011 წლის 16 ნოემბრიდან შეწყვიტოს ჯ. ჯ-ის კუთვნილი პენსიიდან 20%-ის დაქვითვა.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 09.06.11წ. განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც ჯ. ჯ-ეს უარი ეთქვა დაქვითული თანხის დაბრუნებაზე, დარჩეს უცვლელად.
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## წელთა ნამსახურების შეღავათიანი გაანგარიშება

### განჩინება

№ბს-1073-1062(კ-11)

30 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: წელთა ნამსახურების გაანგარიშება

აღწერილობითი ნაწილი:

18.01.10წ. თ. ც-ამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ და მოპასუხისათვის წელთა ნამსახურების კანონის შესაბამისი გაანგარიშების დავალება მოითხოვა შემდეგი საფუძვლით: მოსარჩელე 1993 წლიდან მსახურობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებში სამხედრო მფრინავად. 2007 წლის 10 ივლისს სამხედრო ნაწილის მეთაურის ბრძანებით დაინიშნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობის ... ოპერატიული სამმართველოს, ... დაგეგმვისა და ... განყოფილების უფროსად. 2008 წელს მოსარჩელე გათავისუფლდა სამსახურიდან. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ შედგენილ იქნა წელთა ნამსახურების ანგარიში, რომლის საფუძველზეც მოსარჩელეს დაენიშნა პენსია 65.29 ლარის ოდენობით, რასაც არ დაეთანხმა და წელთა ნამსახურების კანონის შესაბამისი გაანგარიშება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 20.05.10წ. გადაწყვეტილებით თ. ც-ას სარჩელის დაკმაყოფილებაზე ეთქვა უარი. სასამართლომ აღნიშნა, რომ „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. №493-ე ბრძანებულების, 2007 წლის 21 სექტემბრამდე მოქმედი რედაქციის მე-20-ე მუხლი ითვალისწინებდა სამხედრო მფრინავების ნამსახურების ერთი დღის ნამსახურების სამ დღედ ჩათვლას, აღნიშნული კატეგორიის შემადგენლობის ნუსხას ამტკიცებდა საქართველოს თავდაცვის მინისტრი, აღნიშნული მუხლი ავტომატურ რეჟიმში არ ითვალისწინებდა სამხედრო მფრინავების წელთა ნამსახურების ერთი დღის სამ დღედ ჩათვლას. „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 26.09.07წ. №560 ბრძანების მე-16 მუხლით საქართველოს თავდაცვის მინისტრი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტით ამტკიცებს სამხედრო მფრინავთა შემადგენლობის იმ მოსამსახურეთა ნუსხას, რომელთაც ნამსახურების ერთი დღე ჩათვლებათ სამ დღედ. სასამართლოს განმარტებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ არ გამოცემულა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც დამტკიცებული იქნებოდა სამხედრო მფრინავთა შემადგენლობის იმ მოსამსახურეთა ნუსხა, რომელთაც ნამსახურების ერთი დღე ჩათვლებათ სამ დღედ. შესაბამისად, მოსარჩელეს წელთა ნამსახურების კანონის შესაბამისად გადაანგარიშების და ნამსახურების ერთი დღის სამ დღედ ჩათვლაზე ეთქვა უარი.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ც-ამ და თბილისის საქალაქო სასამართლოს 20.05.10წ. გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21.07.10წ. განჩინებით თ. ც-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 20.05.11წ. გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. აღნიშნული განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 01.03.11წ. განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.07.10წ. განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 25.05.11წ. განჩინებით თ. ც-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 20.05.10წ. გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. №493 ბრძანებულების მე-20 მუხლის მიხედვით სამხედრო მფრინავებს თანამდებობრივი სარგო მიეცემათ სამმაგი ოდენობით და ნამსახურების ერთი დღე ჩათვალათ ნამსახურების სამ

დღედ, ხოლო მფრინავ შემადგენლობას – ორმაგი ოდენობით და ნამსახურების ერთი დღე ჩათვლებათ ორ დღედ, აღნიშნული კატეგორიის შემადგენლობის ნუსხას ამტკიცებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელე არ წარმოადგენდა მითითებული ნორმით განსაზღვრულ სუბიექტს, საქმეში წარმოდგენილი წელთა ნამსახურების ნუსხის მიხედვით მოსარჩელეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში არ ეკავა სამხედრო მფრინავის თანამდებობა. წელთა ნამსახურების ნუსხით დადგენილია, რომ მოსარჩელე თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მსახურობდა 2005 წლის იანვრიდან ოფიცრად, 2006 წლის 17 თებერვლიდან დანიშნული იყო მეთაურის თანამდებობაზე უსაფრთხოების დარგში, 2007 წლის 2 ივლისიდან დაკავებული ჰქონდა ... და ... განყოფილების უფროსის თანამდებობა, მოსარჩელე 2008 წლის 2 მაისიდან დათხოვნილი იქნა ზღვრული ასაკის მიღწევის გამო. მოსარჩელეს საქართველოს პრეზიდენტის 05.11.046. №493 ბრძანებულების მე-20 მუხლის საფუძველზე, როგორც სამხედრო მფრინავს არ აქვს მოთხოვნის საფუძველი თანამდებობრივ სარგოზე სამმაგი ოდენობით და ნამსახურების ერთი დღის ნამსახურების სამ დღედ ჩათვლაზე. თ. ც-ას 2005 წლის იანვრიდან 2007 წლის ივლისამდე შესაბამისი ბრძანებებით დაკისრებული ჰქონდა მფრინავის მოვალეობა და შესრულებული აქვს საფრენოსნო სამუშაოები 2005-2006 წლებში. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე ვერ ექცეოდა საქართველოს პრეზიდენტის 05.11.046. №493 ბრძანებულების მე-20 მუხლით განსაზღვრულ მფრინავი შემადგენლობის კატეგორიაში, ვინაიდან მითითებული კატეგორიისათვის საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული არ ყოფილა საქართველოს პრეზიდენტის 05.11.046. №493 ბრძანებულების მე-20 მუხლით განსაზღვრული შეღავათების გავრცელება. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ვინაიდან მოსარჩელე არ წარმოადგენდა სამხედრო მფრინავთა კატეგორიას, რაც მას კანონისმიერად წარმოუშობდა შეღავათების მიღების უფლებას, ხოლო თავდაცვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული არ იყო მფრინავთა შემადგენლობის ის კატეგორია, რომელზეც გავრცელებული უნდა ყოფილიყო შეღავათები, სასარჩელო მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

აღნიშნული განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა თ. ც-ამ და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.05.116. განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით თ. ც-ას სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ გასაჩივრებული განჩინების სამოტივაციო ნაწილში არ არის მითითებული ის სამართლებრივი ნორმები, რომელთა საფუძველზეც ის მიჩნეული იქნა არა „სამხედრო მფრინავად“, არამედ „მფრინავი შემადგენლობის“ კატეგორიად. საკასაციო პალატის დავალების მიუხედავად, სააპელაციო სასამართლოს არ გამოუთხოვია თავდაცვის სამინისტროდან რაიმე დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა, რომ თ. ც-ა არ იყო სამხედრო მფრინავი. კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმის მასალებში დაცულია საფრენოსნო სამუშაოების აღრიცხვის ფურცელი, 10.07.076. №98 ბრძანება, ნამსახურების ნუსხა, რომლებშიც მითითებულია, რომ არის სამხედრო-საჰაერო ძალების მფრინავი. არც ერთი დოკუმენტი არ შეიცავს მინიშნებას კასატორის მფრინავი შემადგენლობის კატეგორიისადმი კუთვნილების. განჩინებაში უდავო ფაქტობრივ გარემოებად არის მიჩნეული ის ფაქტი, რომ თავდაცვის სამინისტროში ასრულებდა მფრინავის მოვალეობას, რაც გამორიცხავს სასამართლოს მიერ საქმეზე საბოლოოდ მიღებულ გადაწყვეტილებას. აღნიშნულიდან გამომდინარე კასატორი ითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების და დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თ. ც-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებში დაცული თ. ც-ას ნამსახურების ნუსხით დასტურდება, რომ 1993 წლის 15 ოქტომბრიდან კასატორს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებში ეკავა ... თანამდებობა, ხოლო 2000 წლის 25 აგვისტოდან მფრინავის თანამდებობა. თ. ც-ა 2005 წლის 1 იანვრიდან გადაყვანილ იქნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შემადგენლობაში მფრინავის თანამდებობაზე, ხოლო ნამსახურიდან დათხოვნის დროისათვის (02.05.086.) იყო სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობის ... ოპერატიული სამმართველოს ... და ... განყოფილების უფროსი. საქმეში დაცული საფრენოსნო სამუშაოს აღრიცხვის ფურცელი ასახავს ნაფრენი საათების რაოდენობას წლების მიხედვით, რომლითაც დასტურდება, რომ თ. ც-ა 1993 წლიდან 2006 წლის ჩათვლით, მათ შორის 1993-2004 წლებში შინაგანი ჯარების შემადგენლობაში, ხოლო 2005-2006 წლებში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის შემადგენლობაში პრაქტიკულად ასრულებდა ფრენებს მი-8 და მი-2 ტიპის შვეულმფრენით, სხვადასხვა საათობრივი დატვირთვით.

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 8.1. მუხლის მიხედვით, სამხედრო მონაწილეთა სამსახურების კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრება დათხოვნის მომენტისათვის ხელფასიდან კანონით დადგენილი განსაზღვრული პროცენტული განაკვეთის მუშაობის სტაჟზე ნამრავლით. ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ საქმეზე დადგენილი არ არის მოსარჩელის ნამსახურიდან დათხოვნის დროისათვის მისი ხელფასის ოდენობა და არც გამოყენებული განაკვეთი, რომელიც სამხედრო მონაწილეთა დათხოვნის მომენტისათვის ასაკზე დამოკიდებული. ამასთან, ამავე კანონის 23-ე, 26-ე მუხლების თანახმად, კომპენსაციის გადაანგარიშება კომპეტენტური ორგანოს უფლებამოსილებას და კომპენსაციის დანიშვნის წესი და პირობები განისაზღვრება მინისტრის ნორმატიული აქტით. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.066. №46 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო

აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესების“ 15.1 მუხლის თანახმად, კომპენსაციას შესაბამისი განცხადების საფუძველზე ნიშნავს სოციალური მომსახურების სააგენტო. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი უწყების წარდგინება, რომელიც მზადდება კანონით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილების საფუძველზე და თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა თავდაცვის სამინისტროსათვის წელთა ნამსახურობის გაანგარიშების დავალების შესახებ თავისთავად გულისხმობდა სამინისტროს მიერ უკვე განხორციელებული გაანგარიშების საფუძველზე დანიშნული კომპენსაციის სახეობის და ოდენობის, წელთა ნამსახურობის ოდენობის და დათხოვნის მომენტისათვის ხელფასის პროცენტული განაკვეთის დადგენას, რაც „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლისა და „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის თანახმად ნამსახურობის ვადის ამოწურვის გამო კომპენსაციის გამოანგარიშების სავალდებულო პირობას წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 09.01.93წ. №7-1 დადგენილების მე-5 პუნქტის თანახმად, მფრინავ შემადგენლობას ერთი დღის სამსახური ჩათვალა ორ დღედ ნაფრენი საათების ნორმების და ფრენის კატეგორიის გათვალისწინებით, კერძოდ, განსაზღვრული იყო გამანადგურებელი ავიაციით ნაფრენი საათების რაოდენობა – 40 საათი, სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციით (თვითმფრინავები) ნაფრენი საათების რაოდენობა 70 საათი, ავიაციის დანარჩენი სახეობის შემთვევაში ნაფრენი საათების რაოდენობა – 50 საათი. მინისტრთა კაბინეტის 09.01.93წ. №7-1 დადგენილების მე-5 პუნქტში, 26.07.96წ. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შეტანილი ცვლილების თანახმად, მფრინავ შემადგენლობას ერთი დღის სამსახური ჩათვალა ორ დღედ თუ ისინი პრაქტიკულად ასრულებენ ფრენებს. თ. ც-ა 1993 წლიდან 2006 წლის ჩათვლით ყოველწლიურად პრაქტიკულად ასრულებდა ფრენებს სხვადასხვა საათობრივი დატვირთვით, რაც დასტურდება თავდაცვის მინისტრის 23.03.1998წ. №94 ბრძანებით დამტკიცებული ფორმა №2/3ს შესაბამისად შედგენილი „საფრენოსნო სამუშაოს აღრიცხვის ფურცელით“. ამასთანავე მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მფრინავი შემადგენლობა იმ პერიოდში თავდაცვის მინისტრის აქტით არ იყო განსაზღვრული, „მფრინავი შემადგენლობის მოსამსახურების“ კატეგორია მოგვიანებით, კერძოდ ამაჟამად მოქმედი თავდაცვის მინისტრის 10.12.07წ. №773 ბრძანებით დამტკიცებული „სამხედრო საჰაერო ძალების მფრინავებისათვის და მფრინავი შემადგენლობისათვის შესაბამისი კლასის მინიჭების წესის“ 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განისაზღვრა. მინისტრთა კაბინეტის 09.01.93წ. დადგენილების პირველი პუნქტის თანახმად, თანამდებობრივი განაკვეთების გაანგარიშება ეხებოდა თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურებს. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 07.07.93წ. №545 დადგენილების საფუძველზე თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საჰაერო ძალებისა და საჰაერო თავდაცვის სამმართველოს შემადგენლობაში გაერთიანდა შეიარაღებული ძალებისა და საჯარისო ფორმირებათა ყველა საავიაციო ნაწილი და შენაერთი. საქმეზე დადგენილია, რომ მიუხედავად აღნიშნული დადგენილებისა, თ. ც-ა 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურს აგრძელებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში და ის საავიაციო ესკადრილია (ს/6 2051), რომელშიც თ. ც-ა მსახურობდა, მხოლოდ „საქართველოს სამხედრო ძალებში სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 27.12.04წ. №616 ბრძანებულების საფუძველზე, შინაგანი ჯარების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, არსებული სამტატო რიცხოვნობით, გადაეცა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელია შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარში სამსახურის პერიოდისათვის კასატორზე თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურებისათვის დადგენილი შეღავათების გავრცელების მოთხოვნა.

ნამსახურობის ნუსხის მიხედვით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შემადგენლობაში თ. ც-ა 2005 წლის 1 იანვრიდან იყო შვეულმფრენის საავიაციო ესკადრილის ოფიცერი (მფრინავი), 2006 წლის 17 თებერვლიდან შვეულმფრენების საავიაციო ბაზის ესკადრილის მეთაურის მოადგილე უსაფრთხოების დარგში (მფრინავი), ხოლო 2007 წლის 2 ივლისიდან სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობის ... სამმართველოს განყოფილების უფროსი. ამასთან, საფრენოსნო სამუშაოს აღრიცხვის ფურცელით დგინდება, რომ 2005-2006 წლებში თ. ც-ა ფრენებს ასრულებდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შემადგენლობაში. სააპელაციო სასამართლოს განჩინება არ შეიცავს რაიმე მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ იქნა მიჩნეული თ. ც-ა მფრინავად და რატომ არ გავრცელდა მასზე ამ პერიოდში კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათები. სააპელაციო სასამართლოს განჩინება წინააღმდეგობრივია, ერთი მხრივ სააპელაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში არ ეკავა სამხედრო მფრინავის თანამდებობა, ხოლო მეორეს მხრივ, საქმეში დაცული წელთა ნამსახურობის ნუსხის საფუძველზე, სააპელაციო პალატის მიერ დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ თ. ც-ას 2005 წლის იანვრიდან 2007 წლის ივლისამდე შესაბამისი ბრძანებებით დაკისრებული ჰქონდა მფრინავის მოვალეობა და 2005-2006 წლებში ასრულებდა საფრენოსნო სამუშაოებს. საკასაციო პალატა თვლის, რომ დადგენას საჭიროებს ის გარემოება, თუ რა ტიპის ავიაციითა და რა საათობრივი დატვირთვით ახორციელებდა თ. ც-ა საფრენოსნო სამუშაოებს და აღნიშნულის გათვალისწინებით წარმოადგენდა თუ არა შეღავათიანი გაანგარიშების სუბიექტს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. №493-ე ბრძანებულების 2007 წლის 21 სექტემბრამდე მოქმედი რე-

დაქციის მე-20 პუნქტის თანახმად, სამხედრო მფრინავეებს თანამდებობრივი სარგო მიეცემოდათ სამმაგი ოდენობით და ნამსახურობის ერთი დღე ჩაეთვლებოდათ ნამსახურობის სამ დღედ, ხოლო მფრინავი შემადგენლობას ორმაგი ოდენობით და ერთი დღე ჩაეთვლებოდათ ორ დღედ. უკანასკნელი კატეგორიის შემადგენლობის წესხას ამტკიცებდა საქართველოს თავდაცვის მინისტრი. მითითებული ბრძანებულებიდან 21.09.07წ. ბრძანებით გაუქმდა მე-20 მუხლი, მაგრამ ანალოგიური შინაარსის დებულება გათვალისწინებული იქნა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 26.09.07წ. №560 ბრძანებით, რომლის მე-16 პუნქტის თანახმად, სამხედრო მფრინავეებს თანამდებობრივი სარგო მიეცემოდათ სამმაგი ოდენობით და ნამსახურობის ერთი დღე ჩაეთვლებოდათ ნამსახურობის სამ დღედ, ხოლო მფრინავი შემადგენლობის იმ მოსამსახურეებს, რომელთა წესხას ამტკიცებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ორმაგი ოდენობით და ნამსახურობის ერთი დღე ჩაეთვლებოდათ ნამსახურობის ორ დღედ. აღნიშნული ნორმატიული აქტები ერთმანეთისაგან მიჯნავს „სამხედრო მფრინავს“ და „მფრინავი შემადგენლობის მოსამსახურეების“ კატეგორიას, ამ გრადაციის მიხედვით განსხვავებულად დაწესდა მათთვის თანამდებობრივი სარგოსა და ნამსახურობის გამოთვლის წესი. შესაბამისად, სამხედრო მფრინავის კატეგორია არ საჭიროებდა დამატებით განსაზღვრას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს წარმოდგენდა თუ არა თ. ც-ა წელთა ნამსახურობის შეღავათიანი გაანგარიშების სუბიექტს, ამასთან უნდა გაირკვეს კასატორისათვის უკვე დანიშნული კომპენსაციის დროს ნამსახურობის შეღავათიანი გაანგარიშების გამოყენება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.05.11წ. გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლის შემოწმება შეუძლებელია (სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი), საქმის საბოლოო გადაწყვეტა საჭიროებს მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევას, რაც ქმნის გასაჩივრებული განჩინების გაუქმების და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 412-ე მუხლებით და

#### და ა დ გ ი ნ ა:

1. თ. ც-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.05.11წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### შრომის სტაჟის მიხედვით სახელმწიფო პენსიის დანამატის დანიშვნის საფუძველი

#### განჩინება

№ბს-276-272(კ-12)

12 ივნისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

6. დ-მა 2011 წლის 2 აგვისტოს სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას მოპასუხეების საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გარდაბნის რაიონული განყოფილების მიმართ, რომლითაც სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გარდაბნის რაიონული განყოფილების 2011 წლის 25 მაისის №... გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2011 წლის 6 ივლისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოპასუხეთათვის სახელმწიფო პენსიაზე შრომითი სტაჟის დანამატის განსაზღვრის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.



მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მიმართა სოციალური მომსახურების სააგენტოს გარდაბნის რაიონულ განყოფილებას და პენსიის დანიშვნა მოითხოვა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გარდაბნის რაიონული განყოფილების 2011 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით, მას დაენიშნა პენსია ასაკის გამო, თუმცა უარი ეთქვა პენსიაზე შრომითი სტაჟის დანამატის დანიშვნაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება დანამატის დანიშვნაზე უარის თქმის ნაწილში მოსარჩელემ გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში. 2011 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა პირადობის დამადასტურებელ მოწმობასა და შრომის წიგნაკში მითითებულ დაბადების თარიღებს შორის არსებული შეუსაბამობის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელე ნ. დ-ის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა, ნ. დ-ის სასარჩელო მოთხოვნას – მოპასუხე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გარდაბნის რაიონული განყოფილების 2011 წლის 25 მაისის №... გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობის თაობაზე ეთქვა უარი უსაფუძვლოების გამო; ნ. დ-ის სასარჩელო მოთხოვნას მოპასუხე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2011 წლის 6 ივლისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე ეთქვა უარი უსაფუძვლოების გამო; ნ. დ-ის სასარჩელო მოთხოვნას – მოპასუხე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ ქმედების განხორციელების დავალების თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ, რომლითაც მოსარჩელეს განესაზღვრება შრომითი სტაჟის დანამატი სახელმწიფო პენსიაზე ეთქვა უარი უსაფუძვლოების გამო. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. დ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 18 იანვრის განჩინებით ნ. დ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მიუთითა მათზე. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. დ-მა, 2011 წლის 20 მაისის განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გარდაბნის რაიონულ განყოფილებას და მოითხოვა საპენსიო ასაკის გათვალისწინებით, სახელმწიფო პენსიისა და შრომითი სტაჟის დანამატის დანიშვნა. სსიპ სოციალური მომსახურების გარდაბნის სააგენტოს 2011 წლის 25 მაისის №... გადაწყვეტილებით, ნ. დ-ს სახელმწიფო პენსია დაენიშნა ასაკის საფუძვლით 80 ლარის ოდენობით, ხოლო პირადობის დამადასტურებელ მოწმობასა და მის მიერ წარდგენილ შრომის წიგნაკს შორის არსებული შეუსაბამობის გამო, უარი ეთქვა დანამატის დანიშვნაზე. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2011 წლის 6 ივლისის №... გადაწყვეტილებით, ძალაში დარჩა სსიპ სოციალური მომსახურების გარდაბნის სააგენტოს 2011 წლის 25 მაისის №... გადაწყვეტილება ნ. დ-ის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე დანამატის დანიშვნის შესახებ. საქმეში წარმოდგენილი დაბადების მოწმობის თანახმად, ნ. გ. ასული თ-ე დაბადებულია ... წლის 20 მაისს, ხოლო შრომის წიგნაკის თანახმად, ნ. გ. ასული თ-ის დაბადების თარიღად მითითებულია ... წელი. პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო საჩივრის პრეტენზიები და მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ ჯეროვნად დაადგინა რა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, სწორი სასამართლებრივი შეფასება მისცა მათ. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე სადავოდ ხდის შრომის წიგნაკსა და პირადობის დამადასტურებელ მოწმობაში შეუსაბამო მონაცემის გამო საპენსიო დანამატის დანიშვნის არამართებულობას. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის „სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და გაცემის წესების“ დამტკიცების შესახებ №46/ნ ბრძანების მე-15 მუხლის თანახმად, პენსიის დანიშვნის თაობაზე წერილობითი განცხადება შეიტანება ფონდის ფილიალებში მაძიებლის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი სახის დოკუმენტები: ა) ასაკით პენსიის დანიშვნის შემთხვევაში პირადობის მოწმობა. შრომის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ შრომის სტაჟი გააჩნია). „შრომითი სტაჟის მიხედვით საპენსიო ასაკის საფუძვლად დანიშნული სახელმწიფო პენსიის დანამატის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 29 აგვისტოს №181 დადგენილების 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად შრომითი სტაჟის დასადასტურებლად მიიღება ნებისმიერი დოკუმენტი, რომელსაც გასცემს კომპეტენტური ორგანო და იგი მოიცავს საჭირო ინფორმაციას პირის შრომითი საქმიანობის პერიოდის შესახებ. მე-3 ნაწილის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქეს არ გააჩნია შრომითი სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტები და შეუძლებელია მათი მიღება ან აღდგენა, შრომითი სტაჟის დადგენა ხდება სასამართლოს მიერ. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, მოქალაქე/პენსიონერი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი სანდო დოკუმენტების მოძიება და პასუხისმგებელია წარდგენილი დოკუმენტების სისწორისათვის. აღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო საჩივრის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო გამოეკვლია და დაედგინა მოსარჩელის მიერ წარდგენილი სანიშნაობის მონაცემების შემცველი დოკუმენტებიდან შესაბამისი მონაცემები. საქმეში წარდგენილი დაბადების მოწმობის და შრომის წიგნაკის მონაცემების მიხედვით მოსარჩელის დაბადების თარიღი არ ემთხვევა ერთმანეთს, შესაბამისად, შრომის სტაჟის მიხედვით შეუძლებელია საპენსიო დანამატის ოდენობის განსაზღვრა. ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ უსაფუძვლოების გამო ვერ გაიზიარა სააპელაციო საჩივარში გამოთქმული მოსაზრება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ სწორად გადაწყვიტა დავა, აპელანტის მიერ არ ყოფილა მითითებული გარემოებებზე და წარმოდგენილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102.3 მუხლის შესაბამისად მტკიცებულებებზე, რომლებიც გააბათილებდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულ სამართლებრივ დას-

კვნებს. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმე განიხილა არსებითი საპროცესო დარღვევების გარეშე, სწორად დაადგინა საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 18 იანვრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. დ-მა, რომელმაც აღნიშნული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მისი სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ გამართლებულად არ მიაჩნია სამოქალაქო წესით ამგვარი საქმის განხილვა და შრომის სტაჟის უდავო წარმოების წესით დადგენა, რადგან სასამართლოს უნდა გამოეყენებინა საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №255 დადგენილება, რომლის თანახმად სამთავრობო უწყებები ვალდებული არიან ხელი შეუწყონ ფაქტების მოძიებას და დაეხმარონ ამ სააგენტოს საკითხის მოგვარებაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 2 აპრილის განჩინებით ნ. დ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და განსახილველად ჩაინიშნა მხარეთა დასწრებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენისა და საჩივრებული განჩინების კანონიერების შესწავლის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულება-ნი.

საკასაციო პალატა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმეზე დადგენილად მიიჩნევს, რომ ნ. დ-ს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გარდაბნის რაიონული განყოფილების 2011 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით დაენიშნა პენსია ასაკის გამო, ვინაიდან მოსარჩელის მიერ წარდგენილი იქნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის „სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და გაცემის წესების“ დამტკიცების შესახებ №46/6 ბრძანებით გათვალისწინებული აუცილებელი დოკუმენტი პირადობის მოწმობა. თუმცა ამავე გადაწყვეტილებით ნ. დ-ს უარი ეთქვა შრომითი სტაჟის დანამატის განსაზღვრაზე, ვინაიდან პირადობის დამადასტურებელ მოწმობასა და შრომის ნიგნაკში მითითებულ დაბადების თარიღში არსებობდა შეუსაბამობა. კერძოდ, პირადობის დამადასტურებელ მოწმობაში ნ. დ-ის დაბადების წელი მითითებულია ..., ხოლო შრომის ნიგნაკში ... წელი, რაც არ იძლეოდა პირის იდენტიფიცირების საშუალებას.

საკასაციო სასამართლო ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 16.10.2007წ. ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-314-297(კ-07) ჩამოყალიბებულ განმარტებას შემდეგზე, რომ „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლის თანახმად, პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას სოციალურ უზრუნველყოფაზე. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 22-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება და უფლება განახორციელოს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ დარგებში .... ყოველი სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისად, ის უფლებები, რომლებიც აუცილებელია მისი ღირსების შენარჩუნებისა და მისი პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის. პენსიის მიღების უფლება წარმოადგენს პირის საჯარო სუბიექტური უფლების ერთ-ერთ სახეს, რომლითაც იგი საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე აღჭურვილია სახელმწიფო ხელისუფლების მიმართ. სუბიექტური უფლების წარმოშობის წინაპირობა არის მეორე პირის მოვალეობა, რამდენადაც სუბიექტური საჯარო სამართლებრივი უფლება არის პირისადმი საჯარო სამართლის ნორმით მინიჭებული უფლება, თავისი ინტერესების დასაცავად მოითხოვოს სახელმწიფოსაგან კონკრეტული დამოკიდებულება“.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „შრომითი სტაჟის მიხედვით საპენსიო ასაკის საფუძველად დანიშნული სახელმწიფო პენსიის დანამატის განსაზღვრის შესახებ“ 2007 წლის 29 აგვისტოს საქართველოს მთავრობის №181 დადგენილების 1-ლი მუხლის თანახმად შრომითი სტაჟის დასადასტურებლად მიიღება ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც გაცემულია კომპეტენტური ორგანოს მიერ და მოიცავს ინფორმაციას პირის შრომითი საქმიანობის პერიოდზე, დოკუმენტების ნუსხას განსაზღვრავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. მე-3 პუნქტის შესაბამისად იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქეს არ გააჩნია შრომითი სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტები და შეუძლებელია მათი მიღება ან აღდგენა, შრომითი სტაჟის დადგენა ხდება სასამართლოს მიერ. დადგენილების მე-5 პუნქტის მიხედვით მოქალაქე/პენსიონერი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი სანდო დოკუმენტების მოძიება და პასუხისმგებელია წარდგენილი დოკუმენტების სისწორისათვის. ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზის საფუძველზე საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელეს ეკისრებოდა სრულყოფილი დოკუმენტაციის წარდგენის ვალდებულება, რომლითაც უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის გათვალისწინებით შესაძლებლობა ექნებოდა მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დაენიშნა შრომითი სტაჟის მიხედვით სახელმწიფო პენსიის დანამატი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს შრომის წიგნაკში მითითებული 1952 წელს დაბადებული ნ. გ. ასული დ-ისა (თ-ის) და მოქალაქის პირადობის მონუმბაში მითითებული ... წელს დაბადებული ნ. დ-ის იდენტიფიცირების დადგენა. კასაციო საკასაციო საჩივრის ძირითად საფუძვლად უთითებს „შრომითი სტაჟის მიხედვით საპენსიო ასაკის საფუძვლით დანიშნული სახელმწიფო პენსიის დანამატის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 29 აგვისტოს №181 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №255 დადგენილების მე-8 პუნქტზე, რომლის თანახმად საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, ფინანსთა სამინისტრომ და ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უნდა უზრუნველყონ სააგენტოსათვის დახმარების აღმოჩენა პენსიონერთა შრომით სტაჟთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიებასა და გადამოწმებაში. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ აღნიშნული დანაწესით გათვალისწინებული ინფორმაციის მოძიება და გადამოწმება არ გულისხმობს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის შესაძლებლობას სააგენტოს მიერ, აღნიშნული სცილდება „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლითა და საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №255 დადგენილების მე-8 პუნქტით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს და საქართველოს მთავრობის 2007 წლის 29 აგვისტოს №181 დადგენილების მე-3 პუნქტის შესაბამისად განეკუთვნება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXVI თავით გათვალისწინებულ სასამართლოს კომპეტენციის სფეროს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლით და

#### და ა დ გ ი ნ ა :

1. ნ. დ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 18 იანვრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებისათვის პენსიის და-ნიშვნა

#### ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ბს-186-184(კ-12)

26 სექტემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 1 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა მ. გ-მა მოპასუხეების სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს გორის მომსახურების ცენტრის მიმართ.

მოსარჩელე სარჩელით ითხოვდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გორის რაიონული ცენტრის 2011 წლის 18 იანვრის №... გადაწყვეტილების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს 2011 წლის 12 ივლისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობასა და მოპასუხეების დავალდებულებას გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი მისთვის პენსიის უზრუნველყოფის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელე მ. გ-ის სასარჩელო განცხადებას, რომლითაც ითხოვდა ბათილად ყოფილიყო ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გორის რაიონული ცენტრის 2011 წლის 18 იანვრის №... გადაწყვეტილება და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს 2011 წლის 12 ივლისის №... გადაწყვეტილება და მოპასუხე-

ებს დავალებოდათ გამოეცათ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი მისთვის პენსიის უზრუნველყოფის შესახებ, ეთქვა უარი უსაფუძვლოების გამო.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი გარემოებები:

2010 წლის 3 დეკემბერს, მოსარჩელე მ. გ-ს სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის კომისიამ დაუდგინა ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი.

2010 წლის 27 იანვარს, მ. გ-მა განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გორის რაიონულ ცენტრს და მოითხოვა მასზე პენსიის გაცემის განახლება, რაც ამ უკანასკნელის 18.01.2011წ. №... გადაწყვეტილებით მოთხოვნის უსაფუძვლოების მოტივით არ დაკმაყოფილდა.

2011 წლის 21 თებერვალს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა მ. გ-მა, რომელმაც მოითხოვა სააგენტოს გორის რაიონული ცენტრის 18.01.2011წ. №... გადაწყვეტილების გაუქმება და საპენსიო უზრუნველყოფის აღდგენა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2011 წლის 12 ივლისის №... გადაწყვეტილებით მ. გ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოების მოტივით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის ლეგალური დეფინიციიდან გამომდინარე, სასამართლომ გასაჩივრებული აქტები მიიჩნია ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებად და მათი შესაბამისობა დაადგინა ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 22-ე და „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლებთან მიმართებაში, აქვე სასამართლომ მიუთითა შემდეგზე:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ“ მე-8 პუნქტის მე-5 ქვეპუნქტით დადგენილია რომ, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლიდან გამომდინარე, ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს უნარჩუნდება შეზღუდული შესაძლებლობის გამო დანიშნული პენსიის მიღება მინიმალური პენსიის ოდენობით შესაბამის სამედიცინო დანესებულებაში მორიგ გადამონმებად, რის შემდეგაც იგივე სტატუსის დადგენის შემთხვევაში უწყდებათ პენსია, ხოლო ამავე პუნქტის მე-7 ქვეპუნქტის თანახმად, ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს, ვისაც 18 წლის შემდგომ დადგენილი აქვთ ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი, ავტომატურად უგრძელდებათ პენსიის მიღება მინიმალური პენსიის ოდენობით. ასეთივე უფლებით სარგებლობენ პირები, თუ შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი მინიჭებული აქვთ ბავშვობიდან და 18 წლის ასაკის მიღწევის შემდგომ დაუდგინდებათ ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის „სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და გაცემის წესების“ დამტკიცების შესახებ №46/ნ ბრძანების მე-8 მუხლი არეგულირებს შეზღუდული შესაძლებლობების გამო სახელმწიფო პენსიის დანიშვნა-გაცემის საკითხებს. ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად დადგენილია, რომ ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების პირები ვერ მოიპოვებენ პენსიის დანიშვნის უფლებას.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლი, როგორც გარდამავალი დებულების ნორმა, განსაზღვრავს იმ პენსიონერთა უფლებებს, რომლებიც არ არიან გათვალისწინებული ამ კანონით, ადგენს მის ამოქმედებამდე – 2006 წლის 1 იანვრამდე მოპოვებული უფლებების შემდგომი რეალიზაციის პირობებს და არამც თუ პენსიის დანიშვნის შესაძლებლობას.

სასამართლომ გაიზიარა მოპასუხე მხარის პოზიცია და განმარტა, რომ მოსარჩელის მხრიდან სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლად მითითებული სამართლებრივი ნორმები ვერ იქნა სწორად განმარტებული, რამეთუ საქმის მასალებით უდავოდ დადგენილია, რომ მოსარჩელეს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი უვადოდ ბავშვობიდან დაუდგინდა 2010 წლის 3 დეკემბრიდან, ანუ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების (01.01.2006წ.) შემდგომ, რაც იძლევა სამართლებრივ საფუძველს დასკვნისათვის, რომ მოსარჩელე მ. გ-ი არ განეკუთვნება ზემოაღნიშნული კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული ბრძანებით გათვალისწინებული სახელმწიფო პენსიით უზრუნველყოფის სუბიექტს, რამეთუ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფო პენსიის მაძიებელ პირს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის ამოქმედებამდე უნდა ჰქონდეს მოპოვებული პენსიის მიღების უფლება, რათა მოითხოვოს მისი გაგრძელება ან/და მისი შესაძლებლობების შეზღუდვის ფორმა გამომდინარეობდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის „სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და გაცემის წესების“ დამტკიცების შესახებ №46/ნ ბრძანების მე-8 მუხლის დებულებიდან.

სასამართლომ მიუთითა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის დისპოზიციაზე, როგორც გარდამავალი დებულების ნორმაზე და განმარტა, რომ იგი შეეხებოდა იმ პენსიონერთა უფლებებს, რომლებიც არ იყვნენ გათვალისწინებული ამ კანონით და ადგენდა მხოლოდ მანამდე მოპოვებული უფლებების შემდგომი რეალიზაციის პირობებს, კერძოდ, კანონმა გარდამავალი დებულებებით გათვალისწინა იმ პირთა უფლებები, რომლებსაც კანონის ამოქმედების დროისათვის ეძლეოდათ პენსია ზომიერი ხარისხის შესაძლებლობის შეზღუდვის გამო (მათ შორის ბავშვობიდან) და გაუგრძელა მათ აღნიშნული უფლებები მორიგ გადამონმებად.

სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან მ. გ-ს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე, 2006 წლის პირველ იანვარს არ გააჩნდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის სტატუსი, რომელიც მან შეიძინა მხოლოდ 2010 წლიდან, მასზე ვერ გავრცელდებოდა „სახელმწიფო პენსიის

ის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის დებულება, რომელიც ადგენდა 2006 წლამდე მოპოვებული საპენსიო უზრუნველყოფის უფლების გაგრძელების პირობებს და არა პენსიის დანიშვნის შესაძლებლობას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლისა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის 1-ლ ნაწილზე მითითებით სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, როგორც სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გორის რაიონული ცენტრი 18.01.2011წ. №..., ისე სოციალური მომსახურების სააგენტო ცალსახად ადასტურებს სადავო 12.07.2011 წლის №... გადაწყვეტილებების დასაბუთებულობას, ხოლო მოსარჩელე წარმოდგენილი სასარჩელო განცხადებით და მასში მოყვანილი ფაქტების სინამდვილესთან შესაბამისობის კუთხით ვერ აბათილებს აქტების დასაბუთებას.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. გ-მა.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 27 დეკემბრის განჩინებით მ. გ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და განმარტა, რომ მ. გ-ს, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე, 2006 წლის პირველი იანვრისათვის არ გააჩნდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის სტატუსი, რაც მითითებული კანონის 23-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე გამორიცხავდა მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. გ-მა.

კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას. კასატორი საკუთარ მოთხოვნებს ფაქტობრივად აფუძნებდა იმავე გარემოებებზე, რაზეც სასარჩელო მოთხოვნას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად თვლის, რომ მ. გ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის არსებითად სწორად გადაწყვეტისათვის საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული სამართლებრივი ნორმების ნამდვილი შინაარსის დადგენას, რა მიზნითაც მიუთითებს შემდეგზე:

„სამედვიციონო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ კანონის 10.3 მუხლის თანახმად, შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის საფუძველს წარმოადგენს ქმედუნარიანობის ზომიერად, მნიშვნელოვნად და მკვეთრად გამოსატყუი შეზღუდვა. შესაძლებლობის ზომიერად შეზღუდვის დროს პირის შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის გადამოწმება, მითითებული კანონის მე-12 მუხლის თანახმად, ხდება წელიწადში ერთხელ. ამავე კანონის 15.4. მუხლის შესაბამისად, გამოუცხადებლობის შემთხვევაში პირს უჩერდება შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მოქმედება. 2007 წლის 1 იანვრიდან სხენებული კანონი ითვალისწინებდა შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის გადამოწმების გარეშე (უვადოდ) დადგენას მყარი, შეუქცევადი მორფოლოგიური ცვლილებების და ფუნქციური დარღვევების შემთხვევაში (მე-14 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენა, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, არის პენსიის დანიშვნის ერთ-ერთი საფუძველი. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა კასატორი წარმოადგენს ბავშვობიდან ინვალიდს, რომელსაც 03.12.10წ. დაუდგინდა ბავშვობიდან ზომიერი შესაძლებლობების შეზღუდვა უვადოდ.

კასატორის მოთხოვნა ემყარება „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლს, რომლის თანახმად, ამ კანონის ამოქმედებამდე ზომიერად გამოსატყუი შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პენსიონერებს უგრძელდებათ დანიშნული პენსიის მიღების უფლება კომპეტენტურ დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენილ ვადაში გადამოწმებამდე, ხოლო ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებსაც 18 წლის ასაკის შემდგომ დადგენილი აქვთ ზომიერად გამოსატყუი შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი, ენიშნებათ მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირისათვის დადგენილი ოდენობის პენსია. საგულისხმოა, რომ კანონის 23-ე მუხლის თავდაპირველი რედაქცია (14.02.07წ. კანონით მუხლში შეტანილ ცვლილებამდე), ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, რომლებსაც 18 წლის ასაკის შემდეგ დადგენილი ჰქონდათ ზომიერად გამოსატყუი შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი, ითვალისწინებდა მნიშვნელოვნად გამოსატყუი შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის ავტომატურ მინიჭებას. აღნიშნულის შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 13.01.03წ. №1/6 ბრძანებით დამტკიცებული „შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ“ ინსტრუქციაში 27.02.07წ. №63/6 ბრძანებით შეტანილი ცვლილებებით განისაზღვრა, რომ

ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებსაც 18 წლის ასაკის შემდეგ დადგენილი აქვთ ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი, ავტომატურად ენიჭებათ მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი (მე-10 მუხ.). „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის 16.5 მუხლის მიხედვით, ბავშვობიდან შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი უდგინდება პირს, რომლის შესაძლებლობის შეზღუდვა 18 წლის ასაკამდე მოხდა. საგულისხმოა, რომ მ. გ-ს მე-2 ჯგუფის ინვალიდობა (ბავშვობიდან ინვალიდი) დადგენილი აქვს 1989 წლის მდგომარეობით 1 წლის ვადით, რაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით ნიშნავს იმას, რომ მას, შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის გადაუმონებლობის გამო, შეუჩერდა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მოქმედება, რაც არ გამოორიცხავს გადამონებების საფუძველზე მითითებული სტატუსის აღდგენის შესაძლებლობას.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ 23.12.05წ. საქართველოს კანონის 23-ე მუხლში 14.12.07წ. კანონით შეტანილი ცვლილებების შედეგად განისაზღვრა, რომ ბავშვობიდან ზომიერად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს 18 წლის შემდეგ ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის შემთხვევაში ენიჭებათ მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირისათვის დადგენილი ოდენობის პენსია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ნორმის, მისი ფაქტობრივი ელემენტებისა და სამართლებრივი შედეგის დაკონკრეტება ხორციელდება ნორმაში გამოყენებული ცნებების განმარტების გზით. ხსენებული განმარტების საშუალებით ხდება სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაცია და მისი შინაარსის განსაზღვრა. ამდენად, სადავო საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია აქვს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.06წ. №46/წ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ“ მე-8 მუხლის ურთიერთკავშირში, სისტემურ განმარტებას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დავის გადაწყვეტა მოითხოვს ხსენებული ნორმების ყველა ნაწილის ურთიერთკავშირში გააზრებას. სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სარჩელის უარყოფა მოხდა მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითებით, რომ მ. გ-ს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე, 2006 წლის 1-ლი იანვრისათვის არ გააჩნდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის სტატუსი, ხოლო აღნიშნული კანონის 23-ე მუხლი ადგენს 2006 წლამდე მოპოვებული უფლების გაგრძელების პირობებს, თუმცა სააპელაციო სასამართლოს, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, არ გამოუკვლევია და არ დაუსაბუთებია წინამდებარე შემთხვევაში საქმე გვაქვს უკვე მოპოვებული უფლების შეჩერების ფაქტთან თუ არწარმოშობილ (არარსებულ) უფლებასთან, რაც მნიშვნელოვნად ცვლის სავარაუდო სამართლებრივ შედეგს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს შემდეგ გარემოებაზე მითითებას: სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების მიღებისა და საკასაციო საჩივრის წარდგენის შემდგომ 2012 წლის 12 ივნისს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე აღნიშნული კანონის 23-ე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პენსიონერს უგრძელდება ამ კანონის ამოქმედებამდე დანიშნული პენსიის მიღების უფლება კომპეტენტურ დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენილ ვადაში გადამონებამდე. ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირს, რომელსაც 18 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ დადგენილი აქვს ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი, 2012 წლის 1 სექტემბრამდე დაენიშნება (მიეცემა) მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ოდენობის პენსია.

საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს 2012 წლის 20 აგვისტოს №... გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ მ. გ-ს ზემოაღნიშნული სამართლებრივი საფუძვლით 2012 წლის 3 აგვისტოდან დაენიშნა ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირისათვის გათვალისწინებული პენსია. იმ პირობებში, როდესაც მითითებულ საკანონმდებლო ნორმაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, დღეისათვის მ. გ-ი ღებულობს პენსიას, სააპელაციო სასამართლომ უნდა გაარკვიოს ქმედების განხორციელების თაობაზე მოცემული მავალდებულებელი სარჩელის აღძვრისას ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნდა თუ არა ისეთი მოქმედების განხორციელების კომპეტენცია. იმ პირობებში, როდესაც კასატორს პენსია დანიშნული აქვს 2012წ. 3 აგვისტოდან, საკასაციო სასამართლო ასევე საჭიროდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სამართლებრივი შეფასება მიეცეს არის თუ არა სახზე კასატორის სამართლებრივი ინტერესი, რათა სწორედ სასამართლოს მიერ იქნეს დადგენილი ადმინისტრაციული ორგანოს უარის უკანონობა ქმედების განხორციელებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება არის დაუსაბუთებელი. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“<sup>1</sup> ქვეპუნქტის თანახმად კი, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია,

რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი, რის გამოც საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 27 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებისათვის პენსიის დანიშვნა

### ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ბს-551-541(კ-12)

27 დეკემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ახალი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 26 ივლისს გ. მ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ იგი დაიბადა 1991 წლის 11 ივნისს, ბავშვობიდან დაავადებულია ორმხრივი, ნეიროსენსორული სმენაჩლუნგობით (მეოთხე ხარისხი) მეტყველების მოშლით. 2007 წლის 7 ნოემბერს ქ. ქუთაისში, საოჯახო მედიცინისა და საოჯახო მედიცინის რეგიონალურ სასწავლო ცენტრში ჩატარებული სამედიცინო-სოციალური საექსპერტო შემოწმების შედეგად დაუდგინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის სტატუსი და 2007 წლის ნოემბრიდან დაენიშნა პენსია. 2009 წლის 1 ივლისს, სრულწლოვანობის მიღწევის შემდეგ, გ. მ-მა გაიარა განმეორებითი შემოწმება, რის შედეგადაც სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის კომისიამ მას დაუდგინა (მნიშვნელოვნად) ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი უვადოდ, შესაძლებლობის შეზღუდვის მიზეზად კი მიეთითა საერთო დაავადება და ბავშვობიდან შესაძლებლობის შეზღუდვა. აღნიშნული შემოწმების შედეგად გ. მ-ს 2009 წლის 1 ივლისიდან გაუგრძელდა პენსია. პენსიის დარიცხვა შეუჩერდა 2010 წლის ნოემბრიდან. სოციალური მომსახურების სააგენტოს ქუთაისის ცენტრის 2011 წლის 31 მარტის №... წერილის საფუძველზე მოსარჩელეს ეცნობა, რომ პენსიის ჩარიცხვა შეუჩერდა სოციალური მომსახურების სააგენტოს 2010 წლის 17 აგვისტოს №... წერილის საფუძველზე. მოსარჩელემ უკანონოდ მიიჩნია მისთვის პენსიის შეჩერება და ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა სოციალური მომსახურების სააგენტოს, რომლის 2011 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით გ. მ-ის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უარის თქმის საფუძველად ადმინისტრაციულმა ორგანომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-8 მუხლი არეგულირებდა შეზღუდული შესაძლებლობის გამო სახელმწიფო პენსიის დანიშვნა-გაცემის საკითხებს. აღნიშნული წესი ითვალისწინებდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე დანიშნული პენსიის გაგრძელებას ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის უვადო სტატუსის მქონე პირთათვის, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენისას იმ პირებისათვის, რომლებიც 18 წლის ასაკის მიღწევამდე განეკუთვნებოდნენ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვის კატეგორიას და 18 წლის შემდეგ დაუდგინდათ ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი. გადაწყვეტილების მიხედვით, კანონმდებელი ადგენდა 2006 წლამდე მოპოვებული საპენსიო უზრუნველყოფის უფლების გაგრძელების პირობებს და არ იძლეოდა პენსიის დანიშვნის შესაძლებლობას. მოსარჩელის განმარტებით, მას პენსია დაენიშნა 2007 წელს და ითხოვდა არა პენსიის დანიშვნას, არამედ გაგრძელებას. ამდენად, მოსარჩელის მოსაზრე-

ბით, იგი სრულად აკმაყოფილებდა მითითებული წესის მოთხოვნას და ავტომატურად უნდა გაგრძელებოდა პენსიის მიღება მინიმალური პენსიის ოდენობით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2011 წლის 11 ივლისს კვლავ გაიარა შემონმება, რის შედეგადაც დაუდგინდა ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი, ასევე დასკვნაში მიეთითა, რომ იგი შრომისუნარშეზღუდულია.

ამდენად, მოსარჩელემ მოითხოვა სოციალური მომსახურების სააგენტოს 2011 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და 2010 წლის ნოემბრიდან შეჩერებული პენსიის აღდგენა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილებით გ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2007 წლის 7 ნოემბერს მოსარჩელე გ. მ-ს სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის კომისიამ დაუდგინა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის სტატუსი და აღნიშნულის საფუძველზე დაენიშნა სახელმწიფო პენსია, რომელსაც ღებულობდა 18 წლის ასაკის მიღწევამდე, 2009 წლის 11 ივნისამდე. 2009 წლის ივლისში გავლილი განმეორებითი შემონმების შედეგად გ. მ-ს დაუდგინა ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი უვადოდ, რის შედეგადაც მას გაუგრძელდა სახელმწიფო პენსიის მიცემა. 2010 წლის 1 ნოემბრიდან, სოციალური მომსახურების სააგენტოს 2010 წლის 17 აგვისტოს №... ნერილის საფუძველზე გ. მ-ს შეუჩერდა პენსიის ჩარიცხვა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ექსპერტიზის 2009 წლის 1 ივლისის №... აქტი გ. მ-ს შესაძლებლობის შეზღუდვის ხარისხად მითითებული იყო როგორც მნიშვნელოვნად, ასევე ზომიერად გამოხატული, ხოლო მიზეზად – როგორც საერთო, ასევე ბავშვობიდან შესაძლებლობის შეზღუდვა. აღნიშნულ აქტში დაშვებული ხარვეზი 2011 წლის 11 ივლისის №... აქტით გასწორდა და გ. მ-ის შესაძლებლობის შეზღუდვის ხარისხად მიეთითა ზომიერად გამოხატული, ხოლო მიზეზად ბავშვობიდან შესაძლებლობის შეზღუდვა.

2011 წლის 12 აპრილს გ. მ-ის წარმომადგენელმა, დედამ ი. ნ-ემ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს, რომლითაც მოითხოვა მისი შვილისათვის 2010 წლის ნოემბრიდან შეჩერებული პენსიის აღდგენა და „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის თანახმად, მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირისთვის დადგენილი ოდენობის პენსიის დანიშვნა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს 2011 წლის 24 ივნისის №... გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის თანახმად, ამ კანონის ამოქმედებამდე ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პენსიონერებს უგრძელდებათ დანიშნული პენსიის მიღების უფლება კომპეტენტურ დაწესებულებაში შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენილ ვადაში გადამონმებამდე, ხოლო ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებსაც 18 წლის ასაკის შემდეგ დადგენილი აქვთ ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი, ენიშნებათ მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირისათვის დადგენილი ოდენობის პენსია. სხვა საფუძველით პენსიის მიმღებ პირებს უგრძელდებათ დანიშნული პენსიის მიღების უფლება პენსიის გაცემის შეწყვეტის საფუძველების წარმოშობამდე, რომლებიც გამომდინარეობს ამ კანონის ამოქმედებამდე მოქმედი საპენსიო კანონმდებლობიდან. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/6 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და გაცემის შესახებ წესის“ მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის მე-5 ქვეპუნქტის მიხედვით, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლიდან გამომდინარე, ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს უნარჩუნდებათ შეზღუდული შესაძლებლობის გამო დანიშნული პენსიის მიღება მინიმალური პენსიის ოდენობით შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში მორიგ გადამონმებამდე, რის შემდეგაც იგივე სტატუსის დადგენის შემთხვევაში უწყდებათ პენსია, ხოლო ამავე პუნქტის მე-7 ქვეპუნქტის თანახმად ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს, ვისაც 18 წლის შემდგომ დადგენილი აქვთ ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი, ავტომატურად უგრძელდებათ პენსიის მიღება მინიმალური პენსიის ოდენობით. ასეთივე უფლებით სარგებლობენ პირები, თუ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი მინიჭებული აქვთ ბავშვობიდან და 18 წლის ასაკის მიღწევის შემდგომ დაუდგინდებათ ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი.

საქალაქო სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია და აღნიშნა, რომ მოსარჩელეს 2007 წლიდან დაუდგინდა ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი და დაენიშნა სახელმწიფო პენსია. 2009 წლის 1 ივლისს სრულწლოვანობის მიღწევის შემდგომ, სამედიცინო-სოციალური საექსპერტო კომისიამ დაუდგინა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი, თუმცა აღნიშნული აქტი იყო ხარვეზიანი, რამდენადაც მასში შესაძლებლობის შეზღუდვის ხარისხად მითითებული იყო როგორც მნიშვნელოვნად, ასევე ზომიერად გამოხატული, ხოლო მიზეზად როგორც საერთო, ასევე ბავშვობიდან შესაძლებლობის შეზღუდვა. გ. მ-ის საპენსიო უზრუნველყოფა ხორციელდებოდა 2010 წლის 1 ნოემბრამდე.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლი, რომელიც გარდამავალი დებულების ნორმას წარმოადგენდა, ესება იმ პენსიონერთა უფლებებს, რომლებიც არ არიან გათვალისწინებული ამ კანონით და ადგენს მხოლოდ მანამდე მოპოვებული უფლებების შემდგომი რეალიზაციის პირობებს. კანონმა გაითვალისწინა იმ პირთა უფლებები, რომლებსაც კანონ-



ნის ამოქმედების დროისათვის ეძლეოდათ პენსია ზომიერად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის გამო (მათ შორის ბავშვობიდან) და გაუგრძელა მათ აღნიშნული უფლებები მორიგ გადამონმებად.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტი, რომ გ. მ-ს 18 წლის ასაკის შესრულების შემდგომაც დაუდგინდა ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი უვადოდ და პენსიას ლეზულობად 2010 წლის ნოემბრამდე, შესაბამისად, მას უნდა აღდგენოდა წართმეული უფლება. აღნიშნულთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საპენსიო უზრუნველყოფის გაგრძელების საფუძველი გახდა ხარვეზის მქონე დოკუმენტი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და გაცემის შესახებ წესის“ მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი კი ითვალისწინებდა პენსიის დანიშვნას მხოლოდ მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებისათვის. სასამართლოს მოსაზრებით, ხარვეზის გამოსწორების შემდეგ გ. მ-ს კანონიერად შეუწყდა პენსიის მიცემა, რამდენადაც იგი ჩათვალა ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირად, რაც მოქმედი კანონმდებლობით არ წარმოადგენდა ამ კატეგორიის პირების პენსიით უზრუნველყოფის ვალდებულებას.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ გ. მ-ს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე, 2006 წლის 1 იანვარს არ გააჩნდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი, რომელიც მან შეიძინა მხოლოდ 2007 წლიდან. შესაბამისად, მასზე ვერ გავრცელდება „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლი.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ პენსიის აღდგენის შესახებ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ სასარჩელო მოთხოვნა წარმოადგენს სადავო აქტის ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნის თანამდეგ შედეგს, შესაბამისად, სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა ახალი აქტის გამოცემისა და შეჩერებული პენსიის აღდგენის შესახებ.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. მ-მა, რომელმაც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 16 მაისის განჩინებით გ. მ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და დამატებით აღნიშნა, რომ გ. მ-ს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე, 2006 წლის პირველი იანვრისათვის არ გააჩნდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის სტატუსი, რაც მითითებული კანონის 23-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე გამორიცხავდა მის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, რამდენადაც აღნიშნული ნორმა ადგენდა მხოლოდ 2006 წლამდე მოპოვებული საპენსიო უზრუნველყოფის უფლების გაცემის პირობებს და არ ქმნის პენსიის დანიშვნის საფუძველს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი ვერ გახდება ის გარემოება, რომ მოსარჩელეს სრულწლოვანობის მიღწევის შემდეგ 2009 წლის ივლისიდან გაუძეულდა პენსია და ასეთით სარგებლობდა 2010 წლის 1 ნოემბრამდე. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული აქტი იყო ხარვეზიანი, რის გამოც იგი არ ქმნიდა მოსარჩელისათვის პენსიის დანიშვნის საფუძველს. ხარვეზი გასწორდა 2011 წლის 11 ივლისის აქტით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. მ-მა, რომელმაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 16 მაისის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვა მოხდა პროცესუალური ნორმების დარღვევით, კერძოდ, პროცესი ჩატარდა და გადაწყვეტილება გამოტანილი იქნა მხარის დასწრების გარეშე, ვინაიდან მხარეს პროცესის დაწყების დრო არასწორად ეცნობა. მოსარჩელის განმარტებით, ამით დაირღვა მისი უფლება – მონაწილეობა მიეღო საქმის განხილვაში.

გარდა აღნიშნულისა, კასატორმა აღნიშნა, რომ არის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი, დაავადება აქვს ბავშვობიდან.

კასატორმა არ გაიზიარა სასამართლოებისა და მოპასუხის განმარტებები და აღნიშნა, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი არ უნდა ეთქვას მხოლოდ იმის გამო, რომ პენსია დანიშნული არ ჰქონდა 2006 წლამდე. ამგვარი განმარტებით რეგულირების გარეშე რჩებიან ის პირები, რომელთაც კანონის ამოქმედების შემდეგ დაენიშნათ პენსია, რაც უკანონოდ და უსამართლოდ მიიჩნია კასატორმა.

საქართველოს უზანაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 27 სექტემბრის განჩინებით გ. მ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

მონინალმდევე მხარემ – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელმა საკასაციო სასამართლოში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება.

მონინალმდევე მხარემ აღნიშნა, რომ გ. მ-ს 2007 წლის 7 ნოემბრიდან პენსია დანიშნული ჰქონდა, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს. 2009 წლის 1 ივლისს სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის კომისიამ გ. მ-ს დაუდგინა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი უვადოდ, მაგრამ კომისიის აქტში ქმედუნარიანობის შეზღუდვის ხარისხად მიეთითა როგორც მნიშვნელოვნად, ასევე ზომიერად გამოხატული, შესაძლებლობის შეზღუდვის მიზეზად კი – როგორც საერთო დაავადება, ასევე ბავშვობიდან

შესაძლებლობის შეზღუდვა. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე საქენსიო უზრუნველყოფა ხორციელდებოდა 2010 წლის 1 ნოემბრამდე.

მონინალმდევე მხარის განმარტებით, დღეის მდგომარეობით მოსარჩელე გ. მ-ს საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილების საფუძველზე აღუდგა პენსია 2012 წლის 25 ივლისიდან, ასევე აუნაზღაურდა პენსიის შეჩერებიდან ერთი წლის უკანდახვევით თანხა – სულ 910 ლარი.

მონინალმდევე მხარემ სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთან დაკავშირებით განმარტა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლი არეგულირებს შეზღუდული შესაძლებლობის გამო სახელმწიფო პენსიის დანიშვნა-გაცემის საკითხებს. აღნიშნული წესის მე-8 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები ითვალისწინებს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე (2006 წლის 1 იანვრამდე) დანიშნული პენსიის გაგრძელებას ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის უვადო სტატუსის მქონე პირებისათვის, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენისას იმ პირებისათვის, რომლებიც 18 წლის ასაკის მიღწევამდე განეკუთვნებოდნენ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვის კატეგორიას და 18 წლის შემდგომ დაუდგინდათ ზომიერად გამოხატული შესაძლებლობის სტატუსი. შესაბამისად, მონინალმდევე მხარის მოსაზრებით, კანონით დადგენილია მითითებული საფუძველით 2006 წლამდე მოპოვებული საქენსიო უზრუნველყოფის უფლების გაგრძელების პირობები და არა პენსიის დანიშვნის შესაძლებლობა. გ. მ-ი 2007 წელს წარმოადგენდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს (და არა ზომიერად შეზღუდული შესაძლებლობის პირს), რის საფუძველზეც მას დაენიშნა პენსია. კანონი არ ზღუდავდა პენსიის დანიშვნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისათვის. შეზღუდული შესაძლებლობის ხარისხი პირს განესაზღვრება 18 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ, 18 წლის მიღწევის შემდეგ, მკვეთრი ან მნიშვნელოვანი შესაძლებლობის შეზღუდვის ხარისხის დადგენის შემთხვევაში, გ. მ-ს გაუგრძელდებოდა პენსიის მიღების უფლება, ხოლო ვინაიდან მას დაუდგინდა ზომიერი შეზღუდული შესაძლებლობის ხარისხი, მას შეუწყდა საქენსიო უზრუნველყოფა, ვინაიდან კანონი აღარ ითვალისწინებდა ამ კატეგორიის პირთა საქენსიო უზრუნველყოფას. გამონაკლისის სახით პენსიის გაცემა უგრძელდებოდათ იმ პირებს, რომლებიც 2006 წლის 1 იანვრისათვის უკვე ღებულობდნენ პენსიას, როგორც ზომიერად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. კანონმდებელი უფლების გაგრძელების პირობად აყენებდა 2006 წლისათვის რეალიზებული უფლების საკითხს. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები ვერ იპოვებდნენ პენსიის დანიშვნის უფლებას. კანონის 23-ე მუხლი, როგორც გარდამავალი დებულების ნორმა, განმარტავდა იმ პირების უფლებებს, რომლებიც არ არიან გათვალისწინებულნი მითითებული კანონით და ადგენდა კანონის ამოქმედებამდე მოპოვებული უფლების რეალიზაციის პირობებს.

მონინალმდევე მხარის განმარტებით, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის 23-ე მუხლი განთავსებულია კანონის გარდამავალი დებულებების თავში. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, გარდამავალი დებულებების თავში ერთიანადდება ის ნორმები, რომლებიც ადგენენ ამავე კანონის ძირითადი ნაწილისაგან განსხვავებულ წესებს. მითითებული მუხლის სათაურია: იმ პენსიონერთა უფლებები, რომლებიც არ არიან გათვალისწინებული ამ კანონით“. თავად მუხლის სათაური ცხადყოფს, რომ ნორმა ეხება პენსიონერთა უფლებებს, ხოლო პენსიონერს წარმოადგენს პირი, რომელსაც კანონის შესაბამისად დანიშნული აქვს პენსია. მონინალმდევე მხარის მოსაზრებით, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის 23-ე მუხლის მე-2 წინადადება წარმოადგენს 1-ლი წინადადების ლოგიკურ გაგრძელებას, რომელიც განსხვავებული ოდენობის პენსიის უზრუნველყოფის პირობას უდგენს იმ პირებს, რომელთა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი მომდინარეობს ბავშვობიდან და ოდენობის თვალსაზრისით უთანაბრებს მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის გათვალისწინებულ ოდენობას. ანუ მითითებული ნორმის 1-ლი და მე-2 წინადადებით გათვალისწინებული პირებისათვის ერთნაირია უფლებრივი საკითხი (მოპოვებული პენსიის გაგრძელება) და პენსიის გაგრძელების წინაპირობები, განსხვავებულია მხოლოდ პენსიის ოდენობა.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძველიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებლობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. მ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში არსებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: მოსარჩელე გ. მ-ი, დაბადებული 1991 წლის 11 ივნისს, ბავშვობიდან დაავადებულია ორმხრივი, ნეიროსენსორული სმენარღუნგობით, მეტყველების მოშლით. ქ. ქუთაისში, საოჯახო მედიცინისა და რეგიონალურ სასწავლო ცენტრში 2007 წლის 7 ნოემბერს ჩატარებული შემოწმების შედეგად, სამედიცინო-სოციალური საქსპერტო კომისიის მიერ დაუდგინდა ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი და დაენიშნა პენსია. სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის 2009 წლის 1 ივლისის აქტის ამონაწერის თანახმად, 2009 წლის 1 ივლისს ჩატარებული განმეორებითი შემოწმების შედეგად, გ. მ-ს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი დაუდგინდა უვადოდ, შეზღუდვის ხარისხად დაუდგინდა (მნიშვნელოვნად) ზომიერად გამოხატული, ხოლო შესაძლებლობის შეზღუდვის მიზეზად მიეთითა საერთო დაავადება და ბავშვობიდან შესაძლებლობის შეზღუდვა. მოსარჩელის საქენსიო უზრუნველყოფა ხორციელდებოდა 2010 წლის 1 ნოემბრამდე. სოციალური მომსახურების სააგენტოს ქუთაისის სოციალური მომსახურების ცენტრის 2011 წლის 31 მარტის №... წერილით გ. მ-ის დედას ეცნობა, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2010

ნლის 17 აგვისტოს №... ნერილის საფუძველზე მას შეუჩერდა პენსიის ჩარიცხვა იმ საფუძველით, რომ 2009 წლის 1 ივლისის სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის აქტში არასწორად მიეთითა შესაძლებლობის შეზღუდვის ხარისხად როგორც მნიშვნელოვნად, ასევე ზომიერად გამოხატული, ხოლო მიზეზად – საერთო დაავადება და ბავშვობიდან შესაძლებლობის შეზღუდვა. აღნიშნული ხარვეზი გასწორდა 2011 წლის 11 ივლისის №... აქტით და გ. მ-ის შესაძლებლობის შეზღუდვის ხარისხად დაუდგინდა ზომიერად გამოხატული, მიზეზად ბავშვობიდან შესაძლებლობის შეზღუდვა და ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობა აღარ ითვალისწინებდა ზომიერად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის მქონე პირებისათვის პენსიის დანიშვნას, ხოლო 2006 წლის 1 იანვრამდე არ დანიშვნია პენსია, მას შეუჩერდა საპენსიო უზრუნველყოფა.

საკასაციო სასამართლოს პირველ სხდომაზე როგორც კასატორის დედამ, ასევე მოწინააღმდეგე მხარემ დაადასტურეს, რომ გ. მ-ს 2012 წლის აგვისტოში აღუდგა საპენსიო უზრუნველყოფა, ასევე აუნაზღაურდა საპენსიო უზრუნველყოფის შეჩერებამდე – 2010 წლის 1 ნოემბრამდე უკანდახევით მიუღებელი თანხა ნაწილობრივ. კასატორის დედამ აღნიშნა, რომ საპენსიო უზრუნველყოფის აღდგენის პირობებში, მათი მოთხოვნა პენსიის შეჩერებიდან – 2010 წლის 1 ნოემბრიდან იმ პერიოდამდე თანხის ანაზღაურება, რომელიც არ არის დღეის მდგომარეობით დაკმაყოფილებული. შესაბამისად, აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად, უნდა შესთავაზოს აპელანტს მოთხოვნის დაზუსტება, დაადგინოს მოთხოვნის ფარგლები, რა პერიოდის თანხის ანაზღაურებას ითხოვს იგი, რამდენადაც საკასაციო სასამართლოს სხდომაზე გ. მ-ის დედამ აღნიშნა, რომ გ. მ-ს ჩაერიცხა 700 ლარი, ხოლო როგორც მოწინააღმდეგე მხარე უთითებს ნერილობით ახსნა-განმარტებაში, გ. მ-ს აუნაზღაურდა 1 წლის უკანდახევით თანხა 810 ლარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სარჩელის მიზანს წარმოადგენს 2010 წლის 1 ნოემბრიდან საპენსიო უზრუნველყოფის უფლების დადგენა და მიუღებელი თანხის ანაზღაურება.

საქმის მასალების თანახმად, გ. მ-ს 2007 წლის ნოემბრიდან დანიშნული ჰქონდა პენსია, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს. „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, „შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვის“ კატეგორია უდგინდება 18 წლის ასაკის მიღწევამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს. 2009 წლის ივლისიდან, როდესაც მან გაიარა განმეორებითი შემოწმება, 2010 წლის ნოემბრამდე, საპენსიო უზრუნველყოფის შეჩერებამდე გაუგრძელდა პენსია, რასაც ითვალისწინებდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-8 მუხლი (სადავო პერიოდისათვის მოქმედი რედაქცია). 2010 წლის 1 ნოემბრიდან გ. მ-ს შეუჩერდა საპენსიო უზრუნველყოფა სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის დასკვნაში დაშვებული ხარვეზის აღმოჩენის გამო, კერძოდ, ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიჩნია, რომ გ. მ-ს არასწორად გაუგრძელდა პენსია, რამდენადაც გ. მ-ს შესაძლებლობის შეზღუდვის ხარისხად დაუდგინდა ზომიერად გამოხატული, ხოლო „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებისათვის პენსიის დანიშვნას არ ითვალისწინებდა. ამავე კანონის 23-ე მუხლი და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-8 მუხლი ეხებოდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე (2006 წლის 1 იანვრამდე) მოპოვებული უფლებების შემდგომი რეალიზაციის პირობებს, კერძოდ, მითითებული ნორმა ეხებოდა იმ პირებს, რომლებსაც შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი დადგენილი ჰქონდათ 2006 წლის 1 იანვრამდე, გ. მ-ს კი 2007 წლის 7 ნოემბერს დაუდგინდა კატეგორია – შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი და დაენიშნა პენსია. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ პენსიის შეჩერება უკანონოდ მიიჩნია მოსარჩელე მხარემ, შესაბამისად, აღძრული სარჩელის ფარგლებში სასამართლომ უნდა იმსჯელოს კანონიერად შეუჩერდა თუ არა გ. მ-ს 2010 წლის 1 ნოემბრიდან საპენსიო უზრუნველყოფა და უნდა გავრცელებულიყო თუ არა მის მიმართ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის 23-ე მუხლი (სადავო პერიოდისათვის მოქმედი რედაქცია).

საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა სრულად გაიზიარეს ადმინისტრაციული ორგანოს განმარტება და მიიჩნიეს, რომ გ. მ-ისათვის პენსიის აღდგენის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა, რასაც ვერ დაეთანხმება საკასაციო სასამართლო, მიაჩნია, რომ აღნიშნული დასკვნა ემყარება ნორმის არასწორ განმარტებას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართლის ნორმის განმარტება არ უნდა მოხდეს მექანიკურად, მხოლოდ ნორმის შინაარსის სიტყვა სიტყვით გაგებით, ნორმის განმარტება უნდა განხორციელდეს სისტემურად, მოქმედი სხვა სამართლებრივ ნორმებთან ურთიერთშეთანხმებით, კანონმდებლის მიზნისა და სამართლებრივი ნორმით რეგულირებული ურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის თანახმად (2012 წლის 12 ივნისამდე მოქმედი რედაქცია), ამ კანონის ამოქმედებამდე ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პენსიონერებს უგრძელდებოდათ დანიშნული პენსიის მიღების უფლება კომპეტენტურ დაწესებულებაში შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენილ ვადაში გადამონმებამდე, ხოლო ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებსაც 18 წლის ასაკის შემდეგ დადგენილი აქვთ ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი, ენიშნებათ მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირისათვის დადგენილი ოდენობის პენსია.

სხვა საფუძვლით პენსიის მიმღებ პირებს უგრძელდებათ დანიშნული პენსიის მიღების უფლება პენსიის გაცემის შეწყვეტის საფუძვლების წარმოშობამდე, რომლებიც გამომდინარეობს ამ კანონის ამოქმედებამდე მოქმედი საპენსიო კანონმდებლობიდან. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/6 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ“ მე-8 პუნქტის მე-5 ქვეპუნქტით დადგენილია, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლიდან გამომდინარე, ზომიერად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს უნარჩუნდებათ შეზღუდული შესაძლებლობის გამო დანიშნული პენსიის მიღება მინიმალური პენსიის ოდენობით სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროში მორიგ გადამოწმებამდე, რის შემდეგაც იგივე სტატუსის დადგენის შემთხვევაში უწყდებათ პენსია, ხოლო ამავ პუნქტის მე-7 ქვეპუნქტის თანახმად ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ვისაც 18 წლის შემდგომ დადგენილი აქვთ ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი, ავტომატურად უგრძელდებათ პენსიის მიღება მინიმალური პენსიის ოდენობით. ასეთივე უფლებით სარგებლობენ პირები, თუ შესაძლებლობის შეზღუდვა გამომდინარეობს ბავშვობიდან და 18 წლის ასაკის მიღწევის შემდგომ დაუდგინდათ ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს როგორც სასამართლოების, ასევე მონინალმდევე მხარის მიერ გ. მ-ის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად აპელირებას მხოლოდ იმ გარემოებაზე, რომ მას შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი დაუდგინდა და პენსია დაენიშნა მხოლოდ 2007 წლის ნოემბერში და არა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე – 2006 წლის 1 იანვრამდე, რის გამოც მასზე არ უნდა გავრცელდეს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ კანონის 10.3 მუხლის თანახმად, შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის საფუძველს წარმოადგენს ქმედუნარიანობის ზომიერად, მნიშვნელოვნად და მკვეთრად გამოხატული შეზღუდვა. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენა, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, არის პენსიის დანიშვნის ერთ-ერთი საფუძველი. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, კასატორი წარმოადგენს ბავშვობიდან ინვალიდს, რომელსაც 2007 წლის 7 ნოემბერს დაუდგინდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის სტატუსი და დაენიშნა პენსია, ხოლო სრულწლოვანობის მიღწევის შემდეგ დაუდგინდა ზომიერად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვა. ანუ გ. მ-ს შესაძლებლობის შეზღუდვა დაუდგინდა ბავშვობიდან.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ 2005 წლის 23 დეკემბრის საქართველოს კანონის 23-ე მუხლში 2007 წლის 14 დეკემბრის კანონით შეტანილი ცვლილებების შედეგად განისაზღვრა, რომ ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს 18 წლის შემდეგ ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის შემთხვევაში ენიჭებათ მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირისათვის დადგენილი ოდენობის პენსია.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სასამართლოებს არ გამოუკვლევიათ და არ დაუსაბუთებიათ წინამდებარე შემთხვევაში საქმე გვაქვს უკვე მოპოვებული უფლების შეჩერების ფაქტთან თუ არწარმოშობილ (არარსებულ) უფლებასთან, რაც მნიშვნელოვნად ცვლის სავარაუდო სამართლებრივ შედეგს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლი (სადავო პერიოდისათვის მოქმედი რედაქცია) შედგება ორი ნაწილისაგან, 1-ლი ნაწილი ეხება ამ კანონის ამოქმედებამდე ზომიერად გამოხატული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირებს, რომლებსაც უგრძელდებათ დანიშნული პენსიის მიღების უფლება კომპეტენტურ დაწესებულებაში შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენილ ვადაში გადამოწმებამდე, ხოლო მე-2 ნაწილი ეხება ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებსაც 18 წლის ასაკის შემდეგ დადგენილი აქვთ ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი და ენიშნებათ მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირისათვის დადგენილი ოდენობის პენსია. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მონინალმდევე მხარის განმარტებას, რომ მითითებული ნორმა ადგენს მხოლოდ 2006 წლამდე მოპოვებული საპენსიო უზრუნველყოფის უფლების გაგრძელების პირობებს და არ იძლევა პენსიის დანიშვნის შესაძლებლობას, განსხვავება კი 23-ე მუხლის 1-ლ და მე-2 ნაწილებს შორის არის ის, რომ პირველი ნაწილი ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ხოლო მეორე ნაწილი – ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და ადგენს პენსიის განსხვავებულ ოდენობას მითითებული პირებისათვის.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 23-ე მუხლის მე-2 ნაწილი პირდაპირ უთითებს მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებისათვის დადგენილი ოდენობის პენსიის დანიშვნაზე იმ პირებისათვის, რომლებიც ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის იყვნენ და 18 წლის ასაკის შემდეგ დაუდგინდათ ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი. აღნიშნული, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, შესაძლოა აიხსნას იმ გარემოებით, რომ ვინაიდან „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონმა არ გაითვალისწინა ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებისათვის პენსიის გაცემა, გარკვეული შეღავათი გაითვალისწინა იმ პირებისათვის, რომლებსაც კანონის ამოქმედებამდე მინიჭებული ჰქონდათ ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი და პენსიის მიღების უფლება გაუგრძელა შემდგომ გადამოწმებამდე, ხოლო ის პირები, რომლებიც ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის იყვნენ (რაც სახეზეა მოცემულ შემთხვევაში და გ. მ-ს ბავშვობიდან აქვს დადგენილი შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი) და სრულ-

ნლოვანობის მიღწევის შემდეგაც დაუდგინდათ ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი, კანონმდებელმა გაუთანაბრა მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კატეგორიას და გაითვალისწინა მათთვის საპენსიო უზრუნველყოფა იმ ოდენობით, რაც დადგენილი იყო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებისათვის. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც საქმე ეხება ბავშვობიდან შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე კატეგორიის პირებს, რომლებსაც შესაძლებლობის შეზღუდვა დაუდგინდათ ბავშვობიდან, უნდა შეფასდეს რამდენად არსებითია და განმსაზღვრელია ის გარემოება, თუ დროში როდის დაუდგინდა პირს სპეციალური შემონემებით ასეთი სტატუსი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2012 წლის 12 ივნისს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე აღნიშნული კანონის 23-ე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პენსიონერს უგრძელდება ამ კანონის ამოქმედებამდე დანიშნული პენსიის მიღების უფლება კომპეტენტურ დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენილ ვადაში გადამონმებამდე. ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირს, რომელსაც 18 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ დადგენილი აქვს ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი, 2012 წლის 1 სექტემბრამდე დაენიშნება (მიეცემა) მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ოდენობის პენსია. ამდენად, ამჟამად მოქმედმა კანონმდებლობამ ცალსახად მიუთითა ბავშვობიდან შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე კატეგორიის პირებისათვის პენსიის დანიშვნაზე, რაც განხორციელდა მოცემულ შემთხვევაში და გ. მ-ს 2012 წლის აგვისტოდან დაენიშნა პენსია.

გარდა აღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ გ. მ-ი 2009 წლის 1 ივლისიდან 2010 წლის 1 ნოემბრამდე ლეზულობდა პენსიას, რამდენადაც აქტი იყო ხარვეზიანი და არ არსებობდა პენსიის დანიშვნის საფუძველი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ასეთ ვითარებაში სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა და დაესაბუთებინა თუნდაც სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის აქტში არასწორი ჩანაწერის არსებობის პირობებში, რომელსაც დაეყრდნო ადმინისტრაციული ორგანო და პენსია გაუგრძელა გ. მ-შვის, რამდენად არსებობდა გ. მ-ისათვის მინიჭებული საპენსიო უფლების გაუქმების წინაპირობა, რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია თუნდაც კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას დავის ფარგლების დაზუსტებისა და სადავო ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების სათანადოდ შეფასების შემდეგ უნდა იმსჯელოს სასარჩელო მოთხოვნის საფუძველიანობაზე. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გ. მ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. გ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 16 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 2. სარჩო

### სარჩოს მოთხოვნის ხანდაზმულობა

#### განჩინება

№ბს-1069-1040(კ-10)

27 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
პ. სილაგაძე

## დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 9 მარტს მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების – გეოლოგიის დეპარტამენტის მიმართ.

მოსარჩელის – ვ. შ-ძის განმარტებით, იგი სს „...“ მაღაროში მუშაობდა მეტიგედ. 1970 წლის 21 ივნისს ჭიათურის გეოლოგიური პარტიის კუთვნილი ავტომობილით მგზავრობის დროს, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზარალდა და 80 პროცენტით დაკარგა პროფესიული შრომისუნარიანობა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ჭიათურის ქალაქის სახალხო სასამართლოს 1970 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებით მისი სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხეს – ჭიათურის გეოლოგიურ საძიებო პარტიას მოსარჩელის სასარგებლოდ, ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს 80%-ის, თვეში 142 მანეთის გადახდა დაეკისრა. სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებულ თანხას ვ. შ-ძე 1997 წლის მაისამდე იღებდა, თუმცა შემდგომ გაურკვეველ მიზეზთა გამო მას შეუწყდა ყოველთვიური სარგოს ანაზღაურება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ დაგროვილი დავალიანების სახით მოპასუხისათვის 17 490 ლარის და ყოველთვიურად სარგოს სახით 176 ლარის დაკისრება მოითხოვა.

2006 წლის 3 თებერვალს ვ. შ-ძემ დაზუსტებული სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოპასუხისათვის ძირითადი დავალიანების 10 396,12 ლარისა და ყოველთვიური სარგოს 173,98 ლარის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 29 მარტის განჩინებით მოცემული საქმე განსჯადობის წესის დაცვით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 23 თებერვლის საოქმო განჩინებით მოსარჩელის გარდაცვალებისა და უფლებამონაცვლების დაუშვებლობის გამო, სარგოს გადაანგარიშებისა და დაკისრების ნაწილში შეწყდა მოცემული საქმის წარმოება; დავალიანების დაკისრებისა და ფულადი ვალდებულების შესრულების ნაწილში კი საქმის წარმოება შეჩერდა უფლებამონაცვლის დადგენამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 აპრილის საოქმო განჩინებით ვ. შ-ძის სარჩელისა გამო, მოპასუხის – საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება გეოლოგიის დეპარტამენტის მიმართ, დავალიანების დაკისრებისა და ფულადი ვალდებულების შესრულების შესახებ განახლდა საქმის წარმოება; ვ. შ-ძის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა მისი შვილი – ვ. შ-ძე.

მოსარჩელემ დააერთხელ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და საბოლოოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 25 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე მოპასუხისათვის ფულადი ვალდებულების შესრულების მიზნით 8 339,10 ლარის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით ვ. შ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა; საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ვ. შ-ძის სასარგებლოდ 8 339,10 ლარის გადახდა დაეკისრა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ივნისის განჩინებით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და ვაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 12 იანვრის განჩინებით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 6 მარტის განჩინებით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით ვ. შ-ძის უფლებამონაცვლის – ვ. შ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. შ-ძის უფლებამონაცვლემ ვ. შ-ძემ, რომელმაც გაასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებით ვ. შ-ძის უფლებამონაცვლის – ვ. შ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ვ. შ-ძის სასარგებლოდ 8 339,10 ლარის გადახდა დაეკისრა.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ ვ. შ-ძე სს „...“ მალაროზე მუშაობდა მეზიგედ. 1970 წლის 21 ივნისს ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზარალდა და დაკარგა პროფესიული შრომისუნარიანობა 80%-ით. ჭიათურის ქალაქის სახალხო სასამართლოს 1970 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებით ჭიათურის გეოლოგიურ საძიებო პარტიას 1970 წლის 22 დეკემბრიდან 1971 წლის 21 ოქტომბრამდე ვ. შ-ძის სასარგებლოდ, ყოველთვიური სარგოს 80%-ის, სულ თვეში 142 მანეთის გადახდა დაეკისრა. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ჭიათურის ფილიალის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, ვ. შ-ძეს 1984 წლიდან ჭიათურის სსე კომისიის მიერ დაუდგინდა ინვალიდობის მეორე ჯგუფი, პროფესიული შრომის უნარის 80%-ის დაკარგვით (საყოფაცხოვრებო ტრავმით), უვადოდ. ამავე ცნობის თანახმად, ვ. შ-ძე სამედიცინო კომისიას გადიოდა სხვადასხვა წლებში. მისი თანამდებობრივი სარგო 2002 წლის მარტიდან მის გარდაცვალებამდე შეადგენდა 10.423 ლარს და 88 თეთრს. ვ. შ-ძე გარდაიცვალა 2006 წლის 19 სექტემბერს.

სააპელაციო სასამართლომ განმარტებით, საქალაქო სასამართლომ მოცემულ საქმეზე არამართებულად გამოიყენა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დადგენილი ნორმები, ვინაიდან, აღნიშნული ნორმატიული აქტი გამოიყენებოდა იმ პირების მიმართ, რომელთაც მიიღეს საწარმოო ტრავმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მოცემულ შემთხვევაში კი დადგენილი იყო, რომ ვ. შ-ძე არ იყო ჭიათურის გეოლოგიური საძიებო პარტიის თანამშრომელი. იგი ტრავმის მიღებისას არ ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას, იგი მხოლოდ გადაადგილდებოდა საწარმოს კუთვნილი ავტომანქანით, ხოლო მის მიერ მიღებული ტრავმა დაკვალიფიცირდა როგორც საყოფაცხოვრებო ტრავმა და არა როგორც საწარმოო ტრავმა, რაც არსებითად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან და შესაბამისად, რეგულირდებოდა განსხვავებული სამართლებრივი ნორმებით. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმის განხილვისას სასამართლოს უნდა გამოეყენებინა არა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დადგენილი წესები, არამედ საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის ნორმები დელიქტურ ვალდებულებათა შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლზე და განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხის ვალდებულება ვ. შ-ძის მიმართ წარმოიშვა კანონიერ ძალაში შესული, ჭიათურის ქალაქის სახალხო სასამართლოს 1970 წლის გადაწყვეტილების საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან, ჭიათურის ქალაქის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებაში დაფიქსირებული იყო ვალდებულების შესრულების კონკრეტული დრო (1970 წლის 22 დეკემბრიდან 1971 წლის 21 ოქტომბრამდე პერიოდი), 1971 წლის 21 ოქტომბრის შემდგომ პერიოდში ჭიათურის გეოლოგიურ პარტიას შეუწყდა მოსარჩელისათვის სარჩოს ანაზღაურების ვალდებულება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ, იმ დროს მოქმედი კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, პერიოდულად ხდებოდა წერილობითი მიმართების გაგზავნა სოცურუნველყოფასთან არსებულ შრომის საექსპერტო კომისიის მიმართ, რათა ამ უკანასკნელს გადაეგზავნა დასკვნა, თუ რამდენი პროცენტით ჰქონდა დაკარგული ვ. შ-ძის საერთო და პროფესიული შრომის უნარი. ამასთან, 1971 წლიდან 1989 წლამდე პერიოდით დათარიღებული მოპასუხის მიერ სარჩოს გადარიცხვის დამადასტურებელი ქვითრების, ე.წ. „ტალონების“ საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვალდებული პირის მხრიდან, ა.წ. გარდაცვლილ ვ. შ-ძეზე ტრავმის გამო სარჩოს 1971 წლის შემდგომ პერიოდში გადახდის ფაქტი უტყუარად დასტურდებოდა.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია, აპელანტის მოსაზრება მოპასუხის არასათანადოობის შესახებ. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ „საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 12 ივნისის №50 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანისა და სამინისტროს ზოგიერთი სახელმწიფო საქვეყნებო დაწესებულების გარდაქმნის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 23 ნოემბრის №213 დადგენილების შესაბამისად, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საქვეყნებო დაწესებულებები გეოლოგიის დეპარტამენტი და ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტი გარდაიქმნენ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებად. ამდენად, გეოლოგიის დეპარტამენტის უფლებამონაცვლეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო წარმოადგენდა.



სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ ქიათურის ქალაქის სახალხო სასამართლოს 1970 წლის 10 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ მოსარჩელემ დაკარგა პროფესიული შრომისუნარიანობის 80 პროცენტი, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ქიათურის ფილიალის მიერ გაცემული ცნობის თანახმად კი, ვ. შ-ძეს 1984 წლიდან ქიათურის სსე კომისიის მიერ დაუდგინდა ინვალიდობის მეორე ჯგუფი პროფესიული შრომის უნარის 80%-ს დაკარგვით (საყოფაცხოვრებო ტრავმით) უვადოდ, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იყო საფუძვლიანი და არსებობდა მისი დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის დაბრუნება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, ვ. შ-ძის სარჩელი იყო ხანდაზმული, რადგან სასამართლომ ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადის ათვლა უნდა დაეწყო იმ პერიოდიდან, როდესაც მოსარჩელეს წარმოეშვა სადავო თანხის მოთხოვნის უფლება, სასამართლომ კი სრულად არ გამოკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არასწორი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს, ამასთან, სასამართლომ არასწორად გამოიანგარიშა მოსარჩელისათვის ასანაზღაურებელი 2002-2006 წლების თანამდებობრივი სარგო.

კასატორმა აღნიშნა, რომ გასაჩივრებული განჩინება იყო სამართლებრივად დაუსაბუთებელი, რაც მისი გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 29 ივლისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად და მისი განხილვა დაინიშნა 2010 წლის 18 ნოემბერს 12:00 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მოცემული საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ვ. შ-ძეს სს „...“ მუშაობდა მეზიგედ. 1970 წლის 21 ივნისს ქიათურის გეოლოგიური პარტიის კუთვნილი ავტომობილით მგზავრობისას, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზარალდა და 80 პროცენტით დაკარგა პროფესიული შრომისუნარიანობა. ქიათურის ქალაქის სახალხო სასამართლოს 1970 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებით ვ. შ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხეს – ქიათურის გეოლოგიურ სამიებო პარტიას 1970 წლის 22 დეკემბრიდან 1971 წლის 21 ოქტომბრამდე მოსარჩელის სასარგებლოდ, ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს 80%-ის, თვეში 142 მანეთის გადახდა დაეკისრა. მოსარჩელე სამედიცინო კომისიას გადიოდა სხვადასხვა წლებში. 1984 წლიდან მას ქიათურის სსე კომისიის მიერ დაუდგინდა ინვალიდობის მეორე ჯგუფი, პროფესიული შრომის უნარის 80%-ის დაკარგვით (საყოფაცხოვრებო ტრავმით), უვადოდ. მოსარჩელემ სასამართლოს 2005 წლის 9 მარტს მიმართა. ვ. შ-ძე გარდაიცვალა 2006 წლის 19 სექტემბერს. მის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა მისი შვილი – ვ. შ-ძე.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგინდად მიიჩნევს, რომ ქიათურის ქალაქის სახალხო სასამართლოს 1970 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებით განისაზღვრა მოპასუხის მიერ ვალდებულების შესრულების (ყოველთვიური სარჩოს ანაზღაურების) კონკრეტული პერიოდი (1970 წლის 22 დეკემბრიდან 1971 წლის 21 ოქტომბრამდე), თუმცა მიუხედავად ამ გარემოებისა, მოსარჩელის უფლებამონაცვლის ვ. შ-ძის განმარტებით, მოპასუხის მიერ სარჩოს თანხა ვ. შ-ძეს 1997 წლის მაისამდე უნაზღაურდებოდა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს ყოველთვიური სარჩოს ანაზღაურება წარმოადგენს, რაც თავის მხრივ პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას მიეკუთვნება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასარჩელო ხანდაზმულობაში იგულისხმება დრო, რომლის განმავლობაშიც პირს, ვისი უფლებაც დარღვეულია, შეუძლია, მოითხოვოს თავისი უფლებების იძულებით განხორციელება ან დაცვა. ხანდაზმულობა არის დარღვეული უფლების იძულებით დაცვის ვადა და იგი უშუალოდ უკავშირდება სარჩელის უფლებას. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლა გავლენას ახდენს მატერიალური სარჩელის ანუ სარჩელის დაკმაყოფილების უფლებაზე.



საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყო იმ დროს, როდესაც მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა მოპასუხის მიერ სარჩოს ანაზღაურების შეწყვეტის შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ან/და შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებებით, როგორცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა.

საკასაციო სასამართლო საქმეში არსებული გეოლოგიის დეპარტამენტის სახელზე წარდგენილი განცხადების თანახმად დადგენილად მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ ადმინისტრაციულ ორგანოს პირველად წერილობითი ფორმით 2004 წლის 11 მაისს მიმართა, ხოლო სასამართლოში სარჩელი 2005 წლის 9 მარტს შეიტანა. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სხვა რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაასტურებდა 2004 წლის მაისამდე მოსარჩელის მიერ სარჩოს ანაზღაურების მოთხოვნით ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის ფაქტს საქმეში არ მოიპოვება. ამასთან, საგულისხმოა ის გარემოება, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება მოპასუხის მიერ ვ. შ-ძისათვის 1989 წლიდან 1997 წლამდე პერიოდის სარჩოს ანაზღაურების ფაქტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია სარჩელის ხანდაზმულობის საკითხზე და სრულყოფილად არ გამოუკვლევია მტკიცებულებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლო საქმის ხელახლა განხილვისას პირველ რიგში უნდა იმსჯელოს იმ საკითხზე, თუ როდიდან უნდა დაიწყო სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლა, ვინაიდან, საქმეში წარმოდგენილი მასალებით არ დასტურდება მოპასუხის მიერ ვ. შ-ძისათვის სარჩოს 1997 წლამდე ანაზღაურების ფაქტი. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს 2004 წლის მაისამდე მიმართა თუ არა მოსარჩელემ ადმინისტრაციულ ორგანოს სარჩოს ანაზღაურების მოთხოვნით. ამდენად, სასამართლომ არსებითად უნდა იმსჯელოს სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობაზე, რა დროსაც უნდა ისარგებლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილებით, შეაგროვოს და გამოითხოვოს მტკიცებულებები.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად კი, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონახვა შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი და სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სრულყოფილად უნდა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და საქმეზე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ ბ ი ნ ა :

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაზუსტებული საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სარჩოს თანხის სხვაობის ანაზღაურება

### განჩინება

№ბს-540-535(კ-11)

7 ივნისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
ლ. მურუსიძე

სარჩელის საგანი: ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 23 ივნისს მ. გ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს 1998 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მისი სარჩელი დაკმაყოფილდა და საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტს მის სასარგებლოდ (სამოქალაქო ავიაციის სისტემაში მუშაობისას მიღებული პროფდაავადების გამო) ჯანმრთელობისათვის პროფესიული დაავადებით მიყენებული ზიანის სახით – ყოველთვიურად 339.60 ლარის ანაზღაურება დაეკისრა. აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე 2001 წლის 30 იანვარს გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

მოსარჩელის განმარტებით, სასამართლოს 1998 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში მითითებული სარჩოს თანხის ოდენობა (339.60 ლარი), შემდგომ წლებში საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების საფუძველზე გადაანგარიშდა. მოსარჩელემ მიუთითა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2009 წლის 19 მაისის წერილზე, რომლითაც აღიარებულ იქნა, რომ მოსარჩელისათვის განკუთვნილი სარჩოს თანხა 2006 წლის პირველი ოქტომბრიდან 2007 წლის პირველ მარტამდე 503.40 ლარს შეადგენდა. ამდენად, მოსარჩელის მოსაზრებით, წარმოიშვა დავალიანების სხვაობა, კერძოდ, ნაცვლად 339.60 ლარისა მოპასუხეს მოსარჩელისათვის ასანაზღაურებელი ჰქონდა სარჩოს თანხა 503.40 ლარის ოდენობით, რაც წარმოშობდა სხვაობას 163.80 ლარს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს მიერ 2001 წლის 30 იანვარს გაცემულ 1998 წლის 22 ოქტომბრის №2/1922 სააღსრულებო ფურცელში მოვალედ საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტის ნაცვლად საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს უფლებამონაცვლის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მითითება და მოპასუხისათვის 2006 წლის 1 ოქტომბრიდან ყოველთვიურად მისი ჯანმრთელობისათვის პროფესიული დაავადებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით დანიშნული სარჩოს (განხორციელებული გადაანგარიშების გათვალისწინებით) თანხის დაკისრება მოითხოვა, რაც გაზრდილ სარჩოს – 503.40 ლარსა და თავდაპირველად სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებულ სარჩოს 339.60 ლარს შორის არსებულ სხვაობას – 163.80 ლარს შეადგენდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 ივნისის სა-ოქმო განჩინებით მოპასუხე – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს უფლებამონაცვლედ დადგინდა იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. ამავე საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით მ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის №93 ბრძანებულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულება. აღნიშნული ბრძანებულების თანახმად, საქართველოს მთავრობას დაევალა 2007 წლის 1 მარტამდე უზრუნველყო შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების დამტკიცების წესის შესახებ ნორმატიული აქტის მიღება.

2007 წლის 24 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული იქნა „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ №53 დადგენილება, რომლის მიხედვითაც, 2007 წლის 1 მარტის შემდეგ არ შეიძლება დაწესებულებიდან ახალი გასაცემლები „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების იმ დებულებების საფუძველზე, რომლებიც არეგულირებდნენ უფლებამონაცვლის არარსებობის პირობებში გასაცემების დანიშვნის საფუძველზე, მიუხედავად იმისა, მიმდინარეობდა თუ არა ამ საკითხზე სამართალწარმოება სასამართლოში. ამავე დადგენილების მეორე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების მოთხოვნათა დაცვით დანიშნული „ზიანის ანაზღაურების სარჩო“ ექვემდებარებოდა ანაზღაურებას დამსაქმებლის ან მისი უფლებამონაცვლის მიერ, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დამსაქმებელს უფლება ჰქონდა „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების მოთხოვნათა დაცვით დანიშნული ყოველთვიური „ზიანის ანაზღაურების სარჩოს“ ნაცვლად გაცემა ერთჯერადი კომპენსაცია ზიანის ანაზღაურების სარჩოს მიმღებთან შეთანხმებით, მე-3 ნაწილის მიხედვით კი, დამსაქმებლის (მათ შორის სამინისტროს, საქვეუწყებო დაწესებულების, სტრუქტურული ერთეულის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის) გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში დანიშნული „ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩოს“ გაცემის ვალდებულება წყდება.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად განისაზღვრა, რომ დამსაქმებლის (მათ შორის სამინისტროს, საქვეუწყებო დაწესებულების, სტრუქტურული ერთეულის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის) გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, წყდება დანიშნული „ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩოს“ გაცემის ვალდებულება, ხოლო ხსენებული დადგენილების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად კი, სსიპ – საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს დაევალა ძველი წესით დანიშნულ სარჩოზე არსებული დავალიანებების დაფარვა 2007 წლის 1 მარტამდე.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ საქმეში არსებული სააღსრულებო ფურცლისა და 1998 წლის 22 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე მოსარჩელისათვის ასანაზღაურებელი სარჩოს ოდენობა 339,60 ლარს შეადგენდა, შემდგომში კი 2006 წლის 1 ოქტომბრიდან 2007 წლის 1 მარტამდე სარჩოს ოდენობა მის მიმართ 503,40 ლარით განისაზღვრა, სხვაობა იყო 163,80 ლარი და მოსარჩელეც სწორედ ამ სხვაობის ანაზღაურებას ითხოვდა.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ მოსარჩელე მუშაობდა საქართველოს ტრანსპორტის დეპარტამენტში, რომლის ლიკვიდაციაც 2002 წელს განხორციელდა და როგორც სტრუქტურული ერთეული საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციის სამინისტროში შევიდა (დღეის მდგომარეობით აღნიშნული დეპარტამენტის უფლებამონაცვლეს წარმოადგენს მოპასუხე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო).

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, სადავო ურთიერთობის დროს მოქმედი საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულება (რომლის საფუძველზეც, განხორციელდა მოსარჩელისათვის სარჩოს თანხის გადაანგარიშება) არ ითვალისწინებდა სარჩოს გადაანგარიშების წესს ორგანიზაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში. აღნიშნული წესი ასევე არ იყო გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილებით.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილების შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნდა საკანონმდებლო ნორმა, რაც მას მისცემდა შესაძლებლობას მოსარჩელისათვის 2006 წლის 1 ოქტომბრიდან ყოველთვიურად აენაზღაურებინა სარჩოს თანხის სხვაობა 163.80 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. გ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 13 იანვრის საოქმო განჩინებით აპელანტის – მ. გ-ის მიერ სააღსრულებო ფურცელში ცვლილების შეტანის ნაწილში სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმის გამო, აღნიშნულ ნაწილში შეწყდა საქმის წარმოება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 13 იანვრის განჩინებით მ. გ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ საქმეზე დავის საგანს გაზრდილ სარჩოს 503.40 ლარსა და თავდაპირველად დაკისრებულ სარჩოს 339.60 ლარს შორის არსებული სხვაობის 163.80 ლარის ანაზღაურება წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტმა ვერ წარმოადგინა მტკიცებულება იმის შესახებ, თუ როდის იღებდა და საერთოდ იღებდა თუ არა იგი გაზრდილ სარჩოს 503.40 ლარის ოდენობით. გარდა ამისა, აპელანტმა ვერ მიუთითა, თუ რომელი კანონისა და კანონქვემდებარე აქტის საფუძველზე და ადმინისტრაციული ორგანოს რომელი გადაწყვეტილებით გაეზარდა მას სარჩო უკვე დაკისრებული 339.60 ლარიდან 503.40 ლარამდე. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეში არ იყო წარმოდგენილი მოპასუ-

ხე ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება მ. გ-ისათვის სარჩოს 503.40 ლარამდე გაზრდის თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 13 იანვრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. გ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, კერძოდ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2010 წლის 19 მაისის №... ნერილი, რომლითაც უდავოდ იყო დადგენილი, რომ მ. გ-ის მიმართ ასანაზღაურებელი სარჩოს ოდენობა ყოველთვიურად 503.40 ლარს შეადგენდა. ამასთან, საგულისხმო იყო ის გარემოება, რომ მ. გ-ი ითხოვდა არა სარჩოს თანხის გადაანგარიშებას, არამედ დანიშნული და გარკვეულ პერიოდამდე მიღებული სარჩოს სხვაობის ანაზღაურებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 24 მარტის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებამ იქნა მიღებული მ. გ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 9 ივნისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მ. გ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. გ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ კასატორი – მ. ა. ძე გ-ი არის სამოქალაქო ავიაციის სისტემაში პროფდავადებული პირი. ქ. თბილისის საპროცესო სასამართლოს რაიონის სასამართლოს 1998 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა და საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტს მ. გ-ის სასარგებლოდ, ჯანმრთელობისათვის პროფესიული დაავადებით მიყენებული ზიანის სახით – ყოველთვიურად (მდგომარეობის შეცვლამდე) 339.60 ლარის ანაზღაურება დაეკისრა. აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე 2001 წლის 30 იანვარს გაიცა სააღსრულებო ფურცელი. ამასთან, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების საფუძველზე, მ. გ-ისათვის ასანაზღაურებელი სარჩოს ოდენობა გადაანგარიშდა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2010 წლის 28 აპრილის №... ცნობის თანახმად 503.40 ლარით განისაზღვრა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და შესაბამისად, არ მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ საქმის მასალებით არ დგინდებოდა მ. გ-ისათვის სარჩოს თანხის ოდენობის გაზრდისა და მის მიერ გაზრდილი სარჩოს თანხის – 503.40 ლარის მიღების ფაქტი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2011 წლის 19 მაისის №... ნერილზე, რომლის თანახმადაც, 2006 წლის 1 ოქტომბრიდან 2007 წლის 1 მარტამდე მ. გ-ისათვის ასანაზღაურებელი სარჩო ყოველთვიურად 503.40 ლარს შეადგენდა. საქმის მასალებში ასევე წარმოდგენილია ყოფილი ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის თანამშრომელთა სია, რომელსაც „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების საფუძველზე დანიშნული ჰქონდათ პროფესიული დაავადებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩო. აღნიშნული სიის თანახმად, მ. გ-ისათვის დარიცხული კომპენსაცია სოც. პენსიის დაკავების გარეშე 503.40 ლარით განისაზღვრა, 2006 წლის 1 ოქტომბრიდან 2007 წლის 1 მარტამდე (5 თვე) პერიოდის დავალიანება კი 2517.00 ლარს შეადგენდა. საგულისხმოა ასევე ის გარემოებაც, რომ 2009 წლის 5 ივნისს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ ყოფილი ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის თანამშრომელთა სია (მათ შორის მ. გ-ის მონაცემებიც) 2006 წლის 1 ოქტომბრიდან 2007 წლის 1 მარტამდე ყოველთვიური სარჩოს ანაზღაურების მიზნით გადაეგზავნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო განმარტავს, რომ ყოველთვიური სარჩოს თანხის – 339.60 ლარის ანაზღაურების უფლება მ. გ-მა სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე მოიპოვა, ხოლო გაზრდილი სარჩოს – 503.40 ლარის მიღების უფლება მას ადმინისტრაციულმა ორგანომ მიანიჭა. ამდენად, ის ფაქტი, რომ მ. გ-ს გაზრდილი სარჩოს – 503.40 ლარის მიღების უფლება ჰქონდა სადავო არ არის.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დგინდება მოცემული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოება, კერძოდ ის ფაქტი, თუ როდემდე და რა ოდენობით აქვს მ. გ-ს ანაზღაურებული სარჩოს თანხა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა დაადგინოს ის გა-

რემოება, ხომ არ აუნაზღაურდა მ. გ-ს 2006 წლის 1 ოქტომბრის შემდგომი პერიოდის სარჩოს თანხა და ასეთის არსებობის შემთხვევაში რა ოდენობით. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული გარემოების სათანადოდ გამოკვლევის შემდეგ, სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მსგავსი კატეგორიის დავებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად (10.04.09. განჩინება საქმეზე №1101-1063 (კ-08); 19.05.10 განჩინება საქმეზე №ბზ-373-361(კ-10)).

მოცემულ საქმესთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 26 ივნისის №872 განკარგულებით საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელთა მონაწილეობით შეიქმნა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისია. ხსენებული განკარგულების მე-3 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალია სალიკვიდაციო პროცესში დაეფარა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის პროფდაავადებულ, დასახიჩრებულ და მარჩენალდაკარგულ პირთა მიმართ არსებული დავალიანებებისა და ამ კატეგორიისათვის სასამართლო გადაწყვეტილებებით მიკუთვნებული თანხები და ლიკვიდაციის დასრულების შემდეგ უზრუნველყო ამ პირთათვის ზიანის ანაზღაურება სალიკვიდაციო კომისიის წარდგინების საფუძველზე. საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიამ მუშაობა ფაქტობრივად დაასრულა 2006 წლის 30 მაისს, იმავე დღეს შედგა №16 სხდომის ოქმი, რომელიც თანდართულ მასალებთან ერთად 2006 წლის 21 აგვისტოს გადაეცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის №93 ბრძანებულებით 2007 წლის 1 მარტიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულება. ამასთან, საქართველოს მთავრობას დაევალია აღნიშნული საკითხის მოსაწესრიგებლად ნორმატიული აქტის მიღების უზრუნველყოფა. აღნიშნული ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – „შრომითი მოვალეობების შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილება, რომლის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად განისაზღვრა, რომ დამსაქმებლის (მათ შორის სამინისტროს, საქვეუწყებო დაწესებულების, სტრუქტურული ერთეულის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის) გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, წყდება დანიშნული „ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩოს“ გაცემის ვალდებულება, ხოლო ხსენებული დადგენილების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად კი სსიპ – საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს დაევალია ძველი წესით დანიშნულ სარჩოზე არსებული დავალიანებების დაფარვა 2007 წლის 1 მარტამდე.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად, დამსაქმებლის (მათ შორის სახელმწიფო დაწესებულების) ლიკვიდაციის შემთხვევაში ყოველთვიური სარჩოს გაცემის ვალდებულება წყდება, ლიკვიდირებული დამსაქმებლის შემთხვევაში სარჩოს მიმღებს ეძლეოდა სარჩოს დავალიანების თანხა მხოლოდ 2007 წლის 1 მარტამდე.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 26 ივნისის №872 განკარგულება, რომლითაც შეიქმნა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდა „საქართველოს პრეზიდენტისა და სახელმწიფო მეთაურის ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 17 აგვისტოს №428 განკარგულებით. ამდენად, მართალია, საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიამ მუშაობა დაასრულა 2006 წლის 30 მაისს და იმავე დღეს შედგა საბოლოო სხდომის №16 ოქმი, რომელიც თანდართულ მასალებთან ერთად 2006 წლის 21 აგვისტოს გადაეცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, თუმცა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიამ იურიდიულად ფუნქციონირება შეწყვიტა მხოლოდ „საქართველოს პრეზიდენტისა და სახელმწიფო მეთაურის ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 17 აგვისტოს №428 განკარგულებით. შესაბამისად, მიჩნეული უნდა იქნას, რომ სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაცია დასრულდა 2007 წლის 17 აგვისტოს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან, სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაციის დასრულებამდე (2007 წლის 17 აგვისტო) მის უფლებამონაცვლედ ნორმატიული აქტებით დადგენილი იქნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, ამ უკანასკნელს საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 26 ივნისის №872 განკარგულების მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ეკისრებოდა ვალდებულება წარდგინებით მიემართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის მო-

სარჩელეთა მიმართ ყოველთვიური სარჩოს გაცემის უზრუნველყოფის მიზნით 2007 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდზე. ამასთან, იმ ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, რომ 2007 წლის 17 აგვისტოს დასრულდა სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაცია, 2007 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს აღარ ეკისრება ვალდებულება განახორციელოს ქმედება მოსარჩელეთა მიერ სარჩოს მიღების უზრუნველსაყოფად, ვინაიდან, „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად დამსაქმებლის (მათ შორის სამინისტროს, საქვეუნწყებო დაწესებულების, სტრუქტურული ერთეულის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის) გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში წყდება დანიშნული „ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩოს“ გაცემის ვალდებულება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი თავად დაადგინოს ახალი ფაქტობრივი გარემოებები და შეაფასოს ახალი მტკიცებულებები, ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა გამოითხოვოს მტკიცებულებები და დაადგინოს ის გარემოება, ხომ არ აუნაზღაურდა მ. გ-ს 2006 წლის 1 ოქტომბრის შემდგომი პერიოდის სარჩოს თანხა და ანაზღაურების შემთხვევაში რა ოდენობით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადანყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად კი, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადანყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი და სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მ. გ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლებით და

#### და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 13 იანვრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### სარჩოს თანხის სხვაობის ანაზღაურება

#### განჩინება

№ბს-580-575(კ-11)

7 ივნისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,  
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ქმედების განხორციელების დავალეზა

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 17 ივნისს კ. ღ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს 1998 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებით კ. ღ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა და საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტს კ. ღ-ის სასარგებლოდ (სამოქალაქო ავიაციის სისტემაში მუშაობისას მიღებული პროფდაავადების გამო) ჯანმრთელობისათვის პროფესიული დაავადებით მიყენებული ზიანის სახით – ყოველთვიურად 282.10 ლარის ანაზღაურება დაეკისრა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სამოქალაქო ავიაციის სისტემაში შემდგომ წლებში განხორციელებული ორგანიზაციულ-სტრუქტურული ცვლილებების შედეგად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 29 დეკემბრის განჩინებით თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს 1998 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე დადგინდა სააღსრულებო ფურცლის გაცემა, რომელშიც ლიკვიდირებული საჰაერო დეპარტამენტის ნაცვლად მოვალედ მიეთითებოდა მისი უფლებამონაცვლე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. აღნიშნული განჩინება ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 13 აპრილის განჩინებით, რის საფუძველზეც, 2009 წლის 25 მაისს ამოინერა სააღსრულებო ფურცელი, რომელშიც ლიკვიდირებული მოვალის საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტის უფლებამონაცვლედ მიეთითა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

მოსარჩელის განმარტებით, სასამართლოს 1998 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებაში მითითებული სარჩოს თანხის ოდენობა (282.10 ლარი), შემდგომ წლებში საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების საფუძველზე გადაანგარიშდა. აღნიშნულის თაობაზე სარჩოს თანხის გაზრდის მიზნით გაიცა შესაბამისი ბრძანება და კ. ღ-ისათვის ასანაზღაურებელი სარჩოს თანხა – 736.67 ლარით განისაზღვრა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მას 1999 წლის 1 ივნისიდან 2006 წლის 1 ოქტომბრამდე ყოველთვიურად ერიცხებოდა სარჩო 736.67 ლარის ოდენობით, ხოლო შემდგომ თვეებში მოვალის ლიკვიდაციის გამო თანხის დარიცხვა არ განხორციელებულა.

მოსარჩელემ მითითა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს №... წერილზე, რომლითაც აღიარებულ იქნა, რომ მოსარჩელისათვის განკუთვნილი სარჩოს თანხა 1999 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 1 ოქტომბრამდე ანუ სარჩოს თანხის გადახდის შეწყვეტის მომენტამდე 736.67 ლარს შეადგენდა. ამდენად, მოსარჩელის მოსაზრებით, წარმოიშვა დავალიანების სხვაობა, კერძოდ, ნაცვლად 282.10 ლარისა მოპასუხეს მოსარჩელისათვის ასანაზღაურებელი ჰქონდა სარჩოს თანხა 736.67 ლარის ოდენობით, რაც წარმოშობდა სხვაობას 454.57 ლარს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოპასუხისათვის 2006 წლის 1 ოქტომბრიდან ყოველთვიურად მისი ჯანმრთელობისათვის პროფესიული დაავადებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით დანიშნული სარჩოს (განხორციელებული გადაანგარიშების გათვალისწინებით) თანხის დაკისრება მოითხოვა, რაც გაზრდილ სარჩოს – 736.67 ლარსა და თავდაპირველად სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებულ სარჩოს 282.10 ლარს შორის არსებულ სხვაობას – 454.57 ლარს შეადგენდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 ივლისის საოქმო განჩინებით საქმეში მოპასუხედ ჩართულ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს უფლებამონაცვლედ დაშვებულ იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. ამავე საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით კ. ღ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის №93 ბრძანებულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულება. აღნიშნული ბრძანებულების თანახმად, საქართველოს მთავრობას დაევადა 2007 წლის 1 მარტამდე უზრუნველყო შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების დამტკიცების წესის შესახებ ნორმატიული აქტის მიღება.

2007 წლის 24 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული იქნა „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ №53 დადგენილება, რომლის მიხედვითაც, 2007 წლის 1 მარტის შემდეგ არ შეიძლება დაწესებულიყო ახალი გასაცემები „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანე-

ბულების იმ დებულებების საფუძველზე, რომლებიც არეგულირებდნენ უფლებამონაცვლის არარსებობის პირობებში გასაცემების დანიშვნის საფუძველს, მიუხედავად იმისა, მიმდინარეობდა თუ არა ამ საკითხზე სამართალწარმოება სასამართლოში. ამავე დადგენილების მეორე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების მოთხოვნათა დაცვით დანიშნული „ზიანის ანაზღაურების სარჩო“ ექვემდებარებოდა ანაზღაურებას დამსაქმებლის ან მისი უფლებამონაცვლის მიერ, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დამსაქმებელს უფლება ჰქონდა „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების მოთხოვნათა დაცვით დანიშნული ყოველთვიური „ზიანის ანაზღაურების სარჩოს“ ნაცვლად გაეცა ერთჯერადი კომპენსაცია ზიანის ანაზღაურების სარჩოს მიმღებთან შეთანხმებით, მე-3 ნაწილის მიხედვით კი, დამსაქმებლის (მათ შორის სამინისტროს, საქვეუწყებო დაწესებულების, სტრუქტურული ერთეულის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის) გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში დანიშნული „ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩოს“ გაცემის ვალდებულება წყდებოდა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად განისაზღვრა, რომ დამსაქმებლის (მათ შორის სამინისტროს, საქვეუწყებო დაწესებულების, სტრუქტურული ერთეულის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის) გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, წყდებოდა დანიშნული „ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩოს“ გაცემის ვალდებულება, ხოლო ხსენებული დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, სსიპ – საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს დაევალია ძველი წესით დანიშნულ სარჩოზე არსებული დავალიანებების დაფარვა 2007 წლის 1 მარტამდე.

საქალაქო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ 2009 წლის 25 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს 1998 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე ამოინერა სააღსრულებო ფურცელი, რომლითაც დადგინდა, რომ კ. ლ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა და საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტს კ. ლ-ის სასარგებლოდ 1997 წლის იანვრის თვიდან 1998 წლის აგვისტოს თვის ჩათვლით ერთდროულად 3642 ლარის, ხოლო 1998 წლის სექტემბრის თვიდან მდგომარეობის შეცვლამდე ყოველთვიურად 282.10 ლარის ანაზღაურება დაეკისრა.

საქალაქო სასამართლომ ასევე მიუთითა საქმეში წარმოდგენილ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2010 წლის 21 მაისის №... წერილზე, რომლის თანახმადაც, მოსარჩელის ყოველთვიური სარჩო 736.67 ლარს შეადგენდა, რომელიც მას 2006 წლის 1 ოქტომბრამდე ჰქონდა მიღებული.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, სადავო ურთიერთობის დროს მოქმედი საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულება (რომლის საფუძველზეც, განხორციელდა მოსარჩელისათვის სარჩოს თანხის გადაანგარიშება) არ ითვალისწინებდა სარჩოს გადაანგარიშების წესს ორგანიზაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში, აღნიშნული ასევე არ იყო გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილებით.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილების შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნდა საკანონმდებლო ნორმა, რაც მას მისცემდა შესაძლებლობას მოსარჩელისათვის 2006 წლის 1 ოქტომბრიდან ყოველთვიურად აენაზღაურებინა სარჩოს თანხის სხვაობა 454.57 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა კ. ლ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 15 დეკემბრის განჩინებით კ. ლ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 15 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა კ. ლ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, კერძოდ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წერილები და ბრძანება, რომლითაც უდავოდ იყო დადგენილი, რომ კ. ლ-ის მიმართ ასანაზღაურებელი სარჩოს ოდენობა ყოველთვიურად 736.67 ლარს შეადგენდა. ამასთანავე, საგულისხმო იყო ის გარემოება, რომ კ. ლ-ი ითხოვდა არა სარჩოს თანხის გადაანგარიშებას, არამედ დანიშნული და გარკვეულ პერიოდამდე მიღებული სარჩოს სხვაობის ანაზღაურებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 1 აპრილის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული კ. ლ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 16 ივნისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვე-



პუნქტის შესაბამისად, კ. ლ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კ. ლ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში არსებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: კ. ლ-ი არის სამოქალაქო ავიაციის სისტემაში პროფდაავადებული პირი. ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს 1998 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებით კ. ლ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა და საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტს კ. ლ-ის სასარგებლოდ (სამოქალაქო ავიაციის სისტემაში მუშაობისას მიღებული პროფდაავადების გამო) ჯანმრთელობისათვის პროფესიული დაავადებით მიყენებული ზიანის სახით – ყოველთვიურად 282.10 ლარის ანაზღაურება დაეკისრა.

სამოქალაქო ავიაციის სისტემაში შემდგომ წლებში განხორციელებული ორგანიზაციულ-სტრუქტურული ცვლილებების შედეგად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 29 დეკემბრის განჩინებით თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს 1998 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი, რომელშიც ლიკვიდირებული საჰაერო დეპარტამენტის ნაცვლად მოვალედ მიეთითა უფლებამონაცვლედ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. აღნიშნული განჩინება ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 13 აპრილის განჩინებით, რის საფუძველზეც, 2009 წლის 25 მაისს ამოიწერა სააღსრულებო ფურცელი, რომელშიც ლიკვიდირებული მოვალის საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტის უფლებამონაცვლედ მიეთითა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს 1998 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებაში მითითებული სარჩოს თანხის ოდენობა (282.10 ლარი), შემდგომ წლებში საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების საფუძველზე გადაანგარიშდა. აღნიშნულის თაობაზე სარჩოს თანხის გაზრდის მიზნით საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტის მიერ გაიცა №76 ბრძანება და კ. ლ-ისათვის ასანაზღაურებელი სარჩოს თანხა – 736.67 ლარით განისაზღვრა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და შესაბამისად, არ მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ კ. ლ-ი ითხოვდა სარჩოს თანხის ოდენობის გადაანგარიშებას.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს №... ნერილზე, რომლის თანახმადაც, მოსარჩელისათვის განკუთვნილი სარჩოს თანხა 1999 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 1 ოქტომბრამდე 736.67 ლარს შეადგენდა. აღნიშნული ყოველთვიური სარჩო (736.67 ლარი) მას 2006 წლის 1 ოქტომბრამდე აქვს მიღებული. ამასთან, საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტის 2000 წლის 23 ივნისის №76 ბრძანებით უდავოდ არის დადგენილი ის გარემოება, რომ კ. ლ-ისათვის ასანაზღაურებელი სარჩო 1999 წლის 1 ივნისიდან ყოველთვიურად 736.67 ლარს წარმოადგენდა.

საქმის მასალებში ასევე წარმოდგენილია ყოფილი ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის თანამშრომელთა სია, რომლებსაც „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვენების მიყენების შედეგად ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების საფუძველზე დანიშნული ჰქონდათ პროფესიული დაავადებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩო. აღნიშნული სის თანახმად, კ. ლ-ისათვის დარიცხული კომპენსაცია სოც. პენსიის დაკავებას გარეშე 736.67 ლარით განისაზღვრა, 2006 წლის 1 ოქტომბრიდან 2007 წლის 1 მარტამდე (5 თვე) პერიოდის დავალიანება კი 3683.35 ლარს შეადგენდა. საგულისხმოა ასევე ის გარემოებაც, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ ყოფილი ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის თანამშრომელთა სია (მათ შორის კ. ლ-ის მონაცემებიც) 2006 წლის 1 ოქტომბრიდან 2007 წლის 1 მარტამდე ყოველთვიური სარჩოს ანაზღაურების მიზნით 2009 წლის 5 ივნისს გადაეგზავნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ყოველთვიური სარჩოს თანხის – 282.10 ლარის ანაზღაურების უფლება კ. ლ-მა სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე მოიპოვა, ხოლო გაზრდილი სარჩოს – 736.67 ლარის მიღების უფლება მას ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით მიენიჭა, რაც მოცემულ შემთხვევაში სადავო არ არის. ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს, კასატორის მოსაზრებას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ იგი ითხოვს არა სარჩოს ოდენობის გადაანგარიშებას, არამედ უკვე დანიშნული და გარკვეულ პერიოდამდე მიღებული სარჩოს სხვაობის ანაზღაურებას.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმეში წარმოდგენილი მასალებით არ დგინდება მოცემული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოება, კერძოდ ის ფაქტი, თუ როდემდე და რა ოდენობით აქვს კ. ლ-ს ანაზღაურებული სარჩოს თანხა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა დაადგინოს ის გარემოება, ხომ არ აუნაზღაურდა კ. ლ-ს 2006 წლის 1 ოქტომბრის შემდგომი პერიოდის სარჩოს თანხა და ასეთის არსებობის პირობებში რა ოდენობით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული გარემოების სათანადოდ გამოკვლევის შემდეგ, სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მსგავსი კატეგორიის დავებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად (10.04.09. განჩინება საქმეზე №1101-1063 (2კ-08); 19.05.10 განჩინება საქმეზე №ბს-373-361(კ-10)).

მოცემულ საქმესთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 26 ივნისის №872 განკარგულებით შეიქმნა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისია საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელთა მონაწილეობით. ხსენებული განკარგულების მე-3 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალია სალიკვიდაციის პროცესში დაეფარა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის პროფდაავადებულ, დასახიჩრებულ და მარჩენალდაკარგულ პირთა მიმართ არსებული დავალიანებებისა და ამ კატეგორიისათვის სასამართლო გადაწყვეტილებებით მიკუთვნებული თანხები და სალიკვიდაციის დასრულების შემდეგ უზრუნველყო ამ პირთათვის ზიანის ანაზღაურება სალიკვიდაციო კომისიის წარდგინების საფუძველზე. საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიამ მუშაობა ფაქტობრივად დაასრულა 2006 წლის 30 მაისს, იმავე დღეს შედგა №16 სხდომის ოქმი, რომელიც თანდართულ მასალებთან ერთად 2006 წლის 21 აგვისტოს გადაეცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის №93 ბრძანებულებით 2007 წლის 1 მარტიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულება. ამასთან, საქართველოს მთავრობას დაევალია აღნიშნული საკითხის მოსაწესრიგებლად ნორმატიული აქტის მიღების უზრუნველყოფა. აღნიშნული ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილება, რომლის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად განისაზღვრა, რომ დამსაქმებლის (მათ შორის სამინისტროს, საქვეუწყებო დაწესებულების, სტრუქტურული ერთეულის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის) გაკოტრების ან სალიკვიდაციის შემთხვევაში, წყდება დანიშნული „ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩოს“ გაცემის ვალდებულება, ხოლო ხსენებული დადგენილების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად კი, სსიპ – საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს დაევალია ძველი წესით დანიშნულ სარჩოზე არსებული დავალიანებების დაფარვა 2007 წლის 1 მარტამდე.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად, დამსაქმებლის (მათ შორის სახელმწიფო დაწესებულების) სალიკვიდაციის შემთხვევაში ყოველთვიური სარჩოს გაცემის ვალდებულება წყდება, სალიკვიდირებული დამსაქმებლის შემთხვევაში სარჩოს მიმღებს ეძლეოდა სარჩოს დავალიანების თანხა მხოლოდ 2007 წლის 1 მარტამდე.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 26 ივნისის №872 განკარგულება, რომლითაც შეიქმნა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდა „საქართველოს პრეზიდენტისა და სახელმწიფო მეთაურის ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 17 აგვისტოს №428 განკარგულებით. ამდენად, მართალია, საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიამ მუშაობა დაასრულა 2006 წლის 30 მაისს და იმავე დღეს შედგა საბოლოო სხდომის №16 ოქმი, რომელიც თანდართულ მასალებთან ერთად 2006 წლის 21 აგვისტოს გადაეცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, თუმცა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიამ იურიდიულად ფუნქციონირება შეწყვიტა მხოლოდ „საქართველოს პრეზიდენტისა და სახელმწიფო მეთაურის ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 17 აგვისტოს №428 განკარგულებით. შესაბამისად, მიჩნეული უნდა იქნას, რომ სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაცია დასრულდა 2007 წლის 17 აგვისტოს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან, სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციის დასრულებამდე (2007 წლის 17 აგვისტო) მის უფლებამონაცვლედ ნორმატიული აქტებით დადგენილი იქნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, ამ უკანასკნელს საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 26 ივნისის №872 განკარგულების მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ეკისრებოდა ვალდებულება წარდგინებით მიემართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის მოსარჩელეთა მიმართ ყოველთვიური სარჩოს გაცემის უზრუნველყოფის მიზნით 2007 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდზე. ამასთან, იმ ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, რომ 2007 წლის 17 აგვისტოს დასრულ-

და სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაცია, 2007 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს აღარ ეკისრება ვალდებულება განახორციელოს ქმედება მოსარჩელეთა მიერ სარჩოს მიღების უზრუნველსაყოფად, ვინაიდან, „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად დამსაქმებლის (მათ შორის სამინისტროს, საქვეუნეებო დაწესებულების, სტრუქტურული ერთეულის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის) გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში წყდება დანიშნული „ზიანის ანაზღაურების ყოვეთვიური სარჩოს“ გაცემის ვალდებულება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი თავად დაადგინოს ახალი ფაქტობრივი გარემოებები და შეაფასოს ახალი მტკიცებულებები, ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა გამოითხოვოს მტკიცებულებები და დაადგინოს ის გარემოება, ხომ არ აუნაზღაურდა კ. ლ-ს 2006 წლის 1 ოქტომბრის შემდგომი პერიოდის სარჩოს თანხა და ანაზღაურების შემთხვევაში რა ოდენობით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად კი, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი და სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კ. ლ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლებით და

#### და ა დ გ ი ნ ა :

1. კ. ლ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 15 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**მიუღებელი სარჩოს მოთხოვნა და ოდენობის განსაზღვრა**

#### გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ბს-885-878(კ-11)

23 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: სარჩოს დაკისრება.

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 23 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ვ. ნ-მა მოპასუხის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელე სარჩელით ითხოვდა ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების სახით დანიშნული სარჩოს 216 ლარის და 6 თეთრის ოდენობით 2006 წლის ოქტომბრიდან დაკისრებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 20 აგვისტოს საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილებით ვ. ნ-ის სარჩელს მოპასუხისათვის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების სახით დანიშნული სარჩოს 216 ლარის და 6 თეთრის ოდენობით 2006 წლის ოქტომბრიდან დაკისრების დაკმაყოფილებაზე ეთქვა უარი ხანდაზმულობის გამო.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებით, ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოსარჩელის სარჩელი ზიანის ანაზღაურების შესახებ და საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ერთჯერადი თანხის 13662 ლარის და ყოველთვიურად 621 ლარის გადახდა. გადაწყვეტილებაზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 2 ივლისის განჩინებით სამოქალაქო ადმინისტრაციის ლიკვიდაციის შემდეგ მისი უფლებამონაცვლე გახდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, რაზეც 2009 წლის 18 მაისს გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

გლდანი-ნაძალადევის სსებ ს/პოლიკლინიკის შემონმების აქტის ამონაწერით 2006 წლის 14 მარტს ვ. ნ-ს შემონმებისას დაუდგინდა პროფესიულ დაავადება 80%-ით უვადოდ.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2010 წლის №... წერილით ვ. ნ-ს ეცნობა, რომ 2006 წლის 14 მარტიდან დანიშნული აქვს 837 ლარი და 06 თეთრი, რომელიც მიღებული აქვს 2006 წლის 1 ოქტომბრამდე.

სამოქალაქო ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიის 2006 წლის 30 მაისის №16 ოქმის ამონაწერის ასლით ვ. ნ-ის ზიანის ასანაზღაურებელი სარჩოს ოდენობამ გადაანგარიშების შედეგად შეადგინა 837 ლარი და 06 თეთრი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტებით, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესი“-თ დადგინდა ზიანის ანაზღაურების წესი, მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად, აგრეთვე იმ საწარმოო ტრამვისათვის, რომელიც მას მიადგა საწარმოო ტრავმით შრომითი მოვალეობის შესრულებისას (მიუხედავად მათი საკუთრების და ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმებისა) ორგანიზაციის ტერიტორიაზე ამ მის ფარგლებს გარეთ, აგრეთვე სამუშაოზე ან სამუშაოს შემდეგ მგზავრობისას დამქირავებლის მიერ გამოყოფილ ტრანსპორტზე. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება ასეთ შემთხვევაში იმ დამქირავებელს, რომელთანაც მუშაკი იმყოფებოდა შრომით ურთიერთობაში ამ უკანასკნელის ბრალის არარსებობის შემთხვევაშიც. ბრძანებულების მე-11 მუხლის „ბ“ პუნქტის მიხედვით, ზიანი ანაზღაურდება იმ ოდენობით, რამდენი პროცენტით პირს აქვს დაკარგული შრომის უნარის ხარისხი. დაკარგული შრომის უნარის ხარისხში იგულისხმება როგორც პროფესიული, ისე საერთო შრომის უნარის ხარისხის დაკარგული ოდენობა.

სასამართლოს მითითებით, ბრძანებულების 54-ე მუხლით დაზარალებულის შრომის უნარის დაკარგვისას სარჩოს მიღების უფლების მქონე პირების რაოდენობის შეცვლისას ხდება ასანაზღაურებელი სარჩოს თანხის გადაანგარიშება. მოსარჩელის განმარტებით, ვინაიდან 2006 წელს დაუდგინდა სამედიცინო საექსპერტო კომისიის შემონმების აქტით 80% შრომის უნარის მყარ დაკარგვა, მისი გათვალისწინებით მოხდა დანიშნული სარჩოს გადაანგარიშება და ნაცვლად 621 ლარისა დაენიშნა 837 ლარი და 06 თეთრი. სხვაობამ დანიშნულ სარჩოს და გადაანგარიშებულ სარჩოს შორის შეადგინა 216 ლარი და 06 თეთრი, რომელიც არ მიუღია 2006 წლის 1-ლი ოქტომბრიდან. სასამართლოს განმარტებით, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის №93 ბრძანებულებით 2007 წლის 1 მარტიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულება „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“. ამასთან, საქართველოს მთავრობას დაევალა აღნიშნული საკითხის მოსაწესრიგებლად ნორმატიული აქტის მიღების უზრუნველყოფა. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის №93 ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიერ 2007 წლის 24 მარტს მიღებულ იქნა ნორმატიული აქტი „შრომითი მოვალეობების შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ №53 დადგენილება, რომელმაც ცალკეულ საკითხთა მიმართ დაადგინა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულებისგან განსხვავებული წესი, კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილების 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტით დამსაქმებელი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგა დასაქმებულს ჯანმრთელობის შრომითი მოვალეობის შესრულებისას, თუ ზიანი გამოწვეულია დამსაქმებლის ბრალეული მოქმედებით და შრომის კოდექსი და სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას ასეთი მოქმედებისათვის და თუ არ არის გასული მოთხოვნის წარდგენის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგე-

ნილი ხანდაზმულობის ვადა. იმავე დადგენილების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების მოთხოვნათა დაცვით დანიშნული ზიანის ანაზღაურების სარჩო ექვემდებარება ანაზღაურებას დამსაქმებლის ან მისი უფლებამონაცვლის მიერ, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების შესაბამისად, ვ. ნ-ს მინიჭებული ჰქონდა სარჩოს მიღების უფლება, რომელიც გადაანგარიშებას დაექვემდებარა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების 54-ე მუხლის შესაბამისად და ნაცვლად 621 ლარისა, დაენიშნა 837 ლარი და 06 თეთრი, რომელიც არ მიუღია 2006 წლის 1-ლი ოქტომბრიდან. თუმცა, სასამართლოს მოსაზრებით, საქმეზე მხარეების მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ბრძანება მოსარჩელის მიმართ სარჩოს გადაანგარიშების თაობაზე. სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელის მოთხოვნას მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაეკისროს ყოველთვიურად სარჩოს სხვაობის გადახდა 216 ლარის და 06 თეთრის ოდენობით 2006 წლის 1 ოქტომბრიდან საქართველოს საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტის სალიკვიდაციო კომისიის ბრძანების შესაბამისად, უარი უნდა ეთქვას, ვინაიდან საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილების 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, დამსაქმებელი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგა დასაქმებულს ჯანმრთელობის შრომითი მოვალეობის შესრულებისას, თუ ზიანი გამოწვეულია დამსაქმებლის ბრალეული მოქმედებით და შრომის კოდექსი და სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას ასეთი მოქმედებისათვის და თუ არ არის გასული მოთხოვნის წარდგენის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა. იმავე დადგენილების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების მოთხოვნათა დაცვით დანიშნული ზიანის ანაზღაურების სარჩო ექვემდებარება ანაზღაურებას დამსაქმებლის ან მისი უფლებამონაცვლის მიერ, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. იმავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, დამსაქმებლის (მათ შორის სამინისტროების, საქვეუწყებო, სახელმწიფო დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების) ლიკვიდაციის შემთხვევაში, ყოველთვიური სარჩოს გაცემის ვალდებულება წყდება. ლიკვიდირებული დამსაქმებლის შემთხვევაში, სარჩოს მიმღებს ეძლევა სარჩოს დავალიანების თანხა 2007 წლის 1 მარტამდე.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, 2006 წლის 1 ოქტომბრიდან სამოქალაქო ავიაციის სისტემაში დასახიჩრებულ ვ. ნ-ს შეუჩერდა ყოველთვიური სარჩოს გაცემა 237,06 ლარის ოდენობით, რომელზეც იმ დროისათვის მას უფლება შენარჩუნებული ჰქონდა მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად. სარჩოს გაცემის შეჩერების საფუძველს წარმოადგენდა ლიკვიდირებული სამოქალაქო ავიაციის უფლებამონაცვლის დაუდგენლობა, რომელიც ყოველთვიური წარდგენებით მიმართავდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხის გამოყოფაზე მოსარჩელის მიმართ სარჩოს თანხის გაცემის უზრუნველსაყოფად, საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 26 ივნისის №872 განკარგულების „საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიის შექმნის შესახებ“ მე-3 პუნქტის შესაბამისად. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის № 93 ბრძანებულებით 2007 წლის 1 მარტიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულება. ამასთან, საქართველოს მთავრობას დაევალა აღნიშნული საკითხის მოსაწესრიგებლად ნორმატიული აქტის მიღების უზრუნველყოფა. აღნიშნული ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – „შრომითი მოვალეობების შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილება, რომლის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტით დამსაქმებელი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგა დასაქმებულის ჯანმრთელობას შრომითი მოვალეობის შესრულებისას, თუ ზიანი გამოწვეულია დამსაქმებლის ბრალეული მოქმედებით და შრომის კოდექსი და სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას ასეთი მოქმედებისათვის და თუ არ არის გასული მოთხოვნის წარდგენის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა. სასამართლომ მიიჩნია, რომ უფლებამონაცვლეობაში მოიაზრება უფლებამონაცვლეზე იმ უფლებების და ვალდებულებების გადასვლა, რომლითაც აღჭურვილი იყო ლიკვიდირებული დაწესებულება, აღნიშნულიდან გამომდინარე მას შეეძლო მიემართა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს წინააღმდეგ სარჩელით 2006 წლის 1 ოქტომბრიდან ხანდაზმულობის სამწლიან ვადაში 216 ლარის და 06 თეთრის ოდენობით ზიანის დაკისრების შესახებ, როგორც სამოქალაქო ავიაციის უფლებამონაცვლის მიმართ, რადგან დადგენილების 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტით დამსაქმებელი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგა დასაქმებულის ჯანმრთელობას შრომითი მოვალეობის შესრულებისას, თუ ზიანი გამოწვეულია დამსაქმებლის ბრალეული მოქმედებით და შრომის კოდექსი და სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას ასეთი მოქმედებისათვის და თუ არ არის გასული მოთხოვნის წარდგენის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა. სასამართლოს მითითებით, ვინაიდან ვ. ნ-ის მიმართ ყოველთვიური სარჩოს გაცემაზე ვალდებული პირი საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია ლიკვიდირებული იყო, რაც საფუძვლად დაედო მოსარჩელის მიმართ სარჩოს გაცემის შეწყვეტას 216 ლარის და 06 თეთრის ანაზღაურების ნაწილში, მოსარჩელეს ვ. ნ-ს შეეძლო მიემართა სასამარ-

თლოსათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე 2006 წლის 1-ლი ოქტომბრიდან სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლით დადგენილ 3-წლიან ხანდაზმულობის ვადაში საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ, რაც არ განუხორციელებია 2010 წლის ივნისამდე.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. ნ-მა.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებასა და მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 7 აპრილის განჩინებით ვ. ნ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე დაყრდნობით განმარტა, რომ თითოეული მხარე ვალდებულია დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქმეში წარმოდგენილ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2010 წლის 21 მაისის №... წერილზე, სადაც მითითებულია, რომ 2006 წლის 14 მარტიდან ვ. ნ-ს დანიშნული აქვს 837,06 ლარი, რომელიც მიღებული აქვს 2006 წლის 1 ოქტომბრამდე, რომლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით აპელანტმა ვერ მიუთითა, თუ რომელი კანონისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე და ადმინისტრაციული ორგანოს რომელი გადაწყვეტილებით (ბრძანებით, განკარგულებით და ა.შ) გაეზარდა მას სარჩო უკვე დაკისრებული 621 ლარიდან 837,06 ლარამდე. საქმეში წარმოდგენილი არ არის მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს არანაირი გადაწყვეტილება (ბრძანება, განკარგულება და ა.შ) ვ. ნ-ისათვის სარჩოს 837,06 ლარამდე გაზრდის თაობაზე.

სააპელაციო პალატამ ასევე მიუთითა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ მე-2 თავის მე-12 პუნქტზე, რომელიც გაუქმდა ბრძანებულებაში 2005 წლის 7 ნოემბერს შეტანილი ცვლილების შედეგად. შესაბამისად, ამ პერიოდიდან მოყოლებული, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულება აღარ ითვალისწინებდა სასამართლოს ან დამქირავებლის მიერ დადგენილი ყოველთვიური სარჩოს ოდენობის გადაანგარიშების შესაძლებლობას.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით შეწყდა სარჩოსა და სხვა გასაცემების გაცემის ვალდებულება 2007 წლის 1 მარტიდან, ხოლო იმ პირების მიმართ, რომლებზეც არ განხორციელებულა მათი გაცემის ვალდებულების დაკისრება, მითითებული ვალდებულებები აღარ წარმოიშობოდა. ამასთან, იმ პირებს, ვისაც შეუწყდა სარჩოს გაცემა, უნდა მისცემოდათ ერთჯერადი კომპენსაცია. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, ვ. ნ-საც 2007 წლის 1 მარტიდან შეუწყდა სარჩოს გაცემის ვალდებულება მთლიანად, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მისი მოთხოვნა 2006 წლის 1 ოქტომბრიდან გაზრდილ სარჩოს 837,06 ლარსა და თავდაპირველად დაკისრებულ სარჩოს 621 ლარს შორის არსებული სხვაობის 216,06 ლარის ყოველთვიურად ანაზღაურების თაობაზე.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. ნ-მა.

საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ საქმის მასალებით უდავოდ დადგენილია, რომ ვ. ნ-ი სარჩოს ვალდებულებას 2006 წლის 1 ოქტომბრამდე. მისი აზრით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტის №48 ბრძანებულება 2005 წლის 7 ნოემბრის ცვლილებების შედეგად აღარ ითვალისწინებდა სარჩოს ოდენობის გადაანგარიშების შესაძლებლობას, ვინაიდან მოცემული დავის საგანს წარმოადგენს დანიშნული და გარკვეულ პერიოდამდე მიღებული სარჩოს სხვაობის ანაზღაურება.

კასატორის მოსაზრებით, 2010 წლის 21 მაისის წერილით ცალსახად დასტურდება ის ფაქტი, რომ კასატორი სარჩოს იღებდა გაზრდილი ოდენობით შესაბამის სამართლებრივ საფუძველზე, რომლის მტკიცების ტვირთი მოპასუხეზეა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული განჩინების გაუქმებასა და სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. ნ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ კასატორი – ვ. ნ-ი არის სამოქალაქო ავიაციის სისტემაში პროფდაავადებული პირი. ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ვ. ნ-ის სარჩელი და მოპასუხე საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიის მოსარჩელის სასარგებლოდ ჯანმრთელობისათვის პროფესიული დაავადებით მიყენებული

ზიანის სახით – ერთჯერადი თანხის 13662 ლარის და ყოველთვიური სარჩოს-621 ლარის გადახდა დაეკისრა. აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე 2003 წლის 11 მარტს გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2010 წლის 21 მაისის №... წერილით ირკვევა, რომ ვ. ნ-ისათვის ანაზღაურებელი სარჩოს ოდენობა გადაანგარიშდა და 2006 წლის 14 მარტიდან განისაზღვრა 837,06 ლარით, ხოლო აღნიშნული ყოველთვიური სარჩო 837,06 ლარი მიღებული აქვს 2006 წლის 1 ოქტომბრამდე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და შესაბამისად, არ მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ საქმის მასალებით არ დგინდებოდა ვ. ნ-ისათვის სარჩოს თანხის ოდენობის გაზრდისა და მის მიერ გაზრდილი სარჩოს თანხის – 837,06 ლარის მიღების ფაქტი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქმის მასალებში წარმოდგენილ ყოფილ ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის თანამშრომელთა სიაზე, რომლებსაც „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების საფუძველზე დანიშნული ჰქონდათ პროფესიული დაავადებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩო. აღნიშნული სიის თანახმად, ვ. ნ-ისათვის ყოველთვიური პენსია 837,06 ლარით განისაზღვრა, საგულისხმოა ასევე ის გარემოებაც, რომ 2008 წლის 19 ივნისის წერილით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ ყოფილი ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის თანამშრომელთა სია (მათ შორის ვ. ნ-ის მონაცემებიც) გადაეგზავნა სააღსრულებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილი სპეციალური ჯგუფის სასამართლო აღმასრულებლებს ო. ჩ-სა და ე. თ-ს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ყოველთვიური სარჩოს თანხის – 621 ლარის ანაზღაურების უფლება ვ. ნ-მა სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე მოიპოვა, ხოლო გაზრდილი სარჩოს – 837,06 ლარის მიღების უფლება მას ადმინისტრაციულმა ორგანომ მიანიჭა. ამდენად, ის ფაქტი, რომ ვ. ნ-ს გაზრდილი სარჩოს – 837,06 ლარის მიღების უფლება ჰქონდა სადავო არ არის.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა დაადგინოს ის გარემოება, ხომ არ აუნაზღაურდა ვ. ნ-ს 2006 წლის 1 ოქტომბრის შემდგომი პერიოდის სარჩოს თანხა და ასეთის არსებობის შემთხვევაში რა ოდენობით. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული გარემოების სათანადოდ გამოკვლევის შემდეგ, სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მსგავსი კატეგორიის დავებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად (10.04.09. განჩინება საქმეზე №1101-1063 (2კ-08); 19.05.10 განჩინება საქმეზე №ბს-373-361 (კ-10)).

მოცემულ საქმესთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 26 ივნისის №872 განკარგულებით საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელთა მონაწილეობით შეიქმნა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისია. ხსენებული განკარგულების მე-3 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალიკვიდაციის პროცესში დაეფარა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის პროფდავადადებულ, დასახიჩრებულ და მარჩენალდაკარგულ პირთა მიმართ არსებული დავალიანებებისა და ამ კატეგორიისათვის სასამართლო გადაწყვეტილებებით მიკუთვნებული თანხები და ლიკვიდაციის დასრულების შემდეგ უზრუნველყოს ამ პირთათვის ზიანის ანაზღაურება სალიკვიდაციო კომისიის წარდგინების საფუძველზე. საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიამ მუშაობა ფაქტობრივად დაასრულა 2006 წლის 30 მაისს, იმავე დღეს შედგა №16 სხდომის ოქმი, რომელიც თანდართულ მასალებთან ერთად 2006 წლის 21 აგვისტოს გადაეცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის №93 ბრძანებულებით 2007 წლის 1 მარტიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულება. ამასთან, საქართველოს მთავრობას დაევალიკვიდაციის საკითხის მოსაწესრიგებლად ნორმატიული აქტის მიღების უზრუნველყოფა. აღნიშნული ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – „შრომითი მოვალეობების შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილება, რომლის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად განისაზღვრა, რომ დამსაქმებლის (მათ შორის სამინისტროს, საქვეუწყებო დაწესებულების, სტრუქტურული ერთეულის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის) გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, წყდება დანიშნული „ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩოს“ გაცემის ვალდებულება, ხოლო ხსენებული დადგენილების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად კი სსიპ – საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო



ფონდს დაევალა ძველი ნესით დანიშნულ სარჩოზე არსებული დავალიანებების დაფარვა 2007 წლის 1 მარტამდე.

საფულისხმოა ის გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად, დამსაქმებლის (მათ შორის სახელმწიფო დაწესებულების) ლიკვიდაციის შემთხვევაში ყოველთვიური სარჩოს გაცემის ვალდებულება წყდება, ლიკვიდირებული დამსაქმებლის შემთხვევაში სარჩოს მიმღებს ეძლეოდა სარჩოს დავალიანების თანხა მხოლოდ 2007 წლის 1 მარტამდე.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 26 ივნისის №872 განკარგულება, რომლითაც შეიქმნა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდა „საქართველოს პრეზიდენტისა და სახელმწიფო მეთაურის ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 17 აგვისტოს №428 განკარგულებით. ამდენად, მართალია, საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიამ მუშაობა დაასრულა 2006 წლის 30 მაისს და იმავე დღეს შედგა საბოლოო სხდომის №16 ოქმი, რომელიც თანდართულ მასალებთან ერთად 2006 წლის 21 აგვისტოს გადაეცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, თუმცა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიამ იურიდიულად ფუნქციონირება შეწყვიტა მხოლოდ „საქართველოს პრეზიდენტისა და სახელმწიფო მეთაურის ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 17 აგვისტოს №428 განკარგულებით. შესაბამისად, მიჩნეული უნდა იქნას, რომ სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაცია დასრულდა 2007 წლის 17 აგვისტოს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან, სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაციის დასრულებამდე (2007 წლის 17 აგვისტო) მის უფლებამონაცვლედ ნორმატიული აქტებით დადგენილი იქნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, ამ უკანასკნელს საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 26 ივნისის №872 განკარგულების მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ეკისრებოდა ვალდებულება წარდგინებით მიემართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის მოსარჩელეთა მიმართ ყოველთვიური სარჩოს გაცემის უზრუნველყოფის მიზნით 2007 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდზე. ამასთან, იმ ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, რომ 2007 წლის 17 აგვისტოს დასრულდა სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაცია, 2007 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს აღარ ეკისრება ვალდებულება განახორციელოს ქმედება მოსარჩელეთა მიერ სარჩოს მიღების უზრუნველსაყოფად, ვინაიდან, „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად დამსაქმებლის (მათ შორის სამინისტროს, საქვეუნწყებო დაწესებულების, სტრუქტურული ერთეულის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის) გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში წყდება დანიშნული „ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩოს“ გაცემის ვალდებულება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი თავად დაადგინოს ახალი ფაქტობრივი გარემოებები და შეაფასოს ახალი მტკიცებულებები, ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა გამოითხოვოს მტკიცებულებები და დაადგინოს ის გარემოება, ხომ არ აუნაზღაურდა ვ. ნ-შვილს 2006 წლის 1 ოქტომბრის შემდგომი პერიოდის სარჩოს თანხა და ანაზღაურების შემთხვევაში რა ოდენობით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად კი, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.



საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი და სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ვ. წ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლებით და

#### დ ა ა ღ გ ი ნ ა :

1. ვ. წ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 7 აპრილის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### მიუღებელი სარჩოს მოთხოვნა და ოდენობის განსაზღვრა

#### ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ბს-1052-1043(კ-11)

23 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: სარჩოს დაკისრება.

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 23 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ა. მ-მა მოპასუხის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 20 აგვისტოს საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

მოსარჩელე სარჩელით ითხოვდა ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების სახით დანიშნული სარჩოს 238 ლარისა და 40 თეთრის ოდენობით 2006 წლის 1 ოქტომბრიდან დაკისრებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილებით ა. მ-ის სარჩელს დაკმაყოფილებაზე ეთქვა უარი ხანდაზმულობის გამო.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ, 2010 წლის 11 იანვარს, ა. მ-ის მიმართ გაცემულია სააღსრულებო ფურცელი ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს 1999 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც ა. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხე საქართველოს საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტს ა. მ-ის სასარგებლოდ, 1999 წლის 2 თებერვლიდან, მდგომარეობის შეცვლამდე დაეკისრა ყოველთვიურად 278 ლარის ანაზღაურება, საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის დეპარტამენტის უფლებამონაცვლის საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მითითებით.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2009 წლის №..... წერილით ა. მ-ს ეცნობა, რომ სამოქალაქო ავიაციის სალიკვიდაციო კომისიის მიერ გადაცემული მასალების თანახმად, 2006 წლის 1 ოქტომბრამდე ყოველთვიური ზიანის ანაზღაურების სარჩო შეადგენდა 516 ლარს 40 თეთრს, ხოლო ძველი დავალიანება – 1854.30 ლარს.

პირველი ინსტანციის სასამართლომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობის დარეგულირების სპეციალური ნორმატიული დანაწესების თანახმად, მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოსადმი ქმედების განხორციელების დავალების სასარჩელო მოთხოვნის კანონით დადგენილი წინაპირობა არ არსებობდა ასეთი მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო.

სასამართლოს მითითებით საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის“ თანახმად განისაზღვრა ზიანის ანაზღაურების პირობები, მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად, აგრეთვე, იმ საწარმოო ტრამვისათვის, რომელიც მას მიადგა შრომითი მოვალეობის შესრულებისას (მიუხედავად მათი საკუთრების და ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმებისა) ორგანიზაციის ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ აგრეთვე, სამუშაოზე ან სამუშაოს შემდეგ მგზავრობისას დაქირავებულის მიერ გამოყოფილ ტრანსპორტზე. სასამართლომ ასევე მიუთითა, ზემო ხსენებულ ბრძანებულებაში 2003 წლის 11 სექტემბერის ცვლილებაზე, რითაც №48 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით „ორგანიზაციაში შრომის ანაზღაურების მინიმალური ხელფასის ცვლილების შესაბამისად ხდება სასამართლოს ან დაქირავებულის მიერ დადგენილი ყოველთვიური სარჩოს ოდენობის გადაანგარიშება, მიუხედავად იმისა, როდის მიიღო დაზარალებულმა ტრავმა“ და აღნიშნა, რომ ხსენებული ცვლილების შესაბამისად, მოსარჩელის განმარტებით საქართველოს საპაერო ტრანსპორტის დეპარტამენტის ბრძანებით გადაუნგარიშდა დანიშნული სარჩო 238 ლარის და 40 თეთრის ოდენობით და მისი სარჩოს ოდენობა განისაზღვრა 516 ლარით და 40 თეთრით, რომელსაც დებულება 2006 წლის 1 ოქტომბრამდე, რაც სასამართლოს აზრით დასტურდება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2009 წლის №..... ნერილით.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის №93 ბრძანებულებით 2007 წლის 1 მარტიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულება „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“. ამასთან, საქართველოს მთავრობას დაევალა აღნიშნული საკითხის მოსაწესრიგებლად ნორმატიული აქტის მიღების უზრუნველყოფა. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის №93 ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიერ 2007 წლის 24 მარტს მიღებულ იქნა ნორმატიული აქტი „შრომითი მოვალეობების შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ №53 დადგენილება, რომელიც ცალკეულ საკითხთა მიმართ დაადგინა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულებიდან განსხვავებული წესი, კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილების 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „დამსაქმებელი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგა დასაქმებულს ჯანმრთელობის შრომითი მოვალეობის შესრულებისას, თუ ზიანი გამოწვეულია დამსაქმებლის ბრალეული მოქმედებით და შრომის კოდექსი და სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას ასეთი მოქმედებისათვის და თუ არ არის გასული მოთხოვნის წარდგენის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა. სასამართლომ მიუთითა ამავე დადგენილების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტზე, რომლის თანახმად, „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების მოთხოვნათა დაცვით დანიშნული ზიანის ანაზღაურების სარჩო ექვემდებარება ანაზღაურებას დამსაქმებლის ან მისი უფლებამონაცვლის მიერ, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

სასამართლოს მოსაზრებით, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების შესაბამისად, მოსარჩელეს ა. მ-ს მინიჭებული ჰქონდა სარჩოს მიღების უფლება, რომელიც გადაანგარიშებას დაექვემდებარა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულებაში 2003 წლის 11 სექტემბერს შეტანილი ცვლილებით და საქართველოს პრეზიდენტის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის შესაბამისად, 238 ლარის და 40 თეთრის ოდენობით, თუმცა საქმეზე მხარეების მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ბრძანება მოსარჩელის მიმართ დანიშნული სარჩოს გადაანგარიშების თაობაზე.

სასამართლომ მიუთითა, რომ 2006 წლის 1-ლი ოქტომბრიდან სამოქალაქო ავიაციის სისტემაში დასახიჩრებულ ა. მ-ს შეუჩერდა ყოველთვიური სარჩოს გაცემა, რომელზეც იმ დროისათვის მას უფლება შენარჩუნებული ჰქონდა მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად. სარჩოს გაცემის შეჩერების საფუძველს წარმოადგენდა ლიკვიდირებული სამოქალაქო ავიაციის უფლებამონაცვლის დაუდგენლობა, რომელიც ყოველთვიური წარდგინებით მიმართავდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხის გამოყოფაზე მოსარჩელის მიმართ სარჩოს თანხის გაცემის უზრუნველსაყოფად, საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 26 ივნისის №872 განკარგულების „საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიის შექმნის შესახებ“ მე-3 პუნქტის შესაბამისად.

სასამართლომ ჩათვალა, რომ უფლებამონაცვლეობაში მოიაზრებოდა უფლებამონაცვლეზე იმ უფლებების და ვალდებულებების გადასვლა, რომლითაც აღჭურვილი იყო ლიკვიდირებული დაწესებულება, აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს აზრით, მოსარჩელეს შეეძლო მიემართა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მიმართ სარჩელით 2006 წლის 1 ოქტომბრიდან სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლით დადგენილ ხანდაზმულობის სამწლიან ვადაში 238 ლარის და 40 თეთრის ოდენობით ზიანის დაკისრების შესახებ, როგორც სამოქალაქო ავიაციის უფლებამონაცვლის მიმართ, რაც არ განუხორციელებია 2010 წლის ივნისამდე.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. მ-მა

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებასა და მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 29 აპრილის განჩინებით ა. მ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის №93 ბრძანებულებით 2007 წლის 1 მარტიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულება. ამასთან, საქართველოს მთავრობას დაევალა აღნიშნული საკითხის მოსაწესრიგებლად ნორმატიული აქტის მიღების უზრუნველყოფა. მითითებული ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიერ, მიღებულ იქნა ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – „შრომითი მოვალეობების შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილება, რომლის მეორე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების მოთხოვნათა დაცვით დანიშნული „ზიანის ანაზღაურების სარჩო“ ექვემდებარება ანაზღაურებას დამსაქმებლის ან მისი უფლებამონაცვლის მიერ, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დამსაქმებელს უფლება აქვს „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების მოთხოვნათა დაცვით დანიშნული ყოველთვიური „ზიანის ანაზღაურების სარჩოს“ ნაცვლად გასცეს ერთჯერადი კომპენსაცია ზიანის ანაზღაურების სარჩოს მიმღებთან შეთანხმებით. მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად კი განისაზღვრა, რომ დამსაქმებლის (მათ შორის სამინისტროს, საქვეუწყებო დაწესებულების, სტრუქტურული ერთეულის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის) გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, წყდება დანიშნული „ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩოს“ გაცემის ვალდებულება, ხოლო ხსენებული დადგენილების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, განისაზღვრა, რომ „სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ (შემდგომში სააგენტო) უზრუნველყოს „საქნახშირის“ დეპარტამენტის შახტებსა და სხვა საწარმოებში შექმნილი მდგომარეობისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებთა შესახებ“ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 15 ოქტომბრის №429-ა ბრძანებულებისა და „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების 42<sup>1</sup> პუნქტის საფუძველზე 2007 წლის 1 მარტამდე სსიპ – საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში რეგისტრირებული, აგრეთვე, აღნიშნულ პერიოდამდე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით დადასტურებული უდავო მოთხოვნებით წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა 2007 წლის 1 მარტამდე პერიოდში. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული პირებისათვის წყდება სარჩოსა და სხვა გასაცემების გაცემის ვალდებულება 2007 წლის 1 მარტიდან, ხოლო იმ პირების მიმართ, რომლებზეც არ განხორციელებულა მათი გაცემის ვალდებულების დაკისრება, მითითებული ვალდებულებები აღარ შეიძლება წარმოიშვას. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირებისათვის სააგენტოს მიერ სარჩოს გაცემის ვალდებულების შეწყვეტის გამო, დამატებით გაიცეს ერთჯერადი კომპენსაცია დანიშნული ზიანის ანაზღაურების სარჩოს ექვსი თვის ოდენობით“.

სააპელაციო სასამართლომ ასევე იხელმძღვანელა სადავო ურთიერთობის დროს მოქმედი საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ და 23-ე პუნქტზე მითითებით აღნიშნა, რომ მოსარჩელე მხარე მუშაობდა საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტში, რომლის ლიკვიდაციაც განხორციელდა 2002 წელს და როგორც სტრუქტურული ერთეული შევიდა საქართველოს ტრანსპორტის და კომუნიკაციის სამინისტროში, ამ უკანასკნელის ლიკვიდაციაც განხორციელდა 2004 წელს და ის შეუერთდა საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს, ხოლო ხსენებული სამინისტროს ლიკვიდაციის შემდგომ შეიქმნა საქართველოს ეკონომიკისა და განვითარების სამინისტრო, რომელიც გახდა თავის მხრივ საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის დეპარტამენტის უფლებამონაცვლე და დღეის მდგომარეობით ამ უკანასკნელის უფლებამონაცვლეს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სადავო ურთიერთობის დროს მოქმედი საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულება „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“, რითაც ა. მ-ს გადაუანგარიშდა სარჩო, დღეის მდგომარეობით ძალადაკარგულია. ხსენებული ბრძანებულების 23-ე პუნქტი კი, სარჩოს გადაანგარიშების წესს არ ითვალისწინებდა ორგანიზაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში, რაც ასევე არ არის გათვალისწინებული 2007 წლის 24 მარტის №53 მთავრობის დადგენილებითაც, ამიტომ ის, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2009 წლის 26 ნოემბრის წერილის თანახმად მოსარჩელე მხარის სარჩოს ასაღები თანხა შეადგენს 516 ლარსა და 40 თეთრს და იგი აღნიშნულ სარჩოს ღებულობდა 2006 წლის 1 ოქტომბრამდე, არ ქმნის საფუძველს გადაანგარიშებული სარჩოს ანაზღაურების დავალდებულებისა, ვინაიდან, ზემოთ მითითებული ნორმატიული აქტებით არ განსაზღვრულა შესაბამისი დანაწესი ასეთი უფლების რეალიზაციისათვის. შესაბამისად, საა-

პელაციო პალატამ ჩათვალა, რომ არ არსებობდა სამართლებრივი საფუძველი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. მ-მა.

საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ საქმის მასალებით უდავოდ დადგენილია, რომ ა. მ-ელი სარჩოს ღებულობდა 2006 წლის 1 ოქტომბრამდე. მისი აზრით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტის №48 ბრძანებულება 2005 წლის 7 ნოემბრის ცვლილებების შედეგად აღარ ითვალისწინებდა სარჩოს ოდენობის გადაანგარიშების შესაძლებლობას, ვინაიდან მოცემული დავის საგანს წარმოადგენს დანიშნული და გარკვეული პერიოდამდე მიღებული სარჩოს სხვაობის გაცემა.

კასატორი აღნიშნავდა, რომ საქმის მასალებით ცალსახად დასტურდება, რომ ის სარჩოს ღებულობდა გაზრდილი ოდენობით და შესაბამისი სამართლებრივი საფუძველით, აღნიშნულის უარყოფის ტვირთი კი ეკისრება მოპასუხეს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული განჩინების გაუქმებასა და სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. მ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ კასატორი-ა. მ-ი არის სამოქალაქო ავიაციის სისტემაში პროფდაავადებული პირი. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ, 2010 წლის 11 იანვარს, ა. მ-ის მიმართ გაცემულია სააღსრულებო ფურცელი ქ. თბილისის ... რაიონის 1999 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც ა. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხე საქართველოს საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტს ა. მ-ის სასარგებლოდ, 1999 წლის 2 თებერვლიდან, მდგომარეობის შეცვლამდე დაეკისრა ყოველთვიურად 278 ლარის ანაზღაურება.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2009 წლის 26 ნოემბრის №... წერილით ა. მ-ს ეცნობა, რომ სამოქალაქო ავიაციის სალიკვიდაციო კომისიის მიერ გადაცემული მასალების თანახმად, 2006 წლის 1 ოქტომბრამდე ყოველთვიური ზიანის ანაზღაურების სარჩო შეადგენდა 516 ლარს და 40 თეთრს, ხოლო ძველი დავალიანება – 1854,30 ლარს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და შესაბამისად, არ მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

იმ პირობებში, როდესაც სააპელაციო სასამართლო ადასტურებს ა. მ-ისათვის სარჩოს თანხის ოდენობის გაზრდისა და მის მიერ გაზრდილი სარჩოს თანხის მიღების ფაქტს, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ მოქმედი ნორმატიული აქტებით არ არის განსაზღვრული შესაბამისი დანაწესი ასეთი უფლების რეალიზაციისათვის.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქმის მასალებში წარმოდგენილ სს „...“ ქ. თბილისის ისანი-სამგორის ფილიალის, ...ის სერვის ცენტრის მიერ ა. მ-ის ანგარიშიდან გაკეთებულ ამონაწერზე, რომლითაც უდავოდ დადასტურებულია ის გარემოება, რომ ა. მ-ი 2006 წლის იანვრიდან 2006 წლის სექტემბრის ჩათვლით იღებდა ყოველთვიურ სარჩოს 516,40 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ყოველთვიური სარჩოს თანხის – 278 ლარის ანაზღაურების უფლება ა. მ-მა მოიპოვა სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, ხოლო გაზრდილი სარჩოს – 516,40 ლარის მიღების უფლება მას ადმინისტრაციულმა ორგანომ მიანიჭა. ამდენად, ის ფაქტი, რომ ა. მ-ს ჰქონდა გაზრდილი სარჩოს – 516,40 ლარის მიღების უფლება სადავო არ არის.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა დაადგინოს ის გარემოება, ხომ არ აუნაზღაურდა ა. მ-ს 2006 წლის 1 ოქტომბრის შემდგომი პერიოდის სარჩოს თანხა და ასეთის არსებობის შემთხვევაში რა ოდენობით. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული გარემოების სათანადოდ გამოკვლევის შემდეგ, სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მსგავსი კატეგორიის დავებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად (10.04.09. განჩინება საქმეზე №1101-1063 (2კ-08); 19.05.10 განჩინება საქმეზე №ბს-373-361(კ-10)).

მოცემულ საქმესთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 26 ივნისის №872 განკარგულებით საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელთა მონაწილეობით შეიქმნა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისია. ხსენებული განკარგულების მე-3 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალია სალიკვიდაციის პროცესში დაეფარა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის პროფდაავადებულ, დასახიჩრებულ და მარჩენალდაკარგულ პირთა მიმართ არსებული დავალიანებებისა და ამ კატეგორიისათვის სასამართლო გადაწყვეტილებებით მიკუთვნებული თანხები და სალიკვიდაციის დასრულების შემდეგ უზრუნველყო ამ პირთათვის ზიანის ანაზღაურება სალიკვიდაციო კომისიის წარ-

დგინების საფუძველზე. საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიამ მუშაობა ფაქტობრივად დაასრულა 2006 წლის 30 მაისს, იმავე დღეს შედგა №16 სხდომის ოქმი, რომელიც თანდართულ მასალებთან ერთად 2006 წლის 21 აგვისტოს გადაეცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის №93 ბრძანებულებით 2007 წლის 1 მარტიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულება. ამასთან, საქართველოს მთავრობას დაევალა აღნიშნული საკითხის მოსაწესრიგებლად ნორმატიული აქტის მიღების უზრუნველყოფა. აღნიშნული ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – „შრომითი მოვალეობების შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილება, რომლის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად განისაზღვრა, რომ დამსაქმებლის (მათ შორის სამინისტროს, საქვეუნებო დაწესებულების, სტრუქტურული ერთეულის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის) გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, წყდება დანიშნული „ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩოს“ გაცემის ვალდებულება, ხოლო ხსენებული დადგენილების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად კი სსიპ – საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს დაევალა ძველი წესით დანიშნულ სარჩოზე არსებული დავალიანებების დაფარვა 2007 წლის 1 მარტამდე.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად, დამსაქმებლის (მათ შორის სახელმწიფო დაწესებულების) ლიკვიდაციის შემთხვევაში ყოველთვიური სარჩოს გაცემის ვალდებულება წყდება, ლიკვიდირებული დამსაქმებლის შემთხვევაში სარჩოს მიძღვება ეძლეოდა სარჩოს დავალიანების თანხა მხოლოდ 2007 წლის 1 მარტამდე.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 26 ივნისის №872 განკარგულება, რომლითაც შეიქმნა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდა „საქართველოს პრეზიდენტისა და სახელმწიფო მეთაურის ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 17 აგვისტოს №428 განკარგულებით. ამდენად, მართალია, საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიამ მუშაობა დაასრულა 2006 წლის 30 მაისს და იმავე დღეს შედგა საბოლოო სხდომის №16 ოქმი, რომელიც თანდართულ მასალებთან ერთად 2006 წლის 21 აგვისტოს გადაეცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, თუმცა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიამ იურიდიულად ფუნქციონირება შეწყვიტა მხოლოდ „საქართველოს პრეზიდენტისა და სახელმწიფო მეთაურის ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 17 აგვისტოს №428 განკარგულებით. შესაბამისად, მიჩნეული უნდა იქნას, რომ სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაცია დასრულდა 2007 წლის 17 აგვისტოს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან, სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაციის დასრულებამდე (2007 წლის 17 აგვისტო) მის უფლებამონაცვლედ ნორმატიული აქტებით დადგენილი იქნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, ამ უკანასკნელს საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 26 ივნისის №872 განკარგულების მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ეკისრებოდა ვალდებულება წარდგინებით მიემართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის მოსარჩელეთა მიმართ ყოველთვიური სარჩოს გაცემის უზრუნველყოფის მიზნით 2007 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდზე. ამასთან, იმ ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, რომ 2007 წლის 17 აგვისტოს დასრულდა სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაცია, 2007 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს აღარ ეკისრება ვალდებულება განახორციელოს ქმედება მოსარჩელეთა მიერ სარჩოს მიღების უზრუნველსაყოფად, ვინაიდან, „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად დამსაქმებლის (მათ შორის სამინისტროს, საქვეუნებო დაწესებულების, სტრუქტურული ერთეულის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის) გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში წყდება დანიშნული „ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩოს“ გაცემის ვალდებულება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი თავად დაადგინოს ახალი ფაქტობრივი გარემოებები და შეაფასოს ახალი მტკიცებულებები, ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა გამოითხოვოს მტკიცებულებები და დაადგინოს ის გარემოება, ხომ არ აუ-

ნაზღაურდა ა. მ-ს 2006 წლის 1 ოქტომბრის შემდგომი პერიოდის სარჩოს თანხა და ანაზღაურების შემთხვევაში რა ოდენობით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად კი, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონახვა შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი და სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ა. მ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლებით და

#### და ა დ ბ ი ნ ა:

1. ა. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 29 აპრილის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### 3. სსკპ სახის კომპენსაციაში

#### მინისტრის შედეგად დაზარალებულისათვის კომპენსაციის დაკისრება

#### გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-1465-1447(კ-11)

2 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: თანხის გადახდა

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ს-ემ 02.02.11წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, საქართველოს მთავრობის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ, რომლითაც მოპასუხეებისათვის (გარდა ფინანსთა სამინისტროსი) 10000 ლარის გადახდის დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ ცხოვრობდა საჩხერის რაიონის სოფელ ც-ში. 1991 წელს საქართველოში მომხდარი მინისტრის შედეგად დაინგრა მისი საცხოვრებელი სახლი და დარჩა უსახლკაროდ, იგი რეგის-

ტრიბუნალი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და თავს აფარებს ნათესავე-ბის ბინას. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით სეისმომედეგობის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ მიწისძვრის შედეგად ნ. ს-ის სახლი დაენგრა. საჩხერის რაიონის ც-ის თემის საკრებულოს 26.07.06წ. №44 და №45 ცნობებით დასტურდება, რომ ნ. ს-ე იყო 1991 წლის მიწისძვრის შედეგად დაზარა-ლებული, ფლობდა მიწის ნაკვეთს სოფელ ც-ში, მისი სახლი დაინგრა მიწისძვრის შედეგად და იგი შეყვანი-ლია მიწისძვრით დაზარალებულთა სიაში 37-ე ნომრად.

საქართველოს მთავრობის მიერ 23.06.05წ. მიღებულ იქნა №264 განკარგულება „საქართველოში 1991 წელს მიწისძვრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისათვის ფინანსური დახმარების განე-ვის შესახებ“, რომლითაც განისაზღვრა დაზარალებული მოსახლეობისათვის ფინანსური დახმარების გა-წევა. ამ მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ლტოლვილ-თა და განსახლების სამინისტროსათვის უნდა გამოეყო 500 000 ლარი, ხოლო საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან – 910 000 ლარი. აღნიშნული თანხებიდან თითოეულ დაზარალებულ ოჯახს უნდა გადასცემოდა 5000 ლარი.

მოსარჩელის მითითებით, საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 07.10.10წ. №... წერილით აღიარა მო-სარჩელისათვის დახმარების განევის ვალდებულება, მაგრამ აღნიშნულის მიუხედავად მას თანხა არ მიუ-ღია. ამასთან, მოსარჩელემ მიიჩნია, რომ 2005 წლიდან ეროვნული ვალუტის გაუფასურების გამო, იგი დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს 10000 ლარით.

ნ. ს-ის სარჩელი არ ცნო მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და აღნიშნა, რომ ფინანსთა სამინისტრომ სრულად შეასრულა მთავრობის განკარგულებით დაკისრებული ვალდებულება და ბიუჯეტ-ში გათვალისწინებული ასიგნებებიდან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადა-ადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს გამოეყო 500 000 ლარი, ხოლო საქარ-თველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან – 910 000 ლარი. შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს უნ-და მიუხედავად დაზარალებული ოჯახების ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფა.

სარჩელი ასევე არ ცნო მოპასუხე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაად-გილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ იმ მოტივით, რომ მთავრობის №264 გან-კარგულებით კომპენსაცია გამოეყო მხოლოდ რკინიგზის ვაგონებში განთავსებულ დაზარალებულ მოსახ-ლეობას და ადმინისტრაციული ორგანო არ იყო უფლებამოსილი კომპენსაცია გაეცა მოსარჩელეზე.

სასარჩელო მოთხოვნას საქართველოს მთავრობის მიმართ არ დაეთანხმა საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი და აღნიშნა, რომ მთავრობის №264 განკარგულებით საქართველოს ფინანსთა სამინის-ტროს დაევალა თანხის გამოყოფა, ხოლო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გა-დაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს უნდა განეხორციელებინა დაზარა-ლებული ოჯახებისათვის თანხების გადაცემა. შესაბამისად, დაზარალებულებისათვის თანხის ჩარიცხვა-ზე პასუხისმგებელ ორგანოს ლტოლვილთა სამინისტროს წარმოადგენდა.

მოპასუხე საჩხერის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის განმარტებით, თვითმმართველობის კომპე-ტენციაში არ შედიოდა სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებულთა დაფინანსება, საჩხერის მუ-ნიციპალიტეტის გამგეობას ევალებოდა მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სიებისა და რეკვიზიტების წარდგენა. გამგეობამ სამინისტროს წარუდგინა 221 ოჯახის სია, რომელთაგან დახმარება მხოლოდ რკი-ნიგზის ვაგონებში მცხოვრებმა 139-მა ოჯახმა მიიღო, დახმარება არ მიუღია 82 ოჯახს, რომლებსაც მარ-თალია დაენგრათ საცხოვრებელი სახლები, მაგრამ ცხოვრობდნენ ქირით, სახელდახელოდ მოწყობილ ფიცრულეებში ან დამხმარე ნაგებობებში. ასეთ ოჯახთა კატეგორიას განეკუთვნებოდა მოსარჩელეც, რო-მელმაც ვერ მიიღო დახმარება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 13.04.11წ. გადაწყვეტილე-ბით ნ. ს-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრო-ბის 23.06.05წ. №264 განკარგულებით კომპენსაციის გაცემა გათვალისწინებული იყო მხოლოდ რკინიგზის ვაგონებში განთავსებულ დაზარალებულ მოსახლეობისათვის. ნ. ს-ე არ წარმოადგენს განკარგულებით განსაზღვრულ ფულადი დახმარების მიმღებ სუბიექტს. ამდენად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტო-რიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო არ არის უფ-ლებამოსილი გასცეს ნ. ს-ეზე განკარგულებით გათვალისწინებული დახმარება, ხოლო დანარჩენ მოპასუ-ხე ადმინისტრაციულ ორგანოებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შესრულებული აქვთ განკარგუ-ლებით გათვალისწინებული ვალდებულებები და მათ მიმართ სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლოა. აღნიშ-ნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ნ. ს-ის მიერ.

აპელანტმა უკანონოდ და დაუსაბუთებლად მიიჩნია საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და აღ-ნიშნა, რომ სასამართლოს უნდა ესარგებლა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხ-ლებით მინიჭებული უფლებამოსილებით, თავისი ინიციატივით შეეგროვებინა ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები, რათა დაედგინა რა მიზეზით არ ცხოვრობდა ნ. ს-ე რკინიგზის ვაგონში.

ნ. ს-ემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები-დან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის მის სასარ-გებლოდ საქართველოს მთავრობის 23.06.05წ. №264 განკარგულების საფუძველზე 10000 ლარის გადახდის დაკისრება.

ნ. ს-ის სააპელაციო საჩივარი არ ცნეს მონინალმდეგე მხარეებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 19.07.11წ. განჩინებით ნ. ს-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 13.04.11წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები და სამართლებრივი შეფასებები, მიიჩნია, რომ აპელანტის მიერ მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები არ ქმნიდნენ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ს-ემ.

კასატორმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 19.07.11წ განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა. ნ. ს-ის განმარტებით, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, ასევე სააპელაციო პალატამ სრულყოფილად არ შეისწავლეს საქმის გარემოებები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 01.02.12წ. განჩინებით ნ. ს-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 19.07.2011წ. განჩინებაზე მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

საკასაციო სასამართლოს სხდომაზე კასატორის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ნ. ს-ე რკინიგზის ვაგონში არ ცხოვრობდა არა იმის გამო, რომ მან უარი განაცხადა ვაგონზე, არამედ იმის გამო, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ უგზოობის გამო ვერ შეძლო უზრუნველყო რკინიგზის ვაგონის მიწოდება და ამიტომ ნ. ს-ე ცხოვრობდა კარავში, შესაბამისად, რკინიგზის ვაგონში მოსარჩელის შესახლება არ მოხდა ფორმალური მიზეზის გამო.

მონინალმდევე მხარეთა წარმომადგენლებმა საკასაციო საჩივარი არ ცნეს და მოითხოვეს მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება – დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ს-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს მთავრობის 23.06.05წ. №264 განკარგულებით განისაზღვრა საქართველოში 1991 წელს მომხდარი მიწისძვრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისათვის, კერძოდ, 282 ოჯახისათვის ფინანსური დახმარების განევის მიზნით თითოეული ოჯახისათვის 5000 ლარის გადაცემა. განკარგულების თანახმად, საქართველოში 1991 წელს მიწისძვრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი იყო 282 ოჯახი, მათ შორის საჩხერის რაიონში 221 ოჯახი, რომლებიც ცხოვრობდნენ რკინიგზის ვაგონებში. განკარგულებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსათვის ბიუჯეტის ასიგნებებიდან 500 000 ლარისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 910 000 ლარის გამოყოფა. განკარგულების შესაბამისად, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს უნდა უზრუნველყოფო უსახლკაროდ დარჩენილი თითოეული ოჯახისათვის 5000 ლარის გადაცემა, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულს დაევალა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსათვის უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების სახელობითი სიებისა და სათანადო დოკუმენტაციის წარდგენა.

საქმის მასალებით დასტურდება და არც მხარეებს გაუხდიათ სადავოდ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სრულად შეასრულა განკარგულებით დაკისრებული ვალდებულება, კერძოდ, მთავრობის 23.06.05წ. №264 განკარგულების შესაბამისად, ფინანსური დახმარების მიზნით ბიუჯეტის ასიგნებებიდან და მთავრობის სარეზერვო ფონდიდან შესაბამისი სახსრები გამოყოფო ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს. თავის მხრივ დაკისრებული ვალდებულება შეასრულა ასევე ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა, რომლის ვალდებულება შემოიფარგლებოდა დაზარალებულთა სიების შედგენითა და სათანადო დოკუმენტაციის სამინისტროსათვის მიწოდებით. რწმუნებულის მითითების შესრულების მიზნით, საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 27.07.05წ. გამოსცა №621 განკარგულება საქართველოს მთავრობის 23.06.05წ. №264 განკარგულების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. განკარგულების შესაბამისად შეიქმნა კომისიები დაზარალებულთა აღრიცხვისა და სათანადო დოკუმენტაციების შესადგენად, შედგა დაზარალებულთა სია, სიები წარედგინა ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს. თანხა არ გაიცა 82 ოჯახზე, რომლებიც მიწისძვრის შედეგად მართალია დარჩნენ უსახლკაროდ, მაგრამ ცხოვრობდნენ სახელდახელოდ მოწყობილ ფარდულებში, დამხმარე ნაგებობებში ან ქირით.

საქმეში წარმოდგენილი სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკვლევით, ასევე საჩხერის რაიონის ც-ის თემის საკრებულოს 26.07.06წ. №45 ცნობით დასტურდება, რომ მოსარჩელე ნ. ს-ე ცხოვრობდა საჩხერის რაიონის სოფელ ც-ში, არის 1991 წელს საქართველოში მომხდარი მიწისძვრით დაზარალებული, მას დაენგრა საცხოვრებელი სახლი და დარჩა უსახლკაროდ, რის შედეგადაც ცხოვრობდა სახელდახელოდ მოწყობილ კარავში. კომპენსაციის მისაღებად მოსარჩელემ ყველა ზომა მიიღო, კერძოდ, განცხადებით მიმართა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, იგი შეყვანილ იქნა დასაფინანსებელი ოჯახების სიაში 37-ე ნომრად, ანგარიში გახსნა სს „ს...“, მაგრამ აღნიშნულის მიუხედავად თანხა ანგარიშზე არ ჩარიცხვია მხოლოდ იმის გამო, რომ არ ცხოვრობდა რკინიგზის ვაგონში.



საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობის 23.06.05წ. განკარგულებით განისაზღვრა მიწისძვრით დაზარალებული იმ ოჯახებისათვის ფინანსური დახმარების განწევა, რომლებიც დარჩნენ უსახლკაროდ, საცხოვრებლის გარეშე. განკარგულებით კონკრეტულად განისაზღვრა იმ სუბიექტთა წრე, ვისზეც უნდა გავრცელდებოდა განკარგულების მოქმედება, კერძოდ, განკარგულების მიხედვით, უსახლკაროდ დარჩენილი იყო 282 ოჯახი, მათ შორის საჩხერის რაიონში 221 ოჯახი. საქმის მასალებით დასტურდება, რომ კომპენსაცია მიიღო 139-მა ოჯახმა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განკარგულებით განისაზღვრა რა კონკრეტულ პირთა წრე, აღნიშნულის შესაბამისად განისაზღვრა თანხის ოდენობა, რომელიც უნდა გამოყოფილიყო სახელმწიფო ბიუჯეტიდან. განკარგულების მიხედვით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უნდა უზრუნველყოფოდა 500 000 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებიდან, ხოლო 910 000 ლარის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფა. განკარგულებაში მითითებული თანხა ზუსტად იმდენი იყო, რაც საკმარისი იქნებოდა უსახლკაროდ დარჩენილი თვითოეული 282 ოჯახისათვის მთავრობის განკარგულებით დადგენილი ხუთი ათასი ლარის გამოყოფისათვის. ამდენად, განკარგულების მიხედვით, ვაგონში ცხოვრება არ წარმოადგენდა საკომპენსაციო თანხის მიცემის პირობას, განკარგულება რკინიგზის ვაგონებზე მითითებას შეიცავდა იმ კონტექსტში, რომ უსახლკაროდ დარჩენილები ცხოვრებას განაგრძობდნენ რკინიგზის ვაგონებში, რაც არ წარმოადგენს თანხის გაცემისათვის განმსაზღვრელ ფაქტორს, ფინანსური დახმარება უნდა გასწეოდა უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახებს, მით უფრო, რომ მიწისძვრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ყველა ოჯახი არ იქნა უზრუნველყოფილი რკინიგზის ვაგონით, მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ვერ მიუთითეს რაიმე სახის სამართლებრივ აქტზე, რომლითაც რეგულირდებოდა რკინიგზის ვაგონების გადაცემა ცალკეული ოჯახისათვის. საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენელმა სასამართლოს პროცესზე დაადასტურა, რომ რკინიგზის ვაგონები არ იყო საკმარისი ოდენობის, შესაბამისად ყველა ოჯახი ვერ იქნა უზრუნველყოფილი ვაგონით, რაც არ მომხდარა თავად დაზარალებულთა მხრიდან ვაგონებზე უარის თქმის გამო. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ რკინიგზის ვაგონებით დაზარალებული ოჯახების უზრუნველყოფა არ წარმოადგენდა რაიმე აქტით მოწესრიგებულ პროცესს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა თავშესაფრით უზრუნველყოფის მიზნით შესაძლებლობის ფარგლებში გადასცეს ვაგონები დაზარალებული ოჯახების ნაწილს, ხოლო ნაწილი ოჯახები უზრუნველყოფილ იქნენ კარვებით, სხვა დროებითი ნაგებობებით ან ცხოვრობდნენ ქირით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვაგონში ცხოვრების ფაქტი არ უნდა გამხდარიყო საკომპენსაციო თანხის გაცემის განმსაზღვრელი პირობა, თანხა უნდა გაცემულიყო მიწისძვრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახზე, რომლებიც შეყვანილი იყვნენ შესაბამის სიაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელეს არასწორად ეთქვა უარი საკომპენსაციო თანხის გაცემაზე მხოლოდ იმ მოტივით, რომ იგი არ ცხოვრობდა რკინიგზის ვაგონში. მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, რომ ნ. ს-ე მიწისძვრის შედეგად დარჩა უსახლკაროდ, 2 წლის განმავლობაში ცხოვრობდა კარავში, რომელიც შემდეგ განადგურდა, შეყვანილი იყო საკომპენსაციო თანხის გასაცემი ოჯახების სიაში. შესაბამისად, წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის 23.06.05წ. №264 განკარგულებით გათვალისწინებულ სუბიექტს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელე პერიოდულად მიმართავდა ადმინისტრაციულ ორგანოებს კომპენსაციის თანხის გამოყოფის მოთხოვნით. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორი უნდა დაკმაყოფილდეს მთავრობის განკარგულებით გათვალისწინებული კომპენსაციით 5000 ლარით. უსაფუძვლოა კასატორის მოთხოვნა 2005 წლიდან ლარის გაუფასურების გამო საკომპენსაციო თანხის სახით 10000 ლარის გადახდის შესახებ, რამდენადაც განკარგულებით ზუსტად განისაზღვრა თითოეული ოჯახისათვის ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა, ამასთან, კასატორს სსსკ-ის 105-ე მუხლის შესაბამისად, არ წარმოუდგენია მოთხოვნის ამ ნაწილის სათანადო საფუძვლიანობის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორის მოთხოვნა გაზიარებულ უნდა იქნეს ნაწილობრივ და მოპასუხეს – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ნ. ს-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 5000 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

#### გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. ნ. ს-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 19.07.2011წ. განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
2. ნ. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
3. მოპასუხეს – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მოსარჩელის – ნ. ს-ის სასარგებლოდ დაეკისროს 5000 ლარის გადახდა;
4. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## შეჩერებული სახელმწიფო გასაცემლის აღდგენის უზრუნველყოფა

### გაღანყვეტილქა საქართველოს სახელით

№ბს-520-515(კ-11)

15 ნოემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 17 მაისს თ. ხ-ემ, ლ. ღ-ემ, დ. ხ-ემ და ვ. ხ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ არიან 1989 წლის 9 აპრილს თბილისში, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის დროს ქიმიური ნივთიერებით მონაშვლის შედეგად დაზარალებულები. მონაშვლის ფაქტი დაფიქსირებულ იქნა ქ. თბილისის სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის მიერ და აღრიცხვაზე იმყოფებიან საქართველოს საქველმოქმედო ფონდში „9 აპრილი“. სახელმწიფოს მხრიდან მათ მიმართ აღიარებულია რიგი სოციალური გარანტიები. „ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა აღიარებისა და მათი სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ 1999 წლის 30 აპრილის კანონით საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს (შემდგომში შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს) დაევალა ქ.თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულ პირებზე შესაბამისი მონაშვების გაცემა. 9 აპრილის აქციაში მონაწილეთა სოციალური დაცვის გარანტიების მიღების საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მიერ გაცემული 9 აპრილის მონაწილის მონაშვა, რომელიც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 21 მაისის №11/6 ბრძანების მიხედვით, სამინისტროს მიერ გაცემულ ფონდ „9 აპრილის“ დაზარალებულების შესახებ სამედიცინო დასკვნის საფუძველზე.

მოსარჩელეთა განმარტებით, კანონის გამოსვლისთანავე საქველმოქმედო ფონდ „9 აპრილის“ მეშვეობით მიემართა სამინისტროს მონაშვების გაცემის შესახებ, მაგრამ სამინისტროს უმოქმედობის გამო მონაშვები სრულად ვერ იქნა გაცემული და მათთვის დღემდე 9 აპრილის მონაწილის მონაშვა არ მიუციათ, თუმცა მონაშვის არქონის მიუხედავად, ისინი მინისტრის ბრძანებით სოციალური დაცვის გარანტიებით სარგებლობდნენ ფონდ „9 აპრილის“ ცნობის საფუძველზე. საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს 2009 წლის 30 სექტემბრის №... გადაწყვეტილებით კი სოციალური დახმარების მიღება შეუჩერდათ. აღნიშნულის შემდეგ, მათ მიმართეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 9 აპრილის დაზარალებულის მონაშვის გაცემის ხელახალი მოთხოვნით, რაზეც უარი მიიღეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელებმა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის კანონით დაკისრებული მოვალეობის შესრულების – მათთვის 9 აპრილის დაზარალებულთა მონაშვების გაცემის უზრუნველყოფის დავალება, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2009 წლის 18 აგვისტოს №..... წერილით შეჩერებული მათი კუთვნილი სახელმწიფო გასაცემლის აღდგენა და მიუღებელი სახელმწიფო გასაცემლების ანაზღაურება მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 14 ივნისის საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებით თ. ხ-ის, ლ. ღ-ის, დ. ხ-ისა და ვ. ხ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია ის გარემოება, რომ თ. ხ-ე, ლ. ღ-ე და ვ. ხ-ე ნამდვილად იყვნენ 9 აპრილს მონაშვული პირები და იმყოფებოდნენ აღრიცხვაზე საქველმოქმედო ფონდ „9 აპრილი“. ლ. ღ-ეს მოხმარებული ელექტროენერგიისათვის ფულადი კომპენსაცია 2005 წლის 9 მარტიდან დაენიშნა; დ. ხ-ეს და თ. ხ-ეს 2005 წლის 8 ივნისიდან (ძველი თბილისისდიდგორის მომსახურების ცენტრში) დაენიშნათ, ხოლო ვ. ხ-ეს (სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის მომსახურების ცენტრში) 2005 წლის 17 მარტიდან დაენიშნა.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადგინდა მიიჩნია ის გარემოება, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ძველი თბილისის-დიდგორის და გლდანი-ნაძალადევის მომსახურების ცენტრების 2009 წლის 30 სექტემბრის და 2009 წლის 28 სექტემბრის გადანაცვლების საფუძველზე, მოსარჩელებს „9 აპრილის“ მონაწილის უქონლობის გამო შეუჩერდათ სახელმწიფო გასაცემები.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ „ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა აღიარებისა და მათი სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ 1999 წლის 30 აპრილის საქართველოს კანონით დადგინდა ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა სოციალური დაცვის გარანტიების სამართლებრივი საფუძვლები. კანონის მოქმედება გავრცელდა დაზარალებულებზე, რომელთა ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტი დაფიქსირებული იყო ამ კანონის მიღებამდე ანუ 1999 წლის 30 აპრილამდე საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ქ. თბილისის №1 სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრის მიერ. ამავე კანონის მე-8 მუხლის მიხედვით, გარდამავალი დებულებით საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და საქართველოს საქველმოქმედო ფონდს „9 აპრილთან“ შეთანხმებით დაევალა 1999 წლის 1 ივნისამდე უზრუნველყო ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილის საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულ პირებზე შესაბამისი მოწმობების გაცემა.

საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა მოპასუხის – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პოზიცია და განმარტა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/6 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის დანიშნვისა და გაცემის წესის“ მე-15 მუხლის შესაბამისად, სოციალური უფლებების სარეალიზაციოდ 9 აპრილს დაზარალებულთა მხრიდან წარმოსადგენ ერთ-ერთ ძირითად დოკუმენტს „9 აპრილის“ მონაწილის დამადასტურებელი მოწმობა წარმოადგენდა (რომელიც განსაზღვრავდა ამ კატეგორიის პირთა განსაკუთრებული უფლებას სოციალური დაცვის გარანტიებზე). ამავე ბრძანების შესაბამისად, გასაცემების ადმინისტრირებისა და მონიტორინგის პროცესში უფლებების დაზუსტებისა და დადასტურების მიზნით მიიღებოდა გასაცემების შეჩერების გადანაცვლებები, თუ ბენეფიციარის პირად საქმეში არ აღმოჩნდებოდა ამ უფლების დამადასტურებელი ზემოაღნიშნული მოწმობა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა „სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის №4 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტზე, რომლის შესაბამისად პირს საყოფაცხოვრებო სუბსიდიების მიღების უფლება წარმოეშობოდა შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი საბუთის არსებობის შემთხვევაში (მათ შორის იყო 9 აპრილის დარბევის მოწმობა).

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ „ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა აღიარებისა და მათი სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს 1999 წლის 30 აპრილის კანონით „9 აპრილის“ მონაწილის დამადასტურებელი მოწმობებით უზრუნველყოფის გაცემის ვადად განისაზღვრა კონკრეტული თარიღი – 1999 წლის 1 ივნისი. საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, ამ შემთხვევაში კანონმდებელმა გაითვალისწინა სწორედ ის გარემოება, რომ დაზარალებულ პირთა წრე არ იყო ცვალებადი ზრდის გათვალისწინებით და შემოიფარგლებოდა მხოლოდ ამ კანონის მიღებამდე თბილისის №1 სამკურნალო-პროფილაქტიკურ ცენტრში რეგისტრირებული პირებით.

საქალაქო სასამართლოს მითითებით მოწმობებით უზრუნველყოფის ვალდებულება განისაზღვრა ერთგვარად და არა დენადი სახით, კერძოდ, დაზარებულად მიჩნეული იქნენ ის პირები, რომელთა ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტი დაფიქსირებული იყო თბილისის №1 სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრის მიერ ამ კანონის მიღებამდე.

საქალაქო სასამართლომ პერიოდულად შესასრულებელ მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადების ათვლის ნაწილში განმარტა, რომ ხანდაზმულობა იყო ვადა, რომლის განმავლობაშიც პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შეიძლება მოეთხოვა თავისი უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა. ვადაში იგულისხმებოდა დროის განსაზღვრული პერიოდი, რომელსაც კანონმდებელი უკავშირებდა ამა თუ იმ იურიდიული შედეგის დადგომას. თავისი ბუნებით ვადა იყო იურიდიული ფაქტი, რომლის დადგომა ან გასვლა იწვევდა უფლებისა და ვალდებულების წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას. იმის გათვალისწინებით, რომ ვადის გასვლით იფარებოდა პირის მოთხოვნის იძულებით განხორციელების შესაძლებლობა, კანონმდებელი სხვადასხვა სახის მოთხოვნებისათვის ითვალისწინებდა ხანდაზმულობის განსხვავებულ ვადებს. საქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობოდა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, იყო სამი წელი.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელების თ. ხ-ის, ლ. ლ-ის, დ. ხ-ის და ვ. ხ-ის სასარჩელო მოთხოვნა ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ ქმედების განხორციელების, კერძოდ, „9 აპრილის“ მონაწილის ცნობების გაცემის დავალების თაობაზე იყო ხანდაზმული, ვინაიდან, მათ მიერ სარჩელი აღნიშნული მოთხოვნის თაობაზე სასამართლოში აღძრული იქნა 2010 წლის 17 მაისს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის დარღვევით.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ „ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა აღიარებისა და მათი სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად

აღნიშნული კანონის მოქმედება ვრცელდებოდა იმ დაზარალებულებზე, რომელთა ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტი დაფიქსირებული იყო საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ქ. თბილისის №1 სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრის მიერ ამ კანონის მიღებამდე ანუ 1999 წლის 30 აპრილამდე. გარდა ამისა, ამავე კანონის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საქართველოს სოციალური დაცვის შრომისა და დასაქმების სამინისტროს, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და საქართველოს საქველმოქმედო ფონდ „9 აპრილთან“ შეთანხმებით დაევალა 1999 წლის 1 ივნისამდე უზრუნველყო ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილის საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულ პირებზე შესაბამისი მონობების გაცემა. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული ნორმის შინაარსში იგულისხმებოდა, რომ ასეთი მონობის არარსებობა საპატიოდ მიიჩნეოდა, იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ პირს მისი მიღების მოთხოვნა კომპეტენტურ ორგანოში დაფიქსირებული ჰქონდა 1999 წლის 1 ივნისამდე.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ ქ. თბილისის №1 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის 2010 წლის 6 ივლისის ცნობები, აღნიშნულ პროფილაქტიკურ ცენტრში 1989 წლის 12 ოქტომბერს დ. ხ-ის და თ. ხ-ის, ხოლო 1989 წლის 10 ნოემბერს ლ. ღ-ის აღრიცხვაზე აყვანის შესახებ (ანალოგიური ცნობა ვერ იქნა წარმოდგენილი მოსარჩელე ვ. ხ-ესთან მიმართებაში), არ ქმნიდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს, რადგან აღნიშნული ცნობები მოსარჩელეთა მიერ ან „9 აპრილის ფონდის“ მეშვეობით 1999 წლის 1 ივნისამდე არ იყო წარდგენილი შესაბამის კომპეტენტურ ორგანოში.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელეთა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მონობების გაცემა არ იყო ერთჯერადი აქტი და ის 1999 წლის 1 ივნისისთვის არ დასრულებულა. საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 21 მაისის №116/ნ ბრძანება ეხებოდა მონობების გაცემას, მხოლოდ იმ პირებზე, რომლებმაც 1999 წლის 1 ივნისამდე მონობების მიღების მოთხოვნა დააფიქსირეს კომპეტენტურ ორგანოში.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელებს – თ. ხ-ეს, ლ. ღ-ეს, დ. ხ-ეს, ვ. ხ-ეს მათი უფლებების რეალიზაცია არ მოუხდენიათ კანონის მოქმედების პერიოდში, ამდენად, კანონით მინიჭებული უფლება მისი არსებობის პერიოდში მოსარჩელეთა მიერ გამოყენებული არ ყოფილა, შესაბამისად, მოთხოვნის წარმოშობის მომენტისათვის არ არსებობდა მოთხოვნის დაკმაყოფილების კანონისმიერი საფუძველი.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ კანონით მინიჭებული უფლების არსებობა არ ავალდებულებს პირს გამოიყენოს ეს უფლება. ამ შემთხვევაში წინ არის წამოწეული ნების პრეზუმფცია, რაც ემყარება პირის ავტონომიურობისა და დისპოზიციურობის პრინციპს და ნიშნავს იმას, რომ პირს შეუძლია ეს უფლება გამოიყენოს ან უარი თქვას ამ უფლების გამოყენებაზე. იმავდროულად არსებითაა, რომ უფლების რეალიზების მოთხოვნა დროში ემთხვეოდეს უფლების არსებობის მომენტს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოთხოვნას ეცლება კანონისმიერი საფუძველი, რასაც სასამართლოს მოსაზრებით, ადგილი ჰქონდა წინამდებარე შემთხვევაში.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა იყო დაუსაბუთებელი და არ არსებობდა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს თ. ხ-ემ, ლ. ღ-ემ, დ. ხ-ემ და ვ. ხ-ემ. აპელანტებმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 15 დეკემბრის განჩინებით თ. ხ-ის, ლ. ღ-ის, დ. ხ-ისა და ვ. ხ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივი შეფასებები და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიუთითა მათზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 15 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს თ. ხ-ემ, ლ. ღ-ემ, დ. ხ-ემ და ვ. ხ-ემ. კასატორებმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

კასატორების განმარტებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მიერ მონობების გაცემა ერთჯერადი პროცესი არ ყოფილა, ანუ ყველა დაზარალებულისათვის ერთიანად, ერთ დღეს არ გაცემულა მონობა. მონობები გაიცემოდა ეტაპობრივად, კანონის მიღების შემდეგ.

კასატორების მოსაზრებით, სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლი ეხებოდა სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადას და სამართლებრივი ვადა, რომელიც წარმოშობილი იყო მოსარჩელებსა და მოპასუხეს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან წარმოშობილ ვადას არ განეკუთვნებოდა.

კასატორების მოსაზრებით, ისინი არ იყვნენ ვალდებული შესაბამისი მონობის გაცემის მოთხოვნით მიემართათ სამინისტროსათვის, ვინაიდან, საკითხის სწორად შესწავლა და მისი დეტალურად გამოკვლევა კანონის მიხედვით სამინისტროს პრეროგატივას წარმოადგენდა. კანონის თანახმად, საკითხი სამინისტროს ფონდ „9 აპრილთან“ ერთად უნდა შეესწავლა (რაც ფონდის მიერ დაზარალებულთა სიების მისთვის გადაცემაში გამოიხატებოდა) და შემდეგ „უზრუნველყო“ შესაბამისი მონობების გაცემა.

კასატორები მიუთითებდნენ, რომ ის ფაქტი რომ სამინისტროში თითქოსდა არ იქნა წარდგენილი შესაბამისი ცნობები, სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. ქ. თბილისის №1 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენ-

ტრის და საქველმოქმედო ფონდ „9 აპრილის“ მიერ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების შედეგად დაზარალებულთა ერთიანი სია (პირების, რომლებიც აღრიცხვაზე იმყოფებოდნენ ქ. თბილისის №1 სამკურნალო-პროფილაქტიკურ ცენტრში) გადაეცა რამდენჯერმე.

კასატორების განმარტებით, საქმეში იყო წარდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები, რომ ისინი აღრიცხვაზე იმყოფებოდნენ, როგორც ქ. თბილისის №1 სამკურნალო-პროფილაქტიკურ ცენტრში, ასევე 9 აპრილის საქველმოქმედო ფონდში. კასატორების მითითებით, კანონი ვრცელდება მათზე და ყველა ის სოციალური შეღავათი, რასაც ეს კანონი ითვალისწინებს, მათ ეკუთვნით, მაგრამ იმისათვის რომ ისარგებლონ ამ შეღავათებით, საჭიროა შესაბამისი მონაცემები, რომელიც ვერ მიიღეს.

კასატორებმა არ გაიზიარეს სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ 1999 წლის 1 ივნისის შემდეგ ამ მონაცემების გაცემა არ შეიძლებოდა.

კასატორების განმარტებით, „ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილის საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა აღიარებისა და მათი სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ კანონის საფუძველზე, 2003 წლის 21 მაისს საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა გამოსცა ბრძანება №116/ნ „ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულ პირებზე უფლებების დამადასტურებელი მონაცემების ერთიანი ნიმუშისა და მისი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა „9 აპრილის“ მონაცემების გაცემის პროცედურები. კასატორების მოსაზრებით, ამ ბრძანებამ ფაქტობრივად ამოავსო ის ნაკლი რაც ჰქონდა ზემოაღნიშნულ კანონს, კერძოდ, ვინაიდან, მასში არ იყო გათვალისწინებული მონაცემების გაცემის პროცედურების დეტალები, ამ დეტალებმა ასახვა ჰპოვა მინისტრის ბრძანებაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 24 მარტის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული თ. ხ-ის, ლ. ლ-ის, დ. ხ-ისა და ვ. ხ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 9 ივნისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებად იქნა ცნობილი თ. ხ-ის, ლ. ლ-ის, დ. ხ-ისა და ვ. ხ-ის საკასაციო საჩივარი.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თ. ხ-ის, ლ. ლ-ის, დ. ხ-ისა და ვ. ხ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში არსებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: კასატორები – თ. ხ-ე, დ. ხ-ე, ლ. ლ-ე და ვ. ხ-ე არიან ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებული – მონამღული პირები და იმყოფებიან აღრიცხვაზე საქველმოქმედო ფონდში „9 აპრილი“. ლ. ლ-ეს ფულადი კომპენსაცია დაენიშნა 2005 წლის 9 მარტიდან, დ. ხ-ეს და თ. ხ-ეს 2005 წლის 8 ივნისიდან (ძველი თბილისისდიდგორის მომსახურების ცენტრში), ხოლო ვ. ხ-ეს (სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის მომსახურების ცენტრში) 2005 წლის 17 მარტიდან. კასატორებზე – თ. ხ-ეზე, დ. ხ-ეზე, ლ. ლ-ესა და ვ. ხ-ეზე „ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა აღიარებისა და მათი სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი მონაცემების გაცემა არ მომხდარა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ძველი თბილისის-დიდგორის და გლდანი-ნაძალადევის სააგენტოების 2009 წლის 28 სექტემბრისა და 30 სექტემბრის №... გადაწყვეტილებების საფუძველზე, მოსარჩელეებს შეუჩერდათ სახელმწიფო გასაცემლები „9 აპრილის“ მონაცემების მონაცემების უქონლობის გამო, ხოლო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის წერილით მოსარჩელეებს უარი ეთქვათ 9 აპრილის დაზარალებულების მონაცემების გაცემაზე იმ მოტივით, რომ მონაცემების გაცემის ვადა „ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა აღიარებისა და მათი სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონის გარდამავალი დებულებით განსაზღვრული იყო 1999 წლის 1 ივნისამდე.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგინდად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ თ. ხ-ის, დ. ხ-ისა და ლ. ლ-ის დაზიანების ფაქტი „ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა აღიარებისა და მათი სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე – 1999 წლის 30 აპრილამდე დაფიქსირებული იქნა ქ. თბილისის №1 სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრის მიერ და თ. ხ-ე, დ. ხ-ე და ლ. ლ-ე 1989 წელს აღრიცხვაზე არიან აყვანილნი ქ. თბილისის №1 სამკურნალო-პროფილაქტიკურ ცენტრში.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მონიშნულ მხარის მითითებას იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელეთა დაზიანების შესახებ ზემოაღნიშნული ცნობები არ ფიქსირდება მოპასუხე ადმინისტრაციულ

ორგანოში. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილებზე (რომლებიც სადავოდ არ გაუხდია მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს), რომლითაც დასტურდება, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში წარდგენილი იქნა აღნიშნულ ცენტრში აღრიცხვაზე მყოფ 1989 წლის 9 აპრილს მონამულთა სიები და აღნიშნულ სიებში დაფიქსირებული იყო – ლ. ლ-ე, თ. ხ-ე და დ. ხ-ე.

საქმეში ასევე წარმოდგენილია სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრიდან, დ. ხ-ეზე, ლ. ლ-ესა და თ. ხ-ეზე, სადაც დაფიქსირებულია მათი სამკურნალო პროფილაქტიკურ ცენტრში აღრიცხვაზე აყვანის პერიოდი. ცნობაში აღწერილია, რომ ლ. ლ-ე შპს №1 სამკურნალო-პროფილაქტიკურ ცენტრში აღრიცხვაზე აყვანილია 1989 წლის 10 ნოემბერს, თ. ხ-ე და დ. ხ-ე კი 1989 წლის 12 ოქტომბერს. ამასთან, მოსარჩელების მიერ წარმოდგენილ იქნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილები, რომლებიც ადასტურებენ ცენტრში აღრიცხვაზე მყოფ 1989 წლის 9 აპრილს მონამულთა სიების სამინისტროში წარდგენის და აღნიშნულ სიებში ლ. ლ-ის, თ. ხ-ისა და დ. ხ-ის არსებობის ფაქტს.

საკასაციო სასამართლოს ასევე დადგენილად მიაჩნია ის გარემოება, რომ ვ. ხ-ე არ არის რეგისტრირებული ქ. თბილისის №1 სამკურნალო-პროფილაქტიკურ ცენტრში. აღნიშნულს ადასტურებენ თავად მოსარჩელებიც და იმ გარემოებაზე მიუთითებენ, რომ ვინაიდან, ვ. ხ-ე იყო კომუნისტური პარტიის წევრი და თავისი პარტიული და სამსახურებრივი ნიშნის გამო ვერ დარეგისტრირდა თავისი სახელით, მას აღრიცხვა გავლილი აქვს ხ-ძე ა-ეს სახელით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის მოსარჩელებზე 9 აპრილის დაზარალებულის მონმობების (ცნობების) გაცემის დავალება, შეჩერებული სახელმწიფო გასაცემლების აღდგენის და მიუღებელი სახელმწიფო გასაცემლის ანაზღაურების უზრუნველყოფა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა აღიარებისა და მათი სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს 1999 წლის 30 აპრილის კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულად მიიჩნევიან: ა) დალუპულთა ოჯახის წევრები; შრომისუუნარო მშობლები; მეუღლე, რომელიც შემდეგ აღარ დაქორწინებულა; არასრულწლოვანი შვილი ან/და ნაშვილები; ბ) დაინვალიდებული პირები; გ) მიღებული ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების ან/და ქიმიური ნივთიერებით მონამვლის შედეგად დაზარალებული პირები. საქმეზე დადგენილია, რომ კასატორები – თ. ხ-ე, დ. ხ-ე, ლ. ლ-ე და ვ. ხ-ე არიან ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებული – მონამული პირები.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მითითებული კანონის მე-2 მუხლის თანახმად, კანონის მოქმედება ვრცელდება ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად: ა) დალუპულთა ოჯახის წევრებზე და ბ) დაზარალებულებზე, რომელთა ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტი დაფიქსირებული იყო საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ქ. თბილისის №1 სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრის მიერ, ამ კანონის მიღებამდე. ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული კანონის მოქმედება და შესაბამისად ხსენებული კანონით გათვალისწინებული სოციალური დაცვის გარანტიების მიღების უფლება მოიპოვეს იმ დაზარალებულებმა, რომელთა ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტი დაფიქსირებულია საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ქ. თბილისის №1 სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრის მიერ ამ კანონის მიღებამდე ანუ 1999 წლის 30 აპრილამდე. საქმეზე დადგენილია, რომ თ. ხ-ის, დ. ხ-ისა და ლ. ლ-ის დაზიანების ფაქტი „ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა აღიარებისა და მათი სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე 1999 წლის 30 აპრილამდე დაფიქსირებული იქნა ქ. თბილისის №1 სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრის მიერ და თ. ხ-ე, დ. ხ-ე და ლ. ლ-ე 1989 წელს აღრიცხვაზე არიან აყვანილნი ქ. თბილისის №1 სამკურნალო-პროფილაქტიკურ ცენტრში. ამდენად, თ. ხ-ე, დ. ხ-ე და ლ. ლ-ე აკმაყოფილებენ ზემოაღნიშნული კანონის მოთხოვნებს და ექცევიან მისი რეგულირების სფეროში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოწინააღმდეგე მხარე აღნიშნულ ფაქტს არასაკმარისად მიიჩნევს და განმარტავს, იმისათვის რათა პირმა შეძლოს და ისარგებლოს აღნიშნული კანონით გათვალისწინებული შეღავათებით, საჭიროა შესაბამისი მონმობის არსებობა, რაც მოსარჩელებმა კანონით დადგენილ ვადაში ვერ მიიღეს. „ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა აღიარებისა და მათი სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, გარდასავალი დებულებით საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და საქართველოს საქველმოქმედო ფონდ „9 აპრილთან“ შეთანხმებით დაევალა 1999 წლის 1 ივნისამდე უზრუნველყო ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილის საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულ პირებზე შესაბამისი მონმობების გაცემა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული საკითხის სწორედ გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია „ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა აღიარებისა და მათი სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ კანონის არსის და აღნიშნული კანონით გარანტირებული უფლებების წარმოშობის საფუძვლების დადგენა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ნორმის განმარტებისას აუცილებელია გამოსაყენებელი ნორმის ნამდვილი არსის გარკვევა და კანონმდებლის კონკრეტული მიზნის დადგენა.

„ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა აღიარებისა და მათი სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ კანონის მე-8 მუხლით (გარდამავალი დებულებანი) განისაზღვრა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვალდებულება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს საქველმოქმედო ფონდ „9 აპრილთან“ შეთანხმებით, 1999 წლის 1 ივნისამდე უზრუნველყო ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულ პირებზე შესაბამისი მოწოდებების გაცემა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ხსენებული ნორმა არ არის მიმართული მოქალაქეებისადმი და ადგენს საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს ვალდებულებას შეასრულოს კანონით გათვალისწინებული მოქმედება გარკვეული დროის პერიოდში. თავად ნორმის შინაარსიდან გამომდინარე კი, უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული ნორმა წარმოადგენს ზოგად წესს, რომლის განხორციელების საშუალება კანონქვემდებარე აქტით რეგულირდება. სწორედ ასეთ კანონქვემდებარე აქტს წარმოადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება 2003 წლის 21 მაისის №116/ნ ბრძანება „ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულ პირებზე უფლებების დამადასტურებელი მოწმობის ერთიანი ნიმუშისა და მისი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ (ძალადაკარგულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 6 ივნისის №01-30/ნ ბრძანებით).

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორების შეფასებას და აღნიშნავს, რომ კონკრეტული ვადა გარდამავალი დებულების სახით მითითებული იყო იმის გამო, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ეფექტურად მომხდარიყო მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულება და არ წარმოადგენდა მოქალაქეთა შემზღუდველ ნორმას. ამდენად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ თ. ხ-ემ, ლ. ლ-ემ და დ. ხ-ემ ნების გამოვლენა ნამდვილი და მოპოვებული უფლების პირობებში მოახდინეს (მოწმობების გაცემა მოითხოვეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 21 მაისის №116/ნ ბრძანების მოქმედების პერიოდში) და აღნიშნული ფუნქცია კვლავ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციაში რჩება (ვინაიდან, მოწმობის დაკარგვის შემთხვევაში აღნიშნული დოკუმენტების დუბლიკატების გაცემის მოვალეობა სწორედ მას ეკისრება), საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოწინააღმდეგე მხარე – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ვალდებულია გასცეს – თ. ხ-ეზე, ლ. ლ-ესა და დ. ხ-ეზე 9 აპრილის დაზარალებულების მოწმობები.

საკასაციო სასამართლოს ასევე მნიშვნელოვნად მიაჩნია მიუთითოს კანონის მიზანზე, რაც ამავე კანონის პირველ მუხლშია დაკონკრეტებული, კერძოდ, კანონის მიზანს წარმოადგენს ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა სოციალური დაცვის გარანტიების სამართლებრივი საფუძვლების შექმნა. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ხსენებული უფლების რეალიზაცია დაკავშირებულია დაზარალებულ პირად აღიარებასა და მასზე მოქმედების სფეროს გავრცელებასთან. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ თ. ხ-ე, ლ. ლ-ე და დ. ხ-ე მიეკუთვნებიან აღნიშნულ პირთა კატეგორიას და ისინი ექცევიან აღნიშნული კანონის მოქმედების სფეროში, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მათ უფლება აქვთ ისარგებლონ იმ სოციალური გარანტიებით, რაც აღნიშნული კანონის საფუძველზე ხსენებული კატეგორიის პირებს გააჩნიათ.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს განმარტებას იმის თაობაზე, რომ 9 აპრილის დაზარალებულის დამადასტურებელი საბუთი მოწმობა არის სოციალური დაცვის გარანტიებზე მოთხოვნის წარდგენის საფუძველი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ აღნიშნული განმარტება არ გამომდინარეობს განსახილველი შემთხვევიდან, ვინაიდან, „სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის №4 დადგენილების 1-ლი პუნქტით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება დაკავშირებულია უფლების წარმოშობასთან, მაშინ როდესაც საქმის მასალებით უდავოდ დადგენილია, რომ თ. ხ-ეს, ლ. ლ-ესა და დ. ხ-ეს ხსენებული უფლება უკვე წარმოეშვათ (ისინი წლების მანძილზე სარგებლობდნენ აღნიშნული გარანტიებით), რის გამოც მათზე უნდა გავრცელებულიყო ამავე მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს ხელახალ რეგისტრაციას იმ პირთათვის, ვინც არ იმყოფება კომპეტენტურ ორგანოში აღრიცხვაზე, რაც თ. ხ-ის, ლ. ლ-ისა და დ. ხ-ის შემთხვევაში სახეზეა.

რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნებს ვ. ხ-ის ნაწილში, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება ის გარემოება, რომ ვ. ხ-ე იყო რეგისტრირებული ქ. თბილისის №1 სამკურნალო-პროფილაქტიკურ ცენტრში. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვ. ხ-ემ ვერ დაადასტურა ის გარემოება, რომ ის აკმაყოფილებს ხსენებული კანონის მე-2 მუხლის იმპერატიულ დანაწესს,

რის გამოც მასზე ვერ გავრცელდება აღნიშნული კანონის მოქმედება, შესაბამისად ის ვერ იქონიებს სამართლებრივ საფუძველს სოციალური დაცვის გარანტიების მიღებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თ. ხ-ის, ლ. ლ-ის, დ. ხ-ისა და ვ. ხ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 15 დეკემბრის განჩინება და მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, თ. ხ-ის, ლ. ლ-ისა და დ. ხ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს, ვ. ხ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უნდა დაევალოს თ. ხ-ეზე, ლ. ლ-ეზე და დ. ხ-ეზე 9 აპრილის დაზარალებულთა მონმობების გაცემის უზრუნველყოფა, ასევე თ. ხ-ის, ლ. ლ-ისა და დ. ხ-ისათვის შეჩერებული სახელმწიფო გასაცემლის აღდგენის და მიუღებელი სახელმწიფო გასაცემლის ანაზღაურების უზრუნველყოფა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

#### გ ა ლ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. თ. ხ-ის, ლ. ლ-ის, დ. ხ-ისა და ვ. ხ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 15 დეკემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. თ. ხ-ის, ლ. ლ-ისა და დ. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალოს თ. ხ-ეზე, ლ. ლ-ეზე და დ. ხ-ეზე 9 აპრილის დაზარალებულთა მონმობების გაცემის უზრუნველყოფა;
5. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალოს თ. ხ-ის, ლ. ლ-ისა და დ. ხ-ისათვის შეჩერებული სახელმწიფო გასაცემლის აღდგენის უზრუნველყოფა;
6. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს თ. ხ-ეზე, ლ. ლ-ეზე და დ. ხ-ეზე მიუღებელი სახელმწიფო გასაცემლის ანაზღაურება;
7. ვ. ხ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
8. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### ერთჯერადი დახმარების გაცემა სამსახურო მოსამსახურის დაღუპვისას

#### გაღანყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-270-266(კ-12)

15 ნოემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 21 სექტემბერს ი. ს-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2008 წლიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ლ. ო-ესთან, რომელიც წლების განმავლობაში მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში. 2010 წლის 17 აპრილს ლ. ო-ე გარდაიცვალა მწვავე ლეიკემიით. მოსარჩელის განმარტებით, მან განცხადებით მიმართა სადაზღვევო კომპანია „...“ და მეუღლის ლ. ო-ის გარდაცვალებასთან დაკავშირებული შემთხვევის ანაზღაურება მოითხოვა, რაზეც სადაზღვევო კომპანია „...“ უთხრა უარი იმ საფუძველით, რომ ლ. ო-ე გარდაიცვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, რაზედაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა დაზღვევა არ ვრცელდებოდა. მოსარჩელემ განცხადებით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტისა და „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ერთჯერადი დახმარების სახით 15 000 ლარის ანაზღაურება მოითხოვა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2011 წლის 26 აგვისტოს წერილით მას უარი ეთქვა თანხის ანაზღაურებაზე იმ საფუძველით, რომ ლ. ო-ის გარდაცვალების ფაქტი არ იყო მიზეზობრივ კავშირში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან, რაც მოსარჩელემ უკანონოდ მიიჩნია.



აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2011 წლის 26 აგვისტოს №... აქტის ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ, მისი მეუღლის ლ. ო-ის სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს გარდაცვალებასთან დაკავშირებით ერთჯერადი დახმარების სახით, კანონით განსაზღვრული 15 000 ლარის ანაზღაურების დავალდებულება მოითხოვა.

2011 წლის 16 ნოემბრის სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და საბოლოოდ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის ი. ს-ის სასარგებლოდ ერთჯერადი კომპენსაციის სახით 15 000 ლარის ანაზღაურების დავალდებულება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებით ი. ს-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ლ. ო-ე 1999 წლის 4 ივლისიდან მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში. ლ. ო-ე გარდაიცვალა 2010 წლის 17 აპრილს. გარდაცვალების მიზეზი იყო პოლიორგანული უკმარისობა, განვითარებული ლიმფოლიეიკოზის შედეგად. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2010 წლის 31 მაისის №... ბრძანებით, საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების ქვეითი ბრიგადის უზრუნველყოფის ბატალიონის ... ოცეულის მე-1-ი (შტატი №8/680-1), ... კაპიტანი ლ. ო-ე 2010 წლის 18 აპრილიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და ამოირიცხა საქართველოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის სიებიდან გარდაცვალების გამო. 2010 წლის 7 დეკემბერს გაცემული სამკვიდრო მონუმბით ლ. ო-ის დანაშთ ქონებაზე მემკვიდრეებად სამ მეხუთედ ნაწილში ცნობილი იქნენ მეუღლე – ი. ს-ი, შვილები ა. ო-ე და ც. ო-ე.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ 2010 წლის 14 სექტემბერს ი. ს-მა განცხადებით მიმართა სადაზღვევო კომპანია „...“ და მეუღლის – ლ. ო-ის გარდაცვალებასთან დაკავშირებული შემთხვევის ანაზღაურება მოითხოვა. სადაზღვევო კომპანია „...“ 2011 წლის 3 ივნისის №... ნერილით ი. ს-ს უარი ეთქვა შემთხვევის ანაზღაურებაზე იმ საფუძველით, რომ ლ. ო-ე „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გარდაიცვალა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს, რაზეც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა სამედიცინო დაზღვევა არ ვრცელდებოდა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ 2011 წლის 11 ივლისს ი. ს-მა განცხადებით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტისა და „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ერთჯერადი დახმარების სახით 15 000 ლარის ანაზღაურება მოითხოვა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2011 წლის 26 აგვისტოს ნერილით ი. ს-ს უარი ეთქვა ერთჯერადი დახმარების გაცემაზე იმ საფუძველით, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული სამსახურეობრივი მოკვლევის თანახმად, ლ. ო-ის გარდაცვალების ფაქტი არ იყო მიზეზობრივ კავშირში სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებასთან.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ლ. ო-ის გარდაცვალება არ იყო გამომწვეული მასზე დაკისრებული სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების შედეგად, არც იყო დაკავშირებული მასზე დაკისრებული სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებასთან. ლ. ო-ის გარდაცვალება არ იყო დაკავშირებული სამხედრო სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებასთან.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას სამხედრო მოსამსახურის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიეცემა ერთჯერადი დახმარება 15 000 ლარის ოდენობით. ანალოგიურ დათქმას ითვალისწინებდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 26 სექტემბრის №560 ბრძანების მე-40 პუნქტიც, რომლის შესაბამისად, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურის ან სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირის დაღუპვის, ან მიღებული ტრავმის შედეგად გამოწვეული ავადმყოფობით გარდაცვალების შემთხვევაში, თუ დადგენილი არ არის ამ ბრძანების 42<sup>1</sup> ქ პუნქტით განსაზღვრული გარემოებები, მის ოჯახს მიეცემა ერთჯერადი დახმარება 15 000 ლარის ოდენობით და დაკრძალვის ხარჯები 500 ლარის ოდენობით.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, მითითებული ნორმები დაღუპული სამხედრო მოსამსახურის ოჯახისთვის კომპენსაციის გაცემას ითვალისწინებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დაიღუპა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას, ხოლო თუ რა ითვლებოდა სამხედრო მოსამსახურის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დამადასტურებელ პირობად, განსაზღვრული იყო „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტით. მართალია, მითითებული ნორმა სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო ვალდებულების მოხდასთან და სამხედრო სამსახურის გავლასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობის რეგულირების მიზნით, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დამადასტურებელ ერთ-ერთ პირობად მიიჩნევა სამხედრო მოსამსახურის სამკურნალოდ ყოფნას, მაგრამ მხოლოდ ის გარემოება, რომ სამხედრო მოსამსახურე გარ-

დაიცვალა სამკურნალოდ ყოფნის დროს, სასამართლოს აზრით, ვერ გახდებოდა ზემოაღნიშნული ნორმით კომპენსაციის გაცემის საფუძველი.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის სწორედ შეფარდებისა და სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებით გამოწვეული სამხედრო მოსამსახურის დაღუპვის შემთხვევის დაკვალიფიცირებისათვის, გადამწყვეტი იყო სამხედრო მოსამსახურის მიერ მასზე დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასა და სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალებას შორის პირდაპირი მიზეზობრივი კავშირის არსებობა, კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში, გარდა იმისა, რომ ლ. ო-ე გარდაიცვალა სამკურნალო დაწესებულებაში, რაც ითვლებოდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დამადასტურებელ პირობად, უნდა დადგენილიყო, გარდაცვალება გამოწვეული იყო თუ არა სწორედ იმის შედეგად, რომ მან თავისი სამსახურებრივი მოვალეობა შეასრულა ან ასეთ მოვალეობას ასრულებდა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ ლ. ო-ე გარდაიცვალა ლიმფოლიეკოზის შედეგად განვითარებული პოლიორგანული უკმარისობით, რაც ვერ ჩაითვლებოდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპვის შემთხვევად, რადგან სიკვდილი დადგა დამოუკიდებელი მიზეზით, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე. ამასთან, საქმის მასალებით არ დგინდებოდა და არც მხარის მიერ გამხდარა სადავოდ, რომ დაავადება, რომელმაც გამოიწვია სიკვდილი, განვითარდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ნიადაგზე. შესაბამისად, გარდაცვალების მიზეზი არ იყო პირდაპირი მიზეზობრივი კავშირში მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან. ამდენად, სასამართლომ ჩათვალა, რომ არ დგინდებოდა პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი ლ. ო-ის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასა და მის გარდაცვალებას შორის, რაც სასამართლოს აზრით გამოირიცხავდა ზემოაღნიშნული მე-16 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ერთჯერადი კომპენსაციის გაცემას.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით საკმარისი არ იყო მხოლოდ პირის სამსახურში გარდაცვალების ფაქტი, კომპენსაციის გაცემისათვის აუცილებელი იყო მიზეზობრივი კავშირის დადგენა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასა და გარდაცვალების ფაქტთან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. ს-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 14 თებერვლის განჩინებით ი. ს-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივი შეფასებები და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიუთითა მათზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 14 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. ს-მა. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად ის ფაქტი, რომ ლ. ო-ის გარდაცვალება არ იყო გამოწვეული მასზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებით. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება დადგენილი იქნა სსიპ სასამართლოს ეროვნული ბიუროს სასამართლოს სამედიცინო ექსპერტიზის სამსახურის მიერ გაცემული დასკვნის, ასევე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის დასკვნის საფუძველზე, სადაც მითითებული იყო, რომ 2010 წლის 31 მაისს, გორის სამხედრო ჰოსპიტალიდან შემოსული წერილის მიხედვით: „ლ. ო-ის დაავადება, მწვავე ლეიკემია, თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლა, წარმოადგენდა ჰემატოლოგიურ და თავის ტვინის სისხლძარღვოვან დაავადებას და მისი განვითარება არ იყო დაკავშირებული სამხედრო სამსახურებრივ მოვალეობის შესრულებასთან“. კასატორის აზრით, სასამართლომ არასწორად გამოიყენა ზემოაღნიშნული მტკიცებულება, რის გამოც არასწორად იქნა დადგენილი ფაქტობრივი გარემოება. ის მიუთითებს რომ ლ. ო-ე გარდაიცვალა მწვავე ლეიკემიით და არა სისხლძარღვოვანი დაავადებით, რასაც ადასტურებდა შპს „...“ მიერ 2011 წლის 17 ნოემბერს გაცემული ცნობა, რომლის მიხედვითაც ძირითად დაავადებას წარმოადგენდა მწვავე მიელო-მონობლასტური ლეიკემია, რომლის ფონზეც განვითარდა თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლა. ლ. ო-ე მკურნალობას გადიოდა და გარდაიცვალა აღნიშნულ კლინიკაში და მისი გარდაცვალების გამომწვევი მიზეზის შესახებ ინფორმაციას წარმოადგენდა სწორედ აღნიშნული კლინიკის მიერ გაცემული ცნობა და არა გენერალური ინსპექციის დასკვნაში გორის სამხედრო ჰოსპიტალის წერილის საფუძველზე მითითებული ინფორმაცია, რომელიც სარწმუნო ვერ იქნებოდა, რადგან ლ. ო-ემ როდესაც მიმართა გორის სამხედრო ჰოსპიტალს, იგი იმ დღესვე იქნა გადაყვანილი შპს „...“.

კასატორმა აღნიშნა, რომ სასამართლომ მტკიცებულებად გამოიყენა არა გორის სამხედრო ჰოსპიტალის წერილი (რომელიც არ იყო საქმეში წარმოადგენილი), არამედ დაეყრდნო გენერალური ინსპექციის დასკვნაში მითითებულ აღნიშნული წერილის შინაარსს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ლ. ო-ის გარდაცვალება გამოწვეული იყო უეცრად განვითარებული მწვავე ლეიკემიით, რომელიც უკავშირდებოდა სამსახურებრივ მოვალეობის შესრულებას და არანაირი კავშირი არ ჰქონდა ორგანულ დაავადებებთან, ვინაიდან, მას სისტემატურად უტარდებოდა სამედიცინო შემოსწმება და იყო სრულიად ჯანმრთელი.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, მაგრამ არასწორად განმარტა იგი. კერძოდ, სასამართლომ იხელმძღვანელა „სამხედრო ვალდებულების და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით, რომლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დამადასტურებელ ერთ-ერთ პირობად ითვლება სამკურნალოდ ყოფნა. სასამართლომ არასწორად განმარტა ეს ნორმა და აღნიშნა, რომ ის გარემოება, რომ სამხედრო მოსამსახურე გარდაიცვალა სამკურნალოდ ყოფნის პერიოდში, ვერ გახდებოდა კომპენსაციის გაცემის საფუძველი, ვინაიდან, არ დგინდებოდა პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასა და გარდაცვალებას შორის. თუმცა ზემოაღნიშნულ კანონში არ იყო დათქმა იმის შესახებ, რომ ადგილი უნდა ჰქონოდა მიზეზობრივი კავშირის არსებობას.

კასატორის მითითებით „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო ვალდებულების მოხდასთან და სამხედრო სამსახურის გავლასთან დაკავშირებული სამართალური თეორიის რეგულირების მიზნით, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დამადასტურებელ პირობად ითვლებოდა: სამსახურებრივ მივლინებაში ან სამკურნალოდ ყოფნა. ო-ე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას შეიქმნა ცუდად, რის გამოც მიაკითხა გორის სამხედრო ჰოსპიტალს, რის შემდეგაც გადაყვანილ იქნა შპს „...“, სადაც 2 დღეში გარდაიცვალა. გამომდინარე აქედან, იგი გარდაიცვალა სამკურნალოდ ყოფნის დროს, რომელიც ითვლებოდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დამადასტურებელ პირობად. „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად: „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამხედრო მოსამსახურის დაღუპვის შემთხვევაში, მის ოჯახს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიეცემა ერთჯერადი დახმარება 15 000 ლარის ოდენობით და დაკრძალვის ხარჯები 500 ლარის ოდენობით“. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 26 სექტემბრის №526 ბრძანება აკონკრეტებს, რომ გათვალისწინებული პირების მიმართ ერთჯერადი დახმარების ვალდებულება არ წარმოიშვება თუ, არსებობს ან დგინდება ვალდებულების შემდეგი გამომრიცხავი გარემოებები: ა) ამ ბრძანების 38, 38<sup>1</sup>, მე-40 პუნქტებით გათვალისწინებული პირები განზრახ ან/და უხეში გაუფრთხილებლობით არ შეეცადნენ სამართლებრივი გზებით თავიდან აეცილებინათ ამავე პუნქტებში განსაზღვრული შედეგები; ბ) ამ პუნქტებით განსაზღვრული შედეგები წარმოადგენენ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ან/და ექსპლუატაციის და უსაფრთხოების ნორმების ან/და წინდახედულობის ნორმების უხეში დარღვევის შედეგს.

კასატორის მოსაზრებით, ყველა სხვა შემთხვევაში, როდესაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპა სამხედრო მოსამსახურე, მის ოჯახს მიეცემა ერთჯერადი დახმარების სახით 15 000 ლარი. განსახილველ შემთხვევაში ლ. ო-ის გარდაცვალება გამონეული არ ყოფილა ზემოაღნიშნული გარემოებების გამო და ეს დადგენილიც არ ყოფილა სასამართლოს მიერ. კასატორის აზრით, სასამართლოს მიერ არასწორად მოხდა გამოყენებულ კანონთა განმარტება, რაც გახდა უკანონო გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 23 მარტის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ი. ს-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 17 მაისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ი. ს-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაიწყო მხარეთა დასწრებით 2012 წლის 14 ივნისს 13:00 საათზე.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი. ს-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში არსებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: კასატორის – ი. ს-ის მეუღლე ლ. ო-ე 1999 წლის 4 ივლისიდან მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში. ლ. ო-ე გარდაიცვალა 2010 წლის 17 აპრილს. გარდაცვალების მიზეზი იყო პოლიორგანული უკმარისობა, განვითარებული ლიმფოლეიკოზის შედეგად. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2010 წლის 31 მაისის №... ბრძანებით, საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების ქვეითი ბრიგადის უზრუნველყოფის ბატალიონის ... ოცეულის მეთაური (შტატი №8/680-1), ... კაპიტანი ლ. ო-ე 2010 წლის 18 აპრილიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და ამორიცხა საქართველოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის სიებიდან გარდაცვალების გამო. 2010 წლის 7 დეკემბერს გაცემული სამკვიდრო მონობით ლ. ო-ის დანაშთ ქონებაზე მემკვიდრეებად სამ მეხუთედ ნაწილში ცნობილი არიან მეუღლე – ი. ს-ი, შვილები ა. ო-ე და ც. ო-ე.

საკასაციო სასამართლო ასევე დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ 2010 წლის 14 სექტემბერს ი. ს-მა განცხადებით მიმართა სადაზღვევო კომპანია „...“ და მეუღლის – ლ. ო-ის გარდაცვალებასთან დაკავშირებული შემთხვევის ანაზღაურება მოითხოვა. სადაზღვევო კომპანია „...“ 2011 წლის 3 ივნისის №... ნებრით ი. ს-ს უარი ეთქვა შემთხვევის ანაზღაურებაზე იმ საფუძველით, რომ ლ. ო-ე „სამხედრო ვალდებუ-

ლებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“ ქვე-პუნქტის შესაბამისად, გარდაიცვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, რაზეც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა სამედიცინო დაზღვევა არ ვრცელდებოდა.

2011 წლის 11 ივლისს ი. ს-მა განცხადებით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტისა და „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ერთჯერადი დახმარების სახით 15 000 ლარის ანაზღაურება მოითხოვა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2011 წლის 26 აგვისტოს წერილით ი. ს-ს უარი ეთქვა ერთჯერადი დახმარების გაცემაზე იმ საფუძველზე, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული სამსახურებრივი მოკვლევის თანახმად, ლ. ო-ის გარდაცვალების ფაქტი არ იყო მიზეზობრივ კავშირში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან.

სსიპ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის სამსახურის მიერ 2010 წლის 18 მაისს გაცემული ექსპერტიზის №... დასკვნის შესაბამისად, ლ. ო-ის სიკვდილის მიზეზი იყო პოლიორგანული უკმარისობა განვითარებული ლიმფოლიკოზის შედეგად. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2011 წლის 20 იანვრის დასკვნის თანახმად კი, 2010 წლის 31 მაისს გორის სამხედრო ჰოსპიტალის №... წერილის მიხედვით, ლ. ო-ის დაავადება, მწვავე ლეიკემია, თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლა, წარმოადგენდა ჰემატოლოგიურ და თავის ტვინის სისხლძარღვოვან დაავადებას და მისი განვითარება არ იყო დაკავშირებული სამხედრო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს მოპასუხის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის ი. ს-ის სასარგებლოდ, მისი მეუღლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ერთჯერადი დახმარების სახით, 15 000 ლარის კომპენსაციის ანაზღაურების დავალდებულება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამხედრო მოსამსახურის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიეცემა ერთჯერადი დახმარება 15 000 ლარის ოდენობით. ამასთან, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 26 სექტემბრის №560 ბრძანების მე-40 პუნქტის 1-ლი წინადადების თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამხედრო მოსამსახურის დაღუპვის, ან მიღებული ტრავმის შედეგად გამოწვეული ავადმყოფობით გარდაცვალების შემთხვევაში, მის ოჯახს მიეცემა ერთჯერადი დახმარება 15 000 ლარის ოდენობით და დაკრძალვის ხარჯები 500 ლარის ოდენობით. ამდენად, ზემოაღნიშნული ნორმები დაღუპული სამხედრო მოსამსახურის ოჯახისათვის სავალდებულო კომპენსაციის გაცემას ითვალისწინებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირი დაიღუპება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სამხედრო მოსამსახურის სამართლებრივი სტატუსის თავისებურებები განისაზღვრება სახელმწიფოს შეიარაღებული დაცვისათვის მასზე დაკისრებული ვალდებულებებით, რაც დაკავშირებულია დასახული ამოცანების ყოველგვარ პირობებში შესრულებასთან, მაშინაც კი, თუ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. ამასთან, სამხედრო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ჩამონათვალს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა. ამდენად, სამხედრო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში იგულისხმება სახელმწიფოს შეიარაღებული დაცვისათვის მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება. რაც შეეხება კრიტერიუმებს, თუ რა პირობებით უნდა დავადგინოთ სამხედრო სამსახურის გავლასთან დაკავშირებული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ფაქტი, ხსენებულს განსაზღვრავს „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მართალია „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტით სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო ვალდებულების მოხდასთან და სამხედრო სამსახურის გავლასთან დაკავშირებული სამართალური თიერთობის რეგულირების მიზნით, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დამადასტურებელ ერთ-ერთ პირობად მიიჩნევა სამხედრო მოსამსახურის სამკურნალოდ ყოფნა, მაგრამ ამ შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურის სამკურნალოდ ყოფნის ფაქტი უნდა მომდინარეობდეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების შედეგად. ამდენად, აუცილებელია არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი სამხედრო მოვალეობის შესრულებასა და პირის სამკურნალოდ ყოფნას შორის.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, სსიპ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის სამსახურის მიერ 2010 წლის 18 მაისს გაცემულ ექსპერტიზის №... დასკვნაზე, რომლის თანახმადაც, ლ. ო-ის სიკვდილის მიზეზი იყო პოლიორგანული უკმარისობა განვითარებული ლიმფოლიკოზის შედეგად. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებული დიაგნოზიდან გამომდინარე, შეუძლებელია იმის დადგენა, არსებობდა თუ არა პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი ლ. ო-ის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასა და მისი გარდაცვალების გამომწვევ ფაქტს შორის, რაც თავის მხრივ გამორიცხავს დაღუპული ლ. ო-ის ოჯახისათვის „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტით და „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს

სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 26 სექტემბრის №560 ბრძანების მე-40 პუნქტის პირველი წინადადებით გათვალისწინებული ერთჯერადი კომპენსაციის გაცემის შესაძლებლობას. თუმცა აქვე, საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 26 სექტემბრის №560 ბრძანებაში 2011 წლის 4 ოქტომბერსა (№778) და 2012 წლის 20 სექტემბერს (№785) განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, აღნიშნული ბრძანების მე-40 პუნქტის მე-2 წინადადება ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო სამსახურში მყოფი პირის ან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირის დალუპვის სხვა შემთხვევაში მის ოჯახს, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში, შეიძლება მიეცეს ერთჯერადი დახმარება შესაბამისი ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ოდენობით“.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საქართველოს თავდაცვის მინისტრს მიენიჭა დისკრეციული უფლებამოსილება, კანონის მიზნებისა და კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, სამხედრო სამსახურში მყოფი პირის სხვა შემთხვევაში დალუპვის დროს, მიიღოს გადაწყვეტილება დალუპული სამხედრო მოსამსახურის ოჯახისათვის ერთჯერადი დახმარების მიცემის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება არის უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე, კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შერჩეოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება მაშინ გვაქვს სახეზე, როდესაც სამართლის ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობისა და ფაქტის შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, მას რჩება შესაძლებლობა, აირჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას ადგენს კანონმდებელი და ამით, ის ადმინისტრაციულ ორგანოს (თანამდებობის პირს) აძლევს შესაძლებლობას, მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარი პასუხისმგებლობით, კანონის მიზნების და კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ლ. ო-ე იყო გამორჩეული სამხედრო მოსამსახურე, საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში უმნიშვნელო სამსახურისათვის არაერთი ორდენის და საპატიო სიგელის მფლობელი, ერაყისა და სხვა მრავალი სამშვიდობო ოპერაციის მონაწილე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში ხელახლა უნდა განიხილოს ი. ს-ისათვის, მისი მეუღლის გარდაცვალებასთან დაკავშირებული ერთჯერადი დახმარების მიცემის საკითხი და ლ. ო-ის პიროვნების, მისი როგორც, სამხედრო მოსამსახურის მიერ სახელმწიფოს ერთიანობის შენარჩუნებაში შეტანილი წვლილის, ასევე მისი ოჯახის მძიმე მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით (იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ლ. ო-ის მეუღლე და შვილები არიან 2008 წლის 6 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების თავდასხმის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირები და მათ მინიჭებული აქვთ დევნილის სტატუსი) უნდა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება ლ. ო-ის ოჯახისათვის ერთჯერადი დახმარების მიცემის თაობაზე.

ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ლ. ო-ის მეუღლეს ი. ს-ს სადაზღვევო კომპანიის მიერ უარი ეთქვა სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურებაზე იმ საფუძველით, რომ ლ. ო-ე „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გარდაიცვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, რაზეც სადაზღვევო კომპანიის მოსაზრებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა სამედიცინო დაზღვევა არ ვრცელდებოდა. სადაზღვევო კომპანიის უარი უკავშირდება მის მიერ სადაზღვევო ხელშეკრულების იმგვარ განმარტებას, როცა განმსაზღვრელი არ არის დაზღვეულის გარდაცვალების მიზეზი, არც ის ფაქტი, გარდაცვალება მიზეზობრივად უკავშირდება თუ არა უშუალოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას (რაც შეიძლება მეორე მხარისათვის საკამათო იყოს). რაც შეეხება „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ერთჯერადი კომპენსაციის ანაზღაურების საკითხს, მისი გაცემა დასაშვებია მხოლოდ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასა და პირის გარდაცვალებას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობის დროს, რისი დადგენაც მოცემულ შემთხვევაში შეუძლებელია. ამდენად, ასეთ პირობებში დალუპული სამხედრო მოსამსახურის ოჯახი რჩება ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ი. ს-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, ი. ს-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უნდა დაევალოს, ი. ს-ისათვის, მისი მეუღლის გარდაცვალებასთან და-

კავშირებით, ერთჯერადი დახმარების სახით, 15 000 ლარის კომპენსაციის ანაზღაურების საკითხის განხილვა.

სარეზოლუციო ნაწილი:  
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

**გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. ი. ს-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 14 თებერვლის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ი. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. დაევალოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, განიხილოს ი. ს-ისათვის, მისი მეუღლის ლ. ო-ის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ერთჯერადი დახმარების სახით, 15 000 ლარის კომპენსაციის ანაზღაურების საკითხი;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**მიუღებელი შეჩვენების გამო მატერიალური ზიანის ანაზღაურება**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-142-141(კ-12)

6 დეკემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 31 აგვისტოს რ. გ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ არის იძულებით გადაადგილებული პირი – აფხაზეთიდან. 2010 წლის 1 სექტემბერს განცხადებით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს და დევნილის სტატუსის მინიჭება მოითხოვა. სამინისტრომ კანონით დადგენილ ერთთვიან ვადაში არ გამოცხადა შესაბამისი აქტი, რაც მოსარჩელის მიერ გასაჩივრდა სასამართლოში.

მოსარჩელის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილებით რ. გ-ას სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ, რ. გ-ასათვის დევნილის სტატუსის მინიჭების თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა. მოსარჩელის მითითებით, აღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხის მიერ დღემდე არ შესრულებულა, რაც მატერიალურ ზიანს აყენებს მას, ვინაიდან, იგი ვერ იღებს დევნილის შემწეობას, ყოველთვიურად 28 ლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის მის სასარგებლოდ ზიანის სახით 2010 წლის 1 ოქტომბრიდან ყოველთვიურად 28 ლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით რ. გ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 14 აგვისტოს №517 ბრძანებულების საფუძველზე, საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ... წლის ... მარტს საქართველოში დაბადებულ, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე რ. გ-ას, მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (გაცემის თარიღი 08.2009წ) თანახმად, მოქალაქე რ. გ-ას მისამართია გავრა, ... ქ. №460. ამასთან, მოსარჩელის ოჯახის წევრებს (შვილებს და მეუღლეს) მინიჭებული აქვთ დევნილის სტატუსი.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადგინოდა მიიჩნია ის გარემოება, რომ 2010 წლის 1 სექტემბერს რ. გ-ამ განცხადებით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს და მისთვის დევნილის სტატუსის მინიჭება მოითხოვა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 12 ნოემბრის №4135-10 გადაწყვეტილებით რ. გ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მოპასუხეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, რ. გ-ასათვის დევნილის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევა. აღნიშნული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში და 2011 წლის 28 თებერვალს გაიცა სააღსრულებო ფურცელი. მოპასუხეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს რ. გ-ასათვის დევნილის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ გამოუცია.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ „იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დევნილთა აღრიცხვა-რეგისტრაციას, დევნილის სტატუსის მაძიებლად ცნობასა და დევნილის სტატუსის მინიჭებას ახორციელებდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო. ხსენებული კანონის პირველი მუხლის თანახმად, იძულებით გადაადგილებულ პირად-დევნილად ჩაითვლებოდა საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის აგრესიის, შიდა კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო, ან ამ კანონის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში. სასამართლომ ასევე მიუთითა დასახელებული კანონის მე-2 მუხლზე და განმარტა, რომ პირი, რომელიც აღნიშნულ კანონში ჩამოთვლილი მიზეზების გამო, დატოვებდა მუდმივ საცხოვრებელ ადგილს, დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ განცხადებით მიმართავდა სამინისტროს ან მის ტერიტორიულ ორგანოს. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის მე-7 და მე-12 პუნქტების თანახმად, დევნილის სტატუსის მაძიებლის, დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღებოდა განცხადების წარდგენიდან ერთი თვის ვადაში.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დაევა შეესწავლა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და აღნიშნულის საფუძველზე მიეღო გადაწყვეტილება რ. გ-ასათვის დევნილის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით, ანუ მოპასუხეს დაევა ჩაეტოვებინა ადმინისტრაციული წარმოება და არა პირდაპირ, ყოველგვარი შესწავლის გარეშე მიენიჭებინა რ. გ-ასათვის დევნილის სტატუსი. აღნიშნული კი მოიცავდა ისეთ შემთხვევასაც, როდესაც სამინისტროს საქმის გარემოებათა შესწავლის შედეგად, შესაძლოა გამოეცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი რ. გ-ასათვის დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ. საქალაქო სასამართლოს მითითებით, საკითხის შესწავლის აუცილებლობა და მხოლოდ შემდეგ საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება, მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენდა, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც მართალია, რ. გ-ა რეგისტრირებული იყო მისამართზე გაგრა, ..., ... ქ. №460, მაგრამ უდავო იყო ის გარემოება, რომ იგი რუსეთის მოქალაქე იყო და საქართველოს მოქალაქეობა 2009 წელს მიენიჭა.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საჭირო იყო იმ საკითხის შესწავლა, აკმაყოფილებდა თუ არა მოსარჩელე „იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს, რათა მინიჭებოდა აღნიშნული სტატუსი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ უსაფუძვლოდ ჩათვალა მოსარჩელის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თუ სამინისტრო კანონით დადგენილ ვადაში გამოსცემდა აქტს, რ. გ-ა მიიღებდა დევნილის შემწეობას.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელი იყო სახელმწიფო. ამავე კოდექსის 207-ე მუხლის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ იყო დადგენილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურებულიყო არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლებოდა შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, დევნილი იღებდა ყოველთვიურ შემწეობას, ხოლო „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილების 105-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად კი იძულებით გადაადგილებულ



პირთა – დევნილთა და ლტოლვილთა ყოველთვიური შემწეობის ოდენობა კერძო სექტორში განსახლებულ ერთ დევნილსა და ლტოლვილზე შედგენდა 28 ლარს.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მიუღებელი შემოსავლის სამართლებრივი წინაპირობები შემოიფარგლებოდა კონკრეტული ვალდებულებებითი ურთიერთობებით და დამოკიდებული იყო ამ ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემოსავლის მიღების ალბათობაზე. ანუ მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენდა სავარაუდო შემოსავალს, მაგრამ მისი დადგენისათვის აუცილებელი იყო, გათვალისწინებული ყოფილიყო, თუ რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება. ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანი იყო ის, რომ ზიანი უნდა ყოფილიყო ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგი. განსახილველ შემთხვევაში რ. გ-ას ამ ეტაპზე არ ჰქონდა მინიჭებული დევნილის სტატუსი და იგი გადაწყებოდა მხოლოდ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შემდეგ. საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ დევნილის შემწეობის მიღების უფლებამოსილება ენიჭებოდა მხოლოდ ამ სტატუსის მატარებელ პირს, შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც არ იყო გადაწყვეტილი მოსარჩელი-სათვის დევნილის სტატუსის მინიჭების საკითხი, უსაფუძვლო იყო სასარჩელო მოთხოვნა მიუღებელი შემწეობის ანაზღაურების შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. გ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 20 დეკემბრის განჩინებით რ. გ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასებები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 20 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა რ. გ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მითითებით „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, დევნილის სტატუსის მაძიებლის დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების ან დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სამინისტრო განცხადების მიღებიდან ერთი თვის ვადაში. რ. გ-ამ სამინისტროს დევნილის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით 2010 წლის 1 სექტემბერს მიმართა. შესაბამისად, სამინისტროს აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილება 2010 წლის 1 ოქტომბრამდე უნდა მიეღო, რაც არ განუხორციელებია.

კასატორის განმარტებით, „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დევნილი იღებს ყოველთვიურ შემწეობას. „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილების 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტის თანახმად კი იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა და ლტოლვილთა ყოველთვიური შემწეობის ოდენობა კერძო სექტორში განთავსებულ ერთ დევნილსა და ლტოლვილზე შეადგენს 28 ლარს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.

კასატორის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში თუ მოპასუხე ჯეროვნად შეასრულებდა ვალდებულებას, მაშინ რ. გ-ა დევნილის შემწეობის სახით ყოველთვიურად მიიღებდა 28 ლარს. ვინაიდან, ვალდებულება ჯეროვნად ვერ იქნა შესრულებული, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურება უნდა დაკისრებოდა.

კასატორი არ დაეთანხმა ქვედა ინსტანციის სასამართლოების განმარტებას და აღნიშნა, რომ მართალია, სასამართლოს არ შეეძლო ზუსტად სცოდნოდა საკითხის შესწავლის და შესაბამისი აქტის გამოცემის შემთხვევაში რა შედეგი დადგებოდა, მაგრამ სამინისტრო არ ასრულებდა სასამართლო გადაწყვეტილებას, რითაც ზიანს აყენებდა რ. გ-ას.

კასატორმა მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის №ბს-348-345(კ-11) გადაწყვეტილებაზე და მიიჩნია, რომ აღნიშნულ გადაწყვეტილებაში საკასაციო სასამართლოს მიერ განიმარტა მსგავს ვითარებაში ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ზიანის ანაზღაურების ვალდებულების თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 8 თებერვლის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული რ. გ-ას საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 5 აპრილის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად,



მისად, დასაშვებად იქნა ცნობილი რ. გ-ას საკასაციო საჩივარი და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2012 წლის 31 მაისს 12:30 საათზე.

2012 წლის 6 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე კასატორის რ. გ-ას წარმომადგენელმა ნ. ქ-ემ საბოლოოდ დააზუსტა საკასაციო საჩივრის მოთხოვნა. კასატორის წარმომადგენელმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის რ. გ-ას სასარგებლოდ, ზიანის სახით 2010 წლის 1 ოქტომბრიდან 2012 წლის 1 აპრილამდე ყოველთვიურად 28 ლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ რ. გ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში არსებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან (აფხაზეთიდან) იძულებით გადაადგილების შემდეგ, კასატორმა რ. გ-ამ დატოვა საქართველოს ტერიტორია (ისე, რომ არ მიუღია დევნილის სტატუსი) და გადავიდა საცხოვრებლად რუსეთის ფედერაციაში, სადაც მიიღო რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა და შესაბამისად, შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა.

საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 14 აგვისტოს №517 ბრძანებულებით საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, ... წლის ... მარტს საქართველოში დაბადებულ, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე რ. გ-ას მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა. ამდენად, რ. გ-ა გახდა ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობით (გაცემის თარიღი 08.2009წ) დასტურდება, რომ მოქალაქე რ. გ-ას მისამართია გარა, ... ქ. №460. ამასთან, კასატორის ოჯახის წევრებს (შვილებს და მეუღლეს) მინიჭებული აქვთ დევნილის სტატუსი.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ 2010 წლის 1 სექტემბერს რ. გ-ამ განცხადებით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს და მისთვის დევნილის სტატუსის მინიჭება მოითხოვა. სამინისტრომ აღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება არ ჩაატარა და განცხადება უპასუხოდ დატოვა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 12 ნოემბრის №/4135-10 გადაწყვეტილებით რ. გ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, რ. გ-ასათვის დევნილის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 12 ნოემბრის №/4135-10 გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში და აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე 2011 წლის 28 თებერვალს გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ 2012 წლის მარტში, საკასაციო სასამართლოს მიერ რ. გ-ას საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის განხილვის ეტაპზე, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში 2012 წლის დეკემბერში შეტანილი ცვლილებებისა და ამავე კანონის I და II მუხლების, აგრეთვე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2007 წლის 1 ნოემბრის №124-ე ბრძანების მე-2 მუხლის შესაბამისად, რ. გ-ას მიენიჭა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის ამჟამად მოქმედი რედაქციის პირველი მუხლის თანახმად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ჩაითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიისა და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო, ან ამ კანონის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ამავე კანონის მე-2 მუხლი კი განსაზღვრავს დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების წესს, რომლის თანახმადაც, პირი, რომელიც ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილი მიზეზების გამო დატოვებს მუდმივ საცხოვრებელ ადგილს, დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ განცხადებით მიმართავს სამინისტროს ან მის ტერიტორიულ ორგანოს.

დადგენილია, რომ 2012 წლის მარტში რ. გ-ას მიენიჭა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსი, შესაბამისად, 2012 წლის აპრილიდან მასზე გაცემა კანონით გათვალისწინებული დევნილის შემწეობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში რ. გ-ას სასარჩელო მოთხოვნას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის საფუძველზე, მატერიალური ზიანის –

მიუღებელი შემწეობის თანხის 2010 წლის 1 ოქტომბრიდან ანაზღაურება წარმოადგენს. კასატორი მოთხოვნის საფუძველად მიუთითებს იმ გარემოებას, რომ მოპასუხეს 2010 წლის ოქტომბერში (სამინისტროსათვის მიმართვიდან 1 თვეში) უნდა მიენიჭებინა მისთვის დევნილის სტატუსი და შესაბამისად, გაეცა მასზე კანონით გათვალისწინებული შემწეობა – 28 ლარის ოდენობით. სამინისტროს მიერ კანონით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო კი მას მატერიალური ზიანი მიადგა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოების დადგენას, წარმოადგენდა თუ არა რ. გ-ას მიერ – 2010 წლის 1 სექტემბერს სამინისტროში განცხადების შეტანა (მის მიერ ნების გამოვლენა), ნამდვილი უფლების რეალიზების საფუძველს, ანუ მოჰყვებოდა თუ არა აღნიშნული ნების გამოვლენას რეალური შედეგი – დევნილის სტატუსის მინიჭება. შესაბამისად, დასადგენია, თუ რომელი პერიოდიდან წარმოეშვა რ. გ-ას დევნილის სტატუსის მიღების უფლება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ რ. გ-ამ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ განცხადებით 2010 წლის 1 სექტემბერს მიმართა. ამდენად, რ. გ-ამ ნება დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ 2010 წლის 1 სექტემბერს გამოავლინა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ნების პრეზუმფციაზე მითითებისას არსებითია, რომ უფლების რეალიზების მოთხოვნა დროში ემთხვეოდეს უფლების არსებობის მომენტს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოთხოვნას ეცლება კანონისმიერი საფუძველი, რაც აღნიშნულ ნების გამოვლენას უსაფუძვლოს ხდის.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო საკითხის გასარკვევად მნიშვნელოვანია განიმარტოს თავად დევნილის ცნება და დაკონკრეტდეს, თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს პირი იმისათვის, რომ გახდეს აღნიშნული სტატუსის მაძიებელი და საბოლოოდ მიენიჭოს დევნილის სტატუსი.

2010 წლის სექტემბერში მოქმედი „იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილი განსაზღვრავდა დევნილის ცნებას და აღნიშნული სტატუსის მინიჭების უფლების მქონე პირებს, კერძოდ, ხსენებული ნორმის თანახმად, იძულებით გადაადგილებულ პირად დევნილად ჩაითვლებოდა საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის აგრესიის, შიდა კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო ან ამ კანონის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

აღნიშნული ნორმის საფუძველზე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონი დევნილის სტატუსის განმსაზღვრელ აუცილებელ პირობად ითვალისწინებდა საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის მდგომარეობას, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში. ამდენად, პირის დევნილად ცნობისათვის აუცილებელი იყო დაცულიყო ყოფილიყო როგორც სუბიექტურობის, ისე ტერიტორიულობის პრინციპი, კერძოდ, საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი უნდა გადაადგილებულიყო საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში. ამასთან, უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ კანონმდებლობა ითვალისწინებდა ხსენებული წესიდან ერთგვარ გამონაკლისს, კერძოდ, როდესაც პირი ზემოაღნიშნული მიზეზების გამო მართალია დატოვებდა საქართველოს ფარგლებს, მაგრამ არ გავიდოდა საქართველოს იურისდიქციის სფეროდან, კერძოდ, არ მიიღებდა სხვა ქვეყნის მოქალაქეობას, დარჩებოდა საქართველოს მოქალაქედ, ხოლო საქართველოს ფარგლების დატოვების შემთხვევაში აღრიცხვაზე ასაყვანად მიმართავდა საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დანესებულებას (კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი). ამდენად, კანონმდებელი აღნიშნული კანონის მოქმედებას ცალსახად ავრცელებდა იმ პირებზე, რომლებიც საქართველოს იურისდიქციის ქვეშ იმყოფებოდა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კანონის განმარტებისას სასამართლომ უნდა გამოიყენოს განმარტების ის მეთოდი, რომელიც ყველაზე ნათლად და ობიექტურად ხსნის როგორც ნორმის არსს, ისე მისი მოქმედების ფარგლებს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია ერთმანეთს შევადაროთ დევნილის სტატუსის მქონე პირი და ამგვარ სტატუსზე უფლების მქონე პირი. „იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის (2010 წლის სექტემბერში მოქმედი რედაქციის) მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი დევნილის სტატუსის შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძველად პირდაპირ მიუთითებდა შემთხვევას, თუ პირს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეუნყდებოდა საქართველოს მოქალაქეობა, ამასთან, იმ პერიოდში მოქმედი კანონმდებლობა აღარ ითვალისწინებდა ამ სტატუსის აღდგენის შესაძლებლობას, იმ შემთხვევაში, თუ პირს აღუდგებოდა ან მიენიჭებოდა ორმაგი მოქალაქეობა. ამდენად, ნათელია, რომ კანონმდებლობა არ იძლეოდა ამგვარი სტატუსის აღდგენის შესაძლებლობას, შესაბამისად, ნათელია კანონმდებლის ნება იმისა, რომ აღნიშნულს ის არც ხსენებული სტატუსის მოპოვების მსურველ პირს ანიჭებდა.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 1948 წლის 1 მარტს საქართველოში დაბადებულ, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე რ. გ-ას საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 14 აგვისტოს №517 ბრძანებულებით საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა. ამდენად, საქმის მასალებით დასტურდება, რომ რ. გ-ას გადაადგილება არ მომხდარა საქართველოს

ტერიტორიის ფარგლებში, მან დატოვა საქართველოს ტერიტორია და მიიღო უცხო ქვეყნის მოქალაქეობა. ამასთან, რ. გ-ა არამართო საქართველოს ფარგლებს გარეთ გადაადგილდა, არამედ საქართველოს იურისდიქციის სფეროდანაც გავიდა, მას შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა. 2009 წლის 14 აგვისტოდან ორმაგი მოქალაქეობის მიღებით კი ის ვეღარ მოექცა პირვანდელ რეჟიმში, რითაც დაკარგა იმ სტატუსის მოპოვების უფლება, რასაც მითითებული კანონი განსაზღვრავდა, ვინაიდან, იმ დროს მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ამგვარი სტატუსის და შესაბამისად, ამგვარი სტატუსის მიღების უფლების აღდგენის შესაძლებლობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ რ. გ-ას მიერ ნების გამოვლენის პერიოდში – 2010 წლის 1 სექტემბერს მოქმედი „იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, იგი არ აკმაყოფილებდა ხსენებული კანონით დადგენილ იმ აუცილებელ ნიშანს, რომელიც ანიჭებდა პირს აღნიშნული კანონით გათვალისწინებული სტატუსის მოპოვების უფლებას. ამდენად, მოსარჩელის მიერ ნების გამოვლენის მომენტისათვის არ არსებობდა მოთხოვნის დაკმაყოფილების კანონისმიერი საფუძველი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2011 წლის 23 დეკემბრის №5597-რს კანონით (ამოქმედების თარიღი – 2011 წლის 30 დეკემბერი) განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე ახლებურად ჩამოყალიბდა დევნილის ცნება და მის აუცილებელ ელემენტად კანონი აღარ ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში გადაადგილებას, კერძოდ, ხსენებული ნორმის თანახმად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირად დევნილად ჩაითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიისა და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო, ან ამ კანონის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

ამასთან, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ კანონმდებელმა დაუშვა დევნილის სტატუსის აღდგენის შესაძლებლობაც იმ შემთხვევაში, თუ პირს დევნილის სტატუსი შეწყვეტილი ჰქონდა კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის ან „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად მიენიჭა/აღუდგა საქართველოს მოქალაქეობა (კანონის მე-6 მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი).

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ გადაადგილებულ, ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირს, დევნილის სტატუსის მიღების უფლება მიენიჭა მხოლოდ 2011 წლის 23 დეკემბრის №5597-რს კანონით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე, რომელიც ამოქმედდა – 2011 წლის 30 დეკემბერს.

საგულსხმოა ის გარემოება, რომ რ. გ-ას მსგავსად, ორმაგი მოქალაქეობის მქონე იძულებით გადაადგილებულ პირებს დევნილის სტატუსი, სწორედ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2011 წლის დეკემბერში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ მიენიჭათ. ამდენად, სამინისტროს მიერ რ. გ-ას მიმართ დაცულია თანაზომიერებისა და თანასწორობის პრინციპი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის 2010 წლის 1 სექტემბრის განცხადება საფუძვლიანი გახდა მხოლოდ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2011 წლის 23 დეკემბრის №5597-რს კანონით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე, რომელიც ამოქმედდა – 2011 წლის 30 დეკემბერიდან. ამდენად, მოსარჩელის ნების გამოვლენას პოზიტიური შედეგი – დევნილის სტატუსის მინიჭების სახით მხოლოდ 2011 წლის 30 დეკემბრიდან მოჰყვებოდა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხის მიერ 2012 წლის მარტში, (3 თვის) დაგვიანებით მოხდა მოსარჩელისათვის დევნილის სტატუსის მინიჭება, რის გამოც მოსარჩელეს მიადგა მატერიალური ზიანი, კერძოდ, 2012 წლის იანვრიდან ვერ მიიღო დევნილთათვის განსაზღვრული ყოველთვიური შემწეობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლზე, რომლის თანახმად, დევნილის უფლებებს იცავს სახელმწიფო. ამავე კანონის მე-10 მუხლის თანახმად კი, დევნილთათვის ამ კანონის შესაბამისად, გასაწევი ხარჯები ანაზღაურდება სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმ პირობებში, როდესაც სასარჩელო მოთხოვნას ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მიუღებელი შემწეობის თანხის ანაზღაურება წარმოადგენს, საქმეზე გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლი, რომლის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილების 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტის თანახმად, დევნილთა, ასევე ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა ყოველთვიური შემწეობის ოდენობა კერძო სექტორში განსახლებულ ერთ დევნილზე, ასევე ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირზე შეადგენს 28 ლარს.

ამდენად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ 2012 წლის მარტში მოხდა რ. გ-ასათვის დევნილის სტატუსის მინიჭება (შემწეობას იღებს აპრილიდან), ხოლო მისთვის დევნილის სტატუსის მინიჭების კანონიერი საფუძველი არსებობდა 2011 წლის 30 დეკემბრიდან (საკანონმდებლო ცვლილებიდან), საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხეს – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 აპრილამდე, მატერიალური ზიანის – მიუღებელი შემწეობის სახით – 28 ლარის ანაზღაურება უნდა დაეკისროს.

ამასთან, რაც შეეხება კასატორის მითითებას საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 9 ივნისის №ბს-348-345 გადაწყვეტილებაზე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ №ბს-348-345 საქმეზე არსებული ფაქტობრივი გარემოებები არსებითად განსხვავდებოდა მოცემული საქმის ფაქტობრივი გარემოებებისაგან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ რ. გ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რ. გ-ას სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს რ. გ-ას სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მატერიალური ზიანის მიუღებელი შემწეობის 28 ლარის, 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 აპრილამდე ანაზღაურება, სულ 84 ლარის ოდენობით, რ. გ-ას სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

#### გ ა დ ა ნ ე შ ი ტ ა :

1. რ. გ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 20 დეკემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. რ. გ-ას სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს რ. გ-ას სასარგებლოდ დაეკისროს მატერიალური ზიანის – მიუღებელი შემწეობის – 28 ლარის, 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 აპრილამდე ანაზღაურება, სულ 84 ლარი;
5. რ. გ-ას სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის პირის ნაბის გამოსატვის ნამდვილობა საოჯახო დახმარების მოხსნისა და საარსებო შემწეობის დანიშვნის დროს

#### ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ბს-277-274(კ-კს-11)

29 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა; ქმედების განხორციელების დავალდებულება;

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩელე: ი. ჯ-ა

მოპასუხე: საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

მოპასუხე: სოციალური მომსახურების სააგენტო

მოპასუხე: ზუგდიდის სოციალური მომსახურების ბიურო

სარჩელის სახე: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლისა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბა-

თილად ცნობა. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის I ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის საფუძველზე ქმედების განხორციელების დავალდებულება.

სარჩელის საგანი:

ზუგდიდის სოციალური მომსახურების ცენტრის 2009 წლის 20 თებერვლის ოქმის კანონიერება. საოქ-  
მო გადაწყვეტილება – ი. ჯ-ასათვის სოციალური დახმარების დანიშვნის შესახებ ბათილად ცნობა;

სოციალური მომსახურების სააგენტოს 2009 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილების მ. მ-ის ადმინის-  
ტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ბათილად ცნობა.

საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 6 ნოემბრის  
№... ბრძანების ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ბათილად ცნობა;

ი. ჯ-ასათვის 22-ლარიანი საოჯახო დახმარების აღდგენა.

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი: მოსარჩელის ი. ჯ-ას წარმომადგენლის – მ. მ-ის განმარტებით, 2006 წელს უსინათლობის  
გამო ი. ჯ-ას დაუდგინდა პირველი ჯგუფის ინვალიდობა და დაენიშნა 22-ლარიანი საოჯახო დახმარება. ი.  
ჯ-ა დარეგისტრირებულია სილატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მი-  
ღებული აქვს სარეიტინგო ქულა 50270, მაგრამ საკუთარი განცხადების საფუძველზე იღებდა კუთვნილ  
დენილის დახმარებას.

ი. ჯ-ა რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება მ. მ-ესთან, ოჯახს დეკლარაციის შედეგად მიენიჭათ  
სარეიტინგო ქულა 40900. დარეგისტრირებისას განუცხადეს სააგენტოს, რომ ერჩიათ მიეღოთ დენილის  
დახმარება, ამიტომ უარს ამბობდნენ შემწეობის თანხის მიღებაზე. მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა 2009  
წლის 25 თებერვალს ოჯახში მათთან მივიდნენ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს ზუგდიდის სამსახუ-  
რის აგენტები, მოსარჩელე ი. ჯ-ამ შემწეობის თანხის მიღებაზე უარი სპეციალურ ფორმაზე ხელისმოწე-  
რით დაუდასტურა. ამის შემდეგ აგენტი დაინტერესდა რამდენი იყვნენ ოჯახში და რომ გაიგო ორნი იყ-  
ვნენ, უთხრა რომ დენილის დახმარების 22 ლარის სანაცვლოდ მიიღებდნენ 54 ლარს, ვინაიდან ი. ჯ-ას  
წარმომადგენელს დროებით შეჩერებული ჰქონდა დენილის დახმარება, ი. ჯ-ამ მოუწერა ხელი დოკუმენ-  
ტზე, მაგრამ ისე, რომ მისთვის აგენტს არ განუმარტავს, რომ ამით მოეხსნებოდა 22 ლარიანი საოჯახო  
დახმარება და მისი აღდგენა შემდგომ შეუძლებელი გახდებოდა.

2009 წლის 25 მარტს ი. ჯ-ამ აიღო 118 ლარი. მომდევნო დღეს კი გაირკვა, რომ ი. ჯ-ას მოეხსნა 22-ლა-  
რიანი საოჯახო დახმარება 2009 წლის იანვრიდან. წარმომადგენელმა მეორე დღესვე მიმართა ზუგდიდის  
სოციალური მომსახურების ცენტრს განცხადებით, მოეხსნათ მათთვის შემწეობის თანხა 54 ლარი და  
აღედგინათ ი. ჯ-ასათვის 22 ლარიანი საოჯახო დახმარება, მაგრამ უარი მიიღეს, როგორც ზემდგომი საა-  
გენტოდან, ისე სამინისტროდან.

ის, რომ ადგილი ჰქონდა ი. ჯ-ას მოტყუებას, დასტურდება სოციალური მომსახურების ცენტრის 2009  
წლის 20 თებერვალს მიღებული საოქმო გადაწყვეტილებით, მაშინ როდესაც ი. ჯ-ას განცხადება არ ჰქო-  
ნია წარდგენილი სააგენტოში. სააგენტოს წარმომადგენელმა სიყალბის გასამართლებლად 25 თებერვალს  
მოტყუებით მოაწერინა ხელი მოსარჩელე ი. ჯ-ას რაღაც განცხადებაზე, რომელიც აღმოჩნდა 22-ლარიანი  
საოჯახო დახმარების მოხსნისა და საარსებო შემწეობის დანიშვნის საფუძველი.

სამართლებრივი: მოსარჩელის წარმომადგენელმა სამართლებრივ საფუძველად მიუთითა ზოგადი ადმი-  
ნისტრაციული კოდექსის მოთხოვნები ადმინისტრაციული აქტის მომზადება, მიღება – გამოცემასთან და-  
კავშირებით. მოსარჩელეს კონკრეტულ მუხლებზე სამართლებრივი მსჯელობა არ წარმოუდგენია.

მოპასუხის შესაგებელი:

ფაქტობრივი: მოპასუხის სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელმა ს. ბ-მა შესაგებ-  
ლით სარჩელი არ სცნო, ვინაიდან მისი მოსაზრებით, ი. ჯ-ამ 2008 წლის 25 ოქტომბრის განცხადებით უარი  
განაცხადა ფულადი სოციალური დახმარების საარსებო შემწეობის დანიშვნაზე. 2008 წლის 15 დეკემბერს  
პირველადი გენერაციის საფუძველზე სოციალურმა აგენტმა ნ. კ-ამ ცვლილებების გამო შეავსო ოჯახის  
დეკლარაცია, დეკლარირებულ დოკუმენტებს დაეთანხმა და ხელმოწერით დაადასტურა ოჯახის უფლება-  
მოსილმა წარმომადგენელმა მ. მ-ემ, რის შედეგადაც ოჯახისათვის მინიჭებულმა სარეიტინგო ქულამ შე-  
ადგინა 40900. 2009 წლის 20 თებერვალს სოციალურმა აგენტმა ე. კ- ამ ი. ჯ-ას განუმარტა, რომ იგი იმყო-  
ფებოდა მასთან, რათა დაენიშნა საარსებო შემწეობა, ასევე განუმარტა, რომ საარსებო შემწეობის დანიშ-  
ვნის შემთხვევაში, მოეხსნებოდა სხვა სოციალური დახმარებები საოჯახო დახმარება, დენილის შემწეო-  
ბა. ი. ჯ-ამ 2009 წლის 25 თებერვალს სოციალური დახმარების დანიშვნის განცხადების ფორმა №1-ზე  
ხელმოწერით დააფიქსირა საარსებო შემწეობის დანიშვნის თანხმობა. შესაბამისად, ი. ჯ-ას 2009 წლის  
იანვრიდან შეუწყდა საოჯახო დახმარება და დენილის შემწეობა კანონმდებლობის შესაბამისად.

სამართლებრივი: მოპასუხის მსჯელობით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური  
დაცვის მინისტრის 2006 წლის 22 აგვისტოს №225/6 ბრძანებით დამტკიცებული „მიზნობრივი სოციალური  
დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი უშვებს საარსებო შემწეობის და-  
ნიშვნის შესახებ განცხადების წარდგენას, როგორც ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის, ასევე  
ოჯახის სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირის მხრიდან. ი. ჯ-ას მიერ ნების გამოხატვაში ეჭვის შეტანის  
მიზეზი არ არსებობს, ვინაიდან მან, როგორც ქმედუნარიანმა პირმა განცხადებაზე ხელმოწერით გამოთ-  
ქვა სურვილი, მის ოჯახს დანიშვნოდა შემწეობა.

მოპასუხის შესაგებელი:

ფაქტობრივი: მოპასუხე ზუგდიდის სოციალური მომსახურების ცენტრმა შესაგებლით სარჩელი არ  
სცნო და მოითხოვა მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქმის გარემოებები:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სოციალური სააგენტოს 2010 წლის 13 მაისის გადაწყვეტილების თანახმად მ. მ-ე დაინიშნა მეუღლის – ი. ჯ-ას მზრუნველად.

2009 წლის 20 თებერვლის ზუგდიდის სოციალური მომსახურების ცენტრის სოციალური დახმარების დანიშვნის ოქმით ი. ჯ-ა რეგისტრირებულია სოციალური დახმარების მიმღებ წევრად.

2009 წლის 25 თებერვალს სოციალური დახმარების მიმღები ოჯახის წევრმა ი. ჯ-ამ განცხადებით მიმართა ზუგდიდის სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური დახმარების დანიშვნის შესახებ ოჯახის ორ წევრზე.

სოციალური მომსახურების სააგენტოს 2009 წლის №.... წერილით ი. ჯ-ას მეუღლეს – მ. მ-ეს განცხადების დაკმაყოფილებაზე უმწეო მდგომარეობაში მყოფ ოჯახებზე დანიშნული სოციალური დახმარებაზე აღდგენაზე, ეთქვა უარი.

სოციალური მომსახურების სააგენტოს 2009 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილებით მ. მ-ეს ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე მეუღლის ი. ჯ-ასათვის შეწყვეტილი საოჯახო დახმარების აღდგენისა და ფულადი სოციალური დახმარების – საარსებო შემწეობის მოხსნის შესახებ ეთქვა უარი უსაფუძვლობისა გამო.

საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 9 თებერვლის №... ბრძანებით მ. მ-ეს ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე სოციალური მომსახურების სააგენტოს 2009 წლის 19.09 №0/10-19717 გადაწყვეტილებაზე და ი. ჯ-ას 22-ლარიანი საოჯახო დახმარების აღდგენის შესახებ ეთქვა უარი.

რაიონული /საქალაქო/ სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/

ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით, ი. ჯ-ას სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

ი. ჯ-ას სსე ბიუროს 2006 წლის 19.07 შემოსწების აქტით დაუდგინდა მკვეთრი შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი – დაავადება – მარჯვენა თვალის გლაუკომა, მარცხენა თვალის აბსოლუტური გლაუკომა მწვავე კატარაქტა.

ი. ჯ-ა 2009 წლის იანვრამდე ლეზლობდა 22-ლარიან საოჯახო დახმარებას.

სასამართლოს დასკვნები: სასამართლოს დასკვნით სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:

მოსარჩელის წარმოდგენილმა – მ. მ-ემ სადავო გახადა სოციალური მომსახურების ცენტრის 2009 წლის 20 თებერვლის ოქმის ნამდვილობა, ვინაიდან მისი მოსაზრებით, ი. ჯ-ა მოატყუეს, იგი ვერ ხედავს და მას არ შეეძლო წაეკითხა, რას ანერდა ხელს.

მხარეთა მიერ სადავოდ გახდილი ფაქტების შეფასება:

მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტება, რომ მოსარჩელე ვერ ხედავს და მას არ შეეძლო წაეკითხა რაზე ანერდა ხელს და აღნიშნულის გამო ი. ჯ-ა მოატყუეს, სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია. თვით სარჩელიდან დასტურდება, რომ ი. ჯ-ასთვის ცნობილი იყო, რომ მოეხსნებოდა საოჯახო დახმარება და დაენიშნებოდათ ოჯახის ორ წევრზე სოციალური შემწეობა 54 ლარი.

მოსარჩელის წარმომადგენლის მოსაზრება, რომ ზუგდიდის სოციალური მომსახურების ცენტრის 2009 წლის 20 თებერვლის ოქმი საოქმო გადაწყვეტილება ყალბია, იმ ფაქტური გარემოების გათვალისწინებით, რომ ზუგდიდის სოციალური მომსახურების ცენტრის აგენტმა 25 თებერვალს მოტყუებით მოაწერინა ხელი მოსარჩელე ი. ჯ-ას რაღაც განცხადებაზე, რომელიც აღმოჩნდა 22-ლარიანი საოჯახო დახმარების მოხსნის და საარსებო შემწეობის დანიშვნის საფუძველი, ასევე ვერ გახდება სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

ი. ჯ-ას საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი აღქმის, აზროვნების ემოციური და ნებელობითი სფეროს დარღვევით მინიჭებული არ აქვს.

სასამართლოს დადასტურებულად მიაჩნია, რომ ი. ჯ-ამ გამოხატა ნება საარსებო შემწეობის დახმარების მიღებაზე, რაც დასტურდება მის მიერ ხელმოწერილი განცხადებით საარსებო შემწეობის დანიშვნაზე, საოჯახო დახმარების მიღებაზე უარის თქმით, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველია.

სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/

სასამართლოს მსჯელობით, საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილებით „სოციალური დახმარებების შესახებ“ დადგინდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ლატაკი ოჯახებისა და უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისათვის სოციალური დახმარების ოდენობის ლონისძიებათა დაფინანსება, ანგარიშსწორების წესი და ძირითადი პრინციპები.

ხსენებული დადგენილების თანახმად სოციალური დახმარება ფულადი გასაცემელია, რომელიც გაიცემა შეფასების სისტემით იდენტიფიცირებული ლატაკი ოჯახების მიმართ, მათი სოციალურ – ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. ამავე დადგენილებით ამ წესის მიზნებისათვის საოჯახო დახმარება ფულადი გასაცემელია, რომლის მიზანია 2007 წლის 1 იანვრამდე დანიშნული საოჯახო დახმარების გაცემის გაგრძელება.

საარსებო შემწეობა ინიშნება უფლების წარმოშობის თვიდან ლატაკი ოჯახის წერილობითი განცხადების საფუძველზე საარსებო შემწეობის დანიშვნის შესახებ, თუ საარსებო შემწეობის მიმღების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 57001.

დადგენილების თანახმად, საოჯახო დახმარებისა და საარსებო შემწეობის მიღების სუბიექტები უნდა აკმაყოფილებდნენ ერთმანეთისაგან განსხვავებულ პირობებს. თუ საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახისათვის სოციალური დახმარება გაიცემა შეფასების სისტემით საარსებო შემწეობის მიმღების სარეიტინგო ქულის გათვალისწინებით, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 57001, დადგენილების 8.2 მუხლის თანახმად განისაზღვრა იმ სუბიექტთა წრე, რომელთა მიმართ გაიცემა საოჯახო დახმარება, მათ მიეკუთვნება მარტოხელა არამომუშავე ერთსულიანი ოჯახები, რომელთაც 2007 წლის 1 იანვრამდე დანიშნული ჰქონდათ საოჯახო დახმარება.

ამავე დადგენილების მე-11 მუხლის თანახმად საოჯახო დახმარების ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანო უფლებამოსილია შეამოწმოს საოჯახო დახმარების მიმღები ოჯახის დახმარების მიღების საფუძვლის არსებობის დასადაგენად.

დადგენილების მე-6 მუხლით, საოჯახო დახმარების ადმინისტრირების ორგანოების ფუნქციაა საოჯახო დახმარების მიმღებ ბენეფიციართა სისტემატური შემოწმება და გამოვლენილი გარემოებების გათვალისწინებით საოჯახო დახმარების მიმღებ ბენეფიციართა მიმართ შესაბამისი შესწორების შეტანა (საოჯახო დახმარების შეჩერება, აღდგენა, შეწყვეტა).

საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 13 იანვრის №1/6 ბრძანებით დამტკიცებული „შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ“ ინსტრუქციით, საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილებით „სოციალური დახმარებების შესახებ“ მე-12 მუხლით საარსებო შემწეობის მიღება გამორიცხავს საოჯახო დახმარების მიღებას, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ ოჯახი აირჩევს საარსებო შემწეობის მიღებას, მის საფუძველზე შეუწყდება საოჯახო დახმარების მიღება. 2007 წლის 1 იანვრიდან საოჯახო დახმარების ხელახალი დანიშვნა არ განხორციელდება.

საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 22 აგვისტოს №225/6 ბრძანებით დამტკიცებული მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშვნის და გაცემის წესის თანახმად, საარსებო შემწეობის მიღების უფლება გააჩნია ოჯახს, რომელიც დარეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული სარეიტინგო ქულა ნაკლებია საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ საარსებო შემწეობის ზღვრულ ქულაზე.

საარსებო შემწეობის მიღების უფლება გამორიცხავს უმწეო მდგმარეობაში მყოფი ოჯახების სოციალური დახმარების – საოჯახო დახმარების მიღებას, აგრეთვე დევნილის დახმარების მიღებას. ოჯახს უფლება აქვს აირჩიოს საარსებო შემწეობის ან საოჯახო დახმარების და დევნილის დახმარების მიღების უფლება. ამავე ბრძანების მე-11 მუხლით საარსებო შემწეობის დასანიშნად განცხადებით შეუძლია მიმართოს ოჯახის სრულყოფილად ქმედუნარიანმა წევრმა ან ოჯახის კანონიერმა წარმომადგენელმა.

განცხადება საარსებო შემწეობის დანიშვნაზე შეიძლება აღმოჩენილია ი. ჯ-ას მიერ, რითაც გამოიხატა ნება. საარსებო შემწეობის დანიშვნა გამორიცხავს საოჯახო დახმარების და დევნილის დახმარების მიღებას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 22 აგვისტოს №225/6 ბრძანებით დამტკიცებული „მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშვნის და გაცემის წესის“ მე-11 პუნქტის შესაბამისად.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 13 იანვრის №1/6 ბრძანებით დამტკიცებული „შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ“ ინსტრუქციით შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი დგინდება ქმედუნარიანობის ზომიერად, მნიშვნელოვნად და მკვეთრად გამოხატული შეზღუდვის შემთხვევაში. მოსარჩელეს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი დადგენილი აქვს მხედველობითი სიმახვილის მკვეთრი დაქვეითებით.

აღნიშნული ინსტრუქცია ითვალისწინებს აგრეთვე შესაძლებლობის შეზღუდვას აღქმის, აზროვნების ემოციური და ნებელობითი სფეროს დარღვევით, რაც ამ შემთხვევაში მოსარჩელის მიმართ სამედიცინო კომისიის დასკვნით არ დადგენილა, რადგან სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად: „შესაძლებლობის შეზღუდვა არის დაავადების, ტრამვის, ანატომი. ან გონებრივი დეფექტის შედეგად გამოწვეული ადამიანის ჯანმრთელობის მოშლა, ორგანიზმის მყარი ფუნქციის დარღვევით, რაც განაპირობებს ქმედუნარიანობის დროებით ან მუდმივ შეზღუდვას“. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტება, რომ მოსარჩელე ვერ ხედავს და მას არ შეეძლო წაეკითხა რაზე აწერდა ხელს, სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამ მუხლის მე-2 ნაწილით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე, ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ადმინისტრაციული აქტები შეიცავს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლით გათვალისწინებულ რეკვიზიტებს, მათ შორის იმ საკანონმდებლო ნორმებს, რო-

მელთა საფუძველზე გამოიცა გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტები, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველია.

რაც შეეხება 22-ლარიანი საოჯახო დახმარების აღდგენას, აღნიშნული მოთხოვნა უკავშირდება გასაჩივრებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობას, რომლის დაკმაყოფილებაზე მოსარჩელეს უარი ეთქვა.

ამავე დროს სასამართლომ მიუთითა საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილების „სოციალური დახმარებების შესახებ“ მე-12 მუხლზე, რომლის თანახმად 2007 წლის 1 იანვრიდან საოჯახო დახმარების ხელახალი დანიშვნა არ განხორციელდება.

აპელანტი: ი. ჯ-ა

მონინალმდევე მხარე: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო,

მონინალმდევე მხარე: სოციალური მომსახურების სააგენტო,

მონინალმდევე მხარე: ზუგდიდის სოციალური მომსახურების ბიურო

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 25 მაისი გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება ან საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმავე ინსტანციის სასამართლოში.

აპელაციის მოტივები:

ფაქტობრივი: აპელანტი – ი. ჯ-ას წარმომადგენლის განმარტებით, სასამართლო გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლების შემონახვა შეუძლებელია. ი. ჯ-ა არის უსინათლო და დოკუმენტზე ხელის დადების გარეშე ხელს ვერ მოაწერდა და ვერც იმას გაარკვევდა დოკუმენტში იყო თუ არა მითითება გაფრთხილების შესახებ, შესაბამისად ის ვერც ნებას გამოხატავდა. 2009 წლის 25 მარტისათვის ი.ჯ-ას მიღებული ჰქონდა იანვრისა და თებერვლის საოჯახო დახმარება, რის გამოც აღნიშნული დახმარება იანვრიდან ვერ მოეხსნებოდა, თითქოსდა მისი თანხმობით მისაღები 3 თვის თანხიდან დაექვითა 2 თვის საოჯახო დახმარება.

აპელანტის მითითებით, რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასევე არასწორად აღინიშნა, რომ ი. ჯ-ა ერთდროულად ღებულობდა 22-ლარიან საოჯახო დახმარებასა და შემწეობას და 22 ლარიანი დახმარების სანაცვლოდ თავისი ნების შესაბამისად მიიღო 54 ლარი.

სასამართლომ არ შეაფასა ის გარემოება, რომ ი. ჯ-ას 2007 წლის 1 იანვრამდე დანიშნული ჰქონდა საოჯახო დახმარება ი. ჯ-ა უსინათლობის გამო იყო შეზღუდულქმედუნარიანი, რაც შეუძლებელია სოციალური აგენტისათვის შეუმჩნეველი ყოფილიყო.

სამართლებრივი: სასამართლომ არასწორად გამოიყენა საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილების მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტი, როცა აშკარაა, რომ ი. ჯ-ას ასეთი არჩევანი არ გაუკეთებია და ის მოატყუეს; სასამართლომ იგნორირება გაუკეთა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებს – აქტების მომზადება, მიღება – გამოცემასთან დაკავშირებით.

მონინალმდევის შეპასუხება:

ფაქტობრივი: მონინალმდევე მხარის სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელმა – ს. ბ-მა შესაგებლით სარჩელი არ ცნო, ვინაიდან, ი. ჯ-ამ 2008 წლის 25 ოქტომბრის განცხადებით უარი განაცხადა ფულადი სოციალური დახმარების საარსებო შემწეობის დანიშვნაზე. 2008 წლის 15 დეკემბერს პირველადი გენერაციის საფუძველზე სოციალურმა აგენტმა ნ. კ-ამ ცვლილებების გამო შეავსო ოჯახის დეკლარაცია, დეკლარირებულ დოკუმენტებს დაეთანხმა და ხელმოწერით დაადასტურა ოჯახის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა მ. მ-ემ, რის შედეგადაც ოჯახისათვის მინიჭებულმა სარეიტინგო ქულამ შეადგინა 40900. 2009 წლის 20 თებერვალს სოციალურმა აგენტმა ე. კ-ამ ი. ჯ-ას განუმარტა, რომ იგი იმყოფებოდა მასთან, რათა დაენიშნა საარსებო შემწეობა, ასევე განუმარტა, რომ საარსებო შემწეობის დანიშვნის შემთხვევაში, მოეხსნებოდა სხვა სოციალური დახმარებები საოჯახო დახმარება, დევნილის შემწეობა. ი. ჯ-ამ 2009 წლის 25 თებერვალს სოციალური დახმარების დანიშვნის განცხადების ფორმა №1-ზე ხელმოწერით დააფიქსირა საარსებო შემწეობის დანიშვნის თანხმობა. შესაბამისად, ი. ჯ-ას 2009 წლის იანვრიდან შეუწყდა საოჯახო დახმარება და დევნილის შემწეობა კანონმდებლობის შესაბამისად.

სამართლებრივი: მონინალმდევე მხარის განმარტებით, სააგენტომ იხელმძღვანელა საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 22 აგვისტოს №225/ნ ბრძანებით. ასევე აპელანტს განემარტა საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილების „სოციალური დახმარების შესახებ“ მე-12 მუხლი, რომლის თანახმადაც, 2007 წლის 1 იანვრიდან საოჯახო დახმარების დანიშვნა არ ხორციელდება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო/

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით ი. ჯ-ას წარმომადგენლის მ. მ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება.

აპელაციის მოტივების არგაზიარების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა:

დადგენილი გარემოებების ანალიზის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელის წარმომადგენლის არგუმენტები, რომ ი. ჯ-ას უსინათლობის გამო არ შეეძლო კითხვა და ზუგდიდის



სოციალური მომსახურების ცენტრის აგენტმა 2009 წლის 25 თებერვალს მოტყუებით მოაწერინა ხელი რა-  
ღაც განცხადებაზე, რომელიც აღმოჩნდა 22-ლარიანი საოჯახო დახმარების მოხსნის და საარსებო შემწე-  
ობის დანიშვნის საფუძველი, გაზიარებული ვერ იქნება. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსა-  
ხილველ შემთხვევაში, ი. ჯ-ამ საარსებო შემწეობის დანიშვნის თაობაზე განცხადებაზე ხელმოწერით გა-  
მოხატა მისი ნება საარსებო შემწეობის დახმარების მიღებაზე, რის შესაბამისად, დაბალი სარეიტინგო ქუ-  
ლის საფუძველზე, 2009 წლის მარტში, ორ წევრზე დაენიშნა საარსებო შემწეობა 54 ლარის ოდენობით და  
შეუწყდა საოჯახო დახმარება.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:  
სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ  
გარემოებებს და ჩამოყალიბებულ სამართლებრივ დასკვნებს სარჩელის დაუკმაყოფილებლობის შესახებ  
და მიიჩნია, რომ საქმის მასალებიდან გამომდინარე არ დასტურდება და არც მოსარჩელის მიერ სააპელა-  
ციო სასამართლო სხდომაზე იქნა წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება (საქართველოს სამოქალაქო საპ-  
როცესო კოდექსის 102-ე მუხლი), იმ გარემოებების დასადგენად, რომ სადავო ინდივიდუალური სამარ-  
თლებრივი აქტები მიღებულ იქნა კანონით დადგენილი მოთხოვნების ისეთი დარღვევით, რაც საფუძველი  
გახდებოდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლით განსაზღვრული გასაჩივრებული ინდი-  
ვიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის და შესაბამისად, არ არსე-  
ბობს მოპასუხის მიმართ ქმედების განხორციელების დავალების – 22-ლარიანი საოჯახო დახმარების აღ-  
დგენის თაობაზე, სამართლებრივი საფუძველი.

კასატორი: ი. ჯ-ა;  
მონინალმდგე მხარე: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;  
მონინალმდგე მხარე: სოციალური მომსახურების სააგენტო;  
მონინალმდგე მხარე: ზუგდიდის სოციალური მომსახურების ცენტრი;  
კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 29 ოქტომბრის  
განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება ან საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნე-  
ბა სააპელაციო სასამართლოში.

კასაციის მოტივები: სამართლებრივი:  
პროცესუალური: კასატორის მითითებით, გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასა-  
ბუთებული. გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლი-  
ანობის შემოწმება შეუძლებელია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და  
„ე<sup>1</sup>“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

მატერიალური: კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ სამართლებრივი შეფასება არ მისცა იმ ფაქტს,  
რომ ი. ჯ-ა იყო შეზღუდულქმედუნარიანი და I ჯგუფის ინვალიდი მხედველობის გამო.

ი. ჯ-ას უარი ეთქვა საოჯახო დახმარების აღდგენაზე და არა სოციალური დახმარების აღდგენაზე, რო-  
გორც ეს სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში წერია.

საარსებო დახმარების დანიშვნა ი. ჯ-ას ნებას არ გამოხატავდა, ვინაიდან ის ვერ დაინახავდა რაზე  
აწერდა ხელს. შესაბამისად, იგი ვერ მიმართავდა სააგენტოს განცხადებით.

განჩინებაში აღნიშნულია, რომ 2009 წლის 20 თებერვლის ოქმით ი. ჯ-ას დაენიშნა სოციალური შემწეო-  
ბა, როცა განჩინებით თურმე ი. ჯ-ამ მიმართა სააგენტოს 25.02.09 წელს განცხადებით, როცა უსინათლო ჯ-  
ას ეს განცხადება არ ეკუთვნის, ის არის სპეც ფორმა და მასზე ი. ჯ-ას ხელმოწერა, როგორც უსინათლოსი,  
ბათილია კანონის შესაბამისად. მინდობილობის სანოტარო აქტს ხელს აწერენ მოწმეები და არა ი. ჯ-ა,  
მაგრამ ასეც რომ არ ყოფილიყო 25.02.09 წლის განცხადების საფუძველზე 20.02.09 წლის ოქმი ვერ შედგე-  
ბოდა, ანუ 20.02.09 წლის ოქმი რაიმეს მტკიცებად ვერ გამოდგება, რადგან უსაფუძვლოა 25.02.09 წლის ე.წ  
განცხადება თითქოსდა ი. ჯ-ას ხელმოწერით.

პრეტენზია ფაქტობრივ გარემოებებზე: კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწო-  
რად, საამისოდ საფუძვლის არარსებობის მიუხედავად დადგენილად ჩათვალა, რომ უსინათლო ი. ჯ-ამ,  
როგორც ქმედუნარიანმა პირმა მიმართა სააგენტოს განცხადებით და ხელმოწერით ნება გამოხატა.

კასატორის მითითებით, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ურთიერთგამომრიცხავი მტკიცებები  
ცხადყოფს მის უკანონობას.

სააპელაციო სასამართლომ ზუგდიდის სოციალური მომსახურების ცენტრიდან გამოთხოვილი ცნობა  
დაუდო საფუძვლად განჩინებას, რაც არასწორია, ვინაიდან მასში აღნიშნულია, რომ შემწეობა მოიხსნა  
მაღალი ქულის გამო. მაშინ, როცა კასატორის მსჯელობით, მათ თვითონ თქვეს უარი, რათა აღდგენილი  
ყოფილიყო საოჯახო დახმარება ი. ჯ-აზე, რომელიც მას უკანონოდ წაართვეს.

მონინალმდგეის შეპასუხება: სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელმა ე. ო-ემ  
შესაგებლად საკასაციო საჩივარი არ ცნო და მოითხოვა საჩივრის დაუშვებლად ცნობა.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წინამძღვრები:  
(საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 34.3 მ.)

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კასატორის ი. ჯ-ას წარმომადგენლის – მ. მ-ის საკასაციო საჩი-  
ვარი შეიცავს მითითებებს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლით, კერძოდ „გ“ ქვეპუნ-  
ქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაობაზე და იგი მიჩნეულ იქნა  
დასაშვებად, როგორც პროცესუალური კასაცია.

სამოტივაციო ნაწილი:

სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი:

კასაციის ი. ჯ-ას წარმომადგენლის მ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლო ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 29 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად გადაეცა იმავე სასამართლოს.

კასაციის დაშვების ნაწინამდგომარის განმარტება კონკრეტულ საქმეზე:

წინამდებარე კასაციის მოტივი – საქმის არასრულყოფილად გამოკვლევა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება არის საგულისხმო და ექვემდებარება საკასაციო სასამართლოს შეფასებას, როგორც საპროცესო სამართლის ძირითადი პრინციპის – სასამართლოს მხრიდან საქმის ყოველმხრივი გამოკვლევისა და შეფასების შედეგად გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ, დაცვის ვალდებულების თაობაზე.

კასაციის მოტივების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების მიღებისას სასამართლოს მიერ დარღვეულია საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნები, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოიყენებინა, არასწორად განმარტა კანონი. გადაწყვეტილება არ არის იურიდიულად საკმარისად დასაბუთებული. საქმის გარემოებები არ არის გამოკვლეული ობიექტურად და მათ არ მისცემიათ სათანადო სამართლებრივი შეფასება.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონშეუსაბამობისა და დაუსაბუთებლობის თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებას, რომ: 2006 წლის 19 ივლისის ფორმა IV-ის საფუძველზე მიაჩნია, რომ ი. ჯ-ას დაუდგინდა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი მხედველობითი ინვალიდობის გამო. საქმეში წარმოდგენილი მასალებით ასევე ირკვევა, რომ ი. ჯ-ა არის I ჯგუფის ინვალიდი.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის წარმომადგენლის არგუმენტები, რომ ი. ჯ-ას უსინათლობის გამო არ შეეძლო კითხვა და ზუგდიდის სოციალური მომსახურების ცენტრის აგენტმა 2009 წლის 25 თებერვალს მოტყუებით მოანერჩინა ხელი რალაც განცხადებაზე, რომელიც აღმოჩნდა 22 ლარიანი საოჯახო დახმარების მოხსნის და საარსებო შემწეობის დანიშვნის საფუძველი, ასევე, სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, ი. ჯ-ამ საარსებო შემწეობის დანიშვნის თაობაზე განცხადებაზე ხელმოწერით გამოხატა მისი ნება საარსებო შემწეობის დახმარების მიღებაზე, რის შესაბამისად, დაბალი სარეიტინგო ქულის საფუძველზე, 2009 წლის მარტში, ორ წევრზე დაენიშნა საარსებო შემწეობა 54 ლარის ოდენობით და შეუწყდა საოჯახო დახმარება, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად და მიუკერძოებლად არ გამოიკვლია საქმის გარემოებები და ცალმხრივად დაეყრდნო მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოთა წარმომადგენლების ზეპირ განმარტებებს, რომლის საფუძველზეც დადგენილად მიიჩნია ი. ჯ-ას განცხადებაზე ხელმოწერისას მისი ნების გამოვლენის ნამდვილობის ფაქტი, იმ პირობებში, როცა თავიდანვე დადგენილად მიიჩნია, რომ ი. ჯ-ას მხედველობის მძიმე მდგომარეობის გამო დაუდგინდა მკვეთრი შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი.

სასამართლომ არ გამოიყენა ერთმანეთისგან ხელმოწერის ფაქტი რამდენად შესაბამისობაშია იმის გაცნობიერებასთან, თუ რა გარემოებებს ეთანხმება განმცხადებელი. საქმის მასალებით ვერ ვპოულობთ დადასტურებას, რომ ი. ჯ-ას ხელმოწერისას გაცნობიერებული ჰქონდა შესაბამისი სამართლებრივი შედეგები, რომელთა თაობაზე ინფორმირება – სამართლებრივი კონსულტაციის განევა ადმინისტრაციული ორგანოს აპარატის თანამშრომლებს პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენს.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ დოკუმენტზე ხელმოწერისას ი. ჯ-ას დანიშნული არ ჰყავდა კანონიერი წარმომადგენელი, თუმცა საქმეში არსებული მასალებით ნათლად ჩანს ის ფაქტი, რომ იგი წარმოადგენდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პიროვნებას მხედველობის მკვეთრი გაუარესების გამო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სადავო სამართალურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმატიული აქტები – 2006 წლის 29 დეკემბრის საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №225/ნ „მიზმოზრვი სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის დადგენილება „სოციალური დახმარების შესახებ“, მართალია, არ ასახავს ადმინისტრირების კომპეტენტურ ორგანოთა თანამშრომლების სამართლებრივ ვალდებულებებს, თუმცა, ეს არ შეიძლება გაგებული იქნეს იმგვარად, რომ მათ ასეთი მოვალეობა არ აკისრიათ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სხდომის ოქმის მიხედვით, არ ირკვევა, რომ სააპელაციო სასამართლომ გამოიკვლია ეს ფაქტობრივი გარემოება, კერძოდ, თუ რამდენად იყო სათანადოდ ინფორმირებული ი. ჯ-ა მოსალოდნელ სამართლებრივ შედეგებზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი აწესრიგებს რა პირებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის სამართალურთიერთობებს, ადგენს ქცევის საერთო პრინციპებსა და სტანდარტებს, რომლის განხორციელების მიმართ პირებს გააჩნიათ კანონიერი მოლოდინი და რომლის იგნორირება, კონკრეტულ სამართალურთიერთობებში არგავრცელება შესაბამის სამართლებრივ შედეგებს იწვევს.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ ი. ჯ-ას 2006 წლიდან დანიშნული ჰქონდა 22-ლარიანი საოჯახო დახმარება I კატეგორიის ინვალიდობის გამო და 28 ლარი დევნილის დახმარება.

საქართველოს მთავრობის დადგენილების „სოციალური დახმარების შესახებ“ 2006 წლის 27 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებით, გარდამავალ და დასკვნითი დებულებების მე-12 მუხლით დადგინდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ოჯახი აირჩევს საარსებო შემწეობის მიღებას, რის საფუძველზეც შეუწყდა საოჯახო დახმარების მიღება, 2007 წლის 1 იანვრიდან საოჯახო დახმარების ხელახალი დანიშვნა არ განხორციელდება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმატიული ნოვაცია არსებითად ცვლის ბენეფიციართა უფლებრივ სტატუსს, მათ ეკონომიკურ მდგომარეობას. სამართლებრივი სახელმწიფოს უმთავრესი ნიშანი – სამართლებრივი სტაბილურობის უზრუნველყოფა, შესაბამისი საჯარო ფუნქციის განმხორციელებელ – სოც. მუშაკებს აკისრებს სამართლებრივ მოვალეობას, სათანადო განმარტებითი სამუშაოების საფუძველზე განახორციელონ ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ფუნქცია.

საკასაციო სასამართლოს მოცემული დავის სპეციფიკიდან გამომდინარე საჭიროდ მიაჩნია განმარტოს სოციალური დახმარების სფეროში მმართველობის განხორციელების კანონიერების უზრუნველყოფის მიზანი, ამ სფეროში მომსახურე ბიუროკრატის როლი და სოციალური ფუნქცია, რათა მომავალში მაქსიმალურად იქნეს თავიდან აცილებული სოციალური დახმარების სუბიექტების კონფლიქტები შესაბამის საჯარო დაწესებულებებთან.

სახელმწიფოს ფუნქცია უზრუნველყოს საკუთარი ხალხის საჯარო ამოცანების გადაწყვეტა, ცხოვრების ყველა სფეროში ვლინდება. საზოგადოებრივი და სოციალური სოლიდარობის ეგიდით სახელმწიფო აფინანსებს გარკვეული კატეგორიის პირებს შემდეგი მიზნით: სოციალურ სფეროში მმართველობითი საქმიანობის ერთ-ერთ საჯარო ფუნქციას წარმოადგენს ქვეყანაში სოციალური დახმარების მწყობრი სისტემის ჩამოყალიბებით მოსახლეობის სამართლიანი, მიზნობრივი და ეფექტიანი დახმარებით უზრუნველყოფა.

ადმინისტრაციული სამართლის, რომლის კერძო ნაწილსაც წარმოადგენს სოციალური დაცვის სამართალი, პრინციპები, როგორცაა კანონიერების, კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე თანასწორობის, მიუკერძოებლობის და ა. შ. სრულად ვრცელდება სსიპ სოციალური დახმარების სააგენტოს მიერ განხორციელებულ ღონისძიებებზე. ევროპის სოციალური ქარტიის მე-14 მუხლი სოციალური უზრუნველყოფის სამსახურებით სარგებლობის უფლება /რომელსაც მიერთებულია საქართველოს სახელმწიფო/, ადგენს: სოციალური უზრუნველყოფის სამსახურებით სარგებლობის უფლების ეფექტური განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ: 1. უზრუნველყონ ისეთი სამსახურები, რომლებიც სოციალური საქმიანობის მეთოდის გამოყენებით, ხელს შეუწყობენ როგორც ცალკეულ პირებს, ისე საზოგადოებრივი ჯგუფების კეთილდღეობას და განვითარებას, ასევე, მათ შეგუებას სოციალურ გარემოსთან.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სოციალური უზრუნველყოფის სამსახურების საქმიანობის უკიდურესი სპეციფიკიდან გამომდინარე, სამსახურის თანამშრომლების კომუნიკაცია ბენეფიციარებთან უნდა ეფუძნებოდეს გულისხმიერების, თავაზიანობის, მზრუნველობის და მათი სრული ინფორმირებისა და ამომწურავი კონსულტირების სტანდარტს, ვინაიდან სწორედ ამგვარი მომსახურების პირობებში არის შესაძლებელი საუკეთესო არჩევანის გაკეთება ნების ნამდვილი გამოხატვა.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 85-ე მუხლი ადგენს სახელმწიფოში საჯარო მმართველობის განმხორციელებელი ყველა დაწესებულების ვალდებულებას ადმინისტრაციული წარმოების სუბიექტების მიმართ, გაუწიონ მათ სრულფასოვანი სამართლებრივი დახმარება.

აღნიშნულზე მსჯელობისას საკასაციო სასამართლო ეყრდნობა რა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 9 თებერვლის განჩინებაში /შპს „პანორამას“ სარჩელისა გამო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) მიმართ/, ჩამოყალიბებულ განმარტებას: „საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საჯარო მოსამსახურეთა ვალდებულებას წარმოადგენს დაინტერესებულ პირთა სრული ინფორმირება არა მხოლოდ უფლებრივი ასპექტით, არამედ, მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების თაობაზე, რაც მოცემულ შემთხვევაში უგულებელყოფილია. სწორედ საჯარო სამსახურის სისტემის და ყოველი საჯარო მოსამსახურის როლის ჯეროვანი გაცნობიერება დაედო საფუძველად ამ სფეროში საერთაშორისო სტანდარტების ჩამოყალიბებას და ზრუნვას მათი დამკვიდრებისთვის“.

... „ადამიანის უფლებები, რომლის დაცვის ვალდებულებაც გააჩნია საჯარო მოხელეს თავიანთი მოვალეობის შესრულებისას დადგენილია და დაცულია ეროვნული და საერთაშორისო სამართლით. შესაბამის საერთაშორისო დოკუმენტებს განეკუთვნება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და ა.შ. აუცილებელია დაცული იყოს ნონასწორობა ერთის მხრივ, იმ დაწესებულების შინაგანი დისციპლინის დაცვის აუცილებლობისათვის, რომელზეც დამოკიდებულია საზოგადოება და მეორეს მხრივ, ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევასთან ბრძოლის აუცილებლობისათვის. საზოგადოებისადმი სამსახური მოიცავს საზოგადოების იმ წევრებისათვის სამსახურისა და დახმარების განევას, რომელნიც პირადი, ეკონომიკური, სოციალური ან სხვა განსაკუთრებული ხასიათის მიზეზებით საჭიროებენ დაუყოვნებლივ დახმარებას“.

... „საერთაშორისო აქტებით, აგრეთვე, სხვადასხვა სახელმწიფოთა შიდაეროვნული დოკუმენტებით საჯარო მოხელეთა ძირითად პრინციპებს განეკუთვნება მოქალაქეთა ძირითადი უფლებების და თავისუფლებების დაცვა, კეთილსინდისიერი სამსახური, ეკონომიურობა, ეფექტურობა და ა.შ.

საჯარო სამსახურის ძირითადი ფუნქცია არის საზოგადოების, მისი თითოეული წევრის კანონით დაცული ინტერესების მომსახურება, რისი გაუთვინცობიერებლობა, ვალდებულებათა ჯეროვანი შეუსრუ-

ლებლობა უშუალოდ აისახება საზოგადოების ცხოვრების დონეზე, ნაციონალური იდენტობის ხარისხზე, საკუთარი ქვეყნის მართვა-გამგეობაში მონაწილეობის თანაგანცდაზე, რომლის გარეშე საფრთხე ექმნება დემოკრატიული საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობას.

ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობის მიზანი სწორედ იმგვარი ნორმატიული სტანდარტების შექმნაა, რომელიც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებების და თავისუფლებების, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვას /ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 1.2. მუხლი/“.

ზემომოყვანილი სასამართლო სტანდარტი დადგენილია ქვეყნის საჯარო მოსამსახურეთათვის, რომელიც საკასაციო სასამართლოს შეფასებით, თავისუფლად უნდა გავრცელდეს სოციალური უზრუნველყოფის სამსახურების თანამშრომელთა საქმიანობაზე, როგორც სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანესი მმართველობითი საქმიანობის განმხორციელებელ პირებზე.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სოციალურ მუშაკს ეკისრებოდა ვალდებულება სრული და ამომწურავი ინფორმაცია მიენოებინა ი. ჯ-ასათვის და გაეცნო მისთვის რა იურიდიული შედეგის დადგომას ითვალისწინებდა მისი ნების გამოხატვა.

საკასაციო სასამართლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 70-ე მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ: „იმ პირს, რომელიც თვითონ ვერ მოაწერს ხელს გარიგებას წერა-კითხვის უცოდინარობის, ფიზიკური ნაკლის, ავადმყოფობის გამო ან კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, შეუძლია გარიგებაზე ხელის მოწერა სხვას მიანდოს. ამ უკანასკნელის ხელის მოწერა დამონმებული უნდა იყოს ოფიციალურად. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ის მიზეზი, რომლის გამოც გარიგების დამდებმა ვერ შეძლო გარიგებაზე ხელისმოწერა“. მოცემული ნორმის შინაარსის ანალიზიდანაც ნათლად ჩანს რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კანონმდებელი მოცემულ შემთხვევებში იმ პირის სამართლებრივ დაცვას, რომელსაც არ შეუძლია გარკვეული მიზეზების გამო ხელისმოწერა დოკუმენტზე.

საგულისხმოა, რომ „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ 27-ე მუხლის მიხედვით, მაშინაც კი, როდესაც იურიდიული მნიშვნელობის მოქმედებას ახორციელებს ნოტარიუსი, რომელიც არის უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე და საჯარო ნდობით აღჭურვილი პირი, ეკისრება ვალდებულება, სანოტარო მოქმედების შესრულებისას თუ სანოტარო აქტი ფორმდება წერა-კითხვის არმცოდნე ბრმა, ყრუ, მუნჯი ან ყრუ-მუნჯი პირის მონაწილეობით, სანოტარო მოქმედება შეასრულოს მონმის და ისეთი პირის თანდასწრებით, რომელსაც შეუძლია გააგებინოს მას საქმის არსი და დაადასტუროს თავისი ხელის მოწერით, რომ გარიგების შინაარსი შეესაბამება ბრმა, ყრუ, მუნჯი ან ყრუ-მუნჯი მხარის ნებას. მით უფრო მნიშვნელოვანია საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებში პირის ნების გამოვლენის ნამდვილობის ობიექტური და საფუძვლიანი გამოკვლევა, რაც საფუძველად უნდა დაედოს საქმეზე კანონიერი და დასაბუთებული სასამართლო დასკვნის ჩამოყალიბებას.

საკასაციო სასამართლო საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე დადასტურებულად მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს ობიექტურად არ გამოუკვლევიან ი. ჯ-ას ნების გამოვლენის ნამდვილობის ფაქტი, კერძოდ, სოციალური მუშაკის საჯარო ვალდებულება – გაეცნო მისთვის საქმის გარემოებები და ახალი ნორმატიული დანაწესი გულდასმით, განემარტა მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები, რაც პირს მისცემდა შესაძლებლობას სათანადო განსჯის შედეგად გაეკეთებინა მისთვის ყველაზე ხელსაყრელი არჩევანი სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული პირობებიდან, სასამართლოს არ დაუდგენია ჯ-ას ხელმოწერა რამდენად არის მისი ინფორმირებული და გაცნობიერებული არჩევანის შედეგი, შესაბამისად, ნების გამოხატვა ნამდვილი. სასამართლოს არ უმსჯელია, ი. ჯ-ას სოციალური სტატუსის პირის ხელმოწერა მოქმედი კანონმდებლობის პირობებში მონმის დასწრების გარეშე რამდენად კანონიერად შეიძლება იქნას მიჩნეული, ვინაიდან ამ დროისათვის ი. ჯ-ას არ ჰყავდა დანიშნული კანონიერი წარმომადგენელი.

საკასაციო სასამართლოს მითითებები სააპელაციო სასამართლოსათვის:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არის დაუსაბუთებელი, განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ შეუძლებელია მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დავის მართებულად გადაწყვეტის მიზნით არსებითი მნიშვნელობა აქვს სააპელაციო სასამართლომ ობიექტური შეფასება მისცეს საქმეში წარმოდგენილ ყველა მტკიცებულებას და ისე გამოიტანოს გადაწყვეტილება. საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს საქმის ყველა გარემოება, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით სააპელაციო საჩივრის ფარგლებში შეამოწმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესაბამისად, საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. ი. ჯ-ას წარმომადგენლის მ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 29 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯების გადანაწილების საკითხი გადაწყდეს საქმის საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სოციალურად დაუცველი ოჯახის მდგომარეობის შეფასება

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-486-480(კ-12)

26 თებერვალი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და ქმედების განხორციელება

აღწერილობითი ნაწილი:  
მოსარჩელე: ჯ. მ-ი  
მოპასუხეები: სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრი  
სარჩელის სახე: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე და 24-ე მუხლების საფუძველზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ქმედების განხორციელება.

სარჩელის საგანი:  
1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრის 2011 წლის 1 ივნისის ოქმის, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შეწყვეტის შესახებ, ბათილად ცნობა;  
2. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2011 წლის 16 სექტემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;  
3. მოპასუხე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრისათვის ჯ. მ-ის სასარგებლოდ 6 თვის გაუცემელი სოციალური დახმარების – 180 ლარის ანაზღაურების დავალდებულება

სარჩელის საფუძველი:  
ფაქტობრივი: ჯ. მ-ის ოჯახს 2011 წლის ივნისის თვეში შეუწყდა სოციალური დახმარების გაცემა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრის 2011 წლის 22 ივნისის პასუხით ეცნობა, რომ 2011 წლის 1 ივნისს ოჯახში ვიზიტის დროს, სოციალურმა აგენტმა დააფიქსირა არასრული ინფორმაციის მიწოდება, კერძოდ, ოჯახი ხელოვნურად იყო დაყოფილი, რის საფუძველზეც გაუქმდა მისი ოჯახის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაცია.

მითითებული პასუხი მოსარჩელემ გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების ცენტრში, რომლის 2011 წლის 16 სექტემბრის №... გადაწყვეტილებით საჩივარი არ იქნა მიღებული წარმოებაში, საჩივრის წარდგენის ვადის დარღვევის მოტივით.

მოსარჩელე განმარტავს, რომ მას საჩივრის შეტანის ვადა არ დაურღვევია, რადგან გაასაჩივრა, როგორც ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შეწყვეტის შესახებ 2011 წლის 01 ივნისის ოქმი, ასევე 2011 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილება, ხოლო საჩივრით კი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართა 2011 წლის 17 აგვისტოს. ამასთან ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შეწყვეტის შესახებ ოქმი ჩაბარდა 2011 წლის 9 სექტემბერს.

სამართლებრივი: მოსარჩელე მიიჩნევს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის, 96-ე და მე-100 მუხლების შესაბამისად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები; ხოლო „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილების 5.2 მუხლის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის შესაბამისად მოპასუხეს უნდა დაევალოს ჯ. მ-ის სასარგებლოდ 6 თვის გაუცემელი სოციალური დახმარების – 180 ლარის ანაზღაურება.

მოპასუხის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრის შესაგებელი:

ფაქტობრივი: მოპასუხის განმარტებით, 2011 წლის 1 აპრილს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრში სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მიზნით განაცხადი შეიტანა დ. ნ-მა, სოციალური აგენტის ვიზიტის დროს აღმოჩნდა, რომ ოჯახში ცხოვრობდა მოსარჩელე ჯ. მ-ი, რომელიც მონაწილეს იღებდა (2006 წლის 30 მაისისდან) იმავე პროგრამაში, რის გამოც შეუჩერდა სოციალური დახმარება.

2011 წლის 12 აპრილს დ. ნ-მა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მიზნით კვლავ მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრს, ოჯახში სოციალური აგენტის ვიზიტისას გამოიჩინა, რომ მოსარჩელე ჯ. მ-ი და განმცხადებელი დ. ნ-ი ისევე ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ, ოჯახის ხელოვნურად გაყოფის საფუძველზე გაფორმდა 2011 წლის 19 აპრილის ოქმი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შეწყვეტის შესახებ.

მოპასუხის განმარტებით, 2011 წლის 4 მაისს ჯ. მ-მა განაცხადებით მიმართა დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრს დემოგრაფიულ ცვლილებებთან დაკავშირებით, მაგრამ აგენტის ვიზიტისას კვლავ გამოიჩინა, რომ ოჯახში მ-ისა და ნ-ის გარდა ცხოვრობდა კიდევ ქალბატონი ორ შვილთან ერთად. განაცხადისა და დეკლარაციის შევსებისას განმცხადებელმა არ მიაწოდა სრული ინფორმაცია ოჯახის წევრების რაოდენობაზე, რაც ნიშნავდა იმას, რომ ოჯახი იყო ხელოვნურად გაყოფილი, რის გამოც 2011 წლის 1 ივნისის შედეგა ოქმი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შეწყვეტის შესახებ.

სამართლებრივი: მოპასუხემ სარჩელის არ დაკმაყოფილების საფუძველად მიუთითა, – „ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ 2001 წლის 24 აპრილის №126 საქართველოს მთავრობის დადგენილების 2. „ბ“, 6.1.„დ“ მუხლზე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის – „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“, მე-14 მუხლის პირველი მუხლის „ბ“, ქვეუწყვეტზე, 2010 წლის 31 მაისის №01/127 ბრძანების სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე მე-13 მუხლის 6.4, 6.5; 13.1, 13.1.2 ქვეუწყვეტზე, 2010 წლის 31 მაისის №01/128-ო ბრძანების სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშვნა-გაცემის სამოქმედო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე მე-10 მუხლის მე-2 პუნქტზე, 2006 წლის 28 ივლისის №145 საქართველოს მთავრობის დადგენილების „სოციალური დახმარების შესახებ“, მე-5 მუხლის მე-2 ნაწილზე.

მოპასუხეს – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს წერილობითი შესაგებელი არ წარმოუდგენია, ხოლო სასამართლო სხდომაზე სარჩელი არ ცნო.

საქმის გარემოებები: მოსარჩელის განმარტებით, იგი არის სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრი, ოჯახში ცხოვრობენ ორნი – თვითონ და მისი შვილი. 2011 წლის ივნისიდან შეუწყდა სოციალური შემწეობის მიღება. აღნიშნულის გარკვევის მიზნით განაცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრს, რომლის 2011 წლის 22 ივნისის პასუხით ეცნობა, რომ 2011 წლის 1 ივნისს მის ოჯახში სოციალური აგენტის ვიზიტის დროს აღმოჩნდა, რომ ადგილი ჰქონდა არასრული ინფორმაციის მიწოდებას, კერძოდ, ადგილი ჰქონდა ოჯახის ხელოვნურად დაყოფის ფაქტს, რაც გახდა საფუძველი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის გაუქმების.

მოსარჩელემ კვლავ მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრს და მოითხოვა რეგისტრაციის აღდგენა და გაუცემელი სოციალური დახმარების ანაზღაურება, რის თაობაზეც 2011 წლის 18 ივლისის წერილით კვლავ ეცნობა, რომ მისი ოჯახის სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის გაუქმების მიზეზი, რაც ჩათვალა განაცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმად და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში გაასაჩივრა როგორც აღნიშნული წერილი ასევე ოჯახის სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ 2011 წლის 23 აგვისტოს წერილით აცნობა, რომ არსებობდა მისი საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველები, რის გამოც დაავალა დამატებით დოკუმენტების წარდგენა, რის შემდეგაც 2 კვირის ვადაში წარუდგინა ოჯახის სოციალური-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შეწყვეტის შესახებ ოქმი, თუმცა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ. მოსარჩელის განმარტებით, ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები უკანონო და დაუსაბუთებელია და ბათილად უნა იქნეს ცნობილი.

ამასთან, მოსარჩელის მითითებით, მას შემდეგ რაც უკანონოდ შეუწყვიტეს სოციალური დახმარების მიღება, იგი იძულებული გახდა მიემართა სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის ხელახალი შეფასებისა და დახმარების გაცემის თაობაზე. რის შემდეგაც 2011 წლის 14 სექტემბერს სოციალური მომსახურების სააგენტოსაგან ეცნობა, რომ მისი ოჯახის სარეიტინგო ქულამ შეადგინა 43220 ქულა და აღნიშნული შეფასება ძალაში შედიოდა 2011 წლის 7 სექტემბრიდან. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხემ არამართლზომიერად უკანონოდ შეუწყვიტა სოციალური დახმარე-

ბის გაცემა და მიზეზად ასევე უკანონოდ მიუთითა „ოჯახის ხელოვნურად დაყოფა“. სოციალური აგენტის დროს მასთან მყოფი პირები იყვნენ სტუმრები, რაც აგენტმა არ გაითვალისწინა და მიიჩნია, რომ მის ოჯახში მყოფი პირები წარმოადგენდნენ მასთან მუდმივად მცხოვრებ პირებს.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით ჯ. მ-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

ჯ. მ-ს 2011 წლის ივნისიდან შეუწყდა სოციალური დახმარების გაცემა იმ მოტივით, რომ 2011 წლის 1 ივნისს სოციალურმა აგენტმა ვიზიტის დროს დააფიქსირა არასრული ინფორმაციის მინოდება, კერძოდ, ოჯახი ხელოვნურად იყო დაყოფილი.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრის 2011 წლის 22 ივნისის წერილით მოსარჩელეს განემარტა, რომ მისი განაცხადი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის შესახებ ძალადაკარგულად იქნა აღიარებული იმ საფუძველით, რომ დაფიქსირდა არასრული ინფორმაციის მინოდება, კერძოდ, ოჯახი ხელოვნურად იყო დაყოფილი, ამასთან, სოციალური აგენტის ვიზიტის დროს მან უარი განაცხადა დეკლარაციის შევსებაზე, სადაც დააფიქსირებდა ოჯახის წევრების რეალურ შემადგენლობას.

მოსარჩელემ, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის აღდგენისა და გაუცემელი სოციალური დახმარების ანაზღაურების მოთხოვნის შესახებ განაცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრს, რაზედაც 2011 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილებით განემარტა, რომ მისი განაცხადი ძალადაკარგულად იქნა აღიარებული და რეგისტრაცია მონაცემთა ერთიან ბაზაში გაუქმებული იყო.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრის 2011 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილება მოსარჩელემ 2011 წლის 17 აგვისტოს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში, რომლის 2011 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილებით, განემარტა, რომ ფულადი სოციალური დახმარების შეწყვეტის თაობაზე ეცნობა 2011 წლის 22 ივნისის წერილით და აღნიშნული ფაქტის სადავოდ ქვევის დამადასტურებელი დოკუმენტი საჩივარს არ ერთვოდა, შესაბამისად განაცხადების ავტორს მიეცა ორი კვირის ვადა წარედგინა სათანადო მტკიცებულებები და პირადი მოსაზრებები, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი საჩივარი არ იქნებოდა მიღებული წარმოებაში ხანდაზმულობის მოტივით.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2011 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ადმინისტრაციული საჩივარი არ იქნა მიღებული წარმოებაში იმ საფუძველით, რომ მოსარჩელემ არ წარადგინა 2011 წლის 22 ივნისის წერილის ერთი თვის ვადაში სადავოდ ქვევის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:

სადავოა ის გარემოება, რომ მოსარჩელეს საჩივრის შეტანის ვადა არ დაურღვევია, რადგან გაასაჩივრა, როგორც ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შეწყვეტის შესახებ 2011 წლის 1 ივნისის ოქმი, ასევე 2011 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილება, ხოლო საჩივრით კი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართა 2011 წლის 17 აგვისტოს. ამასთან ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შეწყვეტის შესახებ ოქმი ჩაბარდა 2011 წლის 9 სექტემბერს.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება: /კვალიფიკაცია/:

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/5 ბრძანების მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად: 1. სააგენტოს უფლებამოსილი პირი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შეწყვეტის შესახებ ოქმს (შემდგომში „შეწყვეტის ოქმი“) (დანართი №3) ავსებს იმ შემთხვევებში თუ: ა) ოჯახი ხელოვნურად არის გაერთიანებული; ბ) ოჯახი ხელოვნურად არის დაყოფილი; გ) ოჯახი მითითებულ მისამართზე მუდმივად არ ცხოვრობს, ან ვერ ხერხდება ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელთან შეხვედრა; დ) ოჯახის სააგენტოს უფლებამოსილ პირს არ აძლევს ქონების/დოკუმენტების დათვალიერების საშუალებას; ე) ოჯახის ყველა წევრს არ გააჩნია დეკლარაციის შევსებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული საბუთები; ვ) სხვა მიზეზი, რაც ხელს უშლის სააგენტოს უფლებამოსილ პირს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებაში, ან ოჯახი უარს აცხადებს დეკლარაციის შევსებაზე და მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციაზე, ან როდესაც შეუძლებელია ოჯახის იდენტიფიცირება (მაგ.: განაცხადში მითითებული მისამართი არ არსებობს ან მითითებულ მისამართზე არ მდებარეობს შენობა-ნაგებობა). 2. შეწყვეტის ოქმში მითითებული უნდა იყოს სააგენტოს უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი; ოჯახის საიდენტიფიკაციო კოდი; ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი და ოქმის შევსების თარიღი. 3. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ან „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველით შეწყვეტის ოქმი ივსება იმ შემთხვევაში, თუ სააგენტოს უფლებამოსილი პირი დარწმუნებულია ოჯახის ხელოვნურად დაყოფის ან ხელოვნურად გაერთიანების საკითხში, რასაც მოწმობს ოჯახის საცხოვრებელი პირობები.

კონკრეტულ შემთხვევაში, ზემოაღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, ძალადაკარგულად იქნა აღიარებული მოსარჩელის განაცხადი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის შესახებ და შესაბამისად, გაუქმდა მოსარჩელის – ჯ. მ-ის რეგისტრაცია მონაცემთა ერთიან ბაზაში.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 22 აგვისტოს №225/5 ბრძანებით დამტკიცებული „მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშნვისა და გაცემის წესის“ 8.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საარსებო შემწეობის ადმინისტრირებისათვის, სააგენტო უზრუნველყოფს საარსებო შემწეობის დანიშვნას, გაანგარიშებას, შეწყვეტას, გა-

ნახლებას, ხოლო მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტო უფლებამოსილია, პერიოდულად შეამოწმოს საარსებო შემწეობის მიღები ოჯახი, მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილების გამოსავლენად; შემონების პერიოდულად განსაზღვრავს სააგენტო; არსებული თუ გამოვლენილი ფაქტების გათვალისწინებით, სააგენტო ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას საარსებო შემწეობის დანიშვნის, შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ.

სასამართლოს მოსაზრებით, სოციალური მომსახურების სააგენტოს 2011 წლის 01 ივნისის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შეწყვეტის შესახებ ოქმი დასაბუთებული და კანონიერი იყო, რადგან კონტროლის დეპარტამენტის მონიტორინგის სამსახურის თანამშრომელი მოქმედებდა რა ინსტრუქციის შესაბამისად, გამოცხადდა ჯ. მ-ის საცხოვრებელ მისამართზე მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გადამოწმების მიზნით, რა დროსაც, 2011 წლის 1 ივნისს ოჯახში ვიზიტის დროს, დააფიქსირა ოჯახის ხელოვნურად გაყოფის ფაქტი, ამასთან, მოსარჩელემ უარი განაცხადა დეკლარაციის შევსებაზე, სადაც უნდა აღნიშნა ოჯახის წევრების რეალური შემადგენლობა.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოტივაცია იმ ფაქტობრივ გარემოებასთან მიმართებაში, რომ ოჯახის ხელოვნურად გაყოფის დაფიქსირების გამო, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შეწყვეტის შესახებ ოქმი შედგენილია არამართლზომიერად და სოციალურმა აგენტმა არ გაითვალისწინა მოსარჩელის განმარტებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ვინაიდან, სასამართლოს განმარტებით, სოციალური აგენტი მოქმედებდა მისი უფლებამოსილების ფარგლებში და ოჯახში ვიზიტის დროს დააფიქსირა, რომ ოჯახი იყო განცალკევებულ ფართზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებიც ერთობლივად ეწეოდნენ შინასამეურნეო საქმიანობას, ხოლო მის შეთავაზებაზე ჯ. მ-ს შეეცაო დეკლარაცია, სადაც დააფიქსირებდა ოჯახის წევრების რეალურ შემადგენლობას – მოსარჩელემ განაცხადა უარი.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს თუ გასულია ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი ვადა, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული საჩივრის მიღებასა ან განხილვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანამდე მისცეს ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს აღნიშნულ საკითხზე საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. ამავე კოდექსის 180-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადა, რომლის თანახმად ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მოსარჩელემ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა 2011 წლის 17 აგვისტოს, რაზედაც განცხადების ავტორს მიეცა ორი კვირის ვადა წარედგინა 2011 წლის 22 ივნისის წერილთან დაკავშირებით სადავოდ ქცევის დამადასტურებელი სათანადო მტკიცებულებები და პირადი მოსაზრებები, აღნიშნულის წარუდგენლობის გამო ორგანოს 2011 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ადმინისტრაციული საჩივარი არ იქნა მიღებული წარმოებაში. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ მან გაასაჩივრა 2011 წლის 18 ივლისის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრის გადაწყვეტილება და ამით დაცულია საჩივრის შეტანის ერთთვიანი ვადა, ვინაიდან დადგენილია, რომ ოჯახზე შევსებული დეკლარაციის შეწყვეტის შესახებ შედგენილი ოქმის მიზეზის გარკვევასთან დაკავშირებით მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრს და 2011 წლის 22 ივნისის წერილით მას ეცნობა განაცხადის ძალადაკარგულად აღიარების შესახებ. რაც შეეხება 2011 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილებას, აღნიშნულით მოსარჩელეს განმეორებით ეცნობა მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, შესაბამისად სასამართლოს მოსაზრებით, სოციალური დახმარების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის ცნობილი იყო 2011 წლის 22 ივნისს, აქედან გამომდინარე 2011 წლის 17 აგვისტოს ადმინისტრაციული საჩივრით მიმართვის ვადა დაცული არ არის, რაც გამორიცხავს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2011 წლის 16 სექტემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობას.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საფუძველს მოკლებულია, ასევე სასარჩელო მოთხოვნა გაუცემელი სოციალური დახმარების – 180 ლარის ანაზღაურების ნაწილშიც, ვინაიდან 2011 წლის 8 აგვისტოს ჯ. მ-ის ოჯახში განხორციელებული სოციალური აგენტის ვიზიტის შედეგად, ოჯახს მიენიჭა შესაბამისი სარეიტინგო ქულა და მოიპოვა სოციალური დახმარებით სარგებლობის უფლება, რაც ძალაში შევიდა 2011 წლის 7 სექტემბერს, ხოლო საარსებო შემწეობის დანიშვნის უფლება მიეცა სარეიტინგო ქულის მინიჭებიდან მესამე თვეს, შესაბამისად სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი არ აქვს გაუცემელ სოციალურ დახმარებას.

სასამართლოს დასკვნები – საქმის მასალების გაცნობის, მხარის ახსნა-განმარტებების მოსმენის, სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმებისა და საქმეში არსებულ მტკიცებულებათა სამართლებრივი შეფასების შედეგად სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ჯ. მ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

აპელანტი: ჯ. მ-ი

მონინალმდევე მხარეები (მოპასუხეები): სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრი,



აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:  
თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილება.

აპელაციის მოტივები:  
ფაქტობრივი: სააპელაციო საჩივრის ავტორი არ დაეთანხმა სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და აღნიშნა, რომ სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ 2011 წლის 1 ივნისის გასაჩივრებულ აქტს და მასში შეტანილ მონაცემებს და არ გაითვალისწინა საქმესთან დაკავშირებით მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და მოსაზრებები.

აპელანტის აზრით, სასამართლომ სარწმუნოდ მიიჩნია სოციალური აგენტის მიერ შედგენილი აქტი და ეჭვი არ შეუტანია მის დასაბუთებაში. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვის დროს წარადგინა მონაწილის ახსნა-განმარტება, რომლის თანახმადაც ოჯახში მუდმივად ცხოვრობს თვითონ შვილთან ერთად, რაც ადასტურებს 2011 წლის 1 ივნისის გასაჩივრებული აქტის დაუსაბუთებლობას. თუმცა ამ მტკიცებულების შესახებ სასამართლოს თავის გადაწყვეტილებაში საერთოდ არ უმსჯელია, რითაც დაირღვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 244-ე მუხლის დანაწესები.

აპელანტის მოსაზრებით, 2011 წლის 1 ივნისის გასაჩივრებულ აქტში მითითებული არასწორი ფაქტები სადავოდ გამგებარი და ეს ფაქტები უდავოდ დადგენილად ვერ ჩაითვლება.

სასამართლომ გადაწყვეტილების დასაბუთებისას მტკიცებულებებზე გამოიყენა მოპასუხის მიერ წარმოდგენილი 2011 წლის 21 დეკემბრის სამსახურებრივი ბარათი, რომელსაც განსახილველ საქმესთან კავშირი არა აქვს. ვინაიდან წარმოდგენილ ბარათში 2011 წლის 16 დეკემბერს სოციალური აგენტის მიერ ჯ. მ-ის ოჯახში განხორციელებული ვიზიტის შესახებ არის გადმოცემული. სასამართლოში კი განხილვის საგანს წარმოადგენს 2011 წლის 1 ივნისის გასაჩივრებულ აქტში მოყვანილი გარემოებები.

სასამართლომ ასევე არასწორად დაადგინა, რომ მოსარჩელის მიერ გაშვებული იქნა ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრების კანონმდებლობით დადგენილი ვადა. რაც არასწორია, ვინაიდან, მან კანონმდებლობით დადგენილ ვადაში ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში გაასაჩივრა 2011 წლის 1 ივნისის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც მოპასუხემ რეალურად გადასცა მოსარჩელეს 2011 წლის 9 სექტემბერს. ამასთან, ზემდგომ ორგანოში, ასევე, გაასაჩივრა 2011 წლის 18 ივლისის ადმინისტრაციული აქტი, რომლითაც უარი ეთქვა მოსარჩელეს განცხადების დაკმაყოფილებაზე. იმავე საჩივრით მოითხოვა უკანონოდ გაუცემელი სოციალური დახმარების გაცემა.

სამართლებრივი: აპელანტის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ სწორად მიუთითა ნორმატიული აქტები, თუმცა არასწორად განმარტა ისინი. გასაჩივრებულ აქტში არასწორად იქნა მითითებული ოჯახის ხელოვნურად დაყოფის შესახებ. კანონის დარღვევებს ადგილი ჰქონდა ასევე გასაჩივრებული 2011 წლის 18 ივლისისა და 2011 წლის 16 სექტემბრის ადმინისტრაციული აქტების გამოცემისას.

აპელანტის განმარტებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს 2010 წლის 20 მაისის №14/ნ ბრძანების მეორე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ოჯახი არის განცალკევებულ საცხოვრებელ ფართობზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას. ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი. იმავე ბრძანების მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შეწყვეტის შესახებ ოქმს ავსებს იმ შემთხვევაში თუ, ოჯახი ხელოვნურად არის დაყოფილი“. აღნიშნული მუხლების შესაბამისად, 2011 წლის 1 ივნისის აქტის შედგენისას სოციალურ აგენტს უნდა დაედგინა: 1) რამდენი წევრისგან შედგებოდა განმცხადებლის ოჯახი და 2) სწორად უთითებდა თუ არა განმცხადებელი ოჯახის წევრების რაოდენობას. სოციალურმა აგენტმა ამ გარემოების გამოკვლევისა და დადგენის ნაცვლად, იმის გამო, რომ მოსარჩელის ოჯახში იმ კონკრეტულ მომენტში იმყოფებოდა რამდენიმე სტუმარი, ჩათვალა, რომ ადგილი აქვს ოჯახის ხელოვნურ დაყოფას და შეადგინა უკანონო ოქმი შეფასების შეწყვეტის შესახებ. ოქმის უკანონობას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ მოსარჩელის განცხადების წარდგენის შემდგომ აგენტმა მოსარჩელის ოჯახში განახორციელა ვიზიტი, დეკლარაცია შეივსო ოჯახის ორი წევრის გათვალისწინებით და შესაბამისად, განისაზღვრა 43220 ქულა. სასამართლომ, მართალია, გადაწყვეტილების დასაბუთებისას მიუთითა სამინისტროს 2010 წლის 20 მაისის 141/ნ ბრძანებაზე, მაგრამ დასაბუთების შინაარსიდან გამომდინარე, არასწორად განმარტა იგი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო/:  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 25 აპრილის განჩინებით ჯ. მ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება

აპელაციის მოტივების არგაზიარების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა:  
პალატა არ იზიარებს სააპელაციო საჩივრის პრეტენზიებს და მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად დაადგინა რა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, სწორი სასამართლებრივი შეფასება მისცა მათ.

პალატა არ იზიარებს აპელანტის პერეტენზიებს სოციალური მომსახურების სააგენტოს 2011 წლის 16 სექტემბრის №... გადაწყვეტილების კანონიერებასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ საქმის მასალების თანახმად, 2011 წლის 23 აგვისტოს წერილით ჯ. მ-ს ეცნობა, რომ მას 2011 წლის 17 აგვისტოს საჩივართან დაკავშირებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის საფუძველზე ორი

კვირის ვადაში უნდა წარმოედგინა საკუთარი მოსაზრებები და მტკიცებულებები, წინააღმდეგ შემთხვევაში საჩივარი არ იქნებოდა მიღებული წარმოებაში.

პალატის აზრით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად არ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება, მასზე რომ მან გაასაჩივრა 2011 წლის 18 ივლისის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრის გადაწყვეტილება, ამით დაიცვა საჩივრის შეტანის ერთგვარი ვადა, მაშინ, როცა ოჯახზე შევსებული დეკლარაციის შეწყვეტის შესახებ შედგენილი ოქმის მიზეზის გარკვევასთან დაკავშირებით მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრს და 2011 წლის 22 ივნისის წერილით მას ეცნობა განაცხადის ძალადაკარგულად აღიარების შესახებ. საქმის მასალების მიხედვით არ დასტურდება აპელანტის მიერ მითითებული გარემოება, რომ დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრს მან წარუდგინა განცხადება, თავისი შინაარსით საჩივარი 22 ივნისის წერილზე. 2011 წლის 18 ივლისის წერილით მოსარჩელეს განმეორებით ეცნობა მიღებული გადაწყვეტილების შესახებ/.

რაც შეეხება 2011 წლის 1 ივნისის ოქმის შედგენის გამო გაუცემელი სოციალური დახმარების 180 ლარის ანაზღაურებას, სააპელაციო პალატის მითითებით, 2011 წლის 8 აგვისტოს ჯ. მ-ის ოჯახში განხორციელებული სოციალური აგენტის ვიზიტის შედეგად, ოჯახს მიენიჭა შესაბამისი სარეიტინგო ქულა და მოიპოვა სოციალური დახმარებით სარგებლობის უფლება, რაც ძალაში შევიდა 2011 წლის 7 სექტემბერს, ხოლო საარსებო შემწეობის დანიშვნის უფლება მიეცა სარეიტინგო ქულის მინიჭებიდან მესამე თვეს.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რაც გაიზიარა სააპელაციო პალატამ. სააპელაციო სასამართლომ ასევე სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს.

კასატორი: ჯ. მ-ი

მონიშნულმდეგ მხარეები: სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრი,

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული 2012 წლის 25 აპრილის განჩინების გაუქმება და მისი სარჩელის დაკმაყოფილება.

კასაციის მოტივები: სამართლებრივი:

პროცესუალური: კასატორის მითითებით, გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე1“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

მატერიალური: კასატორის განმარტებით, საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან აქვს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/6 ბრძანების მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი მოხსენიებული „ოჯახის ხელოვნურად დაყოფის“ განმარტებას, მისი შინაარსის გათვალისწინებით ოჯახის ხელოვნურად დაყოფაში მოიაზრება ისეთი სახის არანორმალური ინფორმაციის მიწოდება სააგენტოს უფლებამოსილი პირისათვის, რაც ხელოვნურად ქმნის ოჯახის რაოდენობის შეახებ არასწორ წარმოდგენას. ამასთან, აღნიშნულ არასწორ ინფორმაციას შედეგად უნდა მოჰყვეს ის, რომ ოჯახის ცალკეული პირები დამოუკიდებლად, ერთმანეთისაგან განცალკევებით იღებდნენ სოციალურ დახმარებას, როგორც ოჯახის არანევრი პირები. კასატორის მითითებით, თუ დადასტურებულია მივიჩნევთ, რომ სოციალური აგენტისათვის ინფორმაციის არასწორად მიწოდების ფაქტს, იგი მაინც ვერ ჩაითვლება ოჯახის ხელოვნურად დაყოფად, ვინაიდან ოჯახში სოციალურ დახმარებას იღებენ მხოლოდ თვითონ და მისი შვილი დ. ნ-ი, ხოლო ის პირები, რომლებიც მისი ოჯახის წევრებად იყვნენ მიჩნეულნი სოციალურ დახმარებას არ იღებენ. ზემოაღნიშნული ბრძანების მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი თავისი შინაარსით მოიცავს არამხოლოდ ოჯახის წევრების რაოდენობის შესახებ არასწორი ინფორმაციის მიწოდებას, არამედ ასეთი ინფორმაციის შედეგად არამართლზომიერად სოციალური დახმარების მიღებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/6 ბრძანების მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა და არ გაიზიარა წარმოდგენილი მტკიცებულებები, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე, 244-ე და 249-ე მუხლები, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა და მტკიცებულებად გამოიყენა მოპასუხის მიერ წარმოდგენილი 2011 წლის 21 დეკემბრის სამსახურებრივი ბარათი, რომელსაც კასატორის განმარტებით, არავითარი კავშირი არ აქვს განსახილველ საქმესთან, ვინაიდან წარმოდგენილ ბარათში 2011 წლის 16 დეკემბერს სოციალური აგენტის მიერ მოსარჩელის ოჯახში განხორციელებული ვიზიტის შესახებ არის გადმოცემული, რაც ცალკე დავის საგნად არის გამხდარი.

კასატორის მოსაზრებით, ასევე არამართებულია სასამართლოების მითითება გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის გაშვების თაობაზე, ვინაიდან, მან ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში გაასაჩივრა

2011 წლის 1 ივნისის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც მოპასუხემ გადასცა 2011 წლის 9 სექტემბერს, ამასთან, 2011 წლის 17 აგვისტოს ასევე გაასაჩივრა 2011 წლის 18 ივნისის ადმინისტრაციული აქტი და იმავე საჩივრით მოითხოვა უკანონოდ გაუცემელი სოციალური დახმარების გაცემა ანუ საჩივარი რეალურად შეიცავდა სამ მოთხოვნას და მოპასუხის მიერ შესაბამისი მტკიცებულების წარდგენის გზით დადასტურებული არ იყო ის გარემოება, რომ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის ვადა გაშვებული იყო სამივე მოთხოვნის მიმართ.

მონინალმდევე მხარეს წერილობითი შესაგებელი საკასაციო საჩივართან დაკავშირებით არ წარმოუდგენია.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური ნაწილები (საკ. 34.3 მ.)

საკასაციო სასამართლო მიიჩნია, რომ კასატორის ჯ. მ-ის საკასაციო საჩივარი შეიცავს მითითებებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლით, კერძოდ „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაობაზე. საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ჯ. მ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 25 აპრილის განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით ჯ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ: სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2011 წლის 16 სექტემბრის №... გადაწყვეტილება და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევის შედეგად გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ჯ. მ-ის საჩივართან დაკავშირებით კანონით დადგენილ ვადაში, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნია, რომ სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას დაარღვია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 მუხლის მოთხოვნები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოყენებინა, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი და დავა არსებითად გადაწყვიტა მაშინ, როცა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების საფუძველზე ოფიციალობის პრინციპის გამოყენებით სრულყოფილად არ არის მოპოვებული და გამოკვლეული საქმის გარემოებებთან დაკავშირებული მტკიცებულებები, ხოლო საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე ობიექტური სამართლებრივი დასკვნის ჩამოყალიბება შეუძლებელია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივარი არის დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ამ კოდექსით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლებების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაინტერესებული მხარე არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 181-ე მუხლით განსაზღვრულია ადმინისტრაციული საჩივრის რეკვიზიტები: ა) ადმინისტრაციული ორგანო, სადაც შეიტანება ადმინისტრაციული საჩივარი; ბ) ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენი პირის ვინაობა და მისამართი; გ) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომლის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მოქმედება საჩივრდება; დ) გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასახელება; ე) მოთხოვნა; ვ) გარემოებანი, რომელთაც ეფუძნება მოთხოვნა; ზ) ადმინისტრაციულ საჩივარზე დართული საბუთების ნუსხა, თუ საჩივარს რაიმე დოკუმენტი დაერთვის.

ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს თუ გასულია ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი ვადა, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული საჩივრის მიღებასა და განხილვაზე უარის თქმის

შესახებ გადაწყვეტილების გამოტანამდე მისცეს ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს აღნიშნულ საკითხზე საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გასაჩივრების ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სპეციალური თავი (XIII) განსაზღვრული წესი და პროცედურა წარმოადგენს მმართველობითი ორგანოების იერარქიული კონტროლის განხორციელების სამართლებრივ ფუნქციას, რა დროსაც ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ალჭურვილია უფლებამოსილებით შეამოწმოს ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებათა და მოქმედებათა (უმოქმედობათა) კანონიერება და მიზანშეწონილობა, რაც დამატებითი საშუალებაა მმართველობის კანონიერების უზრუნველსაყოფად.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავი აწესრიგებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ზემდგომ ორგანოში გასაჩივრების უფლების რეალიზაციასა და საჩივრის განხილვის გადაწყვეტის საკითხებს.

ადმინისტრაციული საჩივარი ეს არის სადავო აქტის ადრესატის მიერ პროცედურული უფლების რეალიზაცია, რომელიც კანონით მკაცრად რეგლამენტირებულ წესებს ექვემდებარება. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს დადგენის საკითხი განსაზღვრულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლით, კერძოდ, 1-ლი პუნქტის შესაბამისად, თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, თუ იქ არსებობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი თანამდებობის პირის ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ზემდგომი თანამდებობის პირი, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე წარდგენილ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, განცხადების წარდგენისათვის კანონმდებლობით დადგენილი ვადა დაცულად ჩათვლება იმ შემთხვევაშიც, თუ პირმა კანონით დადგენილ ვადაში განცხადება წარადგინა არაუფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში.

საქმის მასალებიდან დასტურდება:

1. ჯ. მ-ი 2011 წლის ივნისის თვემდე იღებდა სოციალურ დახმარებას, ხოლო ივნისის თვიდან შეუწყვიტეს, აღნიშნულის გარკვევის მიზნით მან 2011 წლის 9 ივნისს მიმართა სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრს.

2. სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრის უფროსის მ. ნ-ის 2011 წლის 22 ივნისის №... წერილით ეცნობა, რომ 2011 წლის 1 ივნისს მასთან სოციალური აგენტის ვიზიტისას აღმოჩნდა, რომ ადგილი ჰქონდა არასრული ინფორმაციის მიწოდებას, ოჯახი იყო ხელოვნურად გაყოფილი, რის გამოც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/5 ბრძანების მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით ოჯახის განაცხადი, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის შესახებ, ძალადაკარგულად იქნა აღიარებული, აქედან გამომდინარე, გაუქმდა რეგისტრაცია მონაცემთა ერთიან ბაზაში, აქვე განემარტა, რომ ოჯახი, რომ კვლავ დარეგისტრირდეს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, შეეძლო შეეტანა ახალი განაცხადი, სადაც მითითებული იქნებოდა ოჯახის წევრთა რეალური შემადგენლობა.

3. ჯ. მ-ის განმარტებით, მან კვლავ მიმართა დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრს და ამჯერად მოითხოვა სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრის 2011 წლის 22 ივნისის №... წერილის გაუქმება და უსაფუძვლოდ შეწყვეტილი დახმარების ანაზღაურება, თუმცა ეს მტკიცებულება საქმეში დაცული არ არის, დიდი ალბათობით იგი წარდგენილია, რადგან:

4. სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრის უფროსის მ. ნ-ის 2011 წლის 18 ივლისის წერილით ეცნობა, რომ როგორც 2011 წლის 22 ივნისის №... წერილით განემარტა გაუქმებული ჰქონდა რეგისტრაცია მონაცემთა ერთიან ბაზაში.

5. აღნიშნული ჯ. მ-მა 2011 წლის 17 აგვისტოს გაასაჩივრა საჩივრით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში და მოითხოვა ოჯახისათვის დახმარების შეწყვეტისა და მისი განცხადებების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე 2011 წლის 22 ივნისის №... და 2011 წლის 18 ივლისის №... წერილების ბათილად ცნობა და შეწყვეტილი დახმარების განახლებისა და მიუღებელი დახმარების ანაზღაურება.

6. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2011 წლის 23 აგვისტოს №... გადაწყვეტილებით ჯ. მ-ს განემარტა, რომ დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრის 2011 წლის 22 ივნისის №... წერილით ეცნობა ფულადი სოციალური დახმარების (საარსებო შემწეობის) შეწყვეტის თაობაზე, რომლის კანონით დადგენილ ერთთვიან ვადაში გასაჩივრების დამადასტურებელი დოკუმენტი საჩივარს არ ერთვოდა, შესაბამისად, დაევალა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის შესაბამისად, ორი კვირის ვადაში წარმოედგინა მოსაზრებები და მტკიცებულებები, იმასთან დაკავშირებით, რომ მას არ გაუშვია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182.2 ნაწილით განსაზღვრული 1-თვიანი ვადა.

7. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2011 წლის 16 სექტემბრის №04/38930 გადაწყვეტილებით ჯ. მ-ის საჩივარი არ იქნა წარმოებაში მიღებული, იმ მიზეზით, რომ არ წარმოუდგენია 2011 წლის 23 აგვისტოს №04/35171 გადაწყვეტილებაში მითითებული მტკიცებულებები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ობიექტური შეფასება არ მისცა ზემო ჩამოთვლილ დანატერესებულ პირსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის წერილობითი კომუნიკაციის ამსახველ მტკიცებულებებს, არ უმსჯელია რამდენად შესაბამისობაშია ადმინისტრაციული ორგანოების წერილები (შინაარსობრივად გადაწყვეტილებები) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ წესსა და პროცედურებთან.

სააპელაციო სასამართლოს ასევე არ უმსჯელია მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების კანონის მიერი ვალდებულებების – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამართლებრივი დახმარების განევის მოვალეობის სრული იგნორირების თაობაზე, რამდენადაც მათთვის ცხადი იყო, რომ ჯ. მ-ს არ გააჩნდა სათანადო ცოდნა და უნარი კვალიფიციურად დაეცვა თავისი ინტერესები ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში (სზაკ-ის 85-ე მუხლი).

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ სასამართლოში წარმოდგენილი არ არის ცალკე საქმედ აკინძული ადმინისტრაციული წარმოების მასალები, ხოლო, რაც ასლების სახით საქმეშია განთავსებული, არ არის სრულყოფილი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ იმ ვითარებაში, როცა ჯ. მ-ს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების სააგენტომ 2011 წლის 22 ივნისის №... წერილით აცნობა მისთვის სოციალური დახმარების შეწყვეტის მიზეზის თაობაზე, რის შემდეგაც მან კვლავ მიმართა დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრს და უკვე მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და უსაფუძვლოდ შეწყვეტილი დახმარების ანაზღაურება, ჯ. მ-ის საჩივარი დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების სააგენტოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის 1-ლი პუნქტის და 180-ე მუხლის შესაბამისად, უნდა გადაეგზავნა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში. ვინაიდან, მითითებული მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, თუ განცხადებით მოთხოვნილი საკითხის გადაწყვეტა მიეკუთვნება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია გადაუგზავნოს განცხადება და მასზე დართული საბუთები უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ჯ. მ-ის 2011 წლის 17 აგვისტოს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში წარდგენილი საჩივარი უნდა ჩაითვალოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლით დადგენილ ვადაში შეტანილად, ვინაიდან, მართალია საქმის მასალებიდან არ ჩანს თუ როდის მიმართა ჯ. მ-მა სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრის უფროსის მ. წ-ის 2011 წლის 22 ივნისის №... გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით, სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრს (აღნიშნულის თაობაზე უთითებს 2011 წლის 17 აგვისტოს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში წარდგენილ საჩივარში), მაგრამ საქმის მასალებით დასტურდება, რომ აღნიშნულ განცხადებაზე მას 2011 წლის 18 ივლისის სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრის უფროსის მ. წ-ის წერილით უკვე ეცნობა, რომ როგორც 2011 წლის 22 ივნისის №... წერილით განემარტა გაუქმებული ჰქონდა რეგისტრაცია მონაცემთა ერთიან ბაზაში, ანუ ჯ. მ-ს სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრის უფროსის მ. წ-ის 2011 წლის 22 ივნისის №... გადაწყვეტილება გაუსაჩივრებია 2011 წლის 22 ივლისამდე, როგორც კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადა ითხოვს.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავის „ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება“ მიხედვით, მმართველობის ორგანოების უფლებამოსილება – განახორციელონ ქვემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებების კანონიერებაზე კონტროლი, გულისხმობს მათ მიუკერძოებლად, ობიექტურად და კანონიერებისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპებზე დაყრდნობით განხილვა-გადაწყვეტის ვალდებულებას. იმ შემთხვევაში, როცა ქვემდგომ ორგანოს დამაჯერებლად არ გამოუკვლევია აქტის გამოცემისათვის საჭირო ყველა ფაქტობრივი გარემოება, ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოიკვლიოს და მათი შეფასება-დადგენის საფუძველზე კანონიერად გადაწყვიტოს დავა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ არასწორად შეაფასა ადმინისტრაციული საჩივრის დასაშვებობის საკითხი, რითაც დაარღვია დანატერესებული პირის პროცესუალური უფლება. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ ხელახლა უნდა იმსჯელოს ჯ. მ-ის ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების პროცედურების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ წარმოებაში ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა-დადგენა-შეფასება უმნიშვნელოვანეს პროცედურულ სტადიას წარმოადგენს და სწორედ მასზეა დამოკიდებული გამოცემული აქტით წარმოშობილი სამართლებრივი შედეგის განსაზღვრა. რამდენადაც სწორედ დადგენილი ფაქტების სამართლებრივი შეფასების საფუძველზე უნდა მოხდეს მოწესრიგებისთვის სამართლის ნორმის შეფარდება.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების და შემდგომ სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის თაობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას მათი სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/6 ბრძანებით „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“ და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 22 აგვისტოს №225/6 ბრძანებით „მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ განსაზღვრული ნორმები.

„სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/6 ბრძანების მე-3 მუხლის შესაბამისად, ოჯახის იდენტიფიკაცია და/ან სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დადგენა ხორციელდება სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ ობიექტური და სუბიექტური ინფორმაციის მოპოვების გზით, ობიექტური ინფორმაცია მიიღება სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ საცხოვრებელი პირობების ვიზუალური დათვალიერებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმების შედეგად; ხოლო ობიექტური ინფორმაცია გულისხმობს ინტერვიუების შედეგად მიღებულ ინფორმაციას. ოჯახში ვიზიტისას სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია განუმარტოს თავისი უფლება-მოვალეობები, შესასრულებელი სამუშაოს მიზანი და ასევე დამატებით შეახსენოს ოჯახის წევრს წარმომოზიდი უფლებისა და მოვალეობების თაობაზე. ინტერვიუს დაწყებამდე კი ოჯახის წევრები ასახელებენ ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელს, რომელთანაც იმართება ინტერვიუ, თავის მხრივ ოჯახი ასევე ვალდებულია შეუქმნას სააგენტოს უფლებამოსილ პირს მუშაობისათვის სათანადო პირობები, ხელი არ შეუშალოს მისთვის დაკისრებული მოვალეობის განხორციელებაში, მაგ.: საცხოვრებელში შესვლაში, რომელიმე ადგილის დათვალიერებაში და ა.შ. ამავე ბრძანების 4.2 მუხლის შესაბამისად, ოჯახის დეკლარაციის შევსების დაწყებამდე, სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა უნდა განუმარტოს უფლებამოსილ წარმომადგენელს, რომ ინტერვიუების შედეგად დეკლარირებული ინფორმაცია ექვემდებარება გადამოწმებას და არასწორი (ყალბი) ინფორმაციის აღმოჩენის შემთხვევაში, ოჯახს შეიძლება შეუნყდეს რეგისტრაცია მონაცემთა ბაზაში. ასევე 6.1 მუხლის თანახმად, ოჯახის დეკლარაციის შევსებისას სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა ზუსტად უნდა განუმარტოს ოჯახს, თუ რა იგულისხმება „ოჯახის“ ცნებაში. იმ შემთხვევაში, თუ სააგენტოს უფლებამოსილი პირი ამჩნევს ოჯახის ხელოვნურად გაყოფის ან ოჯახის ხელოვნურად გაერთიანების მცდელობას, მაშინ აღნიშნული ფაქტის დაზუსტებას ახდენს საცხოვრებელი პირობების ყურადღებით შემოწმების მეშვეობით (მაგ.: საძინებლები, პირადი ჰიგიენის საგნები და სხვა). ყურადღება უნდა მიექცეს, თუ როგორ ხდება მარაგების შენახვა და განაწილება მოცემულ ოჯახში, უნდა შემოწმდეს ცხოვრობენ, თუ არა ისინი ერთ საცხოვრისში და აქვთ თუ არა მათ საერთო სამზარეულო, საერთო კომუნალური მრიცხველი, საერთო შესასვლელი და ა.შ. სააგენტოს უფლებამოსილ პირს ენიჭება მოქმედების თავისუფლება ამ პუნქტით გათვალისწინებული გარემოების დასადგენად. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, თუ ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი აცხადებს, რომ ერთ საცხოვრისში მოცემულ ოჯახთან ერთად ცხოვრობს სხვა ოჯახი (მაგ.: ეს შეიძლება იყოს მშობლების, შვილების, ნათესავების ან არანათესავების ოჯახი), რომელიც ამ ოჯახისაგან დამოუკიდებლად ეწევა შინსამეურნეო საქმიანობას, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია დამატებითი გამოკითხვის საშუალებებით, გადაამოწმოს ხელოვნურად ხომ არ იყოფა ოჯახი. იმ შემთხვევაში თუ, ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი არასწორად უთითებს ოჯახის შემადგენლობას (ოჯახის ხელოვნური დაყოფა ან გაერთიანება), სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია მიუთითოს ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელს აღნიშნულის შესახებ და მისი თანხმობის შემთხვევაში შეავსოს ოჯახის დეკლარაცია, ოჯახში რეალურად მცხოვრები ყველა წევრის გათვალისწინებით, წინააღმდეგ შემთხვევაში სააგენტოს უფლებამოსილი პირი წყვეტს ოჯახის დეკლარაციის შევსებას და არსებული წესის შესაბამისად ავსებს ოქმს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შეწყვეტის შესახებ. თუ რა შემთხვევაში უნდა შედგეს ოქმი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შეწყვეტის შესახებ განსაზღვრული ასევე „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/6 ბრძანების მე-14 მუხლით, აღნიშნული მუხლის შესაბამისად, ერთ-ერთი ასეთია ოჯახის ხელოვნურად დაყოფა, ამ საფუძველზე შეწყვეტის ოქმი ივსება იმ შემთხვევაში თუ სააგენტოს უფლებამოსილი პირი დარწმუნებულია ოჯახის ხელოვნურად დაყოფის საკითხში, რასაც მოწმობს ოჯახის საცხოვრებელი პირობები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსიპ სოციალურმა მომსახურების სააგენტომ ზემოთ მითითებულიდან გამომდინარე, უნდა განიხილოს ჯ. მ-ის საჩივარი და უნდა გამოიკვლიოს სოციალურმა აგენტმა განუმარტა თუ არა ოჯახის დეკლარაციის შევსებისას მისი უფლებების შესახებ, იცოდა თუ არა ოჯახმა თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა მათ მიერ რაიმე არასწორი ინფორმაციის მიწოდებას, სარწმუნოდ არ არის დადგენილი თუ რის საფუძველზე დაადგინა სოციალურმა აგენტმა ოჯახის ხელოვნურად დაყოფის ფაქტი, ნივთები, რომელთა არსებობის გამოც მიიჩნია სოციალურმა აგენტმა ოჯახი ხელოვნურად გაყოფილად მართლაც წარმოადგენდნ თუ არა იქ მუდმივად მცხოვრები პირების საკუთრებას, თუ ეკუთვნოდათ მოსარჩელესთან დროებით სტუმრად მყოფ პირებს.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ ასევე უნდა გამოიკვლიოს ნამდვილად ჰქონდა თუ არა სოციალური აგენტის მხრიდან მოსარჩელისადმი უხეშად მოპყრობის ფაქტს ადგილი, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრი კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საჯარო უფლებამოსილებას, რა დროსაც საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული პირის უფლებები

წარმოშობს საჯარო ფუნქციის განმახორციელებელი პირების საჯარო ვალდებულებას – სრულად უზრუნველყონ პირის უფლებების რეალიზაციისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრმა სოციალური აგენტების მიმართ სრულად უნდა გავრცელდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს შეფასებები და დასკვნები (ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-1250-1194(კ-09), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის საკასაციო საჩივრის გამო, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 14 ივლისის განჩინებაზე, მონინალმდევე მხარე შპს „...“ მიმართ), რომელიც ეხება საჯარო მოსამსახურეთა ქცევის სტანდარტის დადგენას, კერძოდ, სასამართლომ მითითებულ საქმეზე დაადგინა: „სწორედ საჯარო სამსახურის სისტემის და ყოველი საჯარო მოსამსახურის როლის ჯეროვანი გაცნობიერება დაედო საფუძვლად ამ სფეროში საერთაშორისო სტანდარტების ჩამოყალიბებას და ზრუნვას მათი დამკვიდრებისთვის.

ადამიანის უფლებები, რომლის დაცვის ვალდებულებაც გააჩნია საჯარო მოხელეს თავიანთი მოვალეობის შესრულებისას დადგენილია და დაცულია ეროვნული და საერთაშორისო სამართლით. შესაბამის საერთაშორისო დოკუმენტებს განეკუთვნება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და ა.შ. აუცილებელია დაცული იყოს ნონასწორობა ერთი მხრივ, იმ დანებსებულების შინაგანი დისციპლინის დაცვის აუცილებლობისათვის, რომელზეც დამოკიდებულია საზოგადოება და მეორე მხრივ, ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევასთან ბრძოლის აუცილებლობისათვის. საზოგადოებისადმი სამსახური მოიცავს საზოგადოების იმ წევრებისათვის სამსახურისა და დახმარების განწევას, რომელნიც პირადი, ეკონომიკური, სოციალური ან სხვა განსაკუთრებული ხასიათის მიზეზებით საჭიროებენ დაუყოვნებლივ დახმარებას.

ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობის მიზანი სწორედ იმგვარი ნორმატიული სტანდარტების შექმნაა, რომელიც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვას /ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 1.2. მუხლი“/.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საჯარო დანებსებულებებმა და მათმა მოხელეებმა უნდა გაითვალისწინონ სახელმწიფოში არსებული დაბალი სამართლებრივი კულტურის ფონი, სამართლებრივ დაცვაზე ხელმისაწვდომობის დაბალი ხარისხი და მაქსიმალურად სრულფასოვანი სამართლებრივი კონსულტაციის გზით დაეხმარონ პირს მისი კანონიერი ინტერესების განხორციელებაში, რათა კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმალური პროცედურები არ იქცეს პირის მატერიალური უფლებების რეალიზაციის დამაბრკოლებელ გარემოებად.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ საკითხის ხელახალი განხილვისას ასევე უნდა გაითვალისწინოს საქმეში წარმოდგენილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2011 წლის 14 მაისის №... გადაწყვეტილება, რომლითაც დადგენილია, რომ ჯ. მ-ის ოჯახმა მოიპოვა ფულადი დახმარების, სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამით და ქ. თბილისის მერიის სოციალური შეთავაზების პაკეტით სარგებლობის უფლება, ამასთან ოჯახის სარეიტინგო ქულამ შეადგინა 43220.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უფლებამოსილება, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ადმინისტრაციული აქტი, განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს იგი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი – მოცემულ შემთხვევაში სადავოა ჯ. მ-ის არასწორად შეუჩერდა რეგისტრაცია სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიან ბაზაში

ამასთან, გაუცემელი სოციალური დახმარების – 180 ლარის ანაზღაურებასთან მიმართებაში საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ვინაიდან სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად არის ცნობილი სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა ჯ. მ-ის საჩივრის ხელახალი განხილვა, საკასაციო სასამართლო ვერ იმსჯელებს გაუცემელი სოციალური დახმარების საკითხზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სსსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად სახეზეა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების პროცესუალური წინაპირობები, რომლითაც ჯ. მ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 53-ე მუხლის თანახმად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სასამართლო ხარჯების სახით უნდა დაეკისროს 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:



საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 32.4; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე 411-ე მუხლებით და

#### გ ა ლ ა ნ ე შ ი ტ ა :

1. ჯ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 25 აპრილის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. ჯ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნას ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2011 წლის 16 სექტემბრის №... გადაწყვეტილება და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევის შედეგად გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
5. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაეკისროს სასამართლო ხარჯების სახით 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### 4. ს ა ნ ი ვ თ ე ქ ო ნ ე ბ ი ს ა ნ ა ზ ლ ა უ რ ე ბ ა

#### ს ა ნ ი ვ თ ე ქ ო ნ ე ბ ი ს დ ა ვ ა ლ ი ა ნ ე ბ ი ს ა ნ ა ზ ლ ა უ რ ე ბ ა

##### ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ბს-223-217(კ-09)

18 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ცისკაძე,  
ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: სანივთე ქონების დავალიანების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 12 ოქტომბერს ზ. ბ-იამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 1993 წლიდან მუშაობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სხვადასხვა თანამდებობაზე. 2004 წლის 2 დეკემბერს საქართველოს თავდაცვის მინისტრის №... ბრძანების საფუძველზე, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ავადმყოფობის გამო, დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2001-2003 წლებში სამხედრო სამსახურის გავლის დროს არ მიუღია ნორმით გათვალისწინებული სანივთე ქონება, რომლის საკომპენსაციო თანხის დავალიანებამაც საერთო ჯამში 750 ლარი შეადგინა. მოსარჩელემ აღნიშნული თანხის ანაზღაურების მოთხოვნით არაერთხელ მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესაბამის სამსახურს, მაგრამ მათგან უარი მიიღო. შესაბამისად, მოსარჩელემ მოითხოვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსაგან 2001-2003 წლების სანივთე ქონების დავალიანების კომპენსაციის გადახდა 750 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილებით ზ. ბ-იას სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა სანივთე ქონების კომპენსაციის – 750 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

აპელანტის განმარტებით, სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა 2001-2003 წლების სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის დაკისრება. აპელანტის განმარტებით, განსახილველ შემთხვევაზე უნდა გავრცელებულიყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა, ვინაიდან მოსარჩელემ სარჩელი სასამართლოში წარადგინა 2007 წლის 11 ოქტომბერს.

აპელანტის განმარტებით, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სანივთე ქონების კომპენსაციის მოთხოვნის უფლება ჰქონდა პირს, რომელსაც სამხედრო მოსამსახურის სტატუსი გააჩნდა. აპელანტი აღნიშნავდა, რომ, ვინაიდან სარჩელის შეტანის დროისათვის მო-



სარჩელეს სამხედრო მოსამსახურის სტატუსი აღარ ჰქონდა, შესაბამისად მას აღარ გააჩნდა სანივთე ქონების კომპენსაციის მოთხოვნის უფლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა: გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ზ. ბ-იას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. ამასთან, არ გაიზიარა სასამართლოს სამართლებრივი შეფასებები და დასკვნები იმ ნაწილში, რომლითაც ზ. ბ-იას სარჩელი კვების კომპენსაციის ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა კვების კომპენსაციის სახით 750 ლარის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტი მხარის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტები – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის 2006 წლის 22 დეკემბრის №... და 2007 წლის 25 სექტემბრის №... წერილები, ასევე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 03727 სამხედრო ნაწილის მიერ გაცემული ცნობა საინფორმაციო ხასიათისაა და მოწმობს არა მოპასუხის მიერ დავალიანების აღიარებას, არამედ ფაქტს იმის შესახებ, თუ რა თანხა ერგებოდა მოსარჩელეს, რომელიც მას არ მიუღია. სააპელაციო სასამართლომ, აღნიშნულიდან გამომდინარე, მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო ვალდებულების ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის და მისი დინების ხელახალი დანყების საფუძველი არ არსებობდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ზ. ბ-იამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 22 აპრილის განჩინებით ზ. ბ-იას საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. ბ-იას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: მოსარჩელე ზ. ბ-ია 1993 წლიდან მუშაობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სხვადასხვა თანამდებობაზე. 2004 წლის 2 დეკემბერს საქართველოს თავდაცვის მინისტრის №... ბრძანების საფუძველზე, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ავადმყოფობის გამო, დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან.

მოსარჩელეს 2001-2003 წლებში სამხედრო სამსახურის გავლის დროს არ მიუღია ნორმით გათვალისწინებული სანივთე ქონება, რომლის საკომპენსაციო თანხის დავალიანებამაც საერთო ჯამში 750 ლარი შეადგინა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია. ამავე კოდექსის 137-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას.

საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის 2006 წლის 22 დეკემბრის №... წერილი საინფორმაციო ხასიათისაა და ის არ მოწმობს დავალიანების აღიარების ფაქტს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე, საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, მათ შორის, ამა თუ იმ პირზე გაცემული ცნობა, რომელიც შეიცავს პირის მიმართ ამ ორგანოს დავალიანების შესახებ ინფორმაციას, წარმოადგენს ამავე ორგანოში დაცულ და მის მიერ ინფორმაციის თავისუფლების ფარგლებში კანონით დადგენილი წესით გაცემულ საჯარო ინფორმაციას.

რაც შეეხება ვალის აღიარების საკითხს, საკასაციო სასამართლო განმარტავს: იმისათვის, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი განხილულ იქნეს ამ ორგანოს მიერ ვალის აღიარებად, მასში პირდაპირ, ნათლად და გარკვევით უნდა იყოს გამოხატული ადმინისტრაციული ორგანოს ნება ვალის გადახდის თაობაზე, ამასთან, იგი აუცილებლად უნდა შეიცავდეს ამავე ორგანოს მხრიდან ვალის გადახდის დაპირების ელემენტს, რომ ადმინისტრაციული ორგანო მომავალში დაუბრუნდება ამ საკითხს და/ან აანაზღაურებს დავალიანებას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2006 წლის 22 დეკემბრის №... ნერილის თანახმად, ზ. ბ-აიასათვის დავალიანების დაფარვა შესაძლებელი იყო საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად. იმ ეტაპზე საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოკლებული იყო შესაძლებლობას, დაეკმაყოფილებინა ზ. ბ-აიას თხოვნა, მაგრამ შესაბამისი წყაროს არსებობის შემთხვევაში, კვლავ დაუბრუნდებოდა მის მიმართ დავალიანებების ანაზღაურების საკითხის განხილვას.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ განსახილველ შემთხვევაში არ არსებობდა ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საფუძველი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2006 წლის 22 დეკემბრის №... ნერილით მოხდა ზ. ბ-აიას მიმართ სანივთე ქონების კომპენსაციის დავალიანების აღიარება, რის გამოც საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ზ. ბ-აიას უნდა აუნაზღაუროს აღნიშნული დავალიანება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად იმსჯელა მოსარჩელე ზ. ბ-აიასათვის კვების კომპენსაციის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, ვინაიდან სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა მოსარჩელისათვის არა კვების კომპენსაციის თანხის, არამედ სანივთე ქონების კომპენსაციის თანხის ანაზღაურება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზ. ბ-აიას საკასაციო საჩივარი მისთვის სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურებაზე უარის თქმის თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდეს და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ზ. ბ-აიას სარჩელი სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდება და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ზ. ბ-იას სასარგებლოდ დაეკისრება სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურება 750 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

#### გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ზ. ბ-აიას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება გაუქმდეს და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ზ. ბ-აიას სარჩელი სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდეს და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ზ. ბ-აიას სასარგებლოდ დაეკისროს სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურება 750 ლარის ოდენობით;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### სანივთე ქონების დავალიანების ანაზღაურება

#### ბ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

№ბს-403-388(2კ-09)

15 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 2008 წლის 8 სექტემბერს სასარჩელო განცხადებით მიმართა ქობულეთის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე კ. ც-ძის მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის ჯარიმის სახით – 14 000 ლარის, პირგასამტეხლოს – 14 000 ლარის 0,2%-ის, სანივთე ქონების დავალიანების 1 502,43 აშშ დოლარისა და ზიანის – 2 437,96 ლარის დაკისრება.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ მოპასუხე – კ. ც-ძე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2005 წლის 15 აპრილის №... ბრძანებით განვეულ იქნა სამხედრო-საკონტრაქტო-პროფესიულ სამსახურში და 2005 წლის 30 მარტიდან გამწესდა სამხედრო სამსახურში კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად. კ. ც-ძე შეიარაღებულ ძალებში ჩარიცხვის დღიდან იყო სამხედრო მოსამსახურე.

სამხედრო მოსამსახურე სრულ სახელმწიფო კმაყოფაზეა, რაც სახელმწიფოს მხრიდან მის მატერიალურ, სოციალურ და სამედიცინო უზრუნველყოფას გულისხმობს. თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აქვს გამოყოფილი ასიგნებები და მათი მიზნობრივად გამოყენება სამინისტროს ვალდებულებაა. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სამხედრო მოსამსახურეთათვის განსაზღვრავს ხელფასის ოდენობას, კვების, სანივთე უზრუნველყოფისა და წვრთნისა და აღჭურვისთვის განსაზღვრულ ძალად წინასწარ დაგეგმავს ფულად სახსრებს, იგი ვალდებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თითოეული ლარი განკარგოს დანიშნულებისამებრ ანუ უზრუნველყოს საქართველოს შეიარაღებული ძალები პროფესიული, დისციპლინირებული, მაღალკვალიფიცირებული სამხედრო პერსონალით.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 19 ოქტომბრის №... ბრძანებით კ. ც-ძე დათხოვნილ იქნა სამხედრო მოსამსახურიდან 2005 წლის 20 სექტემბრიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო.

კონტრაქტის 7.3 პუნქტის თანახმად, კონტრაქტის შეწყვეტის შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურე ვალდებულია ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში ჯარიმის სახით ანაზღაუროს მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხები, რაც ამ შემთხვევაში შეადგენს 14000 ლარს.

მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ მოპასუხეს თანხა უნდა გადაეხადა კონტრაქტის შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ე.ი. 2005 წლის 1 ოქტომბრამდე, რაც არ გადაუხდია, რის გამოც მოსარჩელის აზრით, კონტრაქტის 7.4 პუნქტის მიხედვით, მოპასუხეს წარმოეშვა პირგასამტეხლოს სახით 2005 წლის 1 ოქტომბრიდან ჯარიმის თანხის გადახდამდე ყოველთვიურად 14000 ლარის 0,2%-ის გადახდის ვალდებულება.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში ასევე მიუთითებდა, რომ თავდაცვის სამინისტროს მიერ სამხედრო მოსამსახურის – კ. ც-ძის მომზადებაზე დაიხარჯა 2437,96 ლარი, რომლის ხელახლა გაღება სამინისტროს მოუწია მის სანაცვლოდ ახალი სამხედრო მოსამსახურის განწვრთნის გამო.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ კონტრაქტის შეწყვეტის შემდეგ მოპასუხეს სამინისტროსათვის არ დაუბრუნებია სანივთე უზრუნველყოფით მიღებული ქონება, რის გამოც სამინისტროსადმი მოპასუხის სანივთე დავალიანება შეადგენს 1502,43 აშშ დოლარს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ კ. ც-ძე ვალდებულია ზიანის სახით ანაზღაუროს სამინისტროს მიერ მასზე დახარჯული თანხა – 2437,96 ლარი

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი მოპასუხე კ. ც-ძის მიმართ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე კ. ც-ძეს დაეკისრა სანივთე დავალიანების სახით 1502 აშშ დოლარისა და 43 ცენტის გადახდა, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ; მოპასუხე კ. ც-ძეს დაეკისრა ხელშეკრულების დარღვევისათვის ზიანის სახით 2437 ლარისა და 96 თეთრის გადახდა, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ; მოპასუხე კ. ც-ძისათვის ხელშეკრულების დარღვევის გამო ჯარიმის სახით 14 000 ლარისა და პირგასამტეხლოს სახით, 2005 წლის 1 ოქტომბრიდან ჯარიმის თანხის გადახდამდე, ყოველდღიურად 14 000 ლარის 0,2%-ის დაკისრების შესახებ სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, უსაფუძვლოდ გამო.

ქობულეთის რაიონული სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ მხარეთა შორის გაფორმებული კონტრაქტის 7.3 მუხლი ითვალისწინებს სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობას იმ შემთხვევისათვის, თუ ის მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების განმავლობაში თავისი სურვილით და სამინისტროსთან შეთანხმებით დატოვებს სამხედრო ძალებს ან შექმნის პირობებს იმისათვის, რომ სამინისტრო იძულებული გახდეს შეწყვიტოს 4-წლიანი კონტრაქტი. ასეთ შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდება ვალდებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ჯარიმის სახით ანაზღაუროს სამინისტროს მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ფულადი თანხები. ამავდროულად „ა“ პუნქტის მიხედვით კი, კონტრაქტის შეწყვეტისათვის ჯარიმის ანაზღაურების ვალდებულება სამხედრო მოსამსახურეს წარმოეშობა 1 წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 3 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 14 000 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნება ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად.

პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელე მოპასუხისათვის ჯარიმის სახით 14 000 ლარის დაკისრებას მოითხოვს ხელშეკრულების 7.3 მუხლის საფუძველზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება. მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით 1 წელზე ნაკლები სამსახურის გავლის პერიოდში კონტრაქტის შეწყვეტისათვის სამხედრო მოსამსახურის მიერ ჯარიმის სახით თანხის ანაზღაურების ვალდებულება გათვალისწინებული არ არის. აქედან გამომდინარე, მოპასუხე კ. ც-ძეს არ ეკისრება ხელშეკრულების 7.3 მუხლით კონტრაქტის შეწყვეტისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა – ჯარიმის სახით 14 000 ლარის ანაზღაურების ვალდებულება.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მოსაზრებით, უსაფუძვლოა მოსარჩელის მოთხოვნა პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში. კერძოდ, ხელშეკრულების 7.4 მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურის მიერ 7.3 და 7.4 მუხლებში აღნიშნული თანხების ამავდროულად დადგენილ ვადებში დაფარვის ვალდებულების გადაცილების შემთხვევაში აღნიშნულ თანხებს დაერიცხება პირგასამტეხლო 0,2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე კ. ც-ძე არ ვრცელდება ხელშეკრულების 7.3 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა, შესაბამისად, არ წარ-

მოიშობა აღნიშნული მუხლით დადგენილი თანხების დაუფარაობის შემთხვევაში პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქობულეთის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ხელშეკრულების დარღვევის გამო ჯარიმის დაკისრებისა და პირგასამტეხლოს ანაზღაურების ნაწილში დაუსაბუთებელია და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებით, საქმეში წარმოდგენილი ცნობით დასტურდება, რომ მოპასუხე კ. ც-ძეს სამხედრო სამსახურის პერიოდში გადაეცა 1502,43 აშშ დოლარის ღირებულების ფორმის ტანსაცმელი, აღჭურვილობა და სხვა სანივთე ქონება. ამავე ცნობის თანახმად, კ. ც-ძეს სანივთე სამსახურში გააჩნია 1502,43 დოლარის ოდენობის სანივთე დავალიანება.

მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების 7.1 მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურე სრულად, მთელი თავისი ქონებით აგებს პასუხს მისთვის მინდობილი ქონების (მათ შორის ფორმის ტანსაცმლის, აღჭურვილობის, იარაღის, ტექნიკის და ა.შ.) უსაფრთხოებასა და მოვლაზე, სამხედრო მოსამსახურე მხოლოდ დროებით სარგებლობს მისთვის მინდობილი ქონებით, ხოლო ამ ქონების მესაკუთრეა სამინისტრო. 7.2 მუხლით კი, იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე განზრახ ან გაუფრთხილებლობით დააზიანებს ან დაკარგავს მისთვის მინდობილ ქონებას, იგი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს სამინისტროს მიყენებული ზიანი.

ქობულეთის რაიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მითითებული ნორმისა და ხელშეკრულების 7.1 და 7.2 მუხლების შესაბამისად, მოპასუხე კ. ც-ძე ვალდებულია აანაზღაუროს მასზე მინდობილი სანივთე ქონების ღირებულება 1502,43 აშშ დოლარის ოდენობით.

პირველი ინსტანციის სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილზე და განმარტა, რომ მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასვლისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა ხელშეკრულების შეუსრულებლობით, ხოლო 414-ე მუხლის მიხედვით, ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები ის ინტერესი, რომელიც კრედიტორს ჰქონდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, მოპასუხე კ. ც-ძე ხელშეკრულების დარღვევის გამო ვალდებულია ზიანის სახით აანაზღაუროს 2437,96 ლარი, რაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დაიხარჯა მის მომზადებაზე.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს კ. ც-ძემ სანივთე დავალიანების 1502,43 აშშ დოლარის და ხელშეკრულების დარღვევისათვის ზიანის სახით 2437,96 ლარის დაკისრების ნაწილში და საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სარჩელის ნაწილობრივ დაუკმაყოფილებლობის ნაწილში. აპელანტი - კ. ც-ძე სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოითხოვდა სანივთე დავალიანების სახით 1502,43 აშშ დოლარის გადახდევინებას იმ გარემოებაზე მითითებით, რომ კ. ც-ძეზე განპირობებული იყო სამხედრო მოსამსახურეზე განკუთვნილი სანივთე ქონება, თუმცა აღნიშნული ქონების ნაწილი (ტყვიანობა, ჭიკაძე, ინდ. კარავი და ა.შ.) ინახებოდა სამხედრო ნაწილის სანივთე სამსახურში და მხოლოდ სპეციალური ღონისძიებების დროს გამოიყენებოდა (საველე გასვლები). არის ასევე ისეთი ქონების ჩამონათვალი, რომლებიც ფაქტობრივად ერთჯერადი მოხმარების საგნებს წარმოადგენს და მისი შემდგომი დაბრუნება ფაქტობრივად შეუძლებელია. აპელანტი აღნიშნავდა, რომ ფაქტობრივად სასამართლომ დაადგინა სანივთე დავალიანების არსებობა მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ცნობით, რომელიც სამინისტროს მიერ შედგენილი დოკუმენტია. ამასთან, არ არსებობს კ. ც-ძის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდებოდა, თუ როდის მიიღო სანივთე ქონება მან ან როდის გავიდა ერთჯერადი მოხმარების საგნების საგნების ვადა. აპელანტი აღნიშნავდა, რომ ყველა სამსახურში უნდა არსებობდეს შესაბამისი ქონების გადაცემის მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც დადასტურდებოდა ვალდებულების არსებობა.

კ. ც-ძე სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სრულიად უსაფუძვლოდ დააკმაყოფილა თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების ნაწილში, ვინაიდან ზიანის მოთხოვნა მოსარჩელეს არ ჰქონდა დასაბუთებული. აპელანტი თვლიდა, რომ მის მიმართ დარღვეულია შრომის უფლება და შრომითი საქმიანობის შედეგად მისი სამართლიანი ანაზღაურების კონსტიტუციური უფლება.

მეორე აპელანტი - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სააპელაციო საჩივარში აღნიშნავდა, რომ რაიონულმა სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რაც დაუსაბუთებელი და არასრული გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი გახდა.

თავდაცვის სამინისტრო სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა მხარეთა შორის დადებული კონტრაქტის 7.3 მუხლზე, რომელიც პასუხისმგებლობის ზოგად პრინციპებს განსაზღვრავს და ერთ წლამდე სამსახურისას კონტრაქტის დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობას აფუძნებს.

აპელანტი მიუთითებდა „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც საკონტრაქტო სამსახურის გამვლელთათვის დადგენილია არანაკლებ 3-წლიანი ვადა, ხოლო კ. ც-ძეს, ხელშეკრულების 3.1 პუნქტის მიხედვით, ნაკისრი ჰქონდა

ვალდებულება 4 წელი ემსახურა შეიარაღებულ ძალებში. კონტრაქტის 7.3 პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, მოპასუხე ვალდებული გახდა ჯარიმის სახით აენაზღაურებინა სამინისტროსათვის მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხები, რაც კონკრეტულ შემთხვევაში 14 000 ათას ლარს შეადგენს. ვინაიდან ხელშეკრულების 7.3 პუნქტის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურის მიერ კონტრაქტის დარღვევის გამო ჯარიმის ამოქმედების საფუძველია ჩანაწერი: „მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემთხვევაში“, ხოლო ხელშეკრულების 3.2 პუნქტი სამხედრო მოსამსახურის მომზადების პერიოდს განსაზღვრავს სამხედრო სამსახურის პირველ სამ თვეს, კ. ც-დემ კი 2005 წლის 30 მარტს გააფორმა ხელშეკრულება, ხოლო 2005 წლის 19 ოქტომბრიდან შეწყვიტა ზემოაღნიშნული კონტრაქტი, ამდენად მასზე უნდა გავრცელდეს კონტრაქტის 7.3 პუნქტის მოქმედება.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მითითებით, რაიონულმა სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით და გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი და არასრულია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 დეკემბრის განჩინებით საქმის გამოყოფისა და განსჯადი სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ ადმინისტრაციული საქმიდან №3/ბ-841-08წ. ცალკე წარმოებდა გამოიყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნა კ. ც-ძის წინააღმდეგ, ზიანის – 2 437,96 ლარის დაკისრების შესახებ; ადმინისტრაციული საქმიდან №3/ბ-841-08წ გამოყოფილი სასარჩელო მოთხოვნა განსჯადობის წესების დაცვით განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 დეკემბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და კ. ც-ძის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელის, კ. ც-ძის მიმართ ჯარიმის სახით 14 000 ლარისა და პირგასამტეხლოს სახით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადახდამდე 14 000 ლარის 0,2%-ის დაკისრების შესახებ, უარყოფისა და თავდაცვის სამინისტროს სარჩელის, კ. ც-ძის მიმართ სანივთე დავალიანების სახით 1502,43 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ, დაკმაყოფილების ნაწილში დარჩა უცვლელი.

სააპელაციო სასამართლო განჩინებაში მიუთითებდა, რომ რაიონული სასამართლოს მიერ საქმის განხილვა-გადაწყვეტისას დარღვეული არ არის მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, შესაბამისად, ადგილი არ აქვს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ წანამძღვრებს.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებულ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებას. იმავე კოდექსის 65<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით, კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი და ასეთ პირობებში მის მიმართ არ ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები.

სააპელაციო სასამართლომ მითითებით, კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ აღძრულია სარჩელი ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულების თაობაზე, რომლის საფუძველზეც სამინისტრო ითხოვს თანხის გადახდას, კერძოდ, სარჩელი ეფუძნება მხარეთა შორის სამხედრო სამსახურის თაობაზე დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულებას კონტრაქტის მიერ. სარჩელი შეტანილია ადმინისტრაციული ორგანოს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ, რომელიც სახელმწიფოს თავდაცვით ფუნქციას ახორციელებს „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ კანონის საფუძველზე.

ამდენად, სამხედრო მოსამსახურესთან დადებული ხელშეკრულებით საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას ადმინისტრაციული კანონმდებლობის – „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსაზრება მოპასუხის მიერ სამინისტროსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების თაობაზე ხელშეკრულების 7.3 მუხლის საფუძველზე და განმარტა, რომ ხელშეკრულების აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს თავდაცვის სამინისტროს მიერ ხელშეკრულების მოშლის საფუძველს და სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილითა და სამინისტროსთან შეთანხმებით დატოვებს სამხედრო ძალებს ან შექმნის პირობას იმისათვის, რომ სამინისტრო იძულებული გახდეს შეწყვიტოს 4-წლიანი კონტრაქტი. სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდება ვალდებული შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ჯარიმის სახით აუნაზღაუროს სამინისტროს მასზე კონტრაქტით გათვალისწინებული დარჩენილი ვადის ფულადი თანხები შემდეგი წესით: ა) 1 წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო სამი წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 14 000 ლარის ოდენობით; ბ) ორი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო ორი წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 10 000 ლარის ოდენობით; გ) სამი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო ერთი წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 5000 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლო აღნიშნავდა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 416-ე მუხლის თანახმად, მხარეებს ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად შეუძლიათ ხელშეკრულებით გათვალისწინონ დამატებითი საშუალებებიც, მათ შორის პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მხარემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს ხელშეკრულების 7.3 მუხლი – მოპასუხის მიერ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულება, რომლის შემთხვევაშიც სამხედრო მოსამსახურე ვალდებული ხდება გადაიხადოს კონტრაქტით დარჩენილ ვადაში მოსამსახურისათვის გასაცემი ფულადი თანხა. ამასთან, იმავე მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეს თანხის გადახდა ეკისრება მხოლოდ სამსახურის ერთნაირი ვადის გასვლის შემდეგ. საქმის მასალებით კი დადგენილია, რომ სამხედრო მოსამსახურესა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის ხელშეკრულება შეწყდა ერთი წლის გასვლამდე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საფუძველს არ ქმნის ხელშეკრულების 7.3 მუხლი.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს ამ ნაწილში წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების წესი, რამდენადაც აპელანტი (მოსარჩელე) ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველად მხოლოდ სამხედრო მოსამსახურესთან დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების 7.3 მუხლზე მიუთითებს და ასანაზღაურებელ თანხადაც სწორედ მითითებული მუხლით განსაზღვრულ თანხას ასახელებს.

რაც შეეხება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას კ. ც-ძისათვის სანივთე დავალიანების სახით 1502,43 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, რაიონული სასამართლოს მიერ სრულიად საფუძვლიანად იქნა დაკმაყოფილებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს კ. ც-ძემ და საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ. კასატორი – კ. ც-ძე საკასაციო საჩივრით ითხოვდა ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმებას და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 26 დეკემბრის განჩინების გაუქმებას კ. ც-ძეზე სანივთე დავალიანების – 1502,43 აშშ დოლარის დაკისრების (უცვლელად დატოვების) ნაწილში და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. ხოლო კასატორი – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ითხოვდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 26 დეკემბრის განჩინების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილებას.

კასატორი – კ. ც-ძე საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ ხელშეკრულების 7.1 მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურე სრულად აგებს პასუხის მისთვის მინდობილი ქონების (აღჭურვილობის, იარაღის, ტექნიკის და ა.შ.) უსაფრთხოებასა და მოვლაზე, სამხედრო მოსამსახურე მხოლოდ დროებით სარგებლობს მისთვის მინდობილი ქონებით, ხოლო ამ ქონების მესაკუთრეა სამინისტრო. ხელშეკრულების 7.2 მუხლით კი, იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე განზრახ ან გაუფრთხილებლობით დააზიანებს ან დაკარგავს მისთვის მინდობილ ქონებას, იგი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს სამინისტროს მიყენებული ზიანი. ხელშეკრულების 7.2 მუხლი ასევე განმარტავს, რომ ცვეთა მხედველობაში არ მიიღება.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ სათანადო შეფასება არ მისცა ხელშეკრულების შესაბამის მუხლებს, ვინაიდან ხელშეკრულების ამ მუხლებით რეგულირდება შემთხვევა, 1) როცა სამხედრო მოსამსახურე განზრახ ან გაუფრთხილებლობით დააზიანებს მისთვის მინდობილ ქონებას და 2) დაკარგავს ქონებას. კასატორის მითითებით, მას არც დაუზიანებია და არც დაუკარგავს ქონება (ასეთი დოკუმენტი თავდაცვის სამინისტროს არ გააჩნია).

კასატორის აზრით, თავდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე, კ. ც-ძეზე დავალიანების არსებობის შესახებ, სამხედრო მოსამსახურისათვის მინდობილი ქონება წარმოდგენილია მისი საბაზრო ღირებულებით და შესაბამისი ცვეთა მოთხოვნის დროისათვის გათვალისწინებული არ არის.

კასატორი საკასაციო საჩივარში აღნიშნავდა, რომ როგორც ქობულეთის რაიონულმა სასამართლომ, ასევე ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ დაასაბუთა სანივთე დავალიანების არსებობა. ფაქტობრივად, ორივე ეთანხმება, რომ აღნიშნული მოთხოვნა სახელშეკრულებო მოთხოვნაა და მის დასადასტურებლად მითითებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361.2 მუხლზე, რომელიც ზოგადი ნორმაა და არ შეიძლება ამ მუხლით ვალდებულების არსებობის ან არ არსებობის შეფასება და მით უმეტეს მის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება.

კასატორის მოსაზრებით, სარჩელი სანივთე დავალიანების მოთხოვნის ნაწილში არასაკმარისი მტკიცებულებებისა და სათანადო შეფასების გარეშე იქნა დაკმაყოფილებული, არასწორი განმარტებები მიეცა როგორც ხელშეკრულების 7.1 და 7.2 მუხლებს, ასევე თავდაცვის სამინისტროს მიერ საქმეში წარმოდგენილ ცნობას.

კასატორის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 11 ივნისის განჩინებით უარი ეთქვა დაშვებაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კ. ც-ძის საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო სრულად ეთანხმება ხელშეკრულების შეფასების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას და თავის მხრივ განმარტავს შემდეგს: კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებადამატებების შედეგად, შემოღებულ იქნა ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნება განსხვავებით მანამდე არსებული ადმინისტრაციული გარიგებისაგან. კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის საფუძველზე განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მოწესრიგების უფლებამოსილება მას კანონით აქვს მინიჭებული, მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ დამატებით მოთხოვნებს.

როგორც ნორმის შინაარსი ცხადყოფს, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას არ სარგებლობს კერძო პირისათვის დამახასიათებელი ნების ავტონომიის პრინციპით, რადგან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებას განაპირობებს მის მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელება.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანია თავდაცვის მინისტრის სამხედრო ქვედანაყოფში სამსახურის გავლის შესახებ კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევა. მითითებული კონტრაქტის მონაწილე ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, რომლის საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას განეკუთვნება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფა, ხელშეკრულება თავდაცვის სამინისტროს მხრიდან დადებულია სწორედ ზემოაღნიშნული ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად. ამდენად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნება ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობას.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების ვალდებულების არსებობის თაობაზე და ადასტურებს სასამართლოს მხრიდან ხელშეკრულების 7.3 მუხლის თაობაზე განმარტების შესახებ წარმოდგენილი მოტივაციის მართებულობას.

ხელშეკრულების 7.3 მუხლი განსაზღვრავს თავდაცვის სამინისტროს მიერ ხელშეკრულების მოშლის საფუძველს და სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილით და „სამინისტროსთან“ შეთანხმებით დატოვებს სამხედრო ძალებს, ან შექმნის პირობებს იმისათვის, რომ „სამინისტრო“ იძულებული გახდეს შეწყვიტოს 4-წლიანი კონტრაქტი. „სამხედრო მოსამსახურე“ უპირობოდ ხდება ვალდებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ჯარიმის სახით აუნაზღაუროს სამინისტროს მასზე კონტრაქტით გათვალისწინებული დარჩენილი ვადის ფულადი თანხები: ა) 1 წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო სამი წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 14000 ლარის ოდენობით; ბ) 2 წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო ორი წლის ხელფასის სახით 10000 ლარის ოდენობით; გ) 3 წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო ერთი წლის ხელფასის სახით საშუალოდ 5000 ლარის ოდენობით.

ამდენად, როგორც ზემოაღნიშნული მუხლის შინაარსი ცხადყოფს, სამხედრო მოსამსახურეს ფულადი თანხების ჯარიმის, გადახდის ვალდებულება ეკისრება მხოლოდ კონტრაქტის 1-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ, რაც შეეხება ერთ წლამდე პერიოდს, აღნიშნულზე მხარეთა შორის ჯარიმა-საურავების თაობაზე შეთანხმება არ არსებობს, რაც გამორიცხავს სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობის დაკისრებას კონტრაქტის ერთ წლამდე შეწყვეტის შემთხვევაში.

საქმეზე უდავოდაა დადგენილი, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და კ. ც-ძეს შორის ხელშეკრულება დაიდო 2005 წლის 30 მარტს და შეწყდა 2005 წლის 20 სექტემბერს. ამდენად, ხელშეკრულები მოქმედების ვადამ შეადგინა 5 თვე და 20 დღე.

მითითებულმა ფაქტობრივმა გარემოებებმა და სააპელაციო სასამართლოს სწორმა სამართლებრივმა შეფასებამ საკასაციო სასამართლოს მისცა საფუძველი უარი ეთქვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის საკასაციო საჩივრის დაშვებაზე, თუმცა, იმავდროულად საკასაციო სასამართლომ კასატორის კ. ც-ძის საკასაციო მოთხოვნის კანონიერების შემოწმების მიზნით საჭიროდ მიიჩნია კონტრაქტის პირობებში შესვლა.

ამავე ხელშეკრულების 7.1 მუხლის შესაბამისად, „სამხედრო მოსამსახურე“ სრულად მთელი თავისი ქონებით აგებს პასუხს მისთვის მინდობილი ქონების (მათ შორის ფორმის ტანსაცმლის, აღჭურვილობის, იარაღის, ტექნიკის და ა.შ.) უსაფრთხოებასა და მოვლაზე. „სამხედრო მოსამსახურე“ მხოლოდ დროებით სარგებლობს მისთვის მინდობილი ქონებით, ხოლო ამ ქონების მესაკუთრეა „სამინისტრო“.

საქმეში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მხრიდან წარმოდგენილი ცნობის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ დაადგენილად მიიჩნია, რომ კ. ც-ძეს გააჩნდა სანივთე ქონების დავალიანება 1502,43 აშშ დოლარის ოდენობით.

კასატორი კ. ც-ძე მართალია სადავოდ ხდის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას იმის თაობაზე, რომ მას გააჩნდა სანივთე ქონების დავალიანება და მიუთითებს, რომ ეს ქონება მან დატოვა ნაწილში, მაგრამ აღნიშნულის დასადასტურებლად ვერ წარმოადგენს შესაბამის მტკიცებულებას, რაც საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ართმევს პროცესუალურ შესაძლებლობას, უარყოს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, ადმინისტრაციული სამართალწარმოებისათვის მახასიათებელი ინკვიზიციურობის ელემენტი არ ათავისუფლებს მხარეებს მტკიცებულებათა წარმოდგენის ვალდებულებებისაგან და სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპების მსგავსად, თითოეული მხარე ვალდებულია, დაამტკიცოს გარემოებანი, რომელზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნასა და შესაგებელს.

მიუხედავად იმისა, რომ კასატორს მიეცა საშუალება საქმის ზეპირი განხილვის პროცესში მიეთითებინა შესაბამის მტკიცებულებებსა და გარემოებებზე, რაც გააქარწყლებდა ან ეჭვქვეშ დააყენებდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მხრიდან წარმოდგენილ მტკიცებულებას, კასატორმა ვერ უზრუნველყო საკუთარი საპროცესო უფლებების რეალიზება, რაც საკასაციო სასამართლოს ართმევს შესაძლებლობას გაიზიაროს საკასაციო საჩივარში წარმოდგენილი მოსაზრებები და დადგენილად მიიჩნევს ფორმის ტანსაცმლის, აღჭურვილობისა და სხვა სანივთე ქონების დავალიანების არსებობის ფაქტს.

ყოველივე ზემოაღნიშნული კი საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს მიიჩნიოს, რომ სააპელაციო სასამართლოს მხრიდან კონტრაქტის 7.1 მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე მართებულად იქნა გამოყენებული სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის დებულებები და არ არსებობს გასაჩივრებულ ნაწილში გადანყვეტილების გაუქმების კანონიერი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. კ. ც-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 დეკემბრის განჩინება გასაჩივრებულ ნაწილში;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 5. კვების კომპენსაციის ანაზღაურება

### კვების კომპენსაციის ანაზღაურების ხანდაზმულობა

#### განჩინება

№ბს-686-680(კ-11)

8 სექტემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 27 ივლისს გ. ქ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა მარტვილის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის საქართველოს შს მარტვილის რაიონული სამმართველოს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, იგი წლების განმავლობაში მუშაობდა მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოში, ხოლო ამჟამად არის პენსიონერი. მოსარჩელემ მიუთითა, რომ მას მიუღებელი აქვს 1998, 1999, 2000 და 2003 წლების გაუცემელი ხელფასი (აქედან ძირითადი ხელფასი – 381.59 ლარი და კვების თანხა 656.36 ლარი, სულ 1073.95 ლარი). სასარჩელო განცხადებაში მოსარჩელემ მიუთითა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლზე, რომლის თანახმად, პოლიციელის ხელფასი შედგება თანამდებობრივი და ნოდებრივი სარგოებისგან, ხოლო ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, პოლიციელს ხელფასის გარდა მიეცემა ხელფასზე დანამატი და კომპენსაცია. ამასთან, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის თანახმად, მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). ამავე კანონის 134-ე მუხლის თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თან-



ხის გაცემა უნდა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის ნების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოსარჩელემ მოპასუხისათვის 1998, 1999, 2000 და 2003 წლების გაუცემელი ხელფასისა და საბოლოო ანგარიშსწორების თანხის (აქედან ძირითადი ხელფასი – 381.59 ლარი და კვების კომპენსაცია 656.36 ლარი, სულ 1073.95 ლარი) დაკისრება მოითხოვა.

მარტვილის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გ. ქ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ გაუცემელი ძირითადი ხელფასის – 381.59 ლარის ანაზღაურება დაეკისრა; გ. ქ-ის სარჩელი კვების ულუფის კომპენსაციის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

მარტვილის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ქ-ემ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 18 იანვრის განჩინებით გ. ქ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა მარტვილის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 382-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე მითითებით გაიზიარა რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი დასკვნები და აღნიშნა, რომ შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს კადრებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის 2010 წლის 18 ივნისის №... წერილით, რომლის ადრესატია გ. ქ-ე, ირკვევა, რომ 1998-2000, 2003 წლებში მასზე დარიცხული და გაუცემელი შრომის ანაზღაურება შეადგენს 1037.95 ლარს, მათ შორის, ძირითადი ხელფასი – 381.59 ლარს, კვება (ულუფის ფულადი კომპენსაცია) – 656.36 ლარს. აღნიშნული წერილით მოსარჩელეს ეცნობა, რომ შსს სამინისტროზე მიმდინარე წლის სახელფასო ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში არ არის გათვალისწინებული წინა წლებში წარმოქმნილი სახელფასო დავალიანებების დაფარვისათვის საჭირო თანხა, შესაბამისად ამ ეტაპზე მოკლებულნი არიან შესაძლებლობას გადაუხადათ თანხა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, გ. ქ-ის მიერ სარჩელი ხელფასისა და კვების (ულუფის ფულადი კომპენსაცია) თანხის ანაზღაურების თაობაზე შეტანილი იქნა 2010 წლის 27 ივლისის მარტვილის რაიონულ სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. ქ-ე მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მარტვილის სამმართველოში და ამჟამად არის პენსიონერი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საქართველოს შსს თანამშრომელზე აღნიშნული კანონის მოთხოვნები ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის (2000 წლის 28 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, პოლიციის თანამშრომელი პოლიციაში სამსახურისათვის იღებს ყოველთვიურ ხელფასს, რომელიც შეიცავს თანამდებობრივი და სპეციალური ნოდებისათვის დადგენილ განაკვეთს, წელთა ნამსახურობის დანამატს, რაიონულ კოეფიციენტს, სადაც იგი დაწესებულია, დანამატს დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობისათვის, ღამის საათებში და ზეგანაკვეთური მუშაობისათვის და სხვა გასამრჯელოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებსა და კომპენსაციებს.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის (ამოქმედდა 1997 წლის 1 თებერვალს) მე-5 მუხლის 1-ლ პუნქტში ჩამოთვლილია „საქართველოს საკანონმდებლო აქტები“, მეორე პუნქტში „საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები“, ხოლო მესამე პუნქტში აღნიშნულია, რომ საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ქმნიან საქართველოს კანონმდებლობას.

„საქართველოს შსს ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულება“ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, განსაზღვრავს სამინისტროს მუშაობის წესსა და სტრუქტურას.

2000 წლის 28 ივნისის №412 კანონით „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებით ამ კანონის 31-ე მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის თანახმად, ხელფასი მოიცავდა მხოლოდ თანამდებობრივი და სპეციალური ნოდებისათვის დადგენილ განაკვეთს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის 2000 წლის 28 ივნისამდე და ამჟამად მოქმედი რედაქცია არ შეიცავდა დათქმას, რომ სასურსათო ულუფის ღირებულება (კვების კომპენსაციის ანაზღაურება) შედიოდა ყოველთვიურ ხელფასში. 2000 წლის 28 ივნისამდე მოქმედი რედაქცია მოითხოვდა „სხვა დანამატებისა და კომპენსაციებისათვის“ „კანონმდებლობით გათვალისწინებას“, რაც „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად ამის თაობაზე რაიმე საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები არ მიღებულა. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის შესაბამისად პოლიციის თანამშრომლის ხელფასის ცნებაში იგულისხმება მხოლოდ თანამდებობრივი და ნოდებისათვის დადგენილი სარგო. კვების კომპენსაციის თანხა ხელფასში შემავალ დანამატს არ წარმოადგენს და

იგი ხელფასისაგან დამოუკიდებელი ფულადი გასაცემელია, რომელზედაც ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა. ასევე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ სხვა დანამატს, კვების თანხა არ წარმოადგენს ხელფასში შემავალ დანამატს და იგი ხელფასისაგან დამოუკიდებელი ფულადი გასაცემელია, რომელზედაც ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა.

სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ კვების თანხა წარმოადგენს მოსამსახურის უზრუნველყოფის სახეს და ამავდროულად, პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. ხელფასი განსხვავდება უზრუნველყოფის სახისაგან კვების თანხისაგან, რომელზედაც ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მარტვილის რაიონულმა სასამართლომ კანონიერად მიიჩინა, რომ სარჩელის აღძვრის მომენტისათვის – 2010 წლის 27 ივლისისათვის გასული იყო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა და მოთხოვნა ამ ნაწილში მართებულად არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მართალია, საქმის მასალებში წარმოდგენილ ცნობაში აღნიშნულია კვების თანხა, მაგრამ აღნიშნული არ წარმოადგენს მოთხოვნის უპირობო დაკმაყოფილების საფუძველს. სამართლებრივი ცნობა საინფორმაციო ხასიათისაა და შეიცავს მხოლოდ მონაცემს მოსამსახურის მიმართ დაწესებულების დავალიანების შესახებ, ხოლო თავად მოსამსახურეს სარჩელი კვების თანხის მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე სასამართლოსათვის უნდა წარედგინა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის დაცვით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 18 იანვრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ქ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ არასწორად მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლზე ხანდაზმულობის ვადის მოტივით. კასატორმა მიუთითა ამავე კოდექსის 130-ე მუხლზე და განმარტა, რომ ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. კასატორმა აღნიშნა, რომ მისი სახელფასო დავალიანება და კვების კომპენსაცია კანონმდებლობის თანახმად უნდა გასტუმრებულიყო მისი პენსიაზე გაშვებისთანავე.

კასატორის მითითებით, შრომისა და გასამრჯელოს მიღების უფლება კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 20 აპრილის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული გ. ქ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ივნისის განჩინებით გ. ქ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ქ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი მთავარი სამართლებრივი კადრებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის 2010 წლის 18 ივნისის №... ნერილით გ. ქ-ეს ეცნობა, რომ 1998, 1999, 2000 და 2003 წლებში მასზე დარიცხული და გაუცემელი შრომის ანაზღაურება შეადგენს 1037.95 ლარს, მათ შორის, ძირითადი ხელფასი (თანამდებობრივი განაკვეთი) – 381.59 ლარი, კვება (უღუფის ფულადი კომპენსაცია) – 656.36 ლარი. ამასთან, აღნიშნული ნერილით მოსარჩელეს ეცნობა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროზე მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში არ არის გათვალისწინებული წინა წლებში წარმოქმნილი სახელფასო დავალიანების დაფარვისათვის საჭირო თანხა, რის საფუძველზეც მოსარჩელეს განემარტა, რომ ამ ეტაპზე ადმინისტრაციული ორგანო გ. ქ-ის სასარგებლოდ თანხის გადახდის შესაძლებლობას იყო მოკლებული. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ გ. ქ-ემ მოპასუხისათვის 1998, 1999, 2000 და 2003 წლების გაუცემელი ხელფასისა და საბოლოო ანგარიშსწორების თანხის (აქედან ძირითადი ხელფასი – 381.59 ლარი და კვების კომპენსაცია 656.36 ლარი, სულ 1037.95 ლარი) დაკისრების მოთხოვნით მარტვილის რაიონულ სასამართლოს 2010 წლის 27 ივლისის მიმართა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მარტვილის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გ. ქ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ გაუცემელი ძირითადი ხელფასის – 381.59 ლარის ანაზღაურება დაეკისრა; ამასთან, მოსარჩელეს უარი ეთქვა კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში მოპასუხე მხარეს არ გაუსაჩივრებია; ხოლო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გადაწყვეტილება ჯერ სააპელაციო წესით, სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემდეგ კი საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ქემ. ამდენად, მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ გაუცემელი ძირითადი ხელფასის – 381.59 ლარის ანაზღაურების ნაწილში გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს კვების ულუფის კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში გ. ქ-ის სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის დადგენა წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სადავო არ არის ის გარემოება, რომ მოსარჩელე შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა ადმინისტრაციულ ორგანოსთან – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოსთან და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, წარმოადგენდა საჯარო მოხელეს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 30.4 მუხლის მიხედვით დაცულია მოქალაქეთა შრომითი უფლებები და აღიარებულია შრომის სამართლებრივი ანაზღაურება.

ამასთან, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეზე აღნიშნული კანონის მოთხოვნები ვრცელდება, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებზე აღნიშნული კანონის მოთხოვნები ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი. ამავდროულად კანონის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტით კი დადგენილია, რომ მოსამსახურეს უფლება აქვს, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „პოლიციის შესახებ“ კანონში 2000 წლის 28 ივნისს განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, არსებითად შეიცვალა პოლიციის თანამშრომლებისათვის მისაღები ხელფასის ცნება და კანონის რედაქციის ფორმის შეცვლით არსებითი ცვლილება განიცადა თავად ნორმის შინაარსმაც, კერძოდ, 2000 წლის 28 ივნისის კანონის მიღებამდე მოქმედი „პოლიციის შესახებ“ კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტი ხელფასის ცნებას განსაზღვრავდა როგორც თანამდებობრივი და სპეციალური ნოდებისათვის დადგენილ განაკვეთს, ნელთა ნამსახურობის დანამატს, რაიონულ კოეფიციენტს, დასვენების, უქმე დღეებში, ღამის საათებსა და ზეგანაკვეთური მუშაობისათვის დანამატსა და სხვა გასამრჯელოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებსა და კომპენსაციებს, ანუ მითითებული ყველა კომპონენტი იგულისხმებოდა ხელფასის ერთიან ცნებაში და მის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენდა. ასეთივე დანაწესს შეიცავდა მოსარჩელის სახელფასო დავალიანების წარმოშობის დროს მოქმედი საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის №139 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების“ 55-ე მუხლი, რომლის პირველი აბზაციტ დადგენილი იყო, რომ პოლიციაში სამსახურისათვის თანამშრომელი იღებდა ხელფასს, რომელიც შეიცავდა თანამდებობრივი და სპეციალური ნოდებისათვის დადგენილ განაკვეთს, ნამსახურობის დანამატს, სასურსათო ულუფის ღირებულებას (თუ იგი ნატურით არ ეძლეოდათ), რაიონულ კოეფიციენტს, სადაც იგი დაწესებული იყო, დანამატს დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობისათვის და სხვა გასამრჯელოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ დანამატებსა და კომპენსაციებს. 2000 წლის 28 ივნისის კანონით „პოლიციის შესახებ“ კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტში ცვლილების შეტანით, კანონმდებელმა პოლიციის მუშაკის ხელფასის სხვაგვარი ცნება შემოგვთავაზა და აღნიშნული კანონის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტი ასე ჩამოყალიბდა – პოლიციის თანამშრომელი პოლიციაში სამსახურისათვის იღებს:

- ა) ხელფასს, რომელიც შეიცავს თანამდებობრივი და სპეციალური ნოდებისათვის დადგენილ განაკვეთს;
- ბ) ნელთა ნამსახურობის დანამატს;
- გ) რაიონულ კოეფიციენტს, სადაც იგი დაწესებულია;
- დ) დანამატს დასვენების, უქმე დღეებში, ღამის საათებში და ზეგანაკვეთური მუშაობისათვის;
- ე) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებსა და კომპენსაციებს“.

აღნიშნული მუხლის განმარტების საფუძველზე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „პოლიციის შესახებ“ კანონის შესაბამისად ხელფასს წარმოადგენს მხოლოდ თანამდებობრივი და სპეციალური ნოდებისათვის დადგენილი განაკვეთი, ხოლო ნელთა ნამსახურობის დანამატი, რაიონული კოეფიციენტი, დასვენების, უქმე დღეებში, ღამის საათებში და ზეგანაკვეთური მუშაობისათვის დანამატი, კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დანამატები და კომპენსაციები, კანონმდებელმა პოლიციის თანამშრომლის სოციალური დაცვის დამატებით გარანტირებად განსაზღვრა და ხელფასის ცნებისაგან გამოიწინა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 2000 წლის 28 ივნისამდე მოქმედი რედაქციით „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის, ისევე როგორც „საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის შესახებ დებულების“ შესაბამისი ნორმებით დადგენილი იყო, რომ პოლიციელის ხელფასი მოიცავდა არა მარტო თანამდებობრივი და სპეციალური ნოდებისათვის დადგენილ განაკვეთს, არამედ – ნამსახურობის დანამატს, სასურსათო ულუფის ღირებულებას და სხვა. თუმცა 2000 წლის 28 ივნისის №413 კანონით „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული

ბული ცვლილებით, ხსენებული კანონის 31-ე მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის თანახმად, ხელფასი მოიცავდა მხოლოდ თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო არ არის ის გარემოება, რომ გ. ქ-ის წინაშე სახელფასო დავალიანება მოპასუხეს წარმოეშვა 1998, 1999, 2000 და 2003 წლებში და დღეისათვის მოსარჩელე დავობს სწორედ ამ პერიოდში წარმოშობილ და შეუსრულებელ ვალდებულებებზე. 1998, 1999, 2000 წლების კვების (უღუფის) კომპენსაციის დავალიანება მოპასუხეს წარმოეშვა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის ძველი რედაქციის მოქმედების პირობებში, რომლის დროსაც ხელფასში გათვალისწინებული იყო არა მხოლოდ თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილი განაკვეთი, არამედ – ნამსახურობის დანამატი, სასურსათო უღუფის ღირებულება და სხვა, ხოლო 2003 წლის კვების (უღუფის) კომპენსაციის დავალიანება მოპასუხეს წარმოეშვა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლში 2000 წლის 28 ივნისის №413 კანონით განხორციელებული ცვლილების შემდეგ, რომელთა შედეგადაც პოლიციის თანამშრომლის ხელფასის ცნება მოიცავდა მხოლოდ თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ადგენს, რომ ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით. უდავოა, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის, აგრეთვე „საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულებების“ არც ერთი მუხლი არ შეიცავს დათქმას ახალი რედაქციის ნორმებისათვის უკუძალის მინიჭების თაობაზე. ამდენად, ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების შესაბამისი მუხლების ახალი რედაქცია ძველ ურთიერთობებზე არ უნდა გავრცელდეს, რადგან კანონის ახალ ნორმას არ აქვს მინიჭებული უკუქმედების ძალა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ გ. ქ-ის სარჩელიდან გამომდინარე დავის გადასაწყვეტად გამოყენებული უნდა იქნეს ის სამართლებრივი ნორმები (იმ რედაქციის სამართლებრივი ნორმები), რომელთა მოქმედების დროსაც წარმოიშვა სახელფასო დავალიანება.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134<sup>1</sup> მუხლის (ანგარიშსწორების წესი სამსახურიდან გათავისუფლებისას) თანახმად, დადგენილია და შესაბამისად აღიარებულია, რომ 2005 წლის 1 იანვრამდე გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეებზე კუთვნილი თანხის გაცემა (გარდა ამ კანონით გათვალისწინებული კომპენსაციისა) უნდა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად, ხოლო 2006 წლის 29 დეკემბერს მიღებულ იქნა „საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მე-9 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ასევე აღიარებს წინა წლებში წარმოქმნილ ფაქტობრივ დავალიანებებს და სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შესაძლებლობა მიეცათ, ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, გამოიყენონ ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლით დამკვიცებული ასიგნებები არსებული დავალიანებების დასაფარავად. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უკანონოდ მიიჩნევს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ დაწესებულებას, მოსარჩელის მიმართ არსებული სახელფასო დავალიანების, რომელშიც 2000 წლის 28 ივნისამდე გათვალისწინებული იყო კვების (უღუფის) კომპენსაცია, ანაზღაურებაზე უარს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოს, ეკისრება ვალდებულება მოსარჩელეს აუნაზღაუროს 1998, 1999 და 2000 წლების კვების (უღუფის) კომპენსაცია.

ამასთან, 2003 წლის კვების (უღუფის) კომპენსაციის მოპასუხისათვის გ. ქ-ის სასარგებლოდ დაკისრების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის 2000 წლის 28 ივნისის №413 კანონით განხორციელებული ცვლილების შედეგად, პოლიციის თანამშრომლის ხელფასის ცნებაში გულისხმობდა მხოლოდ თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს. ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კვების (უღუფის) კომპენსაციის თანხა 2000 წლის 28 ივნისის შემდეგ მოქმედი რედაქციის „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლით გათვალისწინებულ ხელფასში შემავალ დანამატს არ წარმოადგენს და იგი ხელფასისაგან დამოუკიდებელი ფულადი გასაცემელია, რომელზეც ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კვების (უღუფის) კომპენსაცია წარმოადგენს „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით რეგლამენტირებულ სასურსათო უღუფას. აღნიშნული კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის (2007 წლის 11 მაისამდე მოქმედი რედაქცია) მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლეოდა სასურსათო უღუფე და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. ამდენად, პოლიციის თანამშრომელი სამსახურის პერიოდში „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლით გათვალისწინებულ შრომით გასამრჯელოსთან (ხელფასთან) ერთად, ღებულობდა კომპენსაციას სასურსათო უზრუნველყოფის – უღუფისა და სანივთე უზრუნველყოფის – ფორმის ტანსაცმლის სახით. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის გარდამავალი ნორმის შემცველი 134<sup>1</sup> მუხლით რეგლამენტირებულია საჯარო მოსამსახურეზე წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურება, მაგრამ იგი არ ეხება საჯარო მოსამსახურისათვის კომპენსაციის ანაზღაურებას

ამ მუხლით დადგენილი წესით. კვების (უღუფის) კომპენსაცია წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის უზრუნველყოფის სახეს და ამავდროულად, პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. ამასთან, ხელფასი განსხვავდება უზრუნველყოფის სახისაგან – კვების (უღუფის) კომპენსაციისაგან, რაც განსხვავებულია მონესრიგებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134<sup>1</sup> მუხლში. ამდენად, ვინაიდან კვების (უღუფის) კომპენსაცია წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის მიერ მისაღები კომპენსაციის სახეს, ზემოაღნიშნული გარდამავალი ნორმა („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134<sup>1</sup> მუხლი) აღნიშნულ კომპენსაციაზე არ ვრცელდება. შესაბამისად, ხელფასისაგან განსხვავებით, კვების (უღუფის) დავალიანების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული სასარჩელო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, აღნიშნული ვადა კი უნდა აითვალოს სასამართლოში სარჩელის წარდგენის თარიღიდან უკუსვლით.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელემ მარტვილის რაიონულ სასამართლოს 1998, 1999, 2000 და 2003 წლების გაუცემელი ხელფასისა და საბოლოო ანგარიშსწორების თანხის (აქედან ძირითადი ხელფასი – 381.59 ლარი და კვების კომპენსაცია 656.36 ლარი, სულ 1073.95 ლარი) მოპასუხისათვის დაკისრების მოთხოვნით 2010 წლის 27 ივლისს მიმართა. აქედან გამომდინარე, საკასაციოს სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა 2003 წლის კვების (უღუფის) კომპენსაციის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულია, მოსარჩელეს გაცდენილი აქვს 129-ე მუხლით განსაზღვრული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელისათვის 2003 წლის კვების (უღუფის) კომპენსაციის თანხის ანაზღაურების ნაწილში სწორად გამოიყენა კანონი, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლითაც გათვალისწინებულია სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა და სასარჩელო მოთხოვნის აღნიშნულ ნაწილთან დაკავშირებით სწორად განმარტა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლი.

ამასთან, მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოს თავისმხრივ არ უღიარებია მოსარჩელის წინაშე კვების (უღუფის) კომპენსაციის დავალიანება. საქმის მასალებში წარმოდგენილი შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს კადრებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის 2010 წლის 18 ივნისის №... წერილი ინფორმაციული ხასიათისაა, რომელიც არ შეიცავს დავალიანების ანაზღაურების დაპირებას, მასში გადმოცემულია მოსარჩელის მიმართ ადმინისტრაციულ ორგანოში დაცული ინფორმაციული მონაცემები სახელფასო დავალიანების არსებობასთან დაკავშირებით, რაც არ ქმნის ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის, მისი ახლიდან ათვლის საფუძველს, რის გამოც საკასაციო სასამართლოს მართებულად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს მიერ მოსარჩელისათვის 2003 წლის კვების (უღუფის) კომპენსაციის თანხის ანაზღაურების დაკმაყოფილებაზე უარი ხანდაზმულობის ვადის გაცდენის მოტივით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გ. ქ-ის სასარჩელო მოთხოვნა 1998, 1999 და 2000 წლების კვების (უღუფის) კომპენსაციის თანხის ანაზღაურების ნაწილში საფუძვლიანია, ხოლო არ არსებობს 2003 წლის კვების (უღუფის) კომპენსაციის თანხის ანაზღაურების ნაწილში გ. ქ-ის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს კადრებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის 2010 წლის 18 ივნისის №... წერილში მითითებულია, რომ 1998, 1999, 2000 და 2003 წლებში გ. ქ-ზე დარიცხული და გაუცემელი შრომის ანაზღაურება შეადგენს 1037.95 ლარს, მათ შორის, ძირითადი ხელფასი (თანამდებობრივი განაკვეთი) შეადგენს 381.59 ლარს, კვების კომპენსაცია (უღუფის ფულადი კომპენსაცია) – 656.36 ლარს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეზე არ არის დადგენილი წლების მიხედვით კვების ფულადი კომპენსაციის ოდენობა. კერძოდ, საქმის მასალებში წარმოდგენილი მტკიცებულებებით ირკვევა, რომ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ გაუცემელი აქვს 1998, 1999, 2000 და 2003 წლების კვების (უღუფის ფულადი კომპენსაცია) კომპენსაცია სულ – 656.36 ლარის ოდენობით, მაგრამ არ არის განსაზღვრული 656.36 ლარიდან კონკრეტულად რა ოდენობის თანხა აქვს მიუღებელი მოსარჩელეს 1998, 1999, 2000 და 2003 წლების მიხედვით. შესაბამისად, იქიდან გამომდინარე, რომ საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი გამოიკვლიოს ახალი მტკიცებულებები და დაადგინოს წლების მიხედვით მოსარჩელისათვის ასანაზღაურებელი კვების ფულადი კომპენსაციის ზუსტი ოდენობა, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმე აღნიშნული საფუძვლით ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. სააპელაციო სასამართლომ თავისმხრივ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა გამოიყენოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება, რომლის მიხედვითაც სააპელაციო სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ უნდა მოიპოვოს შესაბამისი მტკიცებულებები და დაადგინოს მოსარჩელისათვის ასანაზღაურებელი კვების კომპენსაციის ოდენობა სადავო წლების მიხედვით.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სრულყოფილად უნდა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და საკასაციო სასამართლოს მითითებების გათვალისწინებით საქმეზე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გ. ქ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 18 იანვრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:  
სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე და 412-ე მუხლებით და

#### დ ა ა ღ ბ ი ნ ა:

1. გ. ქ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 18 იანვრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### კვების კომპენსაციის ანაზღაურების ხანდაზმულობა

#### გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-619-614(კ-11)

20 სექტემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
პ. სილაგაძე

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩელე: თ. ჟ-ი

მოპასუხე: სსიპ შემოსავლების სამსახური

სარჩელის საგანი: სახელფასო დავალიანების – 3412,85 ლარისა და აღნიშნული თანხის დაყოვნებისათვის ყოველი გადაცილებული დღისათვის მითითებული თანხის 0.07%-ის, სულ 9614,82 ლარის ანაზღაურება

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი: საჯარო შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა

სამართლებრივი: „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 11.1, 11.2 „ე“ ქვეპუნქტი, 11.3, 37.1 და 37.4 მუხლები, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33-ე და 24-ე მუხლები, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლი, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 8 იანვრის №2 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო სახელმწიფო ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ“ დებულების 39-ე მუხლი, „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის მე-2 და 21-ე მუხლები, შრომის კანონთა კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

მოპასუხის შესაგებელი: სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ფაქტობრივი სარჩელი აღძრულია 2010 წელს, ხოლო სადავოა 1998-2003 წლების სახელფასო დავალიანება, მათ შორის - კვების ულუფის კომპენსაცია, რის გამოც მოთხოვნა ხანდაზმულია, ამასთან, მოსარჩელე მუშაობდა რა შემოსავლების სამსახურში, თ. ჟ-სა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის ურთიერთობაც რეგულირდებოდა საჯარო სამართლით მოწესრიგებული ურთიერთობებით.

სამართლებრივი საფუძველი: ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. „მ“, შრომის კანონთა კოდექსის 31-ე მუხლი, სამოქალაქო კოდექსის 128-ე, 129-ე და 130-ე მუხლები, „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 12.1, 19 მუხლები.

საქმის გარემოებები: თ. ჟ-ი მუშაობდა საბაჟო დეპარტამენტში, სხვადასხვა თანამდებობაზე. მუშაობის პერიოდში მის მიმართ წარმოიქმნა სახელფასო დავალიანება, რაც მოპასუხეს დღემდე არ გაუსტუმრებია.

მოსარჩელემ არაერთხელ მიმართა მოპასუხე ორგანიზაციას სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე, რაზედაც მიიღო უარი იმ მოტივით, რომ „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ და „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად, განსაზღვრული, მიმდინარე წლის ასიგნება, ფინანსთა სამინისტროს არ აძლევდა შესაძლებლობას, აენაზღაურებინა წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებები.

მოპასუხეს მიაჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი სახელფასო დავალიანების თაობაზე გაცემული ცნობა საინფორმაციო ხასიათისაა და იგი ადასტურებს არა მოპასუხის მიერ ვალის აღიარებას, არამედ იმ ფაქტს, თუ რა ოდენობას შეადგენს თანხა, რომელიც პირს არ მიუღია.

რაიონული /საქალაქო/ სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილებით თ. ყ-ის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე სსიპ შემოსავლების სამსახურს მოსარჩელის თ. ყ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 1998 წლის ხელზე ასაღები ხელფასის – 1558,99 ლარის, 1999 წლის ხელზე ასაღები ხელფასის – 709,18 ლარის, 2000 წლის ხელზე ასაღები ხელფასის – 516,68 ლარისა და 2003 წლის ხელზე ასაღები ხელფასის – 56,16 ლარის ანაზღაურება, ხოლო სარჩელი ულუფის კომპენსაციისა და ანგარიშსწორებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაყოვნებული თანხის 0,07%-ის ანაზღაურების ნაწილში სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 10 იანვრის №... ცნობით თ. ყ-ს 1998-1999-2000-2003 წლების დარიცხული სახელფასო დავალიანება შეადგენს – 3878, 24 ლარს, ხელზე მისაღები თანხა 3412,85 ლარს; მათ შორის: 2000 წლის ხელზე ასაღები კვების ულუფა – 519,92 ლარს და 2003 წლის 51,92 ლარს.

სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:

მოპასუხემ სადავოდ მიიჩნია ის ფაქტი, რომ საქმეში წარმოდგენილი სახელფასო დავალიანების ცნობა არის ინფორმაციული ხასიათის და არა აღიარება სახელფასო დავალიანების თაობაზე და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. „მ“ ქვეპუნქტზე მითითებით აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, მათ შორის ამა თუ იმ პირზე გაცემული ცნობა, რომელიც შეიცავს პირის მიმართ ამ ორგანოს დავალიანების შესახებ ინფორმაციას, წარმოადგენს ამავე ორგანოში დაცულ და მის მიერ ინფორმაციის თავისუფლების ფარგლებში კანონით დადგენილი წესით გაცემულ საჯარო ინფორმაციას, ამდენად, ეს მტკიცებულება ვერ გახდება სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

სადავო ასევე მოსარჩელის მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი ვადა /ხანდაზმულობა/, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის შესაბამისად, ვინაიდან სარჩელი აღძრულია 2010 წელს, ხოლო სარჩელით მოთხოვნილია 1998-2003 წლების სახელფასო დავალიანება, მათ შორის კვების ულუფის კომპენსაციაც.

სასამართლოს დასკვნები:

სასამართლოს დასკვნით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის თანახმად, მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო. მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულ ასიგნებათა ფარგლებში.

ამასთან, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 134<sup>1</sup> მუხლის თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან განთავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის გაცემა განხორციელდება წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად.

სასამართლოს დასკვნით, მოსარჩელის მიმართ სახელფასო დავალიანების გაუცემლობის მიზეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ვერ დააფინანსა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი შესაბამისი თანხებით 1998-2000-2003 წლებში, რის გამოც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფლებამონაცვლეს – სსიპ შემოსავლების სამსახურს გააჩნია სახელფასო დავალიანება მოსარჩელების მიმართ, „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად კი წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარავად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს 2010 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლით დამტკიცებული ასიგნებანი, იმ პირობით, რომ არ იქნება დაშვებული აღნიშნული მუხლის მიხედვით ახალი დავალიანების დაგროვება, რისთვისაც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ შესაბამის დაწესებულებასა და ორგანიზაციას. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 37-ე მუხლის IV ნაწილის თანახმად, მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) ფონდის ფორმირების წყაროა შესაბამისი ბიუჯეტი. საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება არ შეიძლება იყოს მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა გარანტიების დაფინანსების შემცირების საფუძველი, შესაბამისად, ამ ნაწილში მოთხოვნა გაზიარებულ იქნა.

მოსარჩელის მოთხოვნა ულუფისა და 0.07%-ის დაკისრებაზე დაყოვნების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხანდაზმულია და უსაფუძვლო, ვინაიდან ულუფის კომპენსაცია პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებაა და რადგან პერიოდულად შესრულებელი ვალდებულებები არ წესრიგდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით ან/და შრომის კანონთა კოდექსით ან სპეციალური კანონით „სამხედრო მოსამსახურის შესახებ“, მათ მიმართ უნდა გავრცელდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით განსაზღვრული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა.

ამავე კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად კი ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება იმ დღეს, როდესაც წარმოიშვა მოთხოვნის უფლება. მოთხოვნის უფლება წარმოიშობა იმ დღეს, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო მისი უფლების დარღვევის შესახებ. ივარაუდება, რომ პირმა უნდა იცოდეს ან უნდა გაეგო მისი უფლების დარღვევის შესახებ. სწორედ ამ მომენტიდან იწყება ხანდაზმულობის ვადის დენა. სამოქალაქო კოდექსის 131-ე მუხლის თანახმად, თუ მოთხოვნის წარმოშობა დამოკიდებულია კრედიტორის მოქმედებაზე, ხანდაზმულობა იწყება იმ დღიდან, როცა კრედიტორს შეეძლო განეხორციელებინა ეს მოქმედება. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელისათვის ცნობილი იყო, რომ მოპასუხე არ უნაზღაურებდა სასურსათო



ულუფის თანხას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელეს წარმოეშვა მოთხოვნის უფლება მოპასუხის მიმართ თანხის ანაზღაურებაზე, რის თაობაზეც უნდა მიემართა სასამართლოსათვის, რაც არ განუხორციელებია 2010 წლამდე.

საქალაქო სასამართლოს დასკვნით, შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტი კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელის მიმართ ვერ გავრცელდება, ვინაიდან, ამავე კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს ანგარიშსწორების დაყოვნებისათვის ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის თანხის 0,07 პროცენტის გადახდას.

სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლი, 1341-ე მუხლი, „საბიუჯეტო კოდექსის“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე, 129-ე და 130-ე მუხლები, შრომის კოდექსის 31-ე მუხლი, 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

აპელანტი: თ. ყ-ი

მონინალმდეგე მხარე: სსიპ შემოსავლების სამსახური

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება კვების ულუფის კომპენსაციისა და დაყოვნების დღისათვის 0.07%-ის მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე და 2000-2003 წლების კვების კომპენსაციის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

აპელაციის მოტივები:

ფაქტობრივი: აპელანტის განმარტებით, საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლი და არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლი, რომლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე აღიარებს მოთხოვნის არსებობას.

აპელანტის განმარტებით, მოსარჩელის ულუფის კომპენსაცია წარმოადგენს ხელფასის შემადგენელ ნაწილს და განხილულ უნდა იქნეს, როგორც სახელფასო დავალიანება და არა – როგორც ხელფასზე დანამატი, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 8 იანვრის №2 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის“ დებულებისა და „საქართველოს საბაჟო სახელმწიფო ორგანოებში სამსახურის გავლის შესახებ“ დებულების 1-ლი მუხლის თანახმად, „ეს დებულება განსაზღვრავს და აწესრიგებს საქართველოს საბაჟო ორგანოების სისტემაში მომუშავე და სახელმწიფო მოხელეთა მიერ სამსახურის გავლის წესს, მათ უფლებებს, მოვალეობებსა და სამართლებრივ საფუძველებს“. იმავე დებულების 39-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „საბაჟო ორგანოების თანამშრომელი იღებს ყოველთვიურ ხელფასს, რომელიც შეიცავს თანამდებობრივ და სპეციალურ წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს, დანამატს სამსახურის წლებისათვის, სასურსათო ულუფის ღირებულებას (თუ იგი ნატურით არ ეძლევა), რაიონულ კოეფიციენტს, სადაც იგი დაწესებულია, დანამატს დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობისათვის და სხვა გასამრჯელოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ დანამატებსა და კომპენსაციებს“. აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი მიიჩნევს, რომ სასურსათო ულუფა სასამართლოს უნდა განეხილა როგორც ხელფასის შემადგენელი ნაწილი და სასამართლოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლისა და საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 8 იანვრის №2 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის“ დებულების და „საქართველოს საბაჟო სახელმწიფო ორგანოებში სამსახურის გავლის შესახებ“ დებულების 39-ე მუხლის 1-ლი პუნქტის გამოყენებით უნდა დაეკმაყოფილებინა სარჩელი სასურსათო ულუფის ანაზღაურების შესახებ.

სასამართლომ ასევე არასწორად განმარტა შრომის კანონთა კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტი და აღნიშნა, რომ შრომით-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე, სახელფასო დავალიანების არსებობა არ ნიშნავს შრომით-სამართლებრივი ურთიერთობების განგრძობადობას. არასწორია სასამართლოს განმარტება, რომ ის გარემოება, რომ დავალიანების არსებობით თ. ყ-სა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის გაგრძელდა შრომითი სამართლებრივ-ურთიერთობა, რაც საქართველოს შრომის კოდექსის გამოყენების შესაძლებლობას წარმოშობდა, ვინაიდან, შრომის კანონთა კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია ნებისმიერი ანაზღაურების თუ ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის გადაუხადოს დასაქმებულს დაყოვნებული, თანხის 0,07%. მოსარჩელე მოპასუხე ორგანოში მუშაობდა არა მარტო სახელფასო დავალიანების არსებობის პერიოდში, არამედ მის შემდეგაც და მხოლოდ 2009-2010 წლებში შეწყდა მხარეთა შორის არსებული შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები.

სამართლებრივი: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 127-ე, 129-ე მუხლები, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 და 37-ე მუხლები, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 8 იანვრის №2 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო სახელმწიფო ორგანოების სამსახურის გავლის შესახებ“ დებულების 1-ლი, 39.1 მუხლები და შრომის კანონთა კოდექსის 31.3 მუხლი.

მონინალმდეგის შეპასუხება

ფაქტობრივი: ულუფის თანხასთან დაკავშირებით, ვინაიდან აპელანტი თ. ყ-ი წარმოადგენდა საბაჟო სამსახურის მოხელეს, საბაჟო კოდექსის თანახმად, საბაჟო მოხელეზე ვრცელდებოდა „პოლიციის შესახებ“ კანონი, რომლის მიხედვით, ულუფა არ წარმოადგენს ხელფასის შემადგენელ ნაწილს და მასზე უნდა გავრცელდეს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა.



სამართლებრივი: „საჯარო სამსახურის შესახებ“ მე-11.2 მუხლი, „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12.1, მე-19, მე-19.3 მუხლები, შრომის კანონთა კოდექსის 31-ე მუხლი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო/

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 13 იანვრის განჩინებით თ. ყ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილება.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე და მიუთითა, რომ იგი ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

კასატორი: თ. ყ-ი

მონინალმდგე მხარე: სსიპ შემოსავლების სამსახური

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 13 იანვრის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

კასაციის მოტივები:

ფაქტობრივი: კასატორი მოპასუხე ორგანიზაციაში მუშაობდა სახელფასო დავალიანების წარმოშობიდან – ე.ი. 1998 წლიდან 2004 წლამდე და მათ შორის შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები წესრიგდებოდა, როგორც შრომის კანონთა კოდექსით, ასევე საქართველოს კანონით „საჯარო სამსახურის შესახებ“. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელეზე უნდა გავრცელდეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, ასევე შრომის კანონთა კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

სამართლებრივი:

პროცესუალური: მოსარჩელის მითითებით, გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე1“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

მატერიალური: სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლი, რომლის შესაბამისად, „ხანდაზმულობის ვადა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე აღიარებს მოთხოვნის არსებობას“. კასატორის განმარტებით, სასურსათო ულუფა სააპელაციო სასამართლოს უნდა განეხილა, როგორც ხელფასის შემადგენელი ნაწილი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლისა და საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 8 იანვრის №2 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ“ დებულების 39-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, რაც სააპელაციო სასამართლოს არ გამოუყენებია და არასწორად შეაფასა სასურსათო ულუფის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არასწორად განმარტა შრომის კანონთა კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

მონინალმდგეის შეპასუხება – თ. ყ-ის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა, როგორც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 ნაწილის მოთხოვნებთან შეუსაბამო.

სამართლებრივი:

პროცესუალური: სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე, 129-ე და 130-ე მუხლები.

მატერიალური: სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება სრულად შეესაბამება უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკას. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 2000 წლის 28 ივნისამდე მოქმედი რედაქციით 31-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებდა, რომ პოლიციის თანამშრომელი პოლიციაში სამსახურისათვის იღებდა ყოველთვიურ ხელფასს, რომელიც შეიცავდა თანამდებობრივი და სპეციალური ნოდებისათვის დადგენილ განაკვეთს, ნელთა სამსახურის დანამატს, რაიონულ კოეფიციენტს, სადაც იგი დაწესებული იყო; დანამატს დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობისათვის, ღამის საათებში და ზეგანაკვეთური მუშაობისათვის და სხვა გასამრჯელოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებსა და კომპენსაციებს.

ამასთან, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლი, 2000 წლის 28 ივნისის №413 კანონით განხორციელებული ცვლილების შედეგად, პოლიციის თანამშრომლის ხელფასის ცნებაში გულისხმობდა მხოლოდ თანამდებობრივი და სპეციალური ნოდებისათვის დადგენილ განაკვეთს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასურსათო ულუფის თანხა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 2000 წლის 28 ივნისის შემდეგ მოქმედი რედაქციის 31-ე მუხლით გათვალისწინებულ ხელფასში შემავალ დანამატს არ წარმოადგენს და იგი ხელფასისაგან დამოუკიდებელი ფულადი გასაცემელია, რომელზეც ვრცელდებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა, რაც სააპელაციო სასამართლოს არ გამოუყენებია.

სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს საბაჟო კოდექსის 168.1 მუხლის შესაბამისად, საბაჟო ორგანოს საჯარო მოხელეებზე ვრცელდებოდა პოლიციის თანამშრომელთა სოციალური დაცვის გარანტიები, რომლებიც ჩამოყალიბებული იყო „პოლიციის შესახებ“ კანონის 31-ე მუხლში.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე, 129-ე და 130-ე მუხლები, „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-12 მუხლი, „საჯარო სამსახურის შესახებ“ მე-12, მე-14 და 37-ე მუხლები.

ფაქტობრივი: ამდენად, ულუფის თანხა არ წარმოადგენს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ ხელფასში შემავალ დანამატს და იგი ხელფასისაგან დამოუკიდებელი ფულადი გასაცემელია და მასზე უნდა გავრცელდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლი.

იმისათვის, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ცნობა განხილულ იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ვალის აღიარებად, მასში პირდაპირ, ნათლად და გარკვევით უნდა იყოს გამოხატული ადმინისტრაციული ორგანოს ნება ვალის გადახდის თაობაზე და იგი აუცილებლად უნდა შეიცავდეს ორგანოს მხრიდან ვალის გადახდის დაპირების ელემენტს, კონკრეტულ შემთხვევაში კი ცნობა არ შეიცავს არც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ ელემენტს, მასში მხოლოდ დაფიქსირებულია მოსარჩელის მიმართ ადმინისტრაციულ ორგანოში დაცული მონაცემები სახელფასო დავალიანებების არსებობის შესახებ და იგი არ უნდა ჩაითვალოს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ვალის აღიარებად.

ამასთან, კასატორი მუშაობდა შემოსავლების სამსახურში და აღნიშნულ პირსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის ურთიერთობა მიეკუთვნებოდა საჯარო სამართლით მოსაწესრიგებელ ურთიერთობას.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წინამძღვრები: (სასკ 34.3 მ.)

საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 21 ივნისის განჩინებით თ. ყ-ის საკასაციო საჩივარი 2000 წლის კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად, ანგარიშსწორებისათვის ყოველ ვადაგადაცდილებულ დღეზე დაყოვნებული თანხის 0,07%-ის ანაზღაურების ნაწილში – დაუშვებლად, ხოლო საკასაციო საჩივარი /კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით/ 2003 წლის კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში – დაუშვებლად, როგორც დივერგენტული კასაცია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თ. ყ-ის საკასაციო საჩივარი დაშვებულ, 2000 წლის კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს 2000 წლის კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში სარჩელის დაუკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში საკასაციო სასამართლომ უნდა მიიღოს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. ყ-ის სარჩელი 2000 წლის კვების კომპენსაციის – 519,92 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ დაკმაყოფილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს: ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ივნისის განჩინებით თ. ყ-ის საკასაციო საჩივარი 2000 წლის კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად, ხოლო 2003 წლის კვების კომპენსაციისა და ანგარიშსწორებისათვის ყოველ ვადაგადაცდილებულ დღეზე დაყოვნებული თანხის 0,07%-ის ანაზღაურების ნაწილში – დაუშვებლად, ამდენად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს მხოლოდ თ. ყ-ის სასარგებლოდ 2000 წლის კვების კომპენსაციის 519,92 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების საფუძვლიანობა.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, თ. ყ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად ასკ-ის 34.3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით, როგორც დივერგენტული კასაცია, ვინაიდან სახეზეა სააპელაციო სასამართლოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკისგან განსხვავებული სამართლებრივი დასკვნა.

საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განმარტავს, რომ კანონმდებელმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინამძღვრების დადგენით განსაზღვრა სასამართლო ხელისუფლების სისტემაში საკასაციო ინსტანციის სასამართლოს როლი და დანიშნულება: კონცეპტუალური სასამართლო, რომლის ფუნქცია გაცილებით მეტია, ვიდრე მართლმსაჯულებისა და სასამართლო კონტროლის განხორციელება.

საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი როლიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივრის საფუძვლების განსაზღვრის წესებით, მართლმსაჯულების ფუნქციონირების უზრუნველყოფასთან ერთად, შესაძლებელი უნდა გახდეს ერთმანეთთან ჰარმონიაში მოიყვანოს ის მთავარი მოთხოვნები, რომლებიც წაყენება კასაციას:

– ზოგადად, მართლწესრიგის დაცვა და მისთვის ხელის შეწყობა ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების მეშვეობით და ამით სამართლებრივი სტაბილურობის შექმნა;

– ცალკეულ შემთხვევებზე გადაწყვეტილებების სამართლიანობა.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილში მოცემულია საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სამი საფუძველი:

- ა) აბსოლუტური კასაცია;
- ბ) დივერგენტული კასაცია;
- გ) პროცესუალური კასაცია;

დივერგენტული კასაციის მიზანს წარმოადგენს ერთიანი სასამართლო პრაქტიკის დაცვა გარკვეული სამართლებრივი ნორმების განმარტებისას. დივერგენტული კასაციის დაშვება ასევე ემსახურება სამართლებრივი ერთიანობის, სტაბილურობისა და სამართლის თანასწორი გამოყენების დაცვას. ამავე დროს, სააპელაციო სასამართლოს მიერ განსხვავებული გადაწყვეტილების (განსხვავებული სამართლებრივი შეფასება, განმარტება) მიღებამ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს გააზრებულად, შეგნებულად ხდება და ჯეროვნად არის დასაბუთებული (რამდენადაც სააპელაციო სასამართლოს მართლმსაჯულების უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს განმარტება არასწორად მიაჩნია), შეიძლება ასევე ბიძგი მისცეს სამართლის შემდგომ განვითარებას. დივერგენტული კასაციის დაშვება ემსახურება სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებს შორის იურიდიული დისკუსიის შედეგის მნიშვნელოვანი ხასიათის განსაზღვრას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება საკასაციო საჩივრის დაშვებულ ნაწილში (2000 წლის კვების კომპენსაციის ანაზღაურება) არ შეიცავს არანაირ სამართლებრივ მოტივაციას საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკით ჩამოყალიბებული სამართლებრივი დასკვნების კრიტიკის თაობაზე, სასამართლოს არ დაუსაბუთებია დავის სხვაგვარი გადაწყვეტის სამართლებრივი სისწორე და განჩინება არ ემყარება განსხვავებულ სასამართლო ფილოსოფიას, რის გამოც საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს არანაირი წინაპირობა სააპელაციო სასამართლოს დასკვნის გასაზიარებლად და დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის შესაცვლელად.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 და 394. „ე“ მუხლების მოთხოვნები, კერძოდ: სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოიყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა, არასწორად განმარტა კანონი; სადავო სამართალურთიერთობას არასწორად შეუფარდა სამართლის ნორმა. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების შეცვლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ უნდა მიიღოს ახალი გადაწყვეტილება, რადგან საქმის გარემოებები დადგენილია სააპელაციო სასამართლოს მიერ და საქმე არ არის მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 6 ოქტომბრის ცნობით დადგენილია, რომ თ. ყ-ის ხელზე მისაღები ხელფასი შეადგენდა სულ 3412,85 ლარს, მათ შორის: 1998 წლის ხელფასი 1558,99 ლარს, 1999 წლის ხელფასი 709,18 ლარს, 2000 წლის ხელფასი 516,68 ლარს და ულუფა 519,92 ლარს, 2003 წლის ხელფასი 56,16 ლარს და ულუფა 51,92 ლარს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო არ არის ის გარემოება, რომ მოსარჩელე შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა ადმინისტრაციულ ორგანოსთან – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტთან (ამჟამად სსიპ შემოსავლების სამსახური) და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, წარმოადგენდა საჯარო მოხელეს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს საბაჟო დეპარტამენტისა და სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლებზე აღნიშნული კანონის მოთხოვნები ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი. იმავე კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით კი დადგენილია, რომ მოსამსახურეს უფლება აქვს, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი).

საქართველოს საბაჟო კოდექსის 168.1. მუხლის მიხედვით კი საბაჟო ორგანოს საჯარო მოხელეებზე ვრცელდებოდა პოლიციის თანამშრომელთა სოციალური დაცვის გარანტიები, რომლებიც განსაზღვრული იყო „პოლიციის შესახებ“ კანონის 31-ე მუხლში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 2000 წლის 28 ივნისამდე მოქმედი რედაქციის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებდა, რომ პოლიციის თანამშრომელი პოლიციაში სამსახურისათვის იღებდა ყოველთვიურ ხელფასს, რომელიც შეიცავდა თანამდებობრივი და სპეციალური ნოდებისთვის დადგენილ განაკვეთს, ნელთა ნამსახურობის დანამატს, რაიონულ კოეფიციენტს, სადაც იგი დაწესებული იყო; დანამატს დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობისთვის, ღამის საათებში და ზეგანაკვეთური მუშაობისთვის და სხვა გასამრჯელოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებსა და კომპენსაციებს. ასეთივე დანაწესს შეიცავდა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 8 იანვრის №2 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის“ დებულების და „საქართველოს საბაჟო სახელმწიფო ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ“ დებულების 39-ე მუხლი, რომლის 1-ლი მუხლით დადგენილი იყო, რომ საბაჟო ორგანოს თანამშრომელი იღებს ყოველთვიურ ხელფასს, რომელიც შეიცავდა თანამდებობრივი და სპეციალური ნოდებისათვის დადგენილ განაკვეთს, დანამატს ნამსახურები წლებისათვის, სასურსათო ულუფის ღირებულებას (თუ იგი ნატურით არ ეძლევათ), რაიონულ კოეფიციენტს, სადაც იგი დაწესებულია, დანამატს დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობისათვის და სხვა გასამრჯელოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ დანამატებსა და კომპენსაციებს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს: პოლიციელის ხელფასი მოიცავდა არა მარტო თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს, არამედ – ნამსახურობის დანამატს, სასურსათო ულუფის ღირებულებას და სხვა. თუმცა, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში 2000 წლის 28 ივნისის №413 კანონით განხორციელებული ცვლილებით, კანონის 31-ე მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის თანახმად, ხელფასი მოიცავდა მხოლოდ თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სადავო არ არის ის გარემოება, რომ თ. ყ-ის წინაშე სახელფასო დავალიანება მოპასუხეს წარმოეშვა 1998, 1999, 2000 და 2003 წლებში და დღეისათვის მოსარჩელე დავობს სწორედ ამ პერიოდში წარმოშობილ და შეუსრულებელ ვალდებულებებზე. 2000 წლის კვების (ულუფის) კომპენსაციის დავალიანება მოპასუხეს წარმოეშვა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის ძველი რედაქციის მოქმედების პირობებში, რომლის დროსაც ხელფასში გათვალისწინებული იყო არა მხოლოდ თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილი განაკვეთი, არამედ – ნამსახურობის დანამატი, სასურსათო ულუფის ღირებულება და სხვა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ თ. ყ-ის სარჩელის მოთხოვნებიდან გამომდინარე დავის გადასაწყვეტად გამოყენებული უნდა იქნეს ის სამართლებრივი ნორმები (კანონის იმ რედაქციის სამართლებრივი ნორმები), რომელთა მოქმედების დროსაც წარმოიშვა სახელფასო დავალიანება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურს, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე და 33-ე მუხლების თანახმად, მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 2000 წლის კვების (ულუფის) კომპენსაცია.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელისათვის 2000 წლის კვების (ულუფის) კომპენსაციის თანხის ანაზღაურების ნაწილში არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლი. შესაბამისად, აღნიშნულ ნაწილში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ თ. ყ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 13 იანვრის განჩინება დაშვებულ ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. ყ-ის სარჩელი 2000 წლის კვების (ულუფის) კომპენსაციის 519,92 ლარის სსიპ შემოსავლების სამსახურისათვის დაკისრების ნაწილში ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 372-ე, 390-ე, 399-ე, 411-ე მუხლებით და

**ბ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. თ. ყ-ის საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 13 იანვრის განჩინება 2000 წლის კვების (ულუფის) კომპენსაციის ანაზღაურების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. თ. ყ-ის სარჩელი 2000 წლის კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდეს;
4. მოპასუხე – სსიპ შემოსავლების სამსახურს თ. ყ-ის სასარგებლოდ დაეკისროს 2000 წლის კვების კომპენსაციის ანაზღაურება 519,92 ლარის ოდენობით;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.